პაპუნა ქვარიანი

ერთტომეული

თბილისი 2018

ერთტომეულში მკითხველი ვრცლად გაეცნობა პაპუნა ქვარიანის შემოქმედებას. პოეტის მიერ აქ წარმოჩენილი ლექსები და პოემები გამორჩეულნი და ზოგადსაკაცობრიოა.

რედაქტორი: ეკატერინე ციცქიშვილი

პაპუნა ქვარიანი
ერთტომეული

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-0601-8

წიგნი დაიბეჭდა შპს „წიგნის ფაბრიკა“-ში
ქინძმარაულის 17

ყოველგვარი შეფერადების გარეშე ვამბობ ორიოდ სიტყვას პაპუნა ქვარიანზე, რომლის შემოქმედება იმდენად დატვირთულია, რომ მის თითოეულ სტრიქონშიც კი იგრძნობა პოეზიის ის მუხტი, რომელიც გვაფიქრიანებს, გვიბიძგებს - ვიყოთ მებრძოლნი და თვითმყოფადნი. ერთტომეულის პირველ ნაწილში „ნიღბების ცვენა"-ში გამხატვრულებულია ამქვეყნიური ცხოვრების მანკიერებები თუ რარიგად არის ფესვგადგმული ყოველდღიურობაში, სადაც შენიღბულ სახეთა ორომტრიალი მიმოქცევის ზღვარს სცილდება და გარკვეულ მომენტში გარდუვალია ამ ნიღბების ცვენა.

მომდევნო ნაწილში „ქვარიანულში" ისეა გამოკვეთილი პოეტის ინდივიდუალიზმი, თავისთავადობა, რომ სულიერ სამყაროს ამკობს ორიგინალიზმის განსხივება. განსა - კუთრებით საყურადღებოა პოემები „ბალაგანი" და „პარტახი", რომლებშიც რემინისცენციურად გამოხატულია ეპოქის პოლიტიკური თუ ისტორიული მოვლენების სვლაგეზი.

მესამე ნაწილია „ოსტატის ნიხრი", სადაც მართლაც ტექნიკურად განსაკუთრებულ და უმაღლეს დონეზე გამართული ლექსებია წარმოდგენილი, ისინი აზრობრივი სინთეზის შერწყმაა სიახლეთა გალერეაში. ყოველივე ამის გვირგვინია პოემა „სიმწრის ფაფხური", რომელიც თითქოსდა ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

გასათუთდება ხმა ლოცვით,

დანარჩენს ჟამი გამოცდის!

ეკატერინე ციცქიშვილი

განწყობა ისე დამძიმდა
გაცოცოტავდა ნაბიჯი,
საღი მომავლის საწინდრად
უფსკრულის პირას გავჯიქდი.

დაწნეხილია დღეს სულის
ასაკვნესები მარულა,
გაიჭიატებს ერთგული
ღიოფის არდასასრულად!

პ. ქ.

ნიღბების
ცვენა

გაუხუნდა ნაწიბური
შესანიღბავ მასალას,
წუთისოფლის ალიყურმა
მიმოჭვარტლა გზაშარა !

მიტოვებული ტაძარი

მიტოვებული ტაძრის კარს ვაღებ,
ობობას ქსელი წინ მებლანდება,
ჩამოსდით ცრემლი დაღარულ თაღებს,
გაქუფრებულა ფრესკის ხატება.

იავარქმნილა ვაზის თალარი,
ქვევრიც ლოდებით ამოგმანულა,
შეუსუდრიათ ბანდღებს მარანი,
უხსენებელი ხოხავს ფარულად.

დაოსებული კვნესის სამრეკლო,
ბუღი ნაპრალებს ხორხში ჩასჩრიათ,
ლამის ღრუბელმა სხივი გახედნოს,
უთრთის ულვაში ძელქვას ასწლიანს.

ფრთხილად ავყევი დანგრეულ კიბეს,
გუმბათზე ნანატრ ზარს ვახმიანებ,
სულის ზეობა სწვდება ცის კიდეს,
ტაძარი უხმობს ადამიანებს!

ვერ ვიადვილე

თითქოს ქრებიან თრთოლვის წამები,
მაგრამ რას ვერჩი იმ მონატრებას,
რომლის ხლართებში ისე გავები,
ვით გაებლანდა ცხადს მოლანდება.

იმ უიშვიათ გრიგალის გრგვინვის,
ვერ ვიადვილე თავის დაღწევა...
უკმარისობის სირენა წივის,
მოვისაკლისე კვნესა საშველად!

რადგან ვიწვნიე ურვა მრავალი,
დაუდგრომელი ერის შვილი ვარ,
დღეს თავთუხი ვარ დაუმარცვლავი
და გულის პარკუჭს ბინდით ვიჩრდილავ.

ხვალ კი ჩამფარცხავს დროის დინება,
ჩაიღადრება ცრემლების ხვატი...
ეჰ, სანამ სხივი ამობრწყინდება
გოლგოთის თხემზე ყინავს და ბარდნის.

წამოდექ

გატრუნულია რადგან საუფლო,
ეს ჟამი ნატრობს ყივჩაღის ყიჟინს...
როგორ გავტოკდე, საით გავქუსლო,
ბრმა არჩევანის შეგრძნება მიჭირს.

ჩამეწყრილია სულის სანგარი
და ნამეხარი ბერმუხა იწვის...
მაინც ავლესე იატაგანი,
მაინც ვაკვნესე ზარები ყინწვისს.

ჩამოიღვენთა ფრესკების ცრემლი
და ნატყვიარი ჯვარი ატოკდა...
ნიღაბახდილი იმსხვრევა კერპი,
მყოფადს ეამა როკვა საშოდან.

ვიხმე ყივჩაღი რიკოთის თხემზე,
იმ ბაზალეთის ჩაქოლვა მინდა...
მამულიშვილო წამოდექ ფეხზე
და უსაყდრისე ასახდენ სიზმარს.

არჩევანი

შეგუბდა ფიქრის ცივი ნაკადი,
ვარსკვლავს ვერ ვლანდავ ღრუბლების მიღმა,
თუ საწუთროსთან ვეღარ დავზავდი,
როგორ აინთოს ლამპარი წმინდა.

როგორ სჯობია: ვძებნო დოვლათი,
თუ ამ სოროში ეულად დავრჩე?!
ვინ მოიპოვა მუზით ხორაგი,
თუ არ მიბაძა ხანდახან ჩარჩებს.

გაცრეცილია სულის სამოსი,
ნაზმა სოსანმა იგრძნო სიცივე,
შუაღამეა, ვბორგავ, დავვოსდი,
მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დავიძინე.

ბოლოსდაბოლოს ჩამთვლიმა მაინც,
გამომეცხადა ლურჯი ფერია,
მითხრა: "მოკვდავო, გაწუხებს რაიც -
საყოველთაოდ ძველთაძველია.

ააგუზგუზე მისნური ცეცხლი,
იანცებს ალი მაღლა ასვლისას,
არივ-დარიე ფიქრების თქეში,
წუთით ხელთ იგდებ ზღაპრულ ნატვრისთვალს.

გაათკეცდება აზრის თარეში,
ქანცმინაბული მუზებს ინატრებ...
ცხოვრების ბოლოს სიმწუხარეში
გოეთემ გასცრა - ,,მეტი სინათლე".

თვალს ვახელ, ვდგავარ მდინარის პირას,
ტყისკენ მახედებს გუგულის გუ-გუ...
სუსხიანია დეკემბრის დილა
და მართლაც ვნატრობ კოცონის გუზგუზს.

სიზმარეული ზღაპრის ბინული
ნელ-ნელა შრება ცხადის დინებით,
ამქვეყნიური არ მსურს ტიტული,
დრო და დრო მუზას ვეპოტინები.

რადგანაც მჯერა, როს არ ვიქნები,
დარჩება სულის წმინდა ნაჟური...
ვაივაგლახობს ისე ფიქრები -
უნდა ავლესო სიტყვა ქართული!

• • •

ძაღლუმადურად ვეჩვევი
ჭმუნვას და უხერხულობას,
მრწამსი შეხედულებების
თვითდაჯერებულობაა.

მივაგებ

რა უნიათოდ დაიწრიპინა
დამეწყრილ გზაზე დაფმა და ზურნამ,
მიწიერობით დაღლილ შეშლილმა
მათრახი ციმ-ციმ აატკაცუნა...

ნარნარ ზამბახთა შემოგარენი
ისე ელიან წვიმას შხაპუნას,
ვით ნაომარი ყრმა მოაბჯრენი
მშვიდობის სხივმა რომ დააპურა.

ჰოდა, მომწყურდი, უნდა გეახლო,
უნდა ავწიწკნო ვნების სიმები,
შევეხმიანო იმ ტლუ მიზანთროპს,
ვინც ჩააქსოვა ფოთოლს იმედი.

ვინც აიძურწა სანთლის წინაშე,
ვინაც შეიგრძნო სუნთქვა მყოფადის...
პატივს უზადოდ მასაც მივაგებ,
ვინც გაინაბა საწყის ცოდვამდი.

ვერ აგიტაცა

ო, ეს წარბები ისევ დახარე,
ისევ ნაღვლიან მორევში ფეთქავ,
ვერ ითავისებ ნაბიჯს სახვალეს,
გულს გიფრიალებს ტალღების ხეთქვა.

ვერ აფარფატე ადვილად ფრთები,
ვერ აგიტაცა იმ შთაგონებამ...
ო, ეს წამწამი, ეს საფერები,
ცრემლის ნიაღვრის ფესვს ეკონება.

როცა თამამად ჩაგხედე გულში,
იქვე გამაწან უტყვი ზმანება,
ბუნებრივია, რომ იყო ურჩი,
ოღონდ შეეწყო თან შებრალებას.

არ ველოდები რამე წყალობას,
არ მიხმობს ალი გახსნილ საკინძის...
მზის კვართს შეერწყა სიმწრის გალღვობა,
დაგვის წკვარამის წეწკვას განვიცდი.

ისევ

როგორ გაცრეცილან,
ლაჟვარდს ეცლებიან,
ქარის ახვეტილი
ლანდთა ანათემა...

სადაც გავიხედე -
ეშმას ფესვებია,
მწუხრმა შენი სუნთქვა
თავზე დამათენა.

ტრამალს ენატრება
ანცი სხივის მადლი,
ცვარი ამოწვერილ
იას ეალერსა...

ისევ ზამთარია,
სივრცეს მოსავს თალხი,
ისევ გამიფრინდი
კეკლუც ზეა სვეტად!

ნიღბების ცვენა

როს აირევა მწყობრი სისტემა,
გარდუვალია ნიღბების ცვენა,
გარეგნულ სახის ფორმის ცვლილება
ააწიწმატებს ბულბულის სტვენას.

ბნელეთის რისსხვა ისე დათრგუნავს
და ააშფოთებს ცოდვილ ათასებს,
ობდება აზრი, გაჭირდა სუნთქვა,
ბუღი გარემოს გადააფასებს.

ხმა აფეთქების მოისმის შორით,
ნატყორცნი ლავა ელვარებს თვალწინ,
ჯადოსნურ ალმა მწველი ამბორით
ფრთა შეუსრუტა გულზვიად არწივს.

ბევრი შესცოდეს ავმა ენებმა,
წუთით სიჩუმემ დაისადგურა,
მწუხრის გოდოლის რომ ჭირს შენება -
მომხვდურს ვერ ვხვდებით მამაპაპურად!

ორმხრივი ეშხი

როცა ორმხრივი ეშხით იწყება,
ვნების ტალღების აბობოქრება,
მძლავრობს უებრო თავდავიწყება,
და მოსახდენის მადლი ცხონდება.

გაიშრიალებს კულისის ფარდა,
წამით შეკრულა ნატიფი სუნთქვა,
ნათურაც ისე ლამაზად ჩაქრა,
რომ ჩაეღიმა ძველთაძველ ბუხარს.

ყველაფერ ამას, თან თუ დაერთო
კმაყოფილების განცდა უშრეტი,
ყოფიერების შავბნელ სამეფოს,
შეაციაგებს არსის უჯრედი.

ეჰ, რადგან დროის ბილწი ღვარცოფი,
მაინც დამეწყრავს ზღაპრულ ბაღნარებს,
გაბაცდა ფერი მსუყე ნაყოფის
და ავზნიანი ქაჯი ხარხარებს.

თეთრი ბაფთები

ვერ ვმოგზაურობთ რადგან ერთ დროში,
ეშმამ ჩამავლო ხელი ქეჩოში.
ჟამი ფარფატებს, როგორც პეპელა,
გაუცხოვების სუნთქვა მეძნელა.

მაგრამ არ ვცხრები, მაინც ვეცდები,
რომ მოვარწყულო ვნების ფესვები,
ნაწნავებს შვენის თეთრი ბაფთები,
მთანგავ აურის თქორით ჩავთვრები.

არ მიფიქრია რამე აუგი,
წვეთავს მირონი ამ სიჩაუქის.
ნისლში გაჭირდა ჯვარცმის შეგრძნება,
განტევებასაც ფერი ეცვლება.

რადგან შეყოვნდა ხილვა უფლისა,
დავაჩორიკებ ტაიჭს უღირსად.
გულგასენილი უხმოდ ვტირივარ,
გადავეპკურე ნამად გვირილას.

სანამ უნდა

მარტოსულო, მარტოსულო,
სანამ უნდა წეწო ბამბა,
სანამ უნდა იმარხულო,
ცრემლითა რწყავ გრძნობის ნაპრალს.

დროა, უნდა აგვირისტო
საწუთროსთან დაზავება,
გაწბილებულ, შემცბარ თვისტომს
მოევლინო უნდა შვებად.

დროა უნდა აითვისო
სიახლეთა მუხტის ძალა;
კოშმარები ჩაივლისო,
შემოქმედმა ასე ბრძანა.

რაც ისედაც ფარულია,
რაც არს გულში ჩამარხული,
მას წამები დაუთვლია,
ითავისე არნახული.

ღვთიური წვლილი

ისე ცქრიალებდა თეთრი ანგელოზი,
ფრთებით ასხივებდა არმაზს ჩუქურთმიანს...
ველარ დატკბებაო ჩვენზე სარკინოზი,
ჰაო! -- მოქიშპენიც დროშებს უკუ ხრიან...

დროზე ვითავისეთ ჯვარის სასწაული,
ნინომ მშიერ გულზე ცვარით იმარხულა,
მადლი გვიფარავდა ღვთიურ საწყაულის,
მთაში მონადირე სჭექდა მირანგულას.

ხშირად იგრიალა დუშმანთ აზვირთებამ,
ბევრჯერ აგვიცრემლეს მოყმე თუ დიაცი;
ქართველს არ სჩვევია ისე განივთება,
რომ არ ასულდგმულოს გენის ხვაშიადი;

რომ არ შეულეწოს მკერდი მოძალადეს,
რომ არ აგვირისტოს ხვალის ჭირნახული,
რომ არ ეთაყვანოს უფალს მოამაგეს,
რომ არ შემოსძახოს ჰანგი ცისმაყრული.

ასე მარქაფულად კვლავაც მედგრად ვივლით,
ისევ ვუკუვაგდებთ გრიგალს აუგიანს,
წმინდა მარიამის კუთვნილ ღვთიურ წვლილით,
ნათელ მყოფადის ბარტყს ფრთები აუსხია!

რადგან შეეხო

ვინ ჩაქცეულა, ვინ დაქცეულა,
ვინ დააბოტებს ნაბიჯს ეულად,
ვინ შეატოკებს რულეტს შვეულად,
ვის ჩაეძინა კვლავ ზეზეულად!...

ვინ აიპრიხა ულვაში გვერდზე,
ვის აეტუზა კარებზე ხეპრე,
ვინ ჩააქსოვა ნაწნავი ედემს,
ლამის მერცხალი ვენერას შესწვდეს.

ეჰ, მე კი - მთარსავს ჭოტი დილიდან,
ვინ გამიღიმა ასე ირიბად,
რომ უნებლიედ გულში ვტირივარ,
ვერ გამოვძვერი ღამის ჩრდილიდან!

შენი ჩასუნთქვის მადლი მაფხიზლებს,
გასწორებია ლულა სამიზნეს,
რადგან შეეხო თათი საკინძეს,
ვნების წიაღი ბუნდღას აიდენს!

რით შევამკო

დამეხვია გულზე დარდი,
ირგვლივ ჯმუხი ტრამალია...
აცრემლებულ სტრიქონს ვბარდნი,
მომაგებე ფრთამალია.

რადგან მრწამსი სასხივოსნო
საწინსვლაოდ ჩამქრალია,
გაწბილებულ სათვისტომოს
საძირკველი ჩამღრძალია.

დღეს თუ ვარდი ვერ დავკრიფე,
რით შევამკო ზღაპარია...
თუ კელაპტრად სულს ამინთებ,
რას დამაკლებს მტარვალია.

ვერ ვაკვნესე სალამური,
როცა ნირი წამხდარია...
რომ წამკიდე ეს ალმური -
გაიმეტე წამალია!

მარადიული ტკივილი

არ დამიკარგავს ბრძოლის სურვილი,
არ დამშრეტია მაშვრალს გონება,
ილაჯ გაწყვეტილს მდაგავს წყურვილი,
მონას არ ძალმიძს თავის მონება.

არ შევეპუე იმ ნაცარტუტებს,
რაიც წინარე შარას გმანავდა,
კაცი სინანულს თუ არ აშუქებს,
შენდობის დვრიტას სტოვებს სარანდავს.

მაგიურია ძალა სიკერპის,
ის ვერ დაუცდის მეფის განაჩენს;
თუ გაისანთლა ძაფი იმედის,
თვალი ციაგით იტყვის დანარჩენს.

ეშმა ღრუბლებში ხელს აფათურებს,
ნისლი ედება მიუვალ მწვერვალს,
ისიც მაწუხებს, რაც არ მაწუხებს,
მარადიული ტკივილი მცელავს!

ყოველ წამს

ამდენ წვალებას ველარ ავიტან,
ტანით კენარო, ბაგით მცინარა,
შენს აურაში შემოჭრილი ვარ
და სხვა მიჯნური არად მინდა რა!

რატომღაც, ისე შორ-შორს გარბიხარ,
ვერ მოგიხელთე, ვერ გეამბორე.
იცი, ყოველ წამს ისე მაკლიხარ,
ვით საკალმახეს ვრცელი სატბორე..

გაუცხოების ამ ტკბილ საუნჯეს,
მიმოაშუქებს ეშხის მაშხალა,
ვარამი უნდა დროზე გაყუჩდეს,
ჩანასახშივე ჩაშრეს სამსალა.

იმ კეკლუც წუთის დაისს შევნატრი,
როს გადმოვაფენ თავთუხს ბანტიანს...
აჰა, მომწიფდა უკვე ვენახიც,
ბადაგს გრძნობები გაუნასკვია!

რა არ იტანჯე

ვერ ვამეტყველებ ძარღვიან სიტყვას,
აწმყოს ჯავშანი დაუკაწრია,
ნაიარევი მახსენებს სიზმარს,
წარსულის სხივი ეწვის ვარძიას.

იწვის და ისმის ლომგულთ ღაღადი,
სისხლი ბზარავდა გარუჯულ ქარაფს...
როგორ დაგლეწეს, მაინც გადარჩი,
მამულო, უფლის წყალობა გვფარავს!

რა არ იტანჯე, რა არ იკმარე,
ცრემლი სდიოდა ბორცვებს თუ ფიქალს,,,
დღეს იშრიტება ყოფის მდინარე
და სათქმელიც კი დროზე ვერ გვითქვამს.

მხარი მოექცა გარუჯულ ზარზმას,
მიმოეთუთქა გულ-მკერდი დიდგორს,
დიდ ხოდაბუნებს მომხვდური ფარცხავს,
ერის დუღაბი ქუდზე კაცს ითხოვს!

არ აღზევდეს

არ დავუშვათ საქართველო,
დაქუცმაცდეს ნაწილებად,
მამული ვით ავართველოთ,
თუ მოყვასი დაგვცილდება?!

ისე მძლავრობს მოთარეშე,
სულში მწიწკნის, გული სკდება,
თუ განწყობა ვერ დავგეშეთ
ხვაშიადი ჩაწბილდება.

ვით ვაკვნესოთ საზანდარი,
სათითაოდ, საჩოთიროდ,
არ აღზევდეს ფარსადანი,
მტერს შიში არ ვაგრძნობინოთ!

ვით ვეკვეთოთ მტარვალ დუშმანს,
თუ ერთობის ფრთებს არ გავშლით,
უღალატოდ, დარაზმულად
ვეცარგვალოთ ერთურთს მხარში!

ღირსების მადლი

მშვენიერებავ, დასაკარგად არ მემეტები,
მწყურია, ვკრიფო უსასრულოდ ძოწის მტევნები,
სურნელის მადლი მოვაფრქვიო არსის ღვთაებას,
ლაბირინთების განუსაზღვრელ ქსელში გავება!

მშვენიერებავ, შენი სითბო როცა მაკლია,
ავი სულები სათნოებას აღარ მაცლიან.
ყოფიერების გზატკეცილი რადგან მრუდეა,
ჩამორჩენილ მგზავრს ბოლობოლო აღარ უცდიან!

ეჰ, ფარატინა სურვილებო, გაძარცვულებო,
წამხედურობით მივყვებოდით ბრბოს უგუნებოდ,
გაგვამზეურა შთაგონების გამოსხივებამ,
ჩამზრალ დილემას ეჩეხება გამოცდილება.

არ დაოკდება წინსვლის მრწამსი რადგან აროდეს,
ვნების წიაღში ია-ვარდი უნდა ხარობდეს.
განცდების ჯერის სიკასკასეს ავეფიცხები,
ჭეშმარიტებავ, მოამრავლე მადლი ღირსების!

აასპარეზებს

რადგან ვერ ვიტან ერთფეროვნებას
დავღოღიალობ კიდით-კიდემდე...
ვამკობ შეცნობის ხიბლის ცხონებას,
ზეშთაგონების ტალღას მივენდე.

თუ ჩირაღდანი ვერ მოვიხელთე,
თუ ვერ გავწიე ჯურღმულის ფარდა,
რა თავში ვიხლი სულის სითეთრეს,
რად დავესესხე ფერები ლაჟვარდს?!

რიჟრაჟმა ძნელად გაიფარფაშა,
რომ გაეფანტა ბინდი მთლიანად,
ოხერტიალმა უხილავ ძალამ -
რა უდროო დროს დამაფრთიანა!

თვითდანაკისრი მოვალეობა
არ შეედრება ყურით მოთრეულს...
ზოგჯერ ითვლება ხრიკი ქველობად,
აასპარეზებს კაცი ორეულს!

სწირავს

რადგან თვალთმაქცი უსაფრთხოება
განწირულია საფრთხის წინაშე,
რადგან სულიერს სცრის სასოება,
ჭიანჭველაც კი ადგილს ინაცვლებს.

ეს ვალაკიტა, ასე მგონია,
ათას თაობას კიდევ აწამებს...
ზოგჯერ კაცს კურკაც აუწონია,
ზოგჯერ კი - კოშკებს სწირავს საწადელს.

ღობემინგრეულ ყოფის არენას
შემოეჩვია ქვეწარმავალი...
ჭირს სატკივარის გადაფასება,
ვერ გაექცევა ხვედრს წარმავალი.

თუ საბოლოოდ ღვთის შემწეობით
ეშმას ღვარძლი არ ამოძირკვდება,
ამ დაუდგრომელ მოკვდავთ ქლესობით
კვლავ იცოდვილებს აზრი კირთებად.

ყოფითი

როს უზნეობის ფრთები იშლება,
სიმართლის ქომაგს ყურს ვინღა უგდებს,
წარმავალია ყალბი დიდება -
შენიღბულ სახეს ვერ ინარჩუნებს.

როს მავნებლობის სიაშკარავე,
გახდება ბრბოსთვის თვალშისაცემი,
გაიძვერას რომ წიხლს ამოკრავენ,
ორი იხარებს ერთის დაცემით.

ასე მგონია, რომ სულებს ვკორტნით
და ვწუხვართ მათთან განშორებისას...
ოდითგან ასე, ამგვარად მოდის
ჯოჯოხეთური ამ ცხოვრების გზა.

ო, ეს ყოფითი საგნების მტვერი,
როგორ მალ-მალე მაღიზიანებს,
მზად ვარ ქარაშოტს ჩავკიდო ხელი
და შევეჩეხო ციურ იალქნებს.

აკროსტიხი

სონეტი

პ - ირამიდების უნაპირო გადმოსახედი
ა - ღტკინებული საუკუნის სარკოფაგია,
პ - ირველყოფილი საცოდვილო რისხვა თავხედი
უ - განაჩენოდ ეტმასნება ბინძურ მაგიას.
ნ - აუცფათევი განქიქების გამოძახილი
ა - ეტუზება ძლიერების განზომილებას...

ქ - ართული სული ცისქვეშეთში მიმობარდნილი
ვ - აი-ვაგლახის საჩოთიროდ ასოცირდება.
ა - რა, არ გვინდა აორტაში ისე გათქვეფა,
რ - ომ თვითმყოფადი სასოება გაიქილიკოს...
ი - ადონებმა გადუქროლეს თავზე სახედარს,
ა - მაღამ უნდა სიალალემ გაიჯირითოს.
ნ - უღარ გვგონია, რომ შორს წავალთ ვინმეს იმედით,
ი - ესოს განვლილ ეშაფოტთან უკვე მივედით!

გაორება

გრძნობას, რომელსაც შენ ეუფლები,
ორჭოფულია და თან მერყევი,
ეს საქციელი არის უთქმელი,
თითქოს ხვდები და თითქოს ვერ ხვდები.

იჭვები ისე აგფიცხებია,
ამაოდ დაშვრა სიტყვა გულწრფელი;
ვიცი, არარა გისესხებია,
მაინც ვალი მაქვს გადაუხდელი.

ისევ ჩამესმა შენი ჩურჩული,
ალერსით თრობა მომნატრებია...
განშორებისგან გულდათუთქული,
მივყვები ხომალდს ლურჯ აფრებიანს.

გადაექაფა ნაპირს ტალღები,
ვიხსენებ კალთას - თეთრ ბაბთებიანს;
განუკურნელი, ნაიარები
მივდივარ, სადაც არ მიმელიან.

გაუყვა ბილიკს

საკურთხეველზე საკმეველს ვაკმევ,
ლაჟვარდს ეპკურა სხივის მირონი,
თრთოლვით შევეხე რიჟრაჟის სარკმელს,
თვლს მჭრის მზის ეტლი, ვით საფირონი.

როცა ეთერი იწვის და ბოლავს,
ცთომილთა დასი ყურს უგდებს წირვას,
იალ-ციალა ლაჟვარდის ზოლმა,
სამყაროს ხილვად თვალს ახელს დილა.

ამ ცინცხალ ფონზე უცნობი შემხვდა,
მგზავრი დაღლილი, თანაც მწუხარე,
დაღონებულმა სათქმელი ვერ თქვა,
გაუყვა ბილიკს კვლავაც მდუმარედ.

საჭირო სიტყვა ვერც მე ვუთხარი,
ვერ განვუქარვე მაშვრალს დარდები...
ეჰ, ბედისწერის ძალით მუხთალით
გახუნებულა შავი ფარდები.

ბნელში მივყვები

მიქრიან დღენი კვლავ ვაგლახურად,
კანკალებს მუხლი ნაცოდვილარი,
შიშმა სიჩუმე დაასადგურა
და უცრემლებოდ ვარ მომტირალი.

საუბედუროდ ყოველ ცისმარე,
მრწამსს და განწყობას რაღაც მიწამებს,
განგების ძალის თუ არ ვიწამე,
ძლივსღა ვბოგინობ ცოდვილ მიწაზე.

გადავეყარე ვადადარიას,
სათუთი კვირტი უღვთოდ დამზრალა;
მავნე სახადმა ხელი დამრია,
ეშმა მიმზადებს სალბუნ სამსალას.

გულისმომკვლელად ოხრავს წკვარამი,
აზვირთებული ლავა ბობოქრობს;
ცოტა ლხინით და ბევრი ვარამით,
ბნელში მივყვები გზას ოკრობოკროს.

დრომ მოიტანა

ზოგჯერ შემთხვევით და ზოგჯერ განგებ,
ავშლი, ავანგრევ დაგებულ მახეს,
შემართულ ხანჯალს ქარქაშში ვაგებ
და ყრუ ტკივილებს იდუმალ ვამხელ.

მაინც დიდია რიცხვი დაჭრილთა,
მოყვასს აღონებს იმათი კვნესა,
დრომ მოიტანა, საქმეს დასჭირდა,
ხანდახან ცრემლი წასკდება მტერსაც.

სულისკვეთება გაწბილებულა,
ექომაგება ურვა ცდუნებას;
შეუპოვარს სურს, თავისებურად
უცვალოს ბილიკს მიმართულება.

აატალახა კალო ავდარმა,
ნაირფერადობს მიწა ქართული.
ცოდვილმა ცოდვა მხრებით ატარა,
სინდისი რჩება უტყვი მსაჯული.

სურათი

ხვამლის მთიდან მონაბერი ნიავი
აცახცახებს ულვაშფართე სიმინდებს,
ტვიშის ქარი, ორხვის თანაზიარი
გზად მიმავალს ამცნობს თავის სიფიცხეს.

კაშიორი ლეგა ნისლში ეხვევა,
საბადურში კვიცს არ უხმობს მარულა,
გასაძლისდა მარტოობის შეჩვევა -
ათასიდან რვაასამდე წასულა.

ნასერალში ტყის ქათამი კაკანებს,
ქვაციხიას ბუღრაობენ მოზვრები,
ეჰ, ძმობილო, ვენახს ვეღარ ახარებ,
მთაშავიდან გონს ჩამოდის ფოცხვერი.

გვიმრა ფარავს ბიგეეთის მოედანს,
ბაღიტბაში სადღა ნახავ კალმახებს,
ძველ ხოდაბუნს ეკალ-ბარდი მოედო,
საყდრის ურვას ხატის ცრემლი ღაღადებს.

ბუქი ხურავს ფანჯრის ფართე დარაბას,
სადღაც გაქრა ხეიბარი ულაყი,
უკან დარჩა ნამოცხვრების შარაგზა,
გულს მისერავს ჩემი სოფლის სურათი!

ისევ აბოგინდა

როცა სულის კვარი
იწვევს გაოცებას,
სტრიქონს შეუნახავს
მწუთხე მოგონება,
როცა მირონცხება
მაკრთობს ნაოცნებარს,
ვისმენ კეთილ სიტყვას
დარდის მოფონებად.

როცა ანგელოზმა
მიხმო სევდიანი,
ვხედავ მისანდობელ
მცნებას ღიმილიანს.
გულის ცივ კუნჭულებს
ათბობს დღე მზიანი,
ისევ აბოგინდა
რწმენის იდილია.

ცრემლები

როგორიც გსურდა, ისეთი სითბო
ბევრი ეძებე და ვერსად ნახე;
შავი აჩრდილი საომრად გიხმობს,
ბრბო გადათელავს უნიღბო სახეს.

ხშირად არა აქვს მატყლი მენაბდეს,
ზოგადად ბრძენიც მოსინჯავს ჰაშიშს;
სულს უბერავენ თვისებრ კელაპტრებს -
სიავე, შური, ხათრი და შიში.

მახვილი ხელში რომ არ გვეჭირა,
დრომ შეაპარა ჟანგი იარაღს;
თუ არ დავხვდებით მეწყერს ჯებირად,
რა მოაშუშებს ისე იარას.

ეჰ, რახანია ზეზეულ გვძინავს,
თვალს გვჭრის, გვაბრმავებს ჭრელი ცხოვრება;
ადიდებული მდინარის პირას,
ცრემლები აღარ გვეუცხოვება.

ბორგავს სამყარო

დუმილის სიბრძნეს მაშინ მოველი,
როს ნებისყოფა მძლეობას ითხოვს,
გულს აღარ ხვდება წყენა ყოველი,
ბოროტის თარეშს ვერ ვხედავ თითქოს.

კვლავ გაიელვებს ისე ხანჯალი,
რომ ვერ დათრგუნავს სათნოს მუხთალი,
ბორგავს სამყარო, ელის არჯალი,
შეგუბდა სისხლი ასაქუხარი.

შევხვდი მოგზაურს - საოცარ შეშლილს,
შეშლილს იმიტომ, რომ ბრბო სდევნიდა,
მას გაურბიან, არც არვინ შველის,
ის ცივ სამყაროს უმზერს ზევიდან...

მარგალიტების ძებნაში დაღლილს,
მდინარის პირას დახვდა სატანა,
რომელიც გამვლელს თილისმას აწვდის,
ყარიბმა ჯადო წყალს გაატანა.

მოლოდინი

ქარი ბობოქრობს, შფოთავს ჭადარი,
ფოთოლცვენაა - მცხრალი ხატება,
თავაწყვეტილი მოდის ზამთარი,
დღემ დაიტირა ღამის მატება.

ვდგავარ შემცბარი, უძრავად, მარტო,
გაწვიმდა, იკლო ფოთოლთ ფრიალმა,
გაშიშვლებული ჭადარი დარდობს,
მოუშუშარი წიწკნის იარა.

ერეკებოდა მეწამულ ღრუბლებს
აზვირთებული ქარი გნიასით,
როს მოეძალა კანკალი მუხლებს
იმედად რჩება მადლი ხმიადის.

ვერ შევიყვარებ ამ ფოთოლცვენას,
ვერ შევეჩვევი ერთფერა ზამთარს,
დაველოდები სხვა აღმაფრენას,
გაზაფხულის მზით ნაკურთხს და ჩამთბარს.

ტრამალები

კრძალვით ესალმება
ბნელეთს განდიდება,
გზების მაჩვენებლად
მშვილდი მოზიდულა.
როცა არწივობა
ყვავმა დაიჩემა,
ეშმა მოევლინა
სინდისს მოციქულად.

ისე გადასერა
მგელმა ტრამალები,
რომ მას მონადირის
შიში არ ჰქონია;
შიშველ სანაპიროს
მივდევ გამალებით,
კოშმარს გამიავდრებს
ხვალის აგონია!

მიწის ბღავილი

რა სავალალოდ დაილია
ფიალა ფლიდის,
მშობლიურ მიწის ბღავილია,
ვით დაჭრილ ირმის.
ყინვის მახვილი უღვთოდ სერავს
შფოთიან თბილისს;
ქართველო! როგორ სიმწრით ისმენ
დედათა ტირილს.
უზნეო ყოფამ როცა სული
არივ-დარია,
აფუებული ხელის ჭუჭყი
მძორის ფარია.
ჩემი სარკმლის წინ აჭრიალდა
ძველი გალია,
ნაირ-ნაირი ჩიტუნები
მწყრალად არიან.
ჯოჯოხეთს მისწვდა გათოშილი
კოჭლი მწევარი;
სამოთხის კართან მომღიმარი
მხოლოდ მზე არის.
მსახვრალი ჯინი ისევ სერავს
გათანგულ თბილისს,
მამულიშვილი ეწირება
ეროვნულ ტკივილს!

ბეწვის ხიდზე

ურვით ვეთხოვები
გაცრუებულ ნატვრას,
ავაფარებ სარკმელს
გახუნებულ ფარდაგს.

როცა ჭექა-ქუხილს
გაელვება ახლავს,
ანგელოზი ფრთხილად
შეხსნის აკვნის არტახს.

გავარდნილი მეხი
მუხის ტოტებს ლეწავს,
ვუსმენ მწირის ღაღადს,
ან მიმინოს ვგეშავ.

მივუყვები ქუჩებს,
თუ შევყურებ ზეცას,
ვხედავ, ბეწვის ხიდზე
მობოგინე ბეჩავს.

უიარაღოდ

ცელქობს ნიავი ყრუ ხეობაში,
გულმა ილხინა ხის შარი-შური,
არიფანაში და ღრეობაში
ჩასაფრებულან ეშმა და შური.

ყორანთ შემყურეს თავბრუ მეხვევა,
წალკოტის მიღმა უფსკრულებს ვხედავ,
სამზეოს თვალი ვეღარ ეჩვევა,
სიხარულშიაც არ მტოვებს სევდა.

იდგა სიტყვების კორიანტელი,
სავარგულები შთანთქა ღვარცოფმა,
მავანი კაცი, ოფლის დამდენი -
ორლესულ ფრანგულს აღარ აწრთობდა.

უიარაღოდ ვრჩები სანგარში,
შორს ისმის ცხენის ფლოქვთა თქარუნი,
გამოვეხვიე შიშის ღადარში
და გადარჩენის მკლავს სიხარული!

მოარული

წყალმიშვებული დარჩა დოლაბი,
ისმის ხმაური უსაფქვაობის.
კაცი, როდესაც სოფლიდან გარბის,
მოარულია ის გულქვაობით.

ბრჭყალებს ისინჯავს ავაზა ჭრელი,
ეთამაშება მგელი ბაჭიას,
კალო გატყევდა, სადღაა მრევლი,
მონადირემაც ბარში გასწია.

რა დააოკებს ყოფნა-არყოფნის
დაუსაბამო გაწამაწიას,
თუ აზროვნების და არსებობის
მყარი სახსარი არ გაგვაჩნია?!

სიტყვებმა საქმეს ისე უყელა -
არსის უღელი ლამობს დამსხვრევას,
უმეთვალყუროდ, ვალმოუხდელად
ბრუნავს დოლაბი, ავობს, არ ცხრება!

ფაფუკი ნისლები

რაკი შემიპყრო იდუმალებამ,
ვზომავ ნათქვამის სიგრძე-სიგანეს;
როცა კაცს კაცი დაემგზავრება,
შარა მოკლდება, ვით მარტში ღამე.

უფერულდება ტკბილხმოვანება,
დემონი ავდარს ვერ შეცვლის დარად;
გამაპირქუშა ავმა ზმანებამ,
უსასრულობის გულისხმა მზარავს.

სიმართლე გაცვდა ჭორის დონეზე,
დუმილი შვების მოლოდინს ძერწავს;
თავბრუ ეხვევათ მიეთ-მოეთებს,
ნიავი კოცნის მოწყენილ ძეწნას.

გზაჯვარედინთან დავშორდი მოყვასს,
ტრამალს ფაფუკი ნისლები ფარავს,
მეცხვარეს ხელით ბატკანი მოჰყავს
და მეც ანაზდად მივყვები ფარას.

ამბიონზე

მოკლე თვალსაწიერის
შეკრთა ბუნდოვანება,
არსება მიწიერი
ცდილობს გახდეს თავნება.

აქუხებულ მდინარის
გადალახვა კვლავ გვიჭირს,
გოლგოთა კი წინ არის -
გაღმა გასვლის პირისპირ.

მაშინ, როცა კაენი
ხელუხლები დარჩება,
არ ამართლებს თავხედის
კვლავ ბრმად გასამართლება.

არ ჩამქრალა, გუზგუზებს
ცხოველმყოფი ბუხარი,
უთავბოლო ცდუნება
თავს აიგდებს მუქარით.

ამბიონზე რჩეული
სახე ამოსარკულა,
ფინიშს უახლოვდება
მესიათა მარულა!

დედა ბუნება

ფიფქები ცვივა, გზა გადათეთრდა,
შენგან ნაწყენი გული მემძიმა,
ვერ ვგრძნობდი მაშინ ცვლილებას ფერთა,
რადგან სიყვარულს ისევ ეძინა.

რა დამავიწყებს, იმ ფაქიზ დღეთა
თრთოლვით თვლემის დროს გამოღვიძებას,
მუხთალ ყოფასთან ჭიდილთან ერთად
სიახლის ხილვის მიმძიმს ძიება.

შეკრთა ვარსკვლავი, როცა იხილა
ცად ატყორცნილი სხივთა მარულა;
ვარსკვლავმა მწარედ ჩაიქირქილა,
ღრუბელი შიშით მიმოფანტულა.

დაუნდობი ხარ კაცთა ცდუნებავ,
თუმც მოსაწყენი არის ყოველი,
გამოვესარჩლოთ დედა ბუნებას,
არ მიმოვჯეგოთ ეს სამყოფელი!

გარდასახვა

მოარულს გული გეთანაღრება,
შიშმორეული იწყებ შენიღბვას,
რად ერიდები მსხვერპლის გაღებას,
უპირისპირე ტკივილს შენი ხმა.

თითქოს შავდება თეთრი ფარდები,
როცა გვეწვევა დელგმა და წვიმა;
ისევ აცივდა, ისევ ავდრები,
განათოშარი ჭაღარა გვცვივა.

რადგან გარემო ისე დაჩქლითა
შენიღბულ არსთა ხილულ მათრახმა,
შებრძოლების და გაძლების დვრიტა
სულმა ულმობლად ხორცში ჩამარხა.

ფერი უცვლია მაცდურს მაცდურად,
ამაოდ ეძებ ნიღაბს შესაფერს...
და დასასრულის არდასასრულად
ტკივილს ტკივილად გარდაესახე.

არ ამართლებს

ფიქრობს კაცი დაზაფრული,
თითქოს ხვდება, თითქოს აგნებს,
თუ რად სტირის გაზაფხული,
ან რატომ ზრდის ჩიტი ბარტყებს!

მოსჩქეფს, შხუის შადრევანი,
ხან ცივი და ხანაც თბილი,
არ ამართლებს არჩევანი,
გულწრფელი და ხელგაშლილი.

რახანია გამქცევია
ჯურღმულს ჩამსვლელს თვალი ცისკენ,
ვნება სულში ასვენია,
განცდის სხივი ღრუბელს მისდევს.

ასე მიდის დრო ზმორებით,
ნათლის კაშკაშს ბინდი აქრობს,
კარ-მიდამოს მოშორებით
ძაღლი კვდება მარტოდმარტო.

გზის გასაყარი

შავბნელი ფიქრი ავთვალადებს
სულის მანტიას;
გულს ცისარტყელას გაღიმების
მადლი ატყვია.
მიუალერსა ბეხრეკ გვალვას
ჟუჟუნა წვიმამ,
მერცხალს მტრედებთან შეგუება
არ ერგო წილად.
აფრინდა მწყერი, მიმზიდველი
შეჰკრა კამარა;
უმწიფარ თავთავს ზენამ
კალთა გადააფრა.
ღრუბულმა ლამის მზის მეუფე
გადაიბიროს;
სტიქიის რისხვა სამსხვერპლოზე
სდევნის მიმინოს.
ფიფქთა სიუხვემ გადაღუნა
ნორჩი კაპარი;
ზვავის ნამქერით ჩაიხერგა
გზის გასაყარი.
სამყარო წუთით გააბრუა
ყრუ მისტერიამ ,
მორჩილ ფერიას ანგელოზი
ვერ შეელია.

ვერ ავიცდინე

მიდამომ ცვარი სხივებს შესწირა,
ფრთოსანთ გუნდები მზეს უმღერიან;
ღონემიხდილი ზღაპრულ ტყის პირას,
მივეალერსე გრძნეულ ფერიას.

თუ მოვიკრიბე ძალგულოვნება
უფსკრულის ბჭესთან შევხვდები მისანს;
შეეჭიდება გრძნობა გონებას
და გაეხსნება მაზანდა მიზანს.

გამომეცხადა საწუთროს ლანდი,
რეტი დამესხა და ავცახცახდი,
ვწუხდი, დონ კიხოტს რატომ არ ვგავდი,
რომ ქვესკნელისთვის დამეკრა ლახტი.

ვძებნე, ვერ ვპოვე ნაღდი თილისმა,
ვერ ავიცდინე ლახვარი მკვლელის,
სიკვდილ-სიცოცხლის დგება წილისყრა
საწუთროს გვერდით სამარე მელის.

წყვილი

ზორბა ხეთა შრიალს ყურს მიუგდებს წყვილი,
ბურუსიან გზაზე ვერ მალავენ ტკივილს.
შემკრთალია სხივი საამბორო თვალთა,
მონუსხულნი შედგნენ ვნების ვიწრო კართან.

თუ ჯადოსნურ ფერთა სიუხვე არ კმარა,
კვლავ გაისმის "არა"- ისევ წარამარა.
ქაოსიდან ხშირი თვალთა ხუჭვა მეფობს,
უნეტარეს ვნებას ნებდებიან ერთობ.

მოეცელა მუხლი არასაკმარ ტკივილს...
და ვაი, თუ სუსტი ერთხელაც არ ტირის.
შადრევანი ერწყმის გაელვებას ფერთა,
ჩაიღვენთა შუქი დაუვიწყარ დღეთა.

დაუბერა ძლიერ უცნაურმა ქარმა,
ციცქნა ვარდის კონა სადღაც გააქანა.
დანისლულ გზის მიღმა კვლავ აჩენენ ტკივილს,
ველურ ხეთა შრიალს შეჩვეული წყვილი.

დამფრთხალი ბინდი

მიპყრობს სიჩუმე მიუკარები
და თვალს მარიდებს სახე პარპაშა;
ვპოვე, შევაღე ღრიჭო კარები,
მასპინძელს ვუცდი, მაგრამ არა ჩანს.

გავაჩხაკუნე აბედთან კვესი,
ცივი, ბებერი ნაცარი ხვნეშის;
დამფრთხალი ბინდის ცახცახი მესმის,
ჩაკონებია საძირკველს ფესვი.

განწყობა როცა ჩაყლაპავს სიტყვებს,
არსის წიაღში იწვის და იწვის.
ეჭვები ღრღნიან თამამ სურვილებს,
ლაჟვარდმა იგრძნო სურნელი მიწის.

დე, აგვეხილოს ისე თვალები
არ დაგვაბრმავოს სამყაროს დრტვინვამ;
სიხარულით და წვალებ-წვალებით,
რომ შევძლოთ მისი ბოლომდე ხილვა.

უგზოობა

არ მომელის ნავარდი
ეკლიანს თუ გავივლი;
მუხლი ამიკანკალდა
შესაწირი კრავივით.

პირმშრალს ტბორი მიცინის
დევის ნაფეხურიდან.
შოშიების წიწინი
ქარის საყვედურია.

ლპება ქვესკნელს დანთქმული
მითიური შურდული;
ისევ ზეობს გართხმული
მოწამლული ურჩხული.

ჯოჯოხეთი გაყრუვდა
ყორანთ გადაძახილით;
შეეწირა ცდუნებას
თვით ბებერი არწივიც.

ცამ იქუხა, გაწვიმდა
და ტაიჭი ფრუტუნებს,
ჩირაღდანი ჩამიქრა,
რა გაივლის უკუნეთს!

ვერ მოვიხელთე

დავაკვესებდი არეულ თვალებს,
შიშით შემცბარი, მიუსაფარი.
ზეცა ჯადოსნურ ზეწარს იფარებს,
მივიწყებული მიხმობს ღადარი.

ტრამალი ხოხვით გადავიარე,
მოკვდავთ ცდუნებებს ძლივს გადავურჩი.
საჩრდილობელი რტო ვაშრიალე,
ვერ მოვიხელთე მისნური ფუნჯი.

ვუხმე გონებას და სათნოებას,
მაგრამ მესტუმრა ეშმა ტიალი,
ნავსად გამხელილ უსაზღვროებას
მოჰყვა განცდების ორომტრიალი.

როცა გახუნდა გრძნობის სამოსი,
გაკრთა ეროსის გამობრწყინება;
გულგატეხილი გტოვებ დალოცვილს,
ვწუხვარ, განგებამ ასე ინება.

შუქის მარმაშები

ნისლში გავეხვიე
დარდთან წილნაყარი,
მაკრთობს დაძენძილი
კვნესით მთათა კალთა;
სივრცემ გადახარშა
ლურჯი მინანქარი,
ჩემი შარავანდი
ბნელში გაფერმკრთალდა.
მაინც გამიელვა
სხივად მოჩვენებამ,
მართლა განგაშია,
თუ მტრის პარპაშია?
როცა უფერული
ხდება გათენებაც,
შუქის მარმაშები
ისევ ალყაშია.
დღენი მიუყვება
გზათა დასალიერს,
ტკივილს არ მავიწყებს
დაღი დანაჩენი;
უნდა ჩავეძიო
ელვას ცათა მიერს -
საით გაგვაქროლებს
ბედის განაჩენი?!

ავის გადამკიდე

რად ღირს, როცა კაცი გულით
იზიარებს სულის კივილს...
მოციქულმა მითხრა გუშინ,
ვერ ვხედავო შენში ტკივილს.

მოვიღრუბლე, განამწყრალმა
ძლივს დავადე ენას კლიტე;
მომანატრა მზე ავდარმა,
რა ვთქვა, ავის გადამკიდემ.

რადგან ისე ჩავეჭიდე
მოთმინების ფიალას,
მეყვსეულად განვერიდე
გახრწნილ მრწამსის იარას.

არ აშფოთებს გულგრილს კვნესა,
დარდი რჩება იავარად;
ჟანგმოდებულ სიტყვას ვლესავ,
ავიფარებ სტრიქონს ფარად.

ბეჩავი თავი

გამოვიხურე უხმოდ კარები,
წუმპეს ვესროლე თიხის სორსალი,
ეკალ-ბარდების ქსელში გავები
და დამეკარგა კრიალოსანი.

როგორც ციბრუტი ისე ვტრიალებ,
რარიგ შეცვლილან გზები წინარე,
დაბურულ ტყეში მოხეტიალე,
ვხედავ ნადირთა თვალებს შიშნარევს.

სხივი რომ კვებავს გონების ფიქალს,
ფიქრი აღაგზნებს დარდის სიმძაფრეს,
დამეწყრილ ხვრელში სნეული ვირთხა -
გასაძრომისკენ წელს ძლივს მიათრევს.

ბილიკი ვპოვე ხელდანარევი,
ქრება შროშანთა ეთეროვნება,
ვერ მოვიშუშე ნაიარევი,
ბეჩავი თავი ბედს ემონება.

საყვირის ხმაზე

ამ წუთისოფლის ქარტეხილის
ვიწრო ბილიკით,
ამაოების დაუძლეველ
განცდას მივკივი,

რადგან საგნების მოზღვავებას
არ მსურს დავნებდე,
ვერ გავუსწორდი უსასრულო
სივრცის განედებს.

ავჩქარდი ისე, ვით მთიბავი,
ღრუბლიან დარში,
საყვირის ხმაზე გაინაბა
უბელო რაში.

შიშის საუფლო იჭვის ხედვით
გააფთრებულა,
იმედის მწველი ნაღვერდალი
ნაცრად ქცეულა.

სანამ გავუძლებ

განაცრისფერდა თეთრი გვირილა,
მერცხალს შესცივდა, შეაჟრიალა;
როგორც ყმაწვილი, ისე ვტირივარ,
გული მიტირის, თვალი კი არა.

არ დამიყრია თითქოს ფარხმალი,
სანამ გავუძლებ, ვთბები მზის ყურზე;
ჭირგადახდილი და ნაზამთრალი
სიმწრის სიცილით ტკივილს ვიყუჩებ.

გადამიცურდა კოვზი ნაცარში,
ფერფლი ვერცხლის სიმს ვერ აზიანებს,
სარკმელს სცილდება ფარდა ცახცახით,
სიჩუმე აკრთობს ადამიანებს.

როცა სურვილი დაუცხრომელი
სრულყოფისაკენ ილტვის წვალებით,
მეწვევა შიში გაუცხოვების,
თავს გავურბივარ და ვიმალები.

ნატვრა

ჩვეული ხარ ფარულ მზერას,
მოაჩვენებ კაცს ერთს ასად;
მაცდურ თვალით გულს მისერავ,
სიტყვას ნატრობ ვნების თასად.

რადგან მოკვდავს არასოდეს
სიახლე არ მოსწყინდება,
საწინსვლაო მანათობელს
ნუ დასტოვებს სუსხში კენტად.

უთქმელ სათქმელს ეთანხმები,
განიქარვებ წუთით სევდას.
მკურნალს ეძებ დანანებით,
ვერ პოულობ თუმცა ვერსად.

უნდა მეტი ითავგვემო,
რომ შეიცნო მრწამსი ღვთის,
რეალობას შეაჯერო
ფანტაზიის სასმისი.

არ ასცდება

ეურჩება გრძნობა
ყოფის სიავკარგეს,
აცრემლებულ უპემ
მიიზიდა ბაგე.

შეეჩვია წელი
შემოჭდობილ მკლავებს,
მოიხატა ფუნჯით
მორკალული მთვარე.

ერთგულების რწმენა
იკარგება წუთით,
იმ ცდუნების ავდარს
არ ასცდება თუთქი.

გულს უგრილებს წვიმა
გადახრუკულ ფერდობს,
ცრემლიანი მდელო
არ მავიწყებს ერთ დროს

ახდილი ფარდა

გულს კრულს კაცისას სურს ნეტარება,
სურს ბნელს წარსტაცოს სიმი საკრავად,
მაგრამ ვარსკვლავი მიიპარება,
აღვირი მოსდო ღრუბელს სატანამ.

ჩაფრენილია ეშმა ბრჭყალებით
სხივგაცრეცილი სივრცის ნაოჭებს,
დაშვებულია ციური ფრთები,
ქერუბიმები ცხარედ დაობენ.

წყვდიადი როცა გაიფანტება,
თაღლითი ნიღაბს შეიცვლის მყისვე;
თუ ველარ ვამჩნევთ ციურ ნათებას,
ახდილი ფარდა ეშვება ისევ.

ისევ შევცქერით დამფრთხალ ღამურას,
გვაკრთობს ჰანგები კვნესანარევი,
გამართულია დემონთ მარულა,
სარკოფაგების წივის ზარები.

ღობის გადაღმა

სადღაც დუღს ლაფი, სადღაც ვულკანი,
ჩემი სახლის წინ ხმება ურთხელი;
ასანთებია რადგან ბუხარი -
სათქმელი მრჩება ამოუთქმელი.

გავცქერი შორით ღვთიურ გოლგოთას,
წყვდიადმა შთანთქა მკრთალი მთიები;
ძილმორეული ვფიქრობ, - ოღონდაც
ჟამი იცვალოს გამოღვიძებით.

ფიცხი გამოდგა რადგან მახვილი,
ბრძოლის ქარცეცხლში ორად გადატყდა;
ნაღვლიანი და ხელებჩაწვდილი
გავყევი შარას ღობის გადაღმა.

ფერნაცვალია ძნა გუშინდელი,
ჩახერგილია ხევი ლოდებით;
გზის გამრუდებას არ ვუშინდები,
განკითხვის რისხვას დაველოდები.

წუთიერად

გააფთრებულ მზერის წილ
დაიმორცხვებ, დაცხრები;
ბაგეთშერწყმის შეწირვით
წუთიერად მარცხდები.

ოკრო-ბოკროდ გამძაფრდა
პეწი ჩასანასკვნელი,
გადაბურდულ ნაწნავთა
ჩაიღვენთა კანდელი.

გაიკვირვე როს ვინძლო -
რაღაცა რო ჩაგმწარდა,
არა, უნდა შეიძლო
დავიწყება ამ წამთა.

ვნების ათიხთიხებას
ვერ მივაწერთ ფლიდობას,
შვებას შეეხიდება
დათუთქული ჭრილობა.

ნაცნობ უცნობი

ბევრის ვიშვიში გამიგონია,
გონის წიაღში სევდა დათოვა,
კურდღელს მწევარი გამოდგომია,
მჭახედ გაისმის თოფის გასროლა.

სიმღერაც ხშირად გამიგონია,
ესალბუნება ლხინი ჭირ - ვარამს,
თითქოს ეძლევა სულს ჰარმონია
და კაეშანი სახეს იფარავს.

ამ სინარნარის მწვანე ფერები,
სხვა სიკამკამეს არ გავს სრულიად...
მოჩვენებათა ცივი ხელები
დაკვარჩხული და გამურულია.

დავბორიალებ ლაბირინთებში,
ნაცნობ-უცნობი ვეღარ ვიცანი,
თუ დაიკარგა აზრი ფიქრებში,
იქ მოიკოჭლებს ლორთქო მიზანი.

შორს

თვალი მებინდება
ყინვის ანაცერით,
გული მწუხარეა
ამბით საზარელით.

ჩექმამ მიმოთელა
ქუჩა მოკირწყლული,
მამულს მიემატა
კიდევ ერთი წყლული.

მოთქვამს გაზაფხული
ზარით საზარელით,
შეკრთა ელვარება
სუსხის ანარეკლის.

შორს, არ გამაგონოთ
უსულგულო ფიცი,
გადაევლო ღობეს
გასახედნი კვიცი;

ესალმება მიზანს
წუთიერი შვება,
გაორებულ მხედარს
შეცბუნებულს ვხედავ.

შეკრთა საღამო

როცა გიხილე შეკრთა საღამო,
დაისს აჯობა მაგ თვალთა მზერამ.
მის მერე თან მდევს ის დღე საამო,
ვნების მახვილით მდაღავ და მსერავ.

ღვარცოფის ლაფი მოედო ნაპრალს,
სანატრელია სიწმინდის ხილვა,
ლაციცა სიტყვა სიცხადეს მალავს,
ყოფის ბრმა ეტლი ასკდება მირაჟს.

ძირმწარე ტოტზე როცა იფეთქებს
ნაირფერადი კვირტი ნუგბარის,
ბაგე შეაღო აზრის სიქველემ
და დაეწაფა ყვავილს ფუტკარი.

გიახლოვდები, შეთრთი, გამირბი,
შორიდან მიმზერ, ფარულად მზვერავ;
ერთგულებაში მცადე ყარიბი -
ციცაბ ქარაფზე მივუშვებ მერანს!

უღიმღამოდ

მასებს ათრობს ოვაცია
გამარჯვებულ ხმების,
ლაჟვარდს თაღი შეუფაკლეს
მაშხალების ფრენით.

გაიმჭვარტლა არემარე
გადამწვარი ძნებით,
ავსებულა ცისქვეშეთი
თვალხილული ბრმებით.

მიწას დაღრღნის გარდუვალი
ბრძოლის ნიავქარი,
გადალეკავს უდაბნოებს
ოკეანის ზვირთი,

ჯერ კი უნდა აფრიალდეს
ზეცის იალქანი,
რადგან სული სამსჯავროზე
უღიმღამოდ მიჰქრის.

რაც რომ

გაცვდა სურნელის სიმძაფრე,
ფიქრმა ღრუბლებში იფრინა,
რაც რომ სიცოცხლეს მიხარებს,
ის მაახლოვებს სიკვდილთან.

რაც რომ მარჯვენამ შემძინა
უგუნურებამ წალეკა,
ამაოება მემძიმა,
ცელი ვაგემე ნარ-ეკალს.

რაც რომ სიზმარში ვიხილე,
ცხადში შეფარვით ამიხდა,
ვერ ვითავისე სიფრთხილე,
ვჩირკნი მომავლის ხარიხას.

ჩაცხრა სურნელის სიმძაფრე,
სულმა ზეობა იტვირთა,
რაც რომ სიცხოხლეს მიხარებს,
ის მაახლოვებს სიკვდილთან.

ხსოვნის დავლიოთ

აჰა, ფიალა რადგან მომართვით,
მინდა, იმ ხალხის ხსოვნის დავლიოთ,
ვინც გადაუდგა მეწყერს მოვარდნილს,
ვერ შეესწრება ვინც ხვალ ალიონს.

ვინც ერის წყლული გაითავისა
და სამსხვერპლოზე წარსდგა ნაბიჯი;
ვინაც მოასწრო მოხდა ვალისა,
შესძლო შენგრევა მტარვალთ კარიბჭის.

ეჰ, ზოგი მოძმის მიერ დაეცა,
ბევრსაც მტრის ტყვიამ გაუპო მკერდი;
ხვალ გამარჯვების ზარებს დარეკავს,
ჩვენი სამება და ალავერდი.

უნდა გვჯეროდეს ნათელ მომავლის,
შეწირულთ ხსოვნის ყველამ დავლიოთ,
ვინც გადაუდგა მეწყერს მოვარდნილს,
ვერ შეესწრება ვინც ხვალ ალიონს.

ბრმა სამყარო

როგორ გათელა
მოთარეშემ
ეს ნათესები,
როგორ გათელა.
გზას გაუყენა
ჭიანჭველამ
ტვირთი რამხელა!

როგორ ინგრევა
სასახლენი
და ქოხმახები,
როგორ ინგრევა,
დრო შეეცადა
სიამაყის
იგნორირებას.

როგორ ედება
ბრმა სამყაროს
უკუნი ფერი,
როგორ ედება,
როგორ უეცრად
მიგვატოვეს
ეზოს მტრედებმა.

ჩემი ხვედრი

ჩემი ხვედრია
უძლურების გაძლების ნიჭი;
გაკოტრებული სულგრძელობა -
ნაკვები იჭვით.

ჩემი ხვედრია
ათინათი გარდმოვხსნა წყლიდან;
ვნახო სინათლის ხილაბანდი
ბნელს როგორ სცრიდა.

ჩემი ხვედრია
დაცხრილული აფრის აშვება;
როგორმე უნდა შეიფეროს
ჟანგი დაშნებმა.

ჩემი ხვედრია
თვალჟუჟუნა ყვავილთ გარშემო,
მამა-პაპათა ნასახლარი
რომ დავამშვენო!

აღსდგა

ანგელოზი
მეცხრე ცაზე
სასუფევლის
სარკმელს ხსნიდა...

ოჯალეშით
კათხას ვავსებ,
ქრისტე აღსდგა -
ჭეშმარიტად !

ფერი ფერს და
მადლი ღმერთსო...
გვიწინამძღვრა
სული წმინდამ,

მარადიულ
სამზეისოდ -
ქრისტე აღსდგა -
ჭეშმარიტად !

ბიძგი

მიიზლაზნება წუთისოფელი,
ცამ აითვისა მიწის აურა,
ბლუ განივთების უარმყოფელი
გავქვითკირდები არსაცნაურად.

ისე ვაჟღერებ ლერწმის ღეროებს,
ვით გზააბნეულ მტრედის ღუღუნი;
ვერ შევაფარე თავი ჩეროებს,
ვერ ვიფერხულე მარდი ურმულით.

ამიბრიალდა ბრძოლის ბრმა ცეცხლი,
ვგნიასებ, ვითარც კუდი ქარიშხლის;
ეს გათანგული სულის ნაწრეტი,
შხეფების ფრქვევას მაინც არ იშლის.

კაწკაწა სხივი წინ ამეტუზა
და ვარსკვლავეთის გზისკენ მიბიძგებს,
შენამდე მოსვლის აკოჭლდა მუზა
და გაინაბა მრწამსის სიფითრე!

მოდის

შევეჭიდებით კვლავაც ბევრ ვარამს,
ევროპა ბლითებს ნაჭუჭში მალავს,
ამერიკამ რომ დენთი დათესა,
რუსეთი ჩაგრავს სულით ნათესავთ.

ცულს უღერებენ ვერხვებს ჩარჩები,
ნაქარცეცხლარი ამოდ დავშვრებით,
აღარც ჩაი და აღარც ვარდები,
რევოლუცია - მოდის ყანწებით!

იმდენი შევსვით ალადასტური
გაშიფრულია ვნების საცდური,
უზენაესმა გვამცნო დასტური -
კაცობრიობა არ არს ზრდასრული.

წაიფორხილა ისე ეჭვებმა,
მარწუხის თასმა კვნეტით მეჭმევა;
ვერ იჯეჯილა რადგან შემთხვევამ,
ღვარცოფის თქეში ყელზე მეხვევა.

სიჯიუტე

ამაოდ დაჰქრის ჩემი ოცნება,
ბორკილასხმული სივრცე მაბრკოლებს,
სულეთი უნდა ამკოს ლოცვებმა,
გავუღიაფო კვესი ნაფოტებს.

როს სააქაოს ველტვი იმედებს
ტაიჭმა ოხვრით გაიჩინდრიკა,
ასე ადვილად ვერ გამიმეტებ,
რადგან ვერასდროს წაგშლი ფიქრიდან!

მზე ჩამეწვეთა მგონი უჯრედში,
რადგან ნეტარმა აზრმა იფეთქა...
ისე ბობოქრობს ყოფა უხეში,
ნირგაცვეთილი ვრჩები სიზმრებთან.

ნისლიან თხემზე მალე დაათოვს,
ჩაკირულია ჭიდილი დარდთან,
შევერკინები ისე მარათონს,
რომ გავჯიუტდე სიკვდილის კართან!

ბრმა მგზავრული

საწუთროვ
მიწყივ ჩამარცვლილო,
ჩახიდულო
აზრის სარკმელში,
განსაცდელს
როგორ აგაცილო -
გაწბილებულ
ბრიყვის თარეშით.

უებრო სიტყვა
შეგაწიე,
ათანგული
თრთოლვის ფარეხში.
ბოლომდე ტვირთი
ვერ ავწიე -
ბრმა მგზავრულის
სიმწუხარეში!

სიცარიელე

როს ჩრდილოეთის ქარმა დაჰბერა,
ნაზამთრი დათვი ყნოსავს ტრამალებს;
ადევნებია ქურციკს პანტერა,
ვინ ვის უყელებს, ვინ ვის ჩაავლებს.

სიმწრის მორევი ამოთუხთუხდა,
ჩექმის ნაჭდევი მიჩქმალა ტალღამ,
თავს იკატუნებს ჭოტი უჩუმრად,
გაუცხოვებას ცდუნება დახრავს.

აწიწმატდება ამ ყიამეთში
ნასათუთარი სულის პიწკინი...
როს მობეზრდება მოკვდავს თარეში
წრფელ სიყმაწვილის წუთებს მისტირის.

თან წარმოსახვას აწიწკნის ულვაშს
და გალიგვებულ ნაცარში ურევს,
სიცარიელის ზარდახშას ხურავს,
ცრემლი დააცხვა დამტვერილ ფურცელს!

იმკის

ამდენი ვაი-ვიშვიში
კარგს არ უქადის ბედ-იღბალს,
ხელმოცარულებს მგლის შიშით
განწყობა გამოეფიტათ.

სად აღარ მომწვდა დიაცო,
მაგ მოკრძალების სხივი,
არაკი უნდა გიამბო,
მინდა გიბოძო მძივი.

სატრფოს ძიების პროცესმა
გადააბიჯა ფათერაკს,
ისე ახვნეშდა ოცნება,
იმკის საცდურის ნახელავს.

რადან სულ ახლოს სახლობს
ნასათუთარი ეშხი,
ციმციმი ისე ბარტყობს,
მზის უკვდავების შევსვი!

ქარაფის ექო

სულის საწყაოს კალთას ვაფარებ,
ემოციები გრძნობით ირთვება...
და ორჭოფულად ერთურთს ვადარებ -
შურს და ტყვეობას, ან განცვიფრებას.

შეგუებია იმედის სხივი
ცდომილის ნაცდურ თვალების მზერას,
მიუსავლეთში დემონი კივის,
თითქოს დააცხრა ქეჩოში ძერა.

თვალი შევავლე როცა ჯმუხ ღრუბელს,
სახსრებში გამცრა, შემაჟრიალა;
ქარაფის ექო ცის ტატნობს უღრენს,
ჩაუნაოჭდა შუბლი იალაღს.

ფოცხვერი ისე საშინლად ღნავის,
ბერმუხამაც კი - თავი დახარა,
ყარიბმა ჩრდილში მიაგდო კავი,
წკვარამს ეამა ლაფის ფახლავა.

სნეული ვნება

კოშკის მრუდ კიბეს მივდევ ქოშინით,
შრიალს ანელებს ვერხვის კენწერო,
ხელმოცარული, იმედმოშლილი,
ნუთუ ჯალათებს უნდა ვეფერო.

უნდა ვუკმიო განგაშს გუნდრუკი,
დავაშოშმინო ყმები ჭალაში,
დროს შევახამო ფერი ქურთუკის,
განვაზოგადო მადა ჭამაში.

სნეული ვნება ღელავს, არ ცხრება,
ლამის დავკარგო სიტყვის ღირსება,
გაორებული ჩემი არსება
ფარისევლური ბოღმით ივსება.

მთვარე ჩავიდა, გაჭირდა ხედვა,
საფეხურებზე დამიცდა ფეხი,
ძვალშენაკრთობი ზესვლას ვერ ვბედავ,
დამრეც სახურავს ჩაეცა მეხი.

შეხვედრა

ზეშთაგონების მადლით ვივსები,
ვებრძვი ბურუსის ბუტაფორიებს,
ამეკვიატა ძველი სიზმრები,
იქ ხომ ტერფებით ვსრესდი მორიელს.

დღეს ხორციელის აღების დღეა
და გაუხეშდნენ წვიმის შხეფები,
წუთით შევჩერდი გასხეპილ ხესთან,
არ ვიცი საით მივეხეტები.

საით და უნდა მოსისხლეს შევხვდე,
სიკვდილ-სიცოცხლის ვპოვო ადგილი,
სულთამხილველის გუმანით მივხვდი,
ფარულად მომდევს მტერი ნამდვილი.

შეხვედრა მოხდა, დაჭრილი ვხოხავ,
ვერ მოვიკრიბე საღად გონება,
მიუწვდომელი ჩანჩქერის ოხვრას
სალი კლდეების ერწყმის გოდება.

რთული ეპოქა

ამ წუთისოფლის სიმუხთლეს ვჩივი,
გულის ხვაშიადს თუმც მაინც ვმალავ,
ციდან კამკამა ვარსკვლავის სხივი
ობოლ ლაჟვარდში გაჩრილა მკრთალად.

გახშირდა დაღვრა ქართული სისხლის,
ცრუ ერისკაცთა ბჭობა მაშფოთებს,
ჩათუთქულია ცრემლები ცისკრის
მძლავრობს ურიცხვი მტერი სათოფე.

მძლავრობს ორპირი ოქროსმძებნელი,
ხვალინდელი დღის არავის სჯერა,
შეკავშირება თუ ვერ შევძელით,
ურჩხული ბრჭყალებს ჩაგვავლებს ყველას.

კმარა, ო, კმარა მაცდური სულის
ვნების წიაღში შესრიალება,
აწეწილია ეპოქა რთული,
ბიბლიის სივრცე გვეხმიანება.

მთვარეული

იხლართება მწუხარების შირმა,
ღიმილი და სიხარული გაქრა,
ცოდვილიან უკუნეთის მიღმა,
გაიელვა ძველებურმა ჭრაქმა.

მოჩვენება წინაპართა ლანდებს,
ჩემს გარშემო უნებურად ბადებს;
მთვარეული ჩავეჭიდე ფარდებს,
იქნებ წუთით განვერიდო დარდებს.

მაგრამ ვერა, ასხლეტილმა შუქმა
ვერ ნათელყო სამყოფელი შავი;
თუ არსებას ეშმა ცოცხლად თუთქავს -
გასაწირს სჯობს განწირული თავი.

იფერფლება ბებერ ძვლების მადლი,
განსაცდელის გასაძლისად ვრჩები,
ირიჟრაჟა, ისევ ყინავს, ბარდნის,
მზის სხივს ელტვის მოჩვარული ფრთები.

სიშორე

შეხვედრათა სიხშირე
ასე რატომ გადარდებს,
თუკი ისევ გიწოდებ
დაუვიწყარ საყვარელს.

თუკი შენთან ყოფნისას
გულს ალმური ედება;
გაზაფხული მოვიდა,
გადავიქცეთ მერცხლებად.

შევაკეთოთ ბუდე და
ნეტარების ვშვათ გენი,
ხალისდება გუნება
ტრფობის ცრემლის დადენით.

ანცი, თამაშთამაშა
ქორფა წლები წავიდა,
თანხვედრათა სიშორე
ვნებებს აღძრავს თავიდან.

როდემდე

სანამ უნდა გავუძლოთ
გაჭირვების გრიგალებს;
ქართულ გენის საუფლოს
შავი აბრა ფრიალებს.

დაებედა კაცისკვლა
სამაჩაბლოს, აფხაზეთს,
უამრავი ლტოლვილი
სადღა უნდა დასახლდეს.

როცა უკვე შიმშილის
მიჯნას ვუახლოვდებით,
იმუხტება ბანდები
საუკუნო ცოდვებით.

თავგანწირვას მოითხოვს
ერის გამოღვიძება,
მამულს უნდა მოხმარდეს
ერთეულთა დიდება!

ცხოვრება

რა არ იხილეს კაცის თვალებმა,
ნახეს განცხრომა ნახეს ვაება,
ნახეს უკუნი, ძებნეს ნათელი,
ვხედავთ განწირულ კერპებს გათელილთ.

ვმსჯელობთ, ვმოძრაობთ ხელის ცეცებით,
ხან ავმაღლდებით, ხან კი ვეცემით,
რაღაცას ვეძებთ, რაღაცას ველტვით,
გალიის კარებს ვერ ვაღებთ კვერთხით.

ვერ გავექეცი მაშინ ცდუნებას,
როცა ის ვარამს ესალბუნება.
უნდა უფრორე ვენდო იმ წუთებს,
სულს რომ მინათებს, გულს რომ მიწუხებს.

ცას დაეკიდა ეშმა ბრჭყალებით,
სნეული უწყვეტ ქსელში გავები.
დრო შეიმეცნოს კაცის თვალებმა,
ყოფიერების შესაფასებლად!

მწარე

როცა ჩვენთა ნაკლთა გამო
ბჭობა გვეთაკილება,
რთულია, რომ გავამყაროთ
ერთურთ შეკავშირება.

ვერ ვიხსენით ყვავილები
ქარბორბალას სუსხისგან,
დგება ჟამი გაწბილების,
ბოღმა ბორგავს გულიდან.

ყოველივე ამას ალბათ
დრო და სივრცე განაგებს,
ქიშპის მწარე განაჩენი
მძიმედ იტყვის დანარჩენს.

სიჯიუტის ფრთის შეკვეცა,
წუთით შვებას გვანიჭებს,
მოციქული შესთხოვს ზენას
შეკრას ვნების კარიბჭე!

წკიპზე

როგორ მორცხვად დამკანკალებს
მწყალობელი ანგელოზი,
მას უსტარი გავატანე
ირიალურ გარემოში.

გაცრუებულ იმედების
სავალალო შედეგით,
ქარაფებს რო მივეხლები,
ყოფის წკიპზე შევდგები.

ვერა და ვერ დაიმკვიდრა
სიკეთის ქმნა ბურჯ გზნებად,
შინაური კოპებს მიკრავს -
ბოღმის შესასუდრებლად.

რადგან შორს ვერ განვუდგები
უცხოდ შთენილ თანდგომას,
პირში წყალის ჩაგუბებით
ხვაშიადი ჩაცომდა!

გზაწვრილს

რადგან ქვეყნად ცოდვა - მადლის
განმკითხავი ვერ ვპოვე,
ვით მოვფინო სივრცეს ყადრი,
ვით დავუსხლტე ფანტომებს.

შეისრუტა არემარემ
უდღეური ღნავილი,
უმსგავსობას გავეცალე,
გზაწვრილს ოხვრით ჩავივლი.

საჩოთირო მიზანსწრაფვა
აცოდვილებს სამყაროს,
დრომ ქარაფზე მიმანარცხა,
წინსვლის პეწი არ ხარობს.

რაც არ უნდა ვიწრიალოთ,
ვილაყბოთ და ვიყბედოთ,
სამომავლო საბრდღვიალოდ
მამულს უნდა მივხედოთ!

ნისლის ფარდები

დაუძლურებულ ბრბოთა გნიასი
ვერ ესადაგა დღეს ჩემს განწყობას,
კვლავ გააყალბეს აზრი ხალასი,
იუდა იწყებს ვერცხლის აწონვას.

დაასამარა ბრძოლის ქარცეცხლმა
კეთილდღეობის მცდარი ზრახვანი,
არ მიწერია სულით დაცემა,
ამ ქვეყნის ძლიერთ ვერ ვეც თაყვანი.

ამიტომ, ასეთ უპოვარ ქოხში
შინაგან ტკივილს ტანჯვით ვეჩვევი,
ყოველდღიური წვალებით, შრომით
ყოფის წიაღის მოვრწყე ფესვები.

ძლივსღა ციალებს ციცქნა ფარანი,
სივრცეს აბნელებს ნისლის ფარდები,
მარადისობის უკუნ წკვარამში
გულგასენილი გადავბარგდები!

სახელი

რაც მოვიპოვე, რაც კი მებადა
ბუმბულებივით შემომეფანტა,
მრწამსი მაინც არ გავიღარიბე,
დავდივარ, ვეძებ ახალ ყვავილებს.

მხვდება გვირილა, მხვდება კესანე,
მათი ლხინი და მათი კვნესა მე.
უცებ აღმოვჩნდი ჭაობის ახლოს,
სადაც ცბიერი დემონი სახლობს.

თავს ვინუგეშებ წმინდა ლოცვებით
აუგის მგმობი გამოვცოცხლდები.
შემოვიკრიბე თაიგულები,
ცრემლის წვეთებით დანამულები.

თვალს და ხელს შუა საწუთრო გაქრა,
უსასრულობამ აუშვა აფრა,
რადგან ფარულ აზრს ლექსში ვამხელდი,
რჩება სიტყვა და რჩება სახელი.

არ დაუშვებს

იქედნურად ჩაიღიმა მარტმა,
მიმოლეწა გაზაფხულის კარი,
მართალია ყინვის სუსხი ჩაქრა,
მაგრამ სახსრებს აცოდვილებს ქარი.

ვერ შევძელი მეთამაშა რადგან
კუდქიცინა ოინბაზის როლი -
სასულდგმულო სიავკარგე ჩაცხრა,
სუნთქვას მიხშობს უჩინარი ბოლი.

ვაგლახად და უმაქნისად ყოფნას
არ დაუშვებს გორგასალის მოდგმა,
აქეთ იქეთ ბოლთის ცემას სჯობდა,
რომ ღადარი განვუახლოთ ცხონდარს.

დროზე უნდა აყვავილდეს შინდი,
თვალხატულთა სურნელება იშვას,
ახლოვდება პანაშვიდი ბინდის,
უფლის მადლი შეიმეცნოს ჯიშმა.

პეპელა

წვიმის ციცქნა წვეთები
წამწამებზე დამეცა,
შოშიების გალობის
საამური ხმა მესმა.

ბალახების სიმებიც
უცნაურად აჟღერდა,
ხელის ნაზი ცეცებით
ვცდილობ პეპლის დაჭერას.

ეალერსა ყვავილებს
მოფარფატე ფრთაჭრელა,
გული გამიხალისდა -
მიცინის ცისარტყელა.

ვაზის ყლორტი ატირდა,
იას კოცნის ენძელა;
მხარზე შემომაფრინდა
დათაფლული პეპელა.

ზარნაშო

ამაზრზენი განსაცდელი
კაცთა მოდგმას რომ აშფოთებს,
აჭრიალდნენ სასახლენი
აღარ ინდობს მოძმე მოძმეს.

ჩამომდნარა კელაპტარი,
დაძრულია სისხლის ღვარი,
შემცბარია მონაგარი,
გაითელა ვაზის ჯვარი.

ქანდარაზე შემომჯდარი,
ზარნაშოა გულმაძღარი,
დაკოდილი ბღავის ხარი,
სმენას ახშობს გლოვის ზარი.

კერიაზე ქრება ცეცხლი,
ჭმუნვა იმედს ასამარებს,
საცოდვილო განსაცდელი
დედამიწას აზანზარებს.

ჩხავილის ექო

ხმას აქოთქოთებს ბილწი ყორანი
გაქსუებული, ლეშით მაძღარი,
დაფეთებულმა განათოშარი
ფეხი ძალუმად ძლივსღა დავძარი.

ქარიშხლის ტალღას უნდა მივენდო,
ვგლოვობ ოცნების დასამარებას,
ფეხდაფეხ მომდევს ჩხავილის ექო
და დამიმძიმა ტვირთის ტარება.

ჩავებღაუჭე ვარამის ხურჯინს,
ზარნაშომ მწუხრის ფარდა გახლიჩა,
ქარებს ავდრების დაძლევა უჭირთ,
ზღაპრიდან ვიხმობ მფრინავ ხალიჩას.

გადავიარე მთები, გორები,
ძალზე დავშორდი ზვიად მყინვარებს,
დაბლობში სუსხით მთვრალი მოვედი,
ეს ყიამყრალი აქაც მძვინვარებს!

ძვირად

რა ვქნათ, ძალა აღმართს ხნავსო,
ომი შიშს გვრის დუნიას,
მომავალში ძვირად ფასობს,
რაც დღეს დაკარგულია.

დღეს ხომ ისე იფურჩქნება
დემონების აღლუმი -
ცის კამარის სულურჯესთან
დაუარეს დავლური.

რადგან კერპთა მოძალებამ
რწმენას ბზარი შემატა,
საუფლისო მოთმინებამ
დროს ეჟვანი შეაბა.

ოდითგანვე მოფრთხილება
უნდა მიწას, უნდა ხალხს,
გარეშეთა მოიმედეს
ხეირი ვის უნახავს!

არ ვიცი

არ მიფიქრია ამ ლაბირინთში
თუ მოვხვდებოდი კიდევ;
არ მეშორება ფრთოსანთ ფინიში,
დაღლილ მსაჯივით მივდევ.

ჯერაც არ ვიცი, როგორ დავთანხმდი
მიმინოს თვალთა ბრიალს,
როგორ შევხსენი ფეხზე არტახი,
ასე რამ დამაბნია.

დღევანდელობის ვადადარიას
აუცმაცუნდა ღაწვი,
გაუცხოების ღრძო ნაპრალია,
სულში სიობლე მაწვიმს.

ვთრთი შინაგანი ხმის მოძახილით,
ვერ ვწყვეტ ხავსიან ბადეს,
ამ წუთისოფლის ორომტრიალი
ტკივილის ტკივილზე ბადებს.

არ ჩანს

მიმოათრთოლა ხორციელმა
ცვარმა ჭაღარა,
კარებში მტრედმა დილიჟანის
მოსვლა მახარა.

ზეშთაგონება გვემულ სულში
დაეძებს ადგილს,
დაფეთებული ქარაშოტი
ნამქერებს მაყრის.

მთვარე ლოცულობს, შავი ლანდი
აეფარდება,
გათვალნათელდა ცისკრის მადლი,
ვით აღსარება.

იშინაურა დილით თვალმა
გოგმანი გნოლის,
ამ საუფლოში არ ჩანს ნიმფა
და გულის სწორი.

სატკივარი

წვიმს ისე ძლიერ
გაილუმპა ჩემი ლაბადა,
ჭინჭებგასაწურს
შემაცივა, შემომაღამდა.
მივალ ბარბაცით,
თანაც ხშირად ლაფში ვეფლობი,
გადასავლელი
კიდევ დამრჩა ერთი ფერდობი.
ჩემიანები
არ მელიან ალბათ ამაღამ,
ქანცგაწყვეტილი
მივეყრდენი ეზოს გალავანს.
ჭირვეულია
ყოველივე შეუცნობელი,
დარდი, დარდი და
ხან სიამეც მტკივნეულია,
არ არსებულა
ყოვლის შემძლე, ყოვლისმგრძნობელი
და სატკივარი
გაყუჩებას შეჩვეულია!

ობლის აკვანი

შეეზიარა ქარაშოტი
ცის ატირებას;
გაინაპირა სასწაულმა
სუნთქვა მოკვდავთა.
არ ეპუება მოთარეშე
ავ ახირებას;
ელვამ ალქაჯი წამიერად
მიხატ-მოხატა.

შეაფერადებს ნაკადულებს
სისხლი დაჭრილთა;
მგლების ხროვასთან შიშითა თრთის
ანცი ბატკანი.
ხმის ამომღებთა უსაფუძვლო
დევნა გახშირდა;
ძლივსღა ირწევა თვალცრემლიან
ობლის აკვანი.

სიტყვა და საქმე

სიტყვიერ განგაშს უკვე ვაპირებ,
ქიშპმა წარმოშვა ყველგან სიყალბე,
დაედო შლამი ტბების ნაპირებს,
გაუფერმკრთალდათ ღაწვი მიხაკებს.

ნათქვამი საქმეს ისე დაშორდა,
როგორც ტყუპები დაბადებისას;
ტახტის მძებნელთა ჯოგი აშმორდა
და ხალხს სიმშვიდე აღარ ეღირს.

აღარ გალობენ იადონები,
თბილისის გულის ძარღვი სიფრიფობს;
განწირულთ სულებს ვეამბორები,
სივრცე დასერა ჭრელმა მიმინომ.

შევთხოვ განგებას ხელებაწვდილი:
- აღსდექ ეროვნულ ძალთა მეუფევ,
ააბზრიალე ბასრი მახვილი,
მტერი შემუსრე, ცოდვილთ შეუნდე!

სიაშკარავე

ისევ ლოდინი, ისევ სიცრუე,
გაწბილებული დავეხეტები,
ნისლმა განკვეთა ზეცის სილურჯე,
მიმოიფანტნენ ანცი მერცხლები.

უთანხმოებით შეჭირვებანი
ბოლოს და ბოლოს არს შემზარავი,
გაშიშვლებული ჩაკვდა ვნებანი,
დაცარიელდა მყუდრო კარავი.

გამოიკვეთა აზრთა ჭიდილი,
ჩანს სინანულის სიაშკარავე,
შეზავებია სიცილს ტირილი
და კოშმარები გულს მიბზარავენ.

ისევ იმ განცდის ჭიამ იხარა,
ისევ შეხვედრის შემრჩა იმედი,
მთავარია, რომ მაინც მიყვარხარ,
ამ აღმოჩენის ბჭესთან მივედი!

მავნე

დაამკვიდრა დროებამ
მავნე ოინბაზობა,
ქვეყნის დაწიოკება
კაცთ მოძულეთ აწყობდათ.

მუხლმა ისე მისუსტა
მივეყრდენი ბერმუხას,
ლამპიონის სილურჯე
თვალამღვრეულს მემუქა.

ნაძალადევ ნაბიჯებს
უთავბოლოდ ვაბოტებ,
ლუდხანასთან საფხიზლებ
მაწანწალას აბოდებს.

უსაშველოდ დააწვა
ერს კისერზე ლახვარი,
ბრბოს მათრახი გააწნა
ვერაგ მტერმა ხარხარით.

მოსარკული

ააწრიალა, ატორტმანა
ქარმა ჭადარი,
ხელებგათოშილს მომენატრა
ბუხრის ღადარი.

რა სახიფათოდ მოსარკულა
ვიწრო ბილიკი,
როგორ საშინლად მომეყურა
ეშმას ქილიკი.

თმაგაწეწილი ლანდი მიქნევს
ხელებს შორიდან,
გამოქვაბულის მონატრების
ჟამი მოვიდა.

ძლივსღა მივდივარ, ცურავს ფეხი,
თავს ძლივს ვიმაგრებ,
უნდა მივადგე, გადარჩენილ
ციხე სიმაგრეს!

სხვა ვერავინ

დრო გადის და განშორების
აწიწმატდა სინანული,
წამდაუწუმ მაგონდები,
საითა ხარ მიმალული.

სად ამოდის შენი მთვარე,
ლამპრის შუქის სხივი კრთება,
სხვა ვერავინ შევიყვარე,
ვერ გარდავქმნი კალამს ფრთებად.

როგორ მინდა ვამკო ვარდი,
დაგიკოცნო წამწამები.
მარტოსული რაც დრო გადის,
ვატყობ უფრო გავწამდები.

მოვაშურე იმ ადგილებს,
შეხვედრები სადაც გვქონდა,
ნიავი გულს ვერ აგრილებს,
ვნების ტალღა აქოთქოთდა!

იქნებ დაგვადგეს

სივრცეს დაესო სხივის მახვილი,
დატყვევებული წუხს დიადემა,
შედგა ლაშქარი აბჯარასხმული,
მესვეტემ ლოცვა მწუხრს მიაგება.

ომი დამთავრდა? გამარჯვებული?
საკითხავია ვითომ ეს განა?!
იქნებ დაგვადგეს ოდეს საშველი,
გაპარტახებულ ივერთ ქვეყანას!

იქნებ დაფასდეს მადლი მანდილის,
იქნებ აცეკვდეს რიყეზე ლომი,
ხის კენწეროზე მჯდომი არწივი,
სჭექდეს - არაო, არ გვინდა ომი!

მაშინ პირგახსნილ ათას იარას
მოიშუშებდა ერი ადვილად...
და გამარჯვების სავსე ფიალას
ქართველი კაცი შვებით დასცლიდა!

ქსელი

რა საამური დილა გათენდა,
მიმოიფანტა ღრუბელთ მარულა...
გამოხუნებულ ცისფერ ფარდებთან
ობობას ქსელში მწერი გაბმულა.

გავწიე ფარდა, ბადე იშლება,
რა უსუსურად ცქმუტავს პატარა,
მალე აიშვებს და გაფრინდება,
ობობა მყისვე სადღაც გამქრალა.

შემომეგება მარტის ნიავი,
იმედით ვუჭვრეტ დღის ლაბირინთებს,
მეუდაბნოეს ლუკმას მივაწვდი,
ჩუქურთმის მყარ ფრთას მოვაგვირისტებ.

დავბრუნდი ქოხში ძლიერ დაღლილი,
ობობას ქსელი ისევ გაუბამს,
გატრუნულია შავი თაღლითი,
ძველი ფარდები დავხსენ ძალუმად!

სინანულის ბჭე

ჩემი ოცნების საზღვრის გარშემო,
სინანულის ბჭე რომ ავაშენო,
უნდა ვაცრემლო თოვლის ფანტელი,
უნდა ავტეხო კორიანტელი.

ყველაფერს თავის ვარქვა სახელი,
უნდა ვამსხვრიო ციხის სარკმელი,
უნდა ვეომო ქარის წისქვილებს,
ვიღაცა ალბათ ცოცხლად მიტირებს.

ავაწკრიალო ზარზმის ზარები,
გავგულიანდე სიმწუხარეში,
უხედარ კვიცით ვიწყო ნავარდი,
არ შემეშინდეს მხრებზე დავარდნის,

ბოროტს განვშორდე, ვთესო სიკეთე,
ეჰ, ზოგჯერ ნიღაბს კვლავ გავიკეთებ,
კვლავ აღმოვჩნდები უფსკრულის პირას,
ვაი, თუ მოძმემ ვერ დამიტირა!

არ ვაპირებ

როცა ოფლში ვიწურები
მისაფრთდება ქარაშოტი;
რაღა უნდა დავიწუნო -
მითავდება დანაზოგი.

ორღობეში ჭინჭარს ვეძებ,
შევაგროვე მწიფე პანტა,
მაყვლის ბუჩქი კაწრავს ხელებს,
ყვავილს მტვერი დაეფანტა.

ნაკრძალებში დათვი დაძრწის,
მოვამზადე მშვილდისარი,
ეცინება გულში არწივს,
მგონი ერწყმის ცხადს სიზმარი.

ორ "ბუხანკა" პურის ნაცვლად
ერთი მჭადი მყოფნის დღეში,
არ ვაპირებ არსად წასვლას,
ვრჩები სოფლის სამოთხეში.

ისევ მოისმის

ძველ ხოდაბუნში შენი ცრემლების
ნაკვლევს ვეძებ როცა ჩავივლი,
ისევ მოისმის იმ გაწბილებით
ეული სულის ჩუმი ჩივილი.

ჩვენ ხომ დავშორდით, მაგრამ შეხვედრის
იმედს არ ვკარგავ, მთა მთას შეხვდება...
და ორივენი, იქნებ შემთხვევით
შევესწროთ ღვთიურ შემოთენებას.

ო, მაგრამ შორს ხარ, ლოყებს გიკაწრავს
საღორიის ტყის ქართა გნიასი,
ჯერაც სამარე ხომ არ გათხრილა
ჩვენი ოცნების იდილიასი...

ჯერ ხომ ივერთა ლამაზს თავთუხებს
არ შეხებიათ სიკვდილის ცელი;
ეჰ, უჩემობას ვიცი გაუძლებ,
მაგრამ რატომღაც მე მაინც გელი!

წილ ვალს

როცა მამული,
განწირული
კრავის დღეშია,
გულდათუთქული
მივუყვები
ფორთხვით ლელიანს.

ობმოდებულა
ნაქირქილე
ხავსის ფარფაში,
მიმოქუფრულა
საჭოჭმანო
სულის განგაში.

როს ჩვენი სისხლი
გ ა ს ა წ ი რ ი
მჭახედ ყიოდა,
წილ ვალს ვიხდიდით,
მტერი ყირას
გადადიოდა!

წიქარა

გადავუჭირე სახრე წიქარას,
შედრკა, ადგილზე ფლოქვებს ატოკებს,
უღელში წლები გამოიარა,
ვერკინებოდით ერთად ღვარცოფებს.

გადაიღალა, უსუსტა მუხლმა,
წაიფორხილა, ტვირთმა დასძლია,
წამოვეშველე, გასწორდა, მოლბა
და ააჩერდა მუხებს ასწლიანთ.

დავლაშქრეთ უკვე დიდი მანძილი,
წვიმს, ნისლში ძლივსღა მოჩანს სოფელი,
გვხედნის სიცრუის მავნე წადილით
წუთისოფელი - ყოვლისმომცველი.

უღლის ჯამბარა შევხსენი ურემს,
ამოისუნთქა შვებით წიქარამ,
ნაგაზი კატას შორიდან უღრენს,
ქარი აწივლდა, გამოიდარა.

ჯახირით

ცნობიერების ნაკადში ვტოპავ,
გავითავისებ მაცდურ ფანატიზმს,
ჭეშმარიტების მარცვალს მოვკვნიტავ,
ვგრძნობ, არ ამცდება რისხვა ჯალათის.

ვერ ვეგუები მომავლის სარკეს,
მას მთვარის ცრემლი მტლად დასდებია,
მუხანათურად დამიგეს მახე
და ვემსგავსები წამით ბნედიანს.

ნუთუ, ამ სულში აბობოქრდება
შურისძიების ავი ზრახვანი
და წარმოსახვას ჩაებეჭდება
გარეწარების მრუდე გზაკვალი?!

ო, არა, ჩემში ალბათ ღვთიური
მცნების ნაპერწკალს დაუკვესია,
ჯახირით ვპოვო ლუკმა დღიური
და შევუთვალო მადლი მესიას!

უკაცრიელი

გული გაბმულა სევდის მახეში,
სულმა სხეული ლამის გასწიროს,
რაღაც დიადი აღგზნება ჩემში
შეუცნობელის შეცნობას ცდილობს.

უკაცრიელი მიხმობს ნაპირი,
გრგვინავს ზვირთები, მძლავრობს სტიქია;
ბუღში გამძაფრდა ხილვის წადილი,
სულის წიაღშიც ისევ ბინდია.

ნაპირზე ვამჩნევ - ლამაზ ნიჟარებს
ტალღები წყვეტენ მიწას ძალუმად,
სულ მალე ისევ გამოიდარებს,
შავი ღრუბელი გადამალულა.

ზღვის სიმყუდროვის სიმარტოვეში
ზვირთმა მომტაცა სევდის მაშხალა,
განელდა ცეცხლი, სულ მთლად მოვეშვი,
ამოიწვერა მთვარე ნამგალა.

მიჰქრის კარეტა

ღამის უკუნის შავბნელ ხახაში
გაიფრთხიალა ბებერ ღამურამ.
კალამი ხელში გახდა უხეში,
აზრთა ჭიდილი მეუცნაურა.

დადგა წუთები, როცა ქარცეცხლი
აბობოქრებულ სულებს წალეკავს;
ეწვის სასახლე სინდისგარეცხილს,
სამგლოვიარო მიჰქრის კარეტა.

ლეშებს დააცხრა ჭრელი აფთარი,
ძილი გაუკრთა სნეულ ბეღურას.
მოქუფრულია შავად ცარგვალი,
ეკლის გვირგვინი მთვარეს ახურავს.

მიმოიფანტა ბრბოის ნაკადი,
ვაი-ვიშვიშობს ადამის მოდგმა;
სასოწარკვეთას ვებრძვი ნაჯღაბნით
და ველოდები მეორედ მოსვლას.

საყრდენი

ქართველი ძნელად დაცხრება,
როცა გარეშის შიში აქვს,
სარდალი უნდა აღზევდეს
დავითიანთა ჯიშისა.

დღეის ჭირით და ვარამით
ძირშემპალია კარავი,
მომავლის საკეთილდღეოდ
აღარა ვზრუნავთ არავინ.

მიყუჩდა მრწამსი შემტევი,
ჩაბჟუტდა სულის ლამპარი,
დაცარიელდა ბეღელი,
დაცარიელდა მარანი.

რადგანაც ერმა ამდენი
იმარხულა და იძინა,
ოცნების მყარი საყრდენი
აციაგდება ცისკრიდან.

მოხდეს

რაც უნდა მოხდეს,
რომ დავძაბუნდე,
მთლად რომ დამენგრეს
ჭერი და ბუდე,
ვარ და ვიქნები
მრწამსის ერთგული,
განმარტოება
რჩება მეფური.

უფლის შეცნობამ
განაპირობოს,
როგორ ვიღვაწო,
როგორ ვილოცო!
რაც უნდა მოხდეს,
ხორცი ჩამოდნეს,
სული ელტვოდეს
მხოლოდ სამოთხეს!

ტვირთი

ოი, რაოდენ დასაძრახია
ეჭვით ნაკვები კუდაბზიკობა,
როცა ვარამი გულს ჩაგმარხვია,
როცა ოჯახში რაღაც იყოფა.

როდესაც ცდილობ, რითი დათრგუნო
უახლოესი, თუნდაც უხეში,
დასჯერდი ზენამ რაც რომ გარგუნა,
შეწყვიტე გარეთ ძებნა ნუგეშის.

თორემ დაჭკნები, დასნუელდები
და მონაგარიც გაფარჩაკდება,
გაპიქუშდები, გადიდგულდები,
ამაოდ იხმობ წარსულს თავდებად.

როცა ჩამოჰკრავს მიმწუხრის ზარი,
ისიგრძეგანებ ცხოვრების მიზანს,
გვიან იქნება, ატოკდა ჯვარი,
უმძიმეს ტვირთის ვერ შეძლებ ზიდვას!

დაძლევა

დრაკონს ვერ ვაწვდით აბებს საძილეს,
ვეღარ დავაბით ვირი ბაგაზე,
ცრემლი გულმკერდზე გადაგვადინეს,
საზღვრის კარიც კი ვეღარ ჩავრაზეთ.

ყველა ტანჯვა და ყველა ვაება
თავზე დაატყდა ახალ თაობას,
ვგლოვობთ სინდისის გარდაცვალებას
და ვემსგავსებით არარაობას.

როდემდე გასტანს ეს გასაჭირი,
როდისღა დანთქავს ბოროტს სამარე?
ო, ეს ახალი ნაზირ-ვეზირი
როგორ ძალუმად თქვლეფენ სავანეს.

თუ არ ჩადუმდა ქიშპის ქირქილი
და ანარქიამ მთლად არ გაგვთელა,
იქნებ დავძლიოთ შრომით შიმშილი,
იქნებ ვიხილოთ ლხინი ქართველთა!

შევეშვათ

ისევ განახლდა ბრძოლის ქარცეცხლი,
ისევ აეწვა კუდი გველეშაპს,
ღმერთო მოგვეცი ძალა გაძლების,
უხიაგ ბორგვას უნდა შევეშვათ.

ისევ იღვრება სისხლი ყმაწვილთა,
ბევრი ვეწამეთ, ბევრი დავკარგეთ,
უგანაჩენო აზრი გაშიშვლდა,
ჩვენივე ხელით ვითხრით სამარეს!

უთანასწორო ჯახი წავაგეთ,
გაიძვერებმა მოითბეს ხელი,
ჩაფერფლილია ზღვის პირს სავანე,
თავს ასარსალებს დაჭრილი გველი.

სამოქალაქო ომის ზღურბლზე ვართ,
უკუღმა ფარცხეს ნაცებმა ველი,
ერთიანობის გამწევ უღელად
უფლის წილნაყარ წყალობას ველით!

ნდობა

ილუზიური სამყარო მითრევს
ფეხი შევახე ხომალდის კიბეს,
საყვირის ექო მახედებს ცისკენ,
მისნურ მაგიას ახლოს ვერ მივდევ.

ლამის გამსხეპა ღრუბელთ კანჭებმა,
უახლოესნი კვლავ შორს არიან,
ამაოდ ვცდილობ თავის დაჭერას,
წინ რომ მიმიძღვის შენი ლანდია.

აქ ხომ ჰყვაოდა ერთ დროს ვარდები,
სხივი მათბობდა უძირო ტბასთან,
ამ საუფლოში დიდხანს ვერ ვრჩები,
ქვეელ უჩინართან ვაპირებ წასვლას.

იგი დაჰყურებს ცოდვილ სამყაროს
და თითქოს ძალუძს გარდაქმნა მისი,
თავი მალ-მალე უნდა დავხარო,
მიწასთან ნდობის რომ დავდო ფიცი!

აღანთო

როს მოევლინა
კურთხეულ მიწას,
ძე ღვთისნიერი
შეება ნაღველს.
სულის ზეობის
ზეგარდმო წინსვლა
ლოცვის მადლს სწირავს
ზნეობის მსახველს.

იმ საუკუნო
სასუფეველის,
რომ დაარხია
იესომ პალმა,
აღანთო მრწამსის
მისაკმეველი,
გაითავისა
საჩვენო ჯვარცმა!

შეიფერა

როცა ვერცხლის ჩხრიალია
და იუდას პარპაში,
აღტკინების რიარიამ
დააქუხა განგაში.

როს ნიღბების ცვენაა და
უზნეოთა ქილიკი,
მუხას მხარი ედანდგარა,
ჩანაცრისფრდა ტირიფი.

ულმობელმა ქარაშოტმა
მიმოხვეტა ფოთლები,
ვიღაც ურცხვად ნავარდობდა,
ვიღაც თრთოდა ცოდვებით.

ავულკანდა მეყვსეულად
ფლიდ ამბორის წკვარამი,
შეიფერა ღირსეულმა
განსაცდელის ვარამი.

ჩემ წილ

ძლივ - ძლივ,
დაბნეულად ვეჩურჩულე
ნათელ
წინაპართა სულებს,
ჩიტებს,
მუხის ჩრდილში შეყუჟულებს
ძერა
უფანცქალებს გულებს.

აზრი
ლაბირინთში ჩამთვრალია,
ეშმამ
გადმოფინა აფრა.,
ხვალის
ლამპიონი ჩამქრალია -
ჩემ წილ
სასაფლაოს კართან!

ბონდის ხიდი

მახსენდება ის ბავშვური
გატაცება მწველი,
ხშირად იყო გაბლანდული
კლუბის კართან ქსელი.

ვაღამებდი ბრტყელ ცივ ქვაზე,
მე შენს მოლოდინში,
წავიჩხუბეთ ნეტა რაზე?-
დაგასწარი ქიში.

რაკი გრძნობის ფურცელს ვსახავ,
არ ვარ ალბათ ფლიდი;
გუბურა თუ ვერსად ნახა
გედი ტბასთან მიდის.

წუთისოფლის ქარტეხილმა
გაგვიყარა გზები,
ბონდის ხიდი ჩაწყვეტილა,
შორებლებად ვრჩებით!

მიზანი

მრავალტანჯულო
მიწავ ქართულო,
ედემს სადარო
ყანავ, ბაღნარო,
სხივთა მფრქვეველნო
შმაგო ენგურო,
ანცო რიონო,
დუდუნა მტკვარო...
რადგან ვალია
დიდგორის დრტვინვა,
კვლავ სახვალიო
მარაბდა გვტკივა.
ერთიანობის
ფრთები გავშალოთ,
მოგვდევს სიქველე
ღვთიურ ეროსის;
სიკეთის თესლი
ვთესოთ, ვამრავლოთ,
შევძლოთ დიდება
საქართველოსი!

მოვდივარ

ეს დახვეწილი მანერა
ხომ თავმდაბლობის სხივია;
ისე მიფრინავს კარეტა
ყოჩივარდები ტირიან.

თუ ავისრულე წადილი,
დღეის ქარტეხილს დავლოცავ;
ვნებების გამოძახილით
ვსინჯავ ცხოვრების არომატს.

ვაი, თუ შიშმა დამძლია,
ეჭვი ამზადებს ბორკილებს.
თანაგრძნობა ხომ მადლია,
თავს ხშირად ვერ ვიმორჩილებ...

ჰოდა მინდა, რომ გავრისკო,
ვიხილო ერთი ორიდან.
გული რადგანაც ხალისობს,
თამამად მიდი-მოვდივარ!

მძიმე უღელი

უკუნს შეერწყა ნადირთ წკავწკავი,
ხმაა ქვესკნელის აზანზარების,
შემზარავია ჭერის ლაწანი,
ჩამწკრივებულან შავად კარვები.

დაუგვიანეს სისხლი დაჭრილებს,
გულსაკლავია მათი ძახილი,
აფიქრიანებთ ამაყ არწივებს,
გაღვივებული მტრობის აჩრდილი.

ქოთქოთებს ქართლის ბედკრული სული,
დემონი ახალ სამსხვერპლოს ეძებს,
ულმობელობით გაცეცხლებული,
წვავს სასახლეებს და ითბობს ხელებს.

მძიმე უღელი დაგვაწვა მხრებზე,
სნეულნი ლელოს როგორ გავიტანთ?!
ვერ ვეგუებით ახლებურ ჩვევებს
და მკურნალობას ვიწყებთ თავიდან.

ბაქტერია

ხშირად ხდება, როცა გზნება
წაუძღვება აღმაფრენას,
თვალი სვამს და გული ძღება,
სულსწრაფს ელის დამარცხება.

ხშირად რწმენის ბზარი ჩნდება
და ზეიმობს მოჩვენება,
როცა რაღაც განახლდება,
სხეულს თრთოლვა მოედება.

ასეა, თუ ისე არი
მემატება ჯავრზე ჯავრი,
ამოქმედდა ბაქტერია
შინაგანად განამწყრალი.

შეგაწონე მაინც თვალი,
სამოთხეში ჩიტი კრთება,
ამიტოკდა გულზე ჯვარი,
აცახცახებს კოცონს ვნება!

ვინც მოგვკლავს

ავაფათურე ხელი ღრუბლებში,
წყურვილს ვიოკებ წვიმის შხეფებით,
იდუმალ ზრახვას ვმარხავ უბეში,
სამოთხის ვაშლის ტოტებს ვეხები.

უნდა შემოვკრათ სიმწრის ზარები,
უნდა შევეშვათ უშნო ხეტიალს,
კვლავ მოგვიხურეს ცივად კარები,
გულში ვარამი არ დაგვეტია.

ვისი იმედით, რას მოველოდით,
გადმოვანთხიეთ სისხლის ტბორები,
როგორ გავუძლოთ ამდენ გენოციდს,
მოდის ევროპა ზმორებ-ზმორებით.

გადაცხრილული ხმება ვერხვები,
ვინც მოგვკლავს, იგი კიდეც დაგვმარხავს,
ისევ რუსეთის ბრჭყალებს შევცქერით,
ისევ წბილდება მრწამსის ბარქა.

ვერ ვეგუები

უდაბნოს ქარი ოხრავს, ზუზუნებს,
ჩემი მეგზური ეს ტიალია,
ქნარი ძალუმად ავაღუღუნე,
თვალთმაქცა ხიბლი მეწვის ძალიან.

საით მივდივარ, ისიც არ ვიცი,
ვიცი, ხანდახან ამართლებს რისკი,
საკუთარ თავთან დავდევი ფიცი,
რომ შევაქუჩო სხივები ცისკრის.

ასე მგონია, უდაბნოს იქით
ადვილად ვხელყო უზალთუნები;
თუ დაფასდება გარჯა და ნიჭი,
კაცს შეერგება მადლი ცდუნების.

ეჰ, ვატყობ ვცდები, გავცდი უდაბნოს,
წალკოტშიც დამდევს მზერა მზვერავის,
ისევ განგებას უნდა ვუმადლო,
ვერ ვეგუები რადგან ვერავის!

დასჯა

მთელი ქალაქი დღეს ჰგავს ყაზარმას,
ვერსად ვერ ვხედავ ნამდვილ გენერალს,
ბახუსს შეერწყა სროლის მაზანდა,
აბჯარასხმული ჩხუბში ერევა.

ან განშორება, ან მონად ქცევა,
უნდა დაგჩაგრონ ისე უბრალოდ,
ვერ დაიჩივლო ხმამაღლა ვერა,
თუ მართალს ამბობ უკვე გულადობ.

ავარდნილი აქვთ თავში ფორმიანთ,
ყოყლოჩინობა ყოფის ჰობია,
ცხოვრება მიწყივ მწათხე ომია ,
ღრუბელს სხივები აუთოკია.

როგორ დაცხრები, როგორ ჩაქრები,
როცა მეობის მრწამსსაც გართმევენ,
როს უზნეობის გრგვინავს ჯაჭვები,
უფალი მკაცრად დაგვსჯის ქართველებს!

გავალ

ღვთიური მადლით შემკობილი
ფიქრის თარეში,
გამასეირნებს
ლაღ ბუნების შემოგარენში.
როს იფურჩქნება ნორჩი ყლორტი
ციურ წყალობით,
მას არ ადარდებს
უცაბედი ქარიშხლის სუსხი,
მეტყველის სმენა ინუსხება
ფრინველთ გალობით,
გული დროებით
ისამარებს წუხილის ქუხილს.
მშვენიერია აქ ყველაფერი,
ბარტყობს ჩიორა,
დაბურული ტყის
ლაბირინთში გავალ იოლად.
გავალ, გავყვები იმების სრბოლას -
სანამ შევიძლებ,
ჯერ ამ უფანჯრო,
ძველ საყდარში უნდა შევიდე!

ცხოვრების დვრიტა

ვეძებ დარში და ვეძებ ავდარში,
სად აღარ ვეძებ ცხოვრების დვრიტას,
ვეძებე ხალხში, ვეძებ საყდარში,
ცოტა სიამეს, ბევრ ჯახირს ვიტან.

ვეძებე ფულში, ვეძებე ქალში,
ვეძებ ოცნებით, ვეძებ ხილულად,
ცრემლი შევნიშნე ჯალათის თვალში,
ციდან სხივები ჩამოხიდულან.

შიშით დავეძებ ბრძოლის ქარცეცხლში,
ვეძებ წაქცეულ მოძმეთ გარშემო,
ვეძებ, არ ამცდა ხვედრი ასკეტის,
ვეძებ, გოდოლი არ ჩანს საჩემო.

გადავიღალე ამდენი ძებნით,
სევდით დავცქერი მარჩენალ მიწას,
წინაპართ ძვლების ღაღადი მესმის -
ჩვილის თვალებში ციაგებს დვრიტა.

სასაფლაოზე

სიკვდილს თვალებში ჩავხედე მკაცრად,
მიმოფრიალებს შავი მანტია,
ვერ აუდიან საფლავის გათხრას,
ერთი სასახლე ჩაფლეს თავღია.

ეს მოღალატე იყოო მაინც,
იხსენიებდნენ აუგ ავთვალად...
დაიმსახურა ცოცხალმა რაიც -
იმ სოფლად ბლომად სვასო სამსალა.

მისი დამარხვა ჰგავდა ჩაქოლვას,
სხეულს უმსხვრევდა ბელტები, ლოდი,
ამ ფაციფუცში ისმის გასროლა,
მსროლელი ამბობს: "ხალხნო, გონს მოდით!

ჯერ დააყარეთ მსუბუქი მიწა,
შენდობის მრწამსი ნაგვემ სულს შველის,
რამეთუ ნახავთ საშინელ სიზმარს,
მამულს გაყიდის უძღები შვილი!"

მოსისხლენი

ორი მოსისხლე ერთმანეთს შეხვდა,
სადაც გაშლილი სუფრა სუფევდა;
ერთი არ სვამდა, მეორე ხვრეპდა,
ნასვამი ფხიზელს ძლიერ უბღვერდა.

მსმელი თამადას ეჯიბრებოდა,
ფხიზელი ადგა, იქვე ტრიალებს,
გულზე ვარამი ებჯინებოდა,
სულზეა, პასუხს როდის მიაგებს.

როცა გამოთვრა ერი და ბერი,
მოსისხლეები პირისპირ დადგნენ,
ფხიზელმა ნასვამს ჩასჭიდა ხელი,
სურს გაიყვანოს ბარბაცით სადმე.

ავი ზრახვების ხრიკებს აზავებს,
რომ გაუსწორდეს, მაგრამ იფიქრა:
- ჩემს მსჯავრს ეს მკვდარი რაღას გაიგებს,
არ მომასვენებს ალბათ მიწიდან.

სუფთა სული

როგორ უნდა გადვირჩინოთ ნეტა
ჰაერივით უხილავი სული,
როცა ყველგან მძლავრობს ბოროტება,
როცა მოკვდავთ აცუნდრუკებთ ფული.

როცა ქართველს სიღატაკე სტანჯავს,
სამოწყალოდ ხელი გვაქვს გაწვდილი,
ებღაუჭა საცოდვილო არჯალს
ვითომ ქვეყნის მოამაგე შვილი.

მიჟანგულა უმოქმედო ზარი,
ჩამსხვრევია კიბეს საფეხური,
თავს მალპება სახურავი კარვის,
მიმქრალია ძველი საცეცხლური.

ჰაერივით გვინდა სუფთა სული,
თორემ ჩვენი მძორი აშმორდება,
უზნეობას მივცეთ დასასრული,
არ დავუშვათ ერის გაორება!

ბარტყი

ბევრ რამეში მოვიკოჭლებ,
ცოტაში თუ ვარგივარ,
ყურს რომ ვუგდებ დღიურ ჭორებს,
შურით ვუმზერ დარდიმანდს.

მოვიხმარო თუგინდ ფანდი,
სიტკბო ვადნო დარდიდან,
ამქვეყნიურ სიდიადის
პირტიტველა ბარტყი ვარ.

ლექსი ლექსად, კაცი კაცად
მაშინ ფასობს სოფლად,
თუ სიკეთეს წარმოაჩენ,
თუ იღვრები ოფლად.

ნაღვაწი და ნაჯაფარი,
თუ დღეს ძნელად მოჩანს,
ჟამი გემოს გაუსინჯავს
წუთისოფლის ხონჩას!

ჯიხვი ქარაფზე

გამოგაფხიზლა ხეთა შრიალმა,
შეგრძნებადია დუმილი დილის,
მთაში მეწყერმა დაიგრიალა,
აჰა, განგაშის სირენაც წივის.

უნდა გახვიდე იმ შარაგზაზე,
სადაც ეკლები გასისხლიანებს,
გაყურსულია ჯიხვი ქარაფზე,
მტლად დასდებია შფოთი იარებს.

თუ ყვავილების ნაზი სურნელი
გაუადვილებს სუნთქვას სამყაროს,
უიშვიათეს ვარდების თესლი
ორღობის გასწვრივ უნდა ჩავყარო.

და ჰა, ზამბახთა შემოგარენი
საიდუმლოთა ინახავს ნუსხას;
დაჯავშნულია გასახარელი,
გულს ჯადოსნური ჭინჭარი სუსხავს.

მორჩილებს

რადგან გამეფდა ჟამი მწუხრისა
წუთისოფელი მიდის უღირსად.
ვერ ამაგრდება კაცი კერიას,
მამულს დუშმანი არ დაელია.

რადგან სამყარო ზღვაა უძირო
ვარსკვლავთა ცურვას უნდა ვუმზირო.
საუბედუროდ იმას ვუყურებ,
როგორ მორჩილებს თვალი უკუნეთს.

რადგან ვერ ვიჭერ ყოფის სადავეს
სხეულს არხილულ ბუღში ვაფარებ,
თუკი, რომ ვინმემ თავი მოთოკა
შესთავაზებენ წუმპეს გოლგოთად.

როცა ფასი აქვს კაცურ ღირსებას,
მაშინ სამყარო მადლით ივსება,
რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს
უმადურობა სჩვევია სოფელს.

არ სცნობს

დიდი ტკივილის სიმძიმის გამო
განვიცდი ზერთულ განსხეულებას;
სულში მომავლის მარცვალი ხარობს,
მაგრამ აწმყომ კი - შვა სნეულება.

გამორჩეული ნიჭიერება
სახავს უხილავ ძალის ხატებას;
ვარდს ის ცვარ-ნამად დაეპკურება,
როცა ზაფხულის გვალვა დადგება.

ის შემოდგმის არ სცნობს ბარაქას,
ცივი ზამთარი იზიდავს უფრო,
რადგან სურს ჯაჭვი კბილით გადაღრღნას,
მოძალადეებს ასპარეზს უთმობს.

გულდასმით ძერწავს სულის კიდობანს,
საგაზაფხულოს იწყებს ქველობას,
მას თავისუფლად უჭირს მიმოსვლა,
რადგანაც გასცდა დღევანდელობას.

როს მიმფარველებს

რიჟრაჟს განუდგა იუპიტერი,
ბებერ ქარაფებს აეწვათ ხავსი;
მოგონებებში ჩავიწრიტები,
სულის განძია უმწიკვლო მრწამსი.

მთიების ხილვამ გამახალისა,
ფრთაშესხმულია გრძნობის სიახლე,
ჭოტი არ იშლის მაინც თავისას,
კივილის ექო სუსხავს იარებს.

მოლანდებათა უტყვი საუნჯე
წარმოსახვაში გაიდგამს ფესვებს,
ღამე არ სტოვებს სივრცეს დაუსჯელს
და მთვარე საყრდენს ამაოდ ეძებს.

დაჰქრიან თეთრი სერაფიმები
და ამზადებენ დილის მშვენებას,
სასწაულს მაშინ ვენაპირები,
როს მიმფარველებს უფლის ხსენება!

იყნოსა

ჭიქა ღვინო და
ცხონების მადლი,
გულს გვიბრდღვინავდა
ვარამი ერის,
გაცხრილულია
ეპოქის კადრი,
საწუთრომ რისხვის
იყნოსა ჯერი.

მრწამსის ნაკვესი
უნდა აქროლდეს,
მზე ეხიდება
ვერხვებს ასწლიანთ,
სული მიფრინავს
იქ სადაც ოდეს
დანტეს თასმები
გაუნასკვია!

ერკინება

უზნეობასთან სინდისის შეხლა
სასოწარკვეთას წარმოშობს ხშირად,
ხილულ სამყაროს გრძნობები ხლეჩს და
სულისკვეთება ასკდება მირაჟს.

თვალები მშველელს ამაოდ ეძებს,
სიძულვილისკენ იხრება მრწამსი,
თითქოს ედება ჯაჭვი სარეცელს
და სხეულს საყრდენს გრიგალი აცლის.

თუკი გონება ძლიერ გაცივდა
მიეწოდება სამსალა გახრწნის,
ულმობელ წუთებს მოსდევს განტვირთვა,
კაცი ადვილად ფარ-ხმალს არ დაყრის.

თუ შეაჩერებს კაენს ეროსი,
თუ სისხლი დარჩა თავის ადგილზე,
მოკვდავი ჭილყვავს კვებავს შტეროზით
და ერკინება ყოფით საგიჟეთს.

ხარკი ეძლევა

რადგან არ ვიცით, სად, როდის, როგორ
გამოვიყენოთ შესაძლებლობა,
უგუნურობა ამაოდ ომობს,
ხარკი ეძლევა უსარგებლობას.

საკუთრება და განკერძოება
მყარი საფუძვლით არ იფარგლება;
ის რაც დღეს იწვევს მედგარ მხნეობას,
ხვალ შეჩვენებად დაისახება.

ეჰ, ყოველივე რთულდება, რადგან
საგანთა არსში ჩაწვდომის მერე,
დანიშნულების დახშული სივრცე
გამოავლინებს წყლულოვან კერებს.

განაწესების გათავისებას
ხშირად უწესო დამღა ედება,
რადგან მოკვდავი ამაოდ ცდილობს
შინაგანობის გადაკეთებას.

აშკარად

რაც რომ ცდუნებამ ოინი მიყო
მონანიებამ გააბათილა;
ჩანასახშივე უნდა გავსრისოთ
უიმედობის მზარდი ბაცილა.

გამჭრიახობა ეს ის ძალაა,
რომელიც სულის ლაბირინთს კვეთავს,
ყოველდღიური ცხოვრების ვარამს
ცრემლებს აპკურებს დუმილის დედა.

უზენაესი რადგან არ ჩქარობს,
სრულყოფილება რომ მისცეს კაცთა,
გენში ადვილად მიტომ არ დარობს
და მოქმედება განზრახვას ასცდა.

დაუწერელი კანონის ძალა,
მოქმედებაში არის იდუმლად,
კეთილს ბოროტი აშკარად სძალავს,
სატანა ბოღმას ანთხევს ბითუმად.

საგნების ფორმა

რადგან ფესვები კვებავს თავთავებს,
რადგან არსია განსჯის სათავე,
სულს უხილავნი ძალნი მართავენ,
გრძნობის დაძლევის ნებას არ გვრთავენ.

საგნების ფორმა აღარ მაღელვებს,
არც არად მიღირს მათი თვისება,
რადგან უბადლო იდუმალება,
ჩემს სიმარტოვეს ესატყვისება.

აღარც კი ველი რამე სიახლეს,
დაძლეულია ზერთული განცდა,
წილადობილას ყური ავავლე,
ცხოვრების დვრიტა ბალაგანს გასცდა.

დაოსებული გულის ფანცქალით
შელახულია გრძნობის საზღვარი,
უმძიმესია სულის საგზალი,
თვალს ეჩხირება ზვარში ნაცარი.

ვერ უბრუნდება

აფარებია ნისლის პირბადე
თვალთახედვიდან მოწყვეტილ არეს,
შეცნობადობა მაშინ იმატებს,
როს სხივი უცხოდ შეაკრთობს თვალებს.

როცა სიცოცხლის ადაპტირებას,
ვეღარ დათრგუნავს სიკვდილის ლანდი,
უმწეოდ შობილ შთაბეჭდილებას
ჭეშმარიტების მარცვალი გაზრდის.

დახლართულია გზების საუფლო,
კვამლის ყვავილი შეერწყა ღრუბელს,
შეტოკებია წარბი ანგელოზს,
მთვარე ვენერას მარაოს უქნევს.

ზებუნებრივი განცდის ფირები
გაუცხოვებულ გარსში შეაღწევს...
გადაგვარებულ პინგვინის ფრთები
ვერ უბრუნდება სახეს პირვანდელს.

იმკის

როცა მოყვასთა ურთიერთობას
უანგარობის ამკობს ხელწერა,
მაშინ შემთხვევა დანერგავს ნდობას
ყოფიერებას მადლი ეძლევა.

მაგრამ ეს ისე იშვიათია,
ისე მცირე ხნით გაიცისკროვნებს,
ვით ასხლეტილი ათინათი და
ვით ცისარტყელას ფერთა სიობლე.

როცა ჭეშმარიტ აზრს ვერ მივაგნებთ
ჭირს ჩანაფიქრის დროზე გამხელა,
სიკეთეს როცა ახლავს სიავე,
უმადურობა იმკის ნახელავს.

გულს მოდებული ალი უეცრად
ფერფლად წალეკავს მაცდურ სიამეს,
კვლავ გვაცოდვილებს შური უმეცართ,
კვლავ მივუყვებით შარას ყიამეთს.

გვიან იცნობა

აღგზნებულ ვნებებს სისხლს სწოვს კოშმარი,
ბინდმა დანისლა მკვდრისფერი სახე,
კლდის გარუჯული თაღი შორს არის
და მის გადმოღმა მზადაა მახე.

სულის შინაგან ძარღვის ფეთება,
უჩინარია, ვითარც ეთერი,
ამიტომ არსი გვიან იცნობა
მოსალოდნელი გასაკეთებლის.

თვალსაწიერს თუ ზღუდავს განცხრომა,
პატიოსნებას ამკობს სიმშვიდე,
კაცს მოჩვენება რომ არ აფრთხობდეს -
ორლესულ მახვილს აღარ იშიშვლებს.

ამაოება ჭეშმარიტების
განუყოფელი არის ნაწილი,,
რაც ნათქვამს მიღმა რჩება უთქმელი -
იდუმალება უხმოდ გაჰკივის.

არ შემიძლია

როცა შევყურებ ყოველ ცისმარე
ყალბი დიდების ყურმოჭრილ მონას,
ვფიქრობ, მოკვდავი თავს რად ვიწამებ,
რად არ გავიხდი გულს დროის სწორად.

რად არ დავკრიფე ბაღში ვარდები
და არ მივართვი მაცდურ კეკლუცებს,
წუთით ხომ მაინც გავიხარბდი,
შევეცვლებოდი დაღლილ მებუკეს.

ავივსებოდი თუკი ბარაქით,
გადმოვხედავდი ბრბოს მედიდურად,
ვერ მომხიბლავდა რამე არაკი,
გრძნობას ვმართავდი მექანიკურად.

მაგრამ ვაი, რომ არ შემიძლია
წუწკ დარაჯივით ხვრელში გაძრომა,
საკმევლის თასი ცხვირწინ მიდგია,
სანთლებით ხელში ვხვდები აღდგომას.

ფასდება

შეეწირება ქვესკნელის წიაღს
ჩაძირულ გემის ავლადიდება...
მთელიდან ნაწილს იბრუნებს მიწა,
უშნოდ გამცემის ჯიბე იცლება.

უსათნოესი ღვთიური განცდა
ააზანზარებს წუთით სამარხებს;
ფასდება როცა ზენარულ ნათქვამს
ხალხი ცხოვრებას მიუსადაგებს.

სული სამყაროს ბაქტერიაა,
ყარიბი ტანჯულ წარსულს მისტირის,
იშვიათი და წმინდა ხვედრია
მამულის გამო - პეწი სიკვდილის.

რადგან დროულად არ მეღირსება,
ღვთის სასუფევლის სრულად დანახვა,
გაუბრალოვდა ჩემი ღირსება,
დღევანდელობა ცოცხლად დამმარხავს.

წინასწარ

ზნეობის ერთ-ერთ სტიმულად
გულახდილობას მივიჩნევ,
პირადულობის განწირვა
სწვდება გონების სიმწიფეს.

მოძალადე თუ დავცოცხეთ
სიმართლე უნდა გაცხადდეს;
სამარცხვინოა - სამსხვერპლო
რომ გავიხადეთ სახატედ.

ჯერ შავად არ შეთითხნილა
საბოლოო განჩინება,
შედეგიან დასჯის პროცესს
საუკუნე დასჭირდება.

წინასწარ გამოვიტირე
კეთილშობილი ზრახვანი,
რადგან უფრორე გახშირდა
სიტყვების ცალყბად კაკანი.

დაებას

ჭეშმარიტების მარცვალი
ძალიან ძნელად ღვივდება,
დაებას ხელი მსახვრალი
ვინც სხვის ბარაქას მისწვდება.

რადგან მისტიურ სამყაროს
იდუმალება სჩვევია,
იქ გაბნეულნი ცთომილნი
ძნელადვე შეიმჩნევიან.

თუ მოჩვენების განსაზღვრა
წარმოისახა დილემად,
დაუდევრობა ცდუნებას
ადვილად შეეწირება.

თუ რამე გამოიკვეთა
სახვალიო და საერო,
არ მოღრუბლო მოყვასო,
არ მოიწამლო ჰაერო!

რაც დაანათლა

ოცნება სულის საზრდოა,
გული გარანდავს ხვაშიადს;
ზოგს აწყობილი ცხოვრება
ხუხულასავით დაშლია.

ზოგს არ ჰქონია არარა,
უცებ დიდკაცი გამხდარა;
დახვავებული ნუგბარი
დაძველებულა, წამხდარა.

კაცი მხოლოდ მას მოიმკის
რაც დაანათლა ბუნებამ;
საშინელია დიდი ხნით
მწარე სვებედის ყურება.

სოფელი ვის რას შეარჩენს,
სიტკბოს სიმწარე წალეკავს,
მალ-მალე მოდის გრიალით
მოუსავლეთის კარეტა.

სად

სიფრთხილე სიბრძნის ერთ-ერთი
მთავარი ნიშანწყალია,
რადგან ამ ზეცისქვეშეთში
ვხედავთ უამრავ გალიას...
ზოგს რიკულები ამშვენებს,
ზოგს რკინის ხლართი არტყია...
ბევრს შუბლზე შიშის ნაოჭი
სვასტიკასავით ატყვია...
ზოგი თავს ლომად გვაჩვენებს,
ზოგს კურდღლის ტყავი აცვია,
ზოგი ხმამაღლა აბოდებს
თავისუფლების ქარტიას.
როცა ცისფერი ეკრანი
მოჩვენებითი მახეა,
სად ოქროს ვერძი ჩამალეს,
სად ძაღლის თავი მარხია.
აღტკინებული სულები
შუბლს ცათამბრჯენებს ახლიან,
საყდარში მრევლი შეთხელდა,
ღორმა ჭილოფი დახია.

მრავალჯერ

როცა სინდისის ქენჯნა
სირცხვილს ჩამოსწმენდს ლაქას,
დაწყებულია მაშინ
შემთხვევითობის განსჯა.

თუ გარდატეხის წამი
არ შეისუდრა შავად,
ცრემლმორეული თვალი
სიწრფელეს ვეღარ მალავს.

გულაღრენილი სხეული
თუ დააოკა სულმა,
მაშინ პარაკლისს იხდის
განუტეველი ურვა.

მარცხს და დიდებას შორის
როცა მოძრაობს კაცი,
იგი მრავალჯერ ასწევს
თავგანწირულთა სასმისს.

არ იუარა

ვერ აშკარავებს უტყვი
შეფერხებას ან წინსვლას,
უჩინმაჩინის ქუდი
დროის მოთხოვნად იქცა.

ვერ დაიტია მხრებმა
მოზღვავებული ნამჯა,
არ იუარა ზენამ
გამარჯვებულის დასჯა.

როგორ უკმეხად დამდევს
უკმარისობის ნავსი,
რადგან ღირსების მსახველს
მცირე მანძილით ავცდი.

უნდა გავუძლო დიდხანს
გაუცხოვების ვარამს,
რადგან ჭეშმარიტ მიზანს
სიბრძნე ბრჭყალებში მალავს.

ნერწყვი

ოხრად დარჩება მოკვდავს
ის დამარხული განძი,
თუ შეჭირვებულ მოყვასს
კუთვნილსაც აღარ აწვდის.

იდუმალების პეწი
მიმოექარგა ძეწნას,
ბულბულს მოადგა ნერწყვი,
ციყვი ხვაშიადს კენწლავს.

როს ჩამი-ჩუმი მაკრთობს
თვალს აბრიალებს ძერა,
მერცხალი სივრცეს არ თმობს,
ნასიზმრი თრთოლვის მჯერა.

მიწყივ აურის მადლი
ჩამოიღვენთა ფირად,
შეხმატკბილების კადრი
გულს აუჩუყებს დილას.

ირიბად

კაცის კაცთან გვერდში დგომას
შევაფასებთ როს ირიბად,
მოსასვლელი დროზე მოვა -
საკეთებლის საგზირისად.

თავმომწონე სიჭაბუკე
ზოგჯერ შავსაც აჩენს თეთრად;
როს ბიბილო უთრთით ჭუკებს
ტურამ ფიშტო გამოძერწა.

ალალ სუნთქვის ნატამალი
შეეხიზნა ხის კენწეროს,
დასასრულის დასაწყისი
სისხლით უნდა დაიწეროს.

მიმწუხრის ჟამს ბოლო-ბოლო
ჩამოცხა თუ ჩამოყინა,
მოგონება რჩება მხოლოდ,
ყველა თავის სოროს ჩხიბავს.

ფერფლის გროვა

დღეს ვინმეზე დაყრდნობა
გახდა იშვიათობა,
სარკაზმული ქირქილით
დასნეულდა თაობა.

ბევრი დაეხეტება,
ცოტამ მოხნა ყამირი,
ზოგი ყურებს გვიჭედავს,
ბევრი უხმოდ ჩაივლის.

ისე გაშინაურდა
უიმედოდ დარჩენა,
საკეთებლის სიმძიმე
არ იძლევა არჩევანს.

განუსაზღვრელ ნაბიჯებს
ახლავს გრძნობის ფეთება,
უთანაგრძნო მოწყენას
ფერფლის გროვა ედება.

განსხივება

ყოფიერების ქარტეხილმა
თუ დაგვაოსა,
მოჩვენებივით წაიშლება
ფიქრი ქაოსად.
გაქსუებული, ფესვშემპალი
კაცთ სიბოროტე,
ლამაზ ნიღაბით აკეკლუცდა
უფსკრულის პირას,
ვერ ამოწურავს სიტყვის მარაგს
ენა ბოლომდე,
მუზების მეფე საგალობლის
გასაღებს ქლიბავს.
თუ საკეთებლის განსხივება
გაიელვარებს,
სულში მირონად ჩაიღვრება
ფიცი მგზნებარე.
ჰოდა ფერია ეხუტება
ედელვაისებს,
თვალები თრთოლვით ეხუნძლება
წრფელ სიხალისეს.

ვუმხელ

თუკი აზრის მწველი ჯადო
არ აიჭრა მაღლა ცაში,
ყინვის ლოლოს ვერღა ვადნობ,
ვერ შევკზმე ფიცხი რაში.

რადგან სიკეთისკენ ილტვის
ამგვარ საფრთიანო ხედვა,
წაწყდეს ოინბაზი სიმწრის,
ნაცად სიერთგულეს ვბედავ.

როცა იფოთლება ვაზი,
როცა ხეივანი მიხმობს,
მხარზე ანგელოზი მაზის,
სულში ჩამეღვარა სითბო.

რადგან ავედევნე უკვე
თანხვედს ხვაშიადის მირაჟს,
ლაჟვარდს უყოყმანოდ ვუმხელ
ჩამცხრალ სიამაყის წირვას!

აყოვნებს

უმოქმედობის მიმართ
თავშეკავება კმარა,
მოუხელთებელ აზრის
უსაზღვროება მზარავს.

რადგან აყოვნებს ჟამი
გოლგოთისაკენ წინსვლას,
გადაგდებული ჯვარი
გადაკეთდება ისრად.

ჩაშავებული ხევი
მიმოათეთრა სეტყვამ,
მზის ჰემისფერომ ორთქლის
შესანდობარი შესვა.

დამუხტულია გონი
ცვალებადობის განსჯით,
აღიზიანებს უჯრედს
შეშმარიტების ძარღვი.

ქვეშქვეშ

ბედმა გაგიღიმა, ნუთუ გიღიმის ის,
რასაც ვერ მიუზღავ ვეროდეს მაგიერს...
მიმოზა დილის ცვარს ცრემლებად ღვრის,
ციყვებმა ფოთლების ფარდები გასწიეს.

ვხედავ, ხის ძირას მუხლებზე დამხობილ მწირს,
იგი ზურმუხტებს უბეში იყრის და თვლის,
თან ამბობს: ,,უფალო, ნეტავი რა ვცოდე,
ამ სუმის მნახველი ლამისა შავღონდე!..."

შემნიშნა, გაფითრდა, გამოსცრა კანკალით:
,,თქვენ ხომ არ დაკარგეთ ქონება ამგვარი?"
მივუგე: ,,ნუ ჰყვედრი ამ ბედის ქარაშოტს,
ალბათ ეს წყალობა განგებამ განაგო...

გასწიე, ააგე სასახლე, კოშკები,
ოღონდაც უქონელთ მიეცი გროშები..."
წამოდგა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო,
ქვეშქვეშ ჩაიღიმა ველურმა ყაყაჩომ.

ბედის წყრომა

შევესწარი შავი ვარდის აღსარებას,
შავ ლოყაზე ცრემლი სხივად დასცემია,
მას ტრამალზე აღარა სურს გაჩერება,
რადგან იგი აქ არავის ყვარებია.

ყვავილებთან მან საერთო ვერა ნახა,
რადგან ზღვარი ვერ წალეკა ფერთა ცვლის,
მის გაჩენას იგი ბედის წყრომად სახავს,
თავს ვერ ირთობს დღის და ღამის სპექტაკლით.

ვერვის ანდობს თვის იშვიათ სამყაროს,
ვერ განავრცო შინაგანი კაშკაში,
არქაული სიმარტოვე რომ სძლიოს,
უნდა ჰპოვოს სანუკვარი დამქაში.

საწყალს მგონი გაენასკვა ფეხის ძარღვი
და ყავარჯნად ხელის თითებს ფრთხილად ვაწვდი,
როს სახეზე მომეფერა იგი ღაწვით,
საუცხოოდ მაგრძნობინა ყნოსვის მადლი.

ვერ გაიყო

შევყურებ ღრუბლების საოცარ აზვირთებას,
ვიღაცა იცინის, ვიღაცას ეტირება,
როდესაც სულიერი იწყებს განივთებას,
სამყაროს მაგიური ბინდი ეფინება.

ამ ქვეყანაზე რა აღარ მიცდია,
სად აღარ ვიარე, ვინ აღარ მიმუხთლა,
ჭეშმარიტება გუზგუზა სივრცეა,
საიდანაც სიმართლის ფერფლს ვისრუტავთ.

რადგან ისევ ისვრის ჭურვებს ბომბდამშენი,
გვერდი შენგრევია ტახტის შემოგარენს,
აწმყოს სისასტიკეს აღარ ვემალები,
რადგან მომავალი ნიღაბს შემომახევს.

რადგან ვერ გაიყო პური უფუარი,
სისხლით სავსე თასებს ხარბად გამოცლიან,
რადგან ამ ცხოვრების გზები სატყუარი,
შავი დამიწების თეთრი სამოსია.

თავს მახსენებს

.

როგორ მათამაშებს გრძნობის ირონია
როგორ ჩავკირკიტებ სტრიქონს განაწამებს,
მალე დემონები ქვევრებს გამოცლიან,
მათ ჩემს სიახლოვეს აღარ გავიკარებ...

რადგან გაუთელეს ღერო ქრიზანთემას,
რადგან თვალის სვეტი შავად შემიღებეს...
მათი შემწეობით თითქოს მიმართლებდა,
მაინც განკაცების მადლი შევიფერე.

მაგრამ გამიჭირდა თრობის დავიწყება,
რადგან თავს მახსენებს რაღაც მონატრება,
როცა ყოჩივარდამ ყელი მოიღერა,
ისევ ავედევნე მაცდურ მოლანდებას.

რადგან ვეღარ ვუძლებ ჟამის შემოტევას,
შიში გაათკეცდა, მუხლი მეკვეთება,
ფიქრში გაჩხერილი აზრი მენანება,
თუ არ დავიხსენი განცდას შეაკვდება.

როგორ უღვთოდ

ვერანაირ ფეხის ხმას ვერ ავყვები,
რადგან სევდის წიაღში ვარ ჩაფლული;
გულს მიწვრილებს მოზარეთა ჰანგები,
როგორ უღვთოდ დაისეტყვა მამული.

ეს რა ჩირქი მოსცხებია გარემოს,
ვულკანივით გესლს რომ აფრქვევს ურჩხული,
ლამისაა ბრბოს თვალები დაევსოს,
ლამისაა დღე ჩაქოლონ უკუნით.

როცა ცრემლის იისფერი ნაკადი,
შეერევა დამანგრეველ ტალღებს,
ვერ მახარებს მისაბაძი არაკი
და ხვაშიადს გული ძნელად ამხელს.

მარადისობა ჯაჭვის პერანგს იცვამს,
სული უსასრულ განედზე გავიდა...
ახვიდე დიდების მვერვალზე ნიშნავს -
გადმოვარდე საკუთარი თავიდან!

უგანა

კარგა ხანია რაც არ მინახავს
მდინარის პირას მყოფი ხიზანი,
მან იქ კარავი შეაფახფახა,
ცხოვრებას უმზერს ვით გულთმისანი.

უგანა მსუსხავ ბედის სიმუხთლეს,
სრულად შეეწყო წილხვედრ ხელსაქმეს,
როცა მივდივარ ყოფით მწუხარე,
ის მასპინძლობას მიწევს შესაფერს.

ყველაზე უფრო მასთან მწადია
საჭირბოროტო თემებზე ბჭობა,
რადგან ბოლო დროს მან მიაკვლია
შემგუებლობის იშვიათ ფორმას.

ის ეუფლება არარარაობის
არად ჩაგდების მძლე ჰარმონიას...
თვალით უხილავ ეთერის ქროლვა
თრგუნავს რუხ ღრუბლად ქცეულ გოლიათს.

ის იმნაირად გარდაისახა,
ვით ცისარტყელად შუადღის მირაჟი...
აწმყომ წარსულის შავი ფილთაქვა
გადაისროლა ნაგვის გვირაბში.

ნუ დაიჩემებს

მოუზომავი ვნებათა ღელვა
აშლის სულიერ განწყობილებას,
რაც ზოგჯერ იწვევს უცაბედ ელვას,
ან ურვა დუმილს ემორჩილება.

ნუ დაიჩემებს ნურვინ ამქვეყნად,
რომ ის თავის თავს სრულად განაგებს,
წარმოსახვათა წარმოჩინება
გონის უჯრედებს უცვლის სანახებს.

გაძარცვულია გრძნობის სალარო,
გაუფერულდა ხიბლი ცთომილთა,
თავი შეგნებით უნდა დავხარო,
რადგან წარსულში ხედვა მომინდა.

რადგან ყვავილთა მიზიდულობა
ააშკარავებს გულის ხვაშიადს;
სხივმოღაღანე უხერხულობა
ააფერადებს სივრცის აშრიალს.

დიდხანს

ისეთ მცირე ერს, როგორიც ჩვენ ვართ
ღუპავს ქიშპი და ღუპავს ღალატი,
პირველობისთვის ბრძოლის მანია,
ბევრ სასიცოცხლო ძარღვებს გადაჭრის.

პირღია ურჩხულს როდესაც ვხედავთ,
რომ განვერიდოთ იმას არ ვცდილობთ,
არამედ მყისვე მივაწვდით ნუგბარს,
ჩაყლაპვის შიში რომ ავიცილოთ.

ვინც ჩაჰფრენია ყოფის სადავეს,
იმიტომ ცდილობს იგი მოხვეჭას,
რადგან არა აქვს ხვალის იმედი
არ იცის, როდის თუ რა მოხდება.

გაყურსულია დაბალი ფენა,
დახარბებია მასა ლუკმა პურს;
უშინაარსო მომავლის ცქერა,
შთამომავლობას გახდის უმადურს.

ამიტომ დიდხანს გადაიდება
ფასდაუდებელ ტილოთა შექმნა,
გამორჩეული სახეცვლილება
გენიოსების სარდაფებს შერჩათ.

უღელი

ოსტატს შეგირდი თილისმას ჰპარავს,
ისეთს, რომელიც არა ჩანს თვალით;
უანგარო რომ რამეს დაჰკარგავს,
არ შფოთავს, მზერას მიაპყრობს არილს.

ვინ ისმენს ქვეყნის ურვას, გოდებას,
ვის აქვს გახსნილი იარის დარდი?!
სამარადისოდ იგი ცხონდება,
კურთხეულია ვინც ღვთიურ მადლით,

ვინც ხმას არ უწყობს მტარვალთა ლირას,
არ შეუშინდა ჯალათის რისხვას,
ვინც სასიკეთოდ თავი გასწირა,
ვისიც სიკვდილი სიცოცხლედ იშვა.

ვინაც უღელი ისე ატარა,
არ გადააწვა მხრებზე უპოვართ,
ვინაც რომ ჯილაგს ოქრო კი არა -
მძლვრი მამული მწედ დაუტოვა.

ზოგჯერ

ცუდის ზმანება ავის მაცნეა,
თითქოს ბღაოდა წუხელ პილატე;
ზოგჯერ სიმკაცრის იმიტაცია
უხერხულობის ზღვართან მიმაგდებს.

ეჰ, სიყვარული საუბედუროდ
გულზვიადობის ტყვედ თუ ითვლება,
თუ შინაგანად ვარ სარკაზმული,
ამიტომ შემძრა ასე ფიქრებმა.

იდუმალებამ ამაცახცახა,
ჩამოიღვენთა ჭუჭყის ლაქები,
თუ არხილულის ხილვა გაცხადდა -
მტვერით შობილი ფერფლად ჩავქრები.

დაისმა ზარი ააწკარუნა,
თვალდაჭყეტილი ავიბარგები,
სივრცეში უკვე გადახარშულან
დაღდადებული ბაირაღები.

არხეინად

როცა გაჭირდება ყოფის შეგუება,
კაცი განსაცდელებს აღარ ეპუება.

როცა საფრთხეა და როცა ღალატია
ზომიერება სიმშვიდის გარანტია.

ზოგჯერ უხიაგი გზების ლაბირინთებს
ჩემდაუნებურად მყისვე ავითვისებ.

ხან კი კუს ნაბიჯი ისე ხანგრძლივდება,
ვერსად გავექცევი შურს და გაწბილებას.

ცოდვა განუსჯელი სანამ იტრიალებს,
გაფრთხილების ქნარის ბჟუტავს სიდიადე.

ნიჭი გარჯის ნაყოფს შემეცნებად აქცევს,
შთაგონება ქარგავს საუკუნის სახეს.

გაიძარცვა მამული, გავერანდა მიწა,
გველეშაპი ამ დროს არხეინად იწვა.

ო, ეს დემონები, როგორ მშვიდად დაჰქრიან,
ბოროტება ცხოვრების მსუქანი მატლია.

განსასჯელად

უნუგეშობამ დახრა ნერვები,
არ ვიცი, ვის რა პასუხი გავცე,
ფერხთით ვერავის ვერ გავეგები,
თუ გინდ ცის თაღი დამემხოს თავზე.

საკუთრება საყრდენია კაცის,
ეჰ, რამდენი ოფლი დათხეულა,
გაჭირვება აღმძვრელია მადის,
გაიელვა ეშმას ორეულმა.

გაიელვა და დატოვა გულში
არქონების უსაშველო რისხვა,
ხეში მატლებს მოძრაობა უჭირთ,
ძნელად ღრღნიან საარსებო მისხალს.

რადგან ხორცის მშობელია მიწა,
რადგან სული ეშურება ცისკენ,
უნდა შევძლო იმ სამანთან მისვლა,
სადაც მეხი განსასჯელად მიწვევს.

გამყვება

ჩამსხვრევია სარკმელი
წუთისოფლის გალიას,
სიბრძნე კაცის ზნეობის
და მეობის ფარია.

რადგან არ მწყალობს განგება,
ჭირს უხიფათოდ გაძლება.
ვინც კი სიმწარე მაგემა,
დრომ გაიხადა სახედნად.

ვინც კი მოკეთე მეგონა,
როს საქმე საქმეზე მიდგა,
ის თანგრძნობის მაგივრად
დასანახავად ვერ მიტანს.

თავისუფლებას შენატრის
ბუმბერაზიც და პატარაც,
არადა მოკვდავს ამხნევებს
დავიდარაბის ატანა.

რადგან ვერასდროს გავხდები
მამააბრამის ბატკანი,
კუბოს კარამდე გამყვება
ნაცოდვილარი საგზალი.

არა მგონია

როცა სხეული ფითრდება
სული იწყებს გაცხარებას,
ერთიმეორის განტვირთვით
ერთგულება გაცხადდება.

მაგრამ მაინც არ მგონია,
რომ ეს ორი ფენომენი,
ერთად ისე მოქმედებდნენ,
როგორც რიგი და ნომერი.

თანაც ვიცი, ვერ შევაღწევ
მათ იდუმალ საუფლოში,
ერთს სანდალი ჩაუცვია,
მეორეს კი ოქროს ქოში.

იდეალურ შეთანხმების
ნაყოფს მათგან ვერ ვიხილავ,
გარკვეულ დროს თანამდგომნი
ერთმანეთის ჩრდილებს ჩრდილავს.

უდროო დროს

ერის მიმართ ნათქვამი
პირობა თუ ირღვევა,
მაშინ ყალბი აზრები
დაიფრქვევა სიტყვებად.

მაშინ როცა ბაგედან
შხამი გადმოიცრება,
ცხადის განზომილება
მოგვედება სიზმრებად.

აივსება მამული
დამთხვეული ჩაფრებით,
უგზო-უკვლოდ ვივლი და
უდროო დროს ჩავქრები.

ოღონდ სანამ ვიქნები
ფიქრით მაინც ვიომებ,
გაუხეშდნენ რიტმები,
უნდა ვეძმო დიოგენს!

შეშლილ სახით

გული ალმურით სავსეა,
დრო მატერიის არსია,
ამ ობოლ ჭიამაიას
პერანგიც კი არ აცვია.

რადგან ვეღარ ვეღირსე
მრწამსის გასათუთებას,
სასმისს ეშმა შემივსებს,
რისხვა დასაბუთდება.

ჩამითრია რადგანაც
უშრეტ წყაროს დინებამ,
შეშლილ სახით ყიალი
აღარ მეთაკილება.

მიუგნებელ სიტყვების
შინაგანი განგაშით,
სული დამმძიმებია
ვით ვირს ტვირთი ტალახში.

თუკი არის მთლიანი
რაც ორიდან ერთია,
თუ სიბრძნეა მარადი -
პოეზია ღმერთია.

თავდაყირა

ნაგვემი თავის გაბრუება რადგან მეწადა,
სახელდახელოდ მოვიძიე ღვინის ხელადა;
ვიბახუსე და ვეპოტინე აზრის გასაღებს,
ქვეცნობიერის მოციქული ვსახე სახატედ.

სულ თავდაყირა დავაყენე ავი სულები,
აზრთა გამრიგეს უთავბოლოდ ვედიდგულები,
შუაღამისას შემახსენა თავი შაკიკმა
და გულსაკლავად ის წყეული ჭოტიც აკივლდა.

გამთენიისას თავს დამაცხრა შლეგი ზმანება,
თითქოს საყდარი დაინგრაო, მამცნო ზარებმა,
ვიწექი თავქვე ნანგრევებში მიუსაფარი,
სულს მიფერფლავდა მოსარკული ზეცის ლამპარი.

დაფეთებულმა გავიღვიძე, თავს ზევით ვერ ვწევ,
უზარმაზარი ლოდი მაწევს თითქოსდა მხრებზე,
გონებას მიმღვრევს ქაოსური, მცდარი აზრები,
ალბათ კარგა ხანს ამ დონეზე აღარ დავთვრები!

ცოტა შერჩება

რა გამაჩერებს მშვიდად საჯიხვეების მზვერავს,
რა დამაწყნარებს მაშინ, როცა მეწყერი შხუის,
უსაფრთხოების ნიშანს ვერ მივაკვლიეთ ჯერაც,
რადგან სამყაროს გულში შეღწეულია შური.

რადგან საზღვარი არ აქვს კარაბინების გრიალს,
ცხოველმა შიშის საუფლოს სირბილით ისე სძლია,
რომ უბობოქრეს ტალღებს მსხვერპლი უფსკრულში
მიაქვს…
ბერები ნარჩენ ნამჯას კვლავ უნიათოდ სცრიან.

აწმყო უნიღბო სახეს საგულდაგულოდ მალავს,
ცოტა შერჩება სულეთს, ბევრი უკვალოდ ქრება,
ბრბო გასასტიკდა, მალე გადითქარუნებს ტრამალს,
დააძაბუნებს სხეულს ამბოხებული ვნება.

გაქსუებული თვალთმაქცები უკვე მიდიან,
ამაღამ ღრუბლებს შევუკვეთავ ქარის ხომალდებს,
თუ ხასიათში უმთავრესი გულის სიმია -
სულიერებას მრწამსი ძნელად განაზოგადებს.

ჯვარი ეწეროს

როგორ დამცინის შორეთიდან ჩემი ვარსკვლავი,
მის მყარ განზრახვას თუ ამაო ფიქრებს შევახლი,
დასაკარგავში გამეთხრება ალბათ საფლავი,
დუმილის სიბრძნის გამარჯვებას აღარ შევნატრი.

ყალბი არშინით იზომება კაცის სიმაღლე,
არ შევარჩინეთ სარკეები უფლის დარბაზებს,
განკითხვის ზარი რომ ჩამოჰკრავს, მაშინ ვინანებთ,
რამეთუ ცოდვას რა გამოლევს ამ ქვეყანაზე.

როგორ უდროოდ დავსნეულდი, დავჩაჩანაკდი,
ასე უეცრად რამ შეცვალა ეს მაჯისცემა,
შეხიზნულია ტაფობებზე ლტოლვილთ ბანაკი,
ამაღამ ვერცხლი ტერასებზე გადაიცვლება.

იფანტებიან ხილვადობის თეთრი ფანტელნი,
ეწირებიან მარადიულ უსასრულობას,
ჯვარი ეწეროს სასოებას ფეხქვეშ გათელილს,
გამეფებულა სიძულვილი და უგულობა.

მზის ალმურში

რიჟრაჟის სხივმა შეატოკა ლურჯი ცის თაღი,
მაჩვი აქოჩრილ ყანის ღობეს ეჩხიკინება,
ეპოტინება ეკლის ფოთლებს სამგლე თიკანი,
ბარე სამას წელს არ მოიშლის ყვავი გინებას.

ქედს არ მოიხრის ზამთრის შიშით ჯმუხი ბერმუხა,
დაღად დააჩნდა საუკუნეს ჟამი ცდუნების,
ჭეშმარიტებამ სათნოება გადმოაშუქა,
ავსებულია სასაფლაო ბებერ მდგმურებით.

რადგან კოსმიურ ლაბირინთებს ისე შევყურებ,
ვით ქინძისთავი ჩაეყლაპოს პალტოს საყელოს.
თითქოს მთვარეზე დაუდგია ფეხი ჰერკულესს,
დროა, იესომ ზეციური რაში გახედნოს.

დროა, შორიდან მივანიშნო ორეულს ჩემსას,
რომელიც მგონი აედევნა საშიშ კომეტას,
უცხო პლანეტელს დაელოდოს ჯადოსნურ ხესთან
და მზის ალმურში გადაადნოს ქვრივის მონეტა.

მოაგუგუნებს

ცრუ მეცნიერი აფხვიერებს მარჩენალ მიწას
და თითქოს ესმის ქვესკნელეთის აურზაური,
უმწეოდ გასცრა თვალთმაქცობამ ლაციცა სიტყვა,
მიმზიდველია შთაგონება ვერ საცნაური.

დღეს კიდევ ერთხელ გადავფურცლე ჩემი ფსალმუნი,
წითელი ხაზი მიმოვავლე შავ-შავ წერტილებს,
ნიმფებმა გარეთ გამიტყუეს ეჟვნის ჟღარუნით,
სამყაროს ფრთების ნაპრალებში გამოვეჩხირე.

ქარმა ადვილად მომახვია თავზე ნისლები,
სიჩქარის ძალის ამბოხებას ვუსასტიკდები,
არ მასვენებენ ქაოსიდან შეძახილები,
მარადიული ნათლის წყაროს კვესავს წინწკლები.

ვერა და ვერა, ვერ შეეწყო თვალი უკუნეთს,
ლანდების ფერებს ამიტომაც ვეღარ ვასხვავებ,
სიკვდილის ეტლი მისტერიას მოაგუგუნებს,
გალაკტიონის მესაფლავე დამასაფლავებს.

დენთის ბუღში

გაიყინა გზადაგზა
ჩრდილოეთის პურწყალი,
დენთის ბუღში განზავდა
დასავლეთის კურცხალი.

გინდა პეტრეს შესჩივლე,
გინდა პავლეს უთხარი,
შორს ვერ გაიჯეჯილებ
აღრენილი სულმყრალი.

უჭულ-ბუჭულთ მიხედე,
სხვის ჩანგზე ნუ იცეკვებ,
დაუბრუნე სიმხნევე
გაწბილებულ სიკეთეს.

თუ დაეკურთხა მიწას
განუსაზღვრელი ხიბლი,
უსაფრთხოების ნიშნად
გაეღვიძება თბილისს!

დაიხვეწება

ეჰ, რარიგ ცვლის და გონებას უმღვრევს
კაცს მიწიერი ცხოვრების არსი,
ზოგს სიღარიბე მხნეობას მატებს,
ზოგს კი სიმდიდრე არაქათს აცლის.

მაცდური ბიძგი დასაბამიდან
წარმმართველ ძალად წარმოისახა,
რაც ასულდგმულებს კაცობრიობას
და ქვეცნობიერს შეიქმს მისაბაძს.

მინდა, რომ წმინდა გონის უჯრედი
გადაენერგოს ცოდვილ ათასებს...
ღვთივ ხელდასმული სიბრძნის შურდული
შეუვალ ციხის თაღებს გადასწვდეს.

თუ არ მოაკლდა ზენაარ მადლი
ოცნებით ნაკვებ ზეშთაგონებას,
დაიხვეწება როდესაც მრწამსი,
სული ხორცს აღარ დაემონება!

საპნის ბუშტივით

ღმერთმა რაც მოგვცა თუკი წაგვგვარა,
არ აეწყობა საქმე ამგვარად…
რადგან ქვეყანა ასე წაირყვნა,
საძებარია ყველგან კაი ყმა.

თუკი კაენი ისევ კაენობს,
რის მაქნისია მაშინ გაერო?!
აწ კიდობანი ვეღარ გვიშველის,
აინშტაინი გარბის შიშველი.

ერთი მითხარით, დასაბამიდან
ვინ არ დამარცხდა როცა იომა?!
თვით ბაბილონი როგორ დანაცრდა,
მაინც არ ცხრება კაცობრიობა.

თვითგამორჩენის სწრაფვის სურვილი,
აღარ ასვენებს დიდს თუ პატარას,
არ გასკდეს გული საპნის ბუშტივით,
არ დავრჩეთ ისევ ჯოხის ამარა.

გადარჩენის

ვერც რა ძალა, ვერც რა ურვა,
ვერ გამაქრობს გულმდუღარეს,
რადგან მამულს ჩემი სუნთქვა
საკენკივით დავუყარე.

რადგან მისი შუბლი მეწვის,
რადგან ჟამი კვლავაც შლეგობს,
ლამის გაწყდეს ხიდი ბეწვის,
ლამის ხრამში გადვიჩეხო.

საავკარგო საგალობელს
ამოგიფრენთ ზენა ქარი...
და შერისხულ მახარობლის
გადარჩენის დაუკარით.

კვლავ ავტეხავ კორიანტელს,
საეჭვოს და სათაკილოს,
რომ სტიქიის შემოტევამ
სასაკლაოს გამაცილოს!

ვერ შეირგებს

დამეჩვია რადგან მარცხი,
თავს სიმშვიდეს აღარ ვაცლი,
ლუკმა ყელზე დამადგება,
თუ არ ვჭედე გამარჯვება.

რასაც ვიმკი სიმწრის ფასად
გაიზრდება ერთი ასად;
რაც რომ თვად მეძალება
არ ღირს სიტყვის შეძახებად.

ჩამოცხა და ჩაიღვენთა
მტრის ზარბაზნის ლულა,
ვინც სათოფედ გაგვიმეტა
სიმწრის ტბორში ცურავს.

ვერ შეირგებს ნაალაფარს
ნაისრალი ტყიური,
იბოგინებს აცა-ბაცად
უარყოფა ღვთიურის.

წარმოჩინდა ბრძოლის ველი
სამომავლო თავდებად,
ეცარება მტარვალს ხელი -
დაგზაშარობს სახედრად!

კიდევ ერთხელ

უგერგილოდ მიმოვკვერე ცელი,
ვაგემოვნე თავთუხების ყნოსვა,
ვაგვირისტე დაკვნესების ჯერი,
მაცოდვილა სააქაო მოსვლამ.

ციბრუტივით დატრიალდა თავზე
სასულეთის ამაზრზენი რისხვა...
ოჯალეშით ჯიხვის ყანწებს ვავსებ,
გუნდრუკს ვუკმევ სახვალიო წინსვლას.

სწორუპოვრად ვაფრიალე დროშა -
მამულეთის სადიდგორო ბჭესთან,
კიდევ ერთხელ ვეჯიუტე დრო - ჟამს,
კუდქიცინა სირინოზი მგესლავს.

როგორც იქნა, დავაღწიე თავი
მძულვარეთის საჭილყვაო მზვერავს,
შეგნებულდ ამარიდეს თვალი,
დაობლებულ სიყვარულის მჯერა.

ავაბდღვერე დაშაშრული შარა,
მივადექი პოეზიის მწვერვალს,
უკურნებელ შფოთის ალი მზარავს,
მზის ტატნობზე გულწასული ვწევარ !

წილნაყარი

რადგან შთაგონებამ მწვერვალს მიაღწია,
რადგან ვეუფლები ღვთიურ შემეცნებას,
რადგან სიყვარული სუნთქვად მიმაჩნია,
მრწამსი არასოდეს აღარ შემეცვლება.

რადგან სიცოცხლესთან ვრჩები წილნაყარი,
რადგან ბოროტება ვეღარ მანადგურებს,
რადგან თვალწინ დგანან დიდი წანაპარნი,
რადგან შემოქმედთან მარად ვიმსახურებ.

რადგან უსასრულო სივრცეს ვეუფლებით,
წალკოტს ავაშენებთ ქვეყნის კიდით-კიდე,
აღარ შეგვაშფოთებს გმინვა შეუძლებლის,
რადგან ძმობის დროშას ცაზე გადმოვკიდებთ.

რადგან თვით სიკვდილი ვეღარ შემაჩერებს,
რადგან საჭიროა დიდი გაბრძოლება,
რადგან მოძალადეს ღმერთი შეაჩვენებს,
ღირდა ჩემი სისხლის მელნად დატბორება!

საჩოთირო

როცა ხელს აძლევს ძალმომრეობას
განუკითხავი აყალ-მაყალი,
დაძლეულია მასის მხნეობა,
გაყურსულია ზეცის თავანი.

როცა ატყვევებს ბრბოს გამიზნული
მოჩვენებითი წესრიგის ხიბლი,
არ დააყოვნებს ძილისპირული,
მისანი ახალ ცდომილებს ითვლის.

რადგან საჩოთირო მღელვარება
ისევ მომანატრებს სიმარტოვეს,
უცხო ანგელოზის შეყვარებას
ბარე ათწლეულსაც მოვანდომებ.

ვებრძვი სინანულის გაელვებას,
რადგან განვერიდე ტირანიას,
მაფრთხობს მოჩვენების შეჩვენება,
ჰიპოტეზა სულის სპირალია.

თავის დროზე

ვერ ჩამოქნის უგუნური წმინდა სანთელს,
შორს ვერ წავა მოთარეშე ბეხრეკ რაშით,
გასაჭირი ვერ წაახდენს მაშინ ქართველს,
ღირსებას რომ თავის დროზე დავდოთ ფასი.

მოკვდავთ წინსვლას როს განაგებს უნიჭობა,
გრძნობის ტალღებს მოსიპული გზა ეთმობა,
ურვის თმენა ხელს უმართავს სულის წრთობას,
ჭირს მოყვასის ძირფესვიან გამოცნობა.

თუ ყოველივე წარმავალი არის სულერთი,
მაინც არ ვიცით რისთვისღა ვწვალობთ,
მიუსაფარი, მიგდებული რჩება სულეთი,
რომელსაც ზოგჯერ დემონიც სწყალობს.

ღრუბლის ფთილებით დახუნძლული ზეცა გაკერპდა,
სისხლი ამემღვრა, წნევამ ამიწია,
ძალაუფლების ცნობიერებაში ღრმად ჩახედვა -
მარცხიან ძალადობის საწყისია.

ვისაკლისე

ამ სისხამ დილით ყვავილებმა
ისე დამათრო,
სიამით ვტირი, მივაყუჩე
გენი საავდრო.

ო, სათნოებავ, წაქცეული
როცა მიხილო,
არის ცხონება - ამიწითლო
ყურის ბიბილო.

შევცბუნდი, რადგან უზნეობამ
ისე დამჩქლითა,
სამოთხის კართან ვისაკლისე
ჯვარცმის ატვირთვა.

ტრამალს მიმოხნავს სანაშენედ
ჭაპან-კავები,
ყოველ ცისმარე აგამშვენებ
წრფელ ნეტარებით.

რადგან მიმონებს მაგ სინაზის
უტყვი ჩქერები,
უნდა დავკრიფო შენი ბაღის
ქრიზანთემები.

წამხედურობის ძალა

საოცნებოს და საჭირბოროტოს
რა გამოულევს ადამის მოდგმას,
წამხედურობის ძალა ბობოქრობს,
იშვიათია საცდურის გმობა.

იმ სამყაროში ხდება გადასვლა
იდუმალებას მზე რომ გადაჰკრავს;
განსაცვიფრებელ ენამზეობას
საყოველთაო უხმობს დღეობა.

ოდესმე მარგებს მკაცრი გამოცდა,
თუ შესაშური რამე წამომცდა,
ვიცი, სრულყოფა არ მეღირსება,
რადგან ნამგლები ვსახე ისრებად.

დაუდევრობა ღრღნის სიჩაუქეს,
გული ძარღვების თასმებს აუშვებს;
ოჯახი ეს ის ქარტეხილია -
პირადობა რომ დასეტყვილია.

კაცი

ამ მადლიანი თიხის ფიალით
უნდა დავლოცო კაცი კაცური,
ის განირჩევა ბედის ტრიალით,
მას ვერ ამჩატებს ვნება მაცდური.

მას ამუხრუჭებს ნიჭი გრძნეული,
მედიდურობის გვირგვინს არ ეძებს,
შორიდან უმზერს გარინდებული,
მედროვეების მრუდე განედებს.

სიკეთის მარცვალს თესავს გარშემო,
კმაყოფილდება თავად მცირედით,
მან მომავალი უნდა აშენოს,
მას შეიყვარებს ხალხი მილეთის.

ეჰ, მაგრამ ბევრჯერ წაიფორხილებს,
აფაციფუცებს მელანქოლია,
ის მაინც დასწყვეტს სიმწრის ბორკილებს,
დაემსგავსება სულით გოლიათს.

შეტრიალდება ჟამი ტიალი,
ავაბრდღვიალებთ ბნელეთს ნათურით,
ზედაშით სავსე ძველი ფიალით
დალოცვილია კაცი კაცური.

რაც უფრო

არ მწამს წყალობა აღზევებულის,
აკვალიანებს გრძნობები ცოდვებს;
ხშირად ვყოფილვარ გაოგნებული,
მონად ქცეული კი არასოდეს.

რადგან ამ თახსირ დღევანდელობას,
ვერ გავუსწორე თვალი ადვილად,
ეს მიწიური უსაშველობა
დაუძლევლობის ფარგლებს გასცილდა.

რაც უფრო ღრმაა მეხსიერება
და წარმოსახვის განსჯის უნარი,
გამოცდილების ზესთაზეობა
რჩება მყარი და გაუხუნარი.

რაც უფრო მხიბლავს სიმრავლე ფერთა,
მიადვილდება სიახლის ძერწვა;
რაც უფრო ახლოს მივდივარ ღმერთთან -
ნაბიჯს თამამად ვერა და ვერ ვდგამ.

მესამე თვალი

მიეფინდილა ღრუბელი ზეცას,
შუბლის ნაოჭზე ცანცქარებს ცვარი,
გონება სიმწრის იალქანს წეწავს,
მგონი მეხსნება მესამე თვალი.

ახალი ხედვის ამ სილუეტში,
საოცრებათა სიანკარეში,
ქონდრის კაცები ბრწყინავენ ეტლში,
შესციცინებენ პატრონს თვალებში.

არამიწიერ ფერთა სიუხვე
მოკირწყლულ გზების თაიგულია,
ფასკუნჯი ზვერავს ზურმუხტ ჭიუხებს,
ნიმფები ფაფუკ დავლურს უვლიან.

აშკარად ვატყობ, ვეღარ გავუძლებ
განძთა სიუხვის ანომალიას,
სად ჩაიფერფლა ჩემი საუნჯე,
რად ჩაქრა წრფელი წყვილი თვალია?!

ისე გამძაფრდა ციაგი ტახტის
ჰაეროვანი თრთის სულის ქნარი,
ეს დიადემა ქალასაც ამხდის -
თუ არ მივნაბე მესამე თვალი!

ასეა

ეჰ, მომიტევეთ, თუ რამე
ჯმუხი განწყობა აღვძარი,
ჭაობში მხარულს ცურავენ,
მიაფუჩეჩეს სამკალი.

ეს მიწიური ტალახი
ნაკრძალი ხოხვით გავხანი,
ჩამიქრა სხივი ბარაქის,
მიობებულა სახრავი.

ასეა, საჭირბოროტო
საკითხთა განზომილება -
ოდითგან მიმოხორხოცობს
არგაუშიფრავ მხილებად.

სწორედ იმ წარმოსახვაში
მზე რომ სწყურიათ ყვავილებს -
ღვინო ფუცხუნებს მარანში
და უნდა გაგიმასპინძლდეთ!

ცოდვის განხილვა

ალისფერ ტახტზე დაჯდა სატანა
და უხმო თავის ქვეშევრდომ ჭინკებს,
დუმილმა წუთი არც კი გასტანა,
დემონი ცოდვის განხილვას იწყებს:

,,როცა შევსუდრეთ შავად გარემო,
გავუწყალწყალეთ ტვინი რჩეულებს,
კაცს თვისი ხელით მახე დაეგო
და თავის გამყვლეფს ირჩევს მეურვედ.

ჩვენები იცავს კოშკის ქონგურებს,
თვალებს აჭრელებს ყალბი ლოზუნგი,
გაიძვერებს და სამტროდ მოსულებს
გათიშულობის ძალით მოვთურგნით.

მგრამ თუ საქმე გაჭირდა ძალზე
და ჩაგვივარდა კოვზი ნაცარში,
თუ ღვთისნიერი დასკუპდა სკამზე -
არ გამოდგება ხერხი ნაცადი.

მაშინ კი უნდა ვცვალოთ როლები,
ვაქოთ, ვადიდოთ მტერი მოსისხლე,
სიკეთე უნდა ვთესოთ დროებით
და საბოლოო თამაშს მოვიგებთ!..."

იუარა

საშინელია ღატაკის ხვედრი,
განსაკუთრებით სიგლახის ფონზე;
გზააბნეული, ძვალტყავა მწირი
უახლოვდება გიზგიზა თონეს.

როცა მას რამეს შესთავაზებენ
ცალყბად გამოსცრის შიშნარევ ღიმილს,
დემონიური კვერთხი აფეთებს,
თვალებს უჭრელებს ცთომილის ქიმი.

როცა მოითქვამს სულს უპოვარი
უხერხულობის ზღვარს მიადგება,
იდუმლად ხვდება უკვე დრო არის,
რომ წასასვლელად განაწყოს ნება.

ერთხელ კი ერთმა მცოდნე ვექილმა,
მას შესთავაზა თვისთან დარჩენა,
მან იუარა, თანაც ეწყინა,
რადგან არ დართო ნება გამჩენმა.

დასაშვებია

როცა გაყინულ ტვინის უჯრედებს
ლიუციფერი სოლოს უმღერებს,
აიხორკლება სხეულის ქერცლი,
აჩხრიალდება იუდას ვერცხლი.

რადგან არასდროს ფარხმალს არ დავყრი
დასაშვებია გული გამისკდეს,
ვერ ვითავისე ფარსი სარკაზმის,
ვერ მიმოვბანე ცრემლით სალი კლდე.

თუ ჩავიძირე ამ უფსკრულეთის
მწველ განშტოების ჰემისფეროში -
ჩამმდუღრავს ვინძლო, მსწრაფლ მხუთავ გზნების
ცად აკინძული სხივი ეროსის.

მამულს არ მოსწყდეს ბედის ვარსკვლავი,
არ ჩაიბჟუტოს და არ ჩამიწდეს,
აღზევდეს ღირსი მიუსაფარი,
არ ჩაიხერგოს მრწამსის კარიბჭე!

აცა-ბაცად

გაჭირდა თავის შეცნობა,
ვერ გავიაზრეთ შეცდომა,
ვიღაც ნიანგთან ერთობა,
ვერ ვაცარგვალეთ შენდობა.

ცრემლი ვერ ვწმინდე კეთროვანს,
კაცი კაცს ვეღარ ენდობა,
ვერ ვაგვირისტეთ ერთობა,
მამული თავზე გვემხობა.

რა აცა-ბაცად მივათრევ
ამ ყიამეთის ჭაპანკავს,
ჭაობში ხოხავს სიმართლე,
ღვარძლი სიმშვიდეს ჩახაპავს.

პირისპირ როგორ ვუმზირო
მოშურნესა და ავყიას,
გაქუფრდა სივრცე უძირო,
თვალში ფეტვის ქერცლს მაყრიან.

თვისივე მრწამსის საფარცხად
აასარსალეს ენები,
არ ვარ ჩვეული თავდახრას,
არც ვისმეს ვეპირფერები.

უშედეგო

ახირებული გუნება
უახლოვდება ცდუნებას,
ორაზროვანი აზრებით
გაცვდა იმედი გაძლების.

თუ არ შეგვრჩა მიწის მადლი
ქარაშოტი საყრდენს გვაცლის,
თუ ყვავილებს არ კრეფ ნაზად
სათნოება კარებს რაზავს.

ვარამს კბილი აულესავს,
დროს განწყობა დაუგეშავს,
უშედეგო გაბრძოლება
ეწირება დაბრკოლებას.

მარადისი არ იქნება
სულიერი წვა და დაგვა,
თუ ღვთაებრივ გარინდებას
განცვიფრებაც თან არ ახლავს.

ზეწოლა

გონება ისე დადინჯდა
გაეყო სულის საჯიჯგნავს,
არადა გული ოხერი
მოტრფიალეა მოლხენის.

რადგან სმენა დამიხშო
შეკივლების შეგრძნებამ,
თვალებღია ბრმადყოფილს
არაქათი მეცლება.

კიდევ დიდხანს გავუძელი
უსამართლო ზეწოლას,
არ დარჩება დაუსჯელი
ვინაც მწარედ შესცოდა.

რადგან გულმა მიყო რეჩხი
ღირდა თავის შეწუხება,
აწმყო წარსულს ისე ჰყვედრის
მომავალი მემწუთხება.

უხმაუროდ

მიმოვხაზავ წამიერ
სასიცოცხლო მკვეთრ ფერებს,
ვერ შევეწყვე ამიერ
მაცდურ მოსაფერებელთ.

მიმიჩხაპნა განწყობამ
სულიერი კამარა,
ცქმუტავს საქმის თანწყობა
ნამთხლევ ბოღმის ამარა.

სად არ მიმაცოდვილებს
საგიჟმაჟე ნაბიჯი,
შარბათი რომ მოვხვრიპე -
უხმაურუდ ჩავბჟირდი.

ალღომ მაინც ისრუტა
სასიკეთო სურნელი,
ეშმა ქეჩოს იპუტავს,
ოხრავს შვილი უძღები.

დრო და დრო

კოშმარების შემოტევა
მართლაც ნიავქარული,
ფრთების შესხმას ელოდება,
რომ მოუსვას მხარული.

სწადია, რომ იჯეჯილოს,
ამიწეწოს თავთუხი,
კმარა, ანშლაგ ათქვეფილო,
გიობდება მარწუხი.

განვერიდე, არ ვიგემე
მისეული სამსალა,
როს სათქმელი თქვა სიქველემ -
შუბლი ოფლმა ჩაცვარა.

გულგასენილს სტიმულს მაძლევს
შემოდგომის ბარაქა,
თან დრო და დრო ვიმკი საშველს,
რომ ვუწამლო არაქათს.

მჯერა

იცი, თანდათან
როგორ მიგვადნობს,
ამ წუთისოფლის
ორომტრიალი?!
არ მინდა ვდიო
დონდლო მიზანთროპს
და თავს ვირთობდე
ფუჭ ხეტიალით.

რადგან მარტო ვარ
შენეულ სითბოს,
მინდა ვუღვუვო
ოცნების კერა,
ამ სიყვარულის
ჭიხვინი მიხმობს
და სასწაულის
ახდენის მჯერა.

მინოსი მიხმობს

საქვარიანოს ციხის ნანგრევთან
ამოსჩქეფს ლაღად წყარო უშრეტი,
ცრემლიან ლოდებს ხავსი ეხვევათ,
სამყაროს ერთვის სულის უჯრედი.

ამ ჰემისფეროს დახუთულ გარსში
ლანდთა ლაციცის დასაყრდენს ვეძებ;
ჭიხვინებს რაღაც ვითარცა რაში,
ნაცნობი ჩონჩხი შემოდგა სერზე.

აქ, მარადიულ ცივ სამყოფელში
ვერ შევხვდი სულებს თანაზიართა,
ყველას ღვარცოფის დააწვა თქეში,
თავისთვის ჩხიბავს ყველა იალქანს.

მძაფრი განცდებით ლანდმოფარფატეს
მფრინავი თეფშის ქროლვა ჩამესმა,
მომიახლოვდა რომელიც მყისვე -
მინოსი მიხმობს უზენაესთან.

ს ა რ ე ვ ე ლ ა

გაცვეთილი ფუნჯით ვხატავ
გადატრუსულ ტრამალს...
რა მჭირს?! - წუთით ვრჩები სახტად,
გვამი მომელანდა.
ჯერ არ ველი დასამიწებ
აგონიის ხილვას:
უკუვაგდებ დუხჭირ ფიქრებს,
ელდანაკრავს მცივა...
დავგმობ სიზმრის აუგიან
აზრის გაელვებას;
როგორ ფარსად დაუყრია
თესლი სარეველას.

ზამთრის სუსხმა აათრთოლა
ნეკერჩხალი დილით;
ტოროლამ ხმა ვერ აუწყო
მთაში შველის ტირილს.
უმოწყალო ქარაშოტმა
გული დააბერა.
ჩიტბატონას თავს დააცხრა
დამშეული ძერა.
ავის ხილვით თვალი მტარვალს
უბნელდება წამით;
ვერ ახამებს ღიმილს დარდთან
დარცხვენილი თავი.

ზოგი ნებით, ზოგი ძალით,
წასასვლელი წავა;
გადახნულზე ნარ-ეკალი
გაიხარებს კვლავაც.

ეს ნატანჯი მიწაწყალი
არ დაიყოს ნაწილებად,
არ გაწბილდეს გენის მრწამსი,
გვიწინამძღვროს უფლის ნებამ.
შუაღამეა, კივის ტურა,
ტივი ტალღებს სერავს;
წვიმს, ყარიბი პერანგს წურავს,
ლაჟვარდს შესთხოვს შველას.
შინ მისულმა ყური უგდო
ღამურების სიცილს...
რა ქნას, მარცხმა ზოგჯერ ფიცის
გაქარწყლება იცის.
პირმშო წამწამს ახამხამებს,
ნაწნავებს შლის ღვთაება;
ქარიშხალი არტახებს ხსნის
ვნების ანეტარებას.

გადხვნამდე ალაგ-ალაგ
ფოფინებდა გლერტა;
გვირილების სინარნარე
მდელოს ამშვენებდა.

გაათმაგდა ბირკა, ნარი,
სულს ძლივს ითქვამს ენძელა...
ისადგურებს შიშის ზარი,
მრევლს მართლის თქმა ეძნელა.

რა უმწეოდ გაყვავილდა
მონაყინი ჭერამი.
სულიწმინდის განჩინების
მორჩილნი ვართ ყველანი.
დააბნელა კოხის რისხვამ
ციცქნა ციცინათელა.
ტირის ვაზი, ძალას იკრებს
სამდურავის სათქმელად.
დელგმამ უღვთოდ შეიწირა
საალერსო ყაყაჩო;
შორს, სტიქიურ აღტკინების
ზეციურო სახადო.
ზესკნელეთში უფალს შესთხოვს
ცოდვა-მადლის საუფლო,
რომ შვიდფერი ფრთა გაშალოს
ავდარს წესი აუგოს.

მეუფლება სითვალთმაქცის
მიტევების განწყობა;
მოვახურე მტირალს შარფი,
მხრებმა ტვირთი აწონა.
იგვიანებს აღსარება,
ბრიყვმა ცოდვა დამალა.

ზესხმა წვიმის ზიარებას
ერწყმის ცრემლის კამარა.
სურვილების სიხალვათე
გრძნობამ განაპირობა;
სახიფათო საქმე ელის
ზემორალურ გმირობას.
ვერ შევეწყვე, იმ როლს როცა
სევდის ბაღში მტირალი,
ღია ცის ქვეშ ისე ვხოხავ,
ვით საკანში ფირალი.
მივადექი უცნობ წისქვილს,
შევამტვრიე კარები;
მოვიძიე ჭვავის ფქვილი,
ბინძურ ქსელში გავები.

შარიშურობს ყანის ჭლექი,
იკლაკნება ხვიარა;
შეეწონა წვიმის თქეში
ნათესების იარას.
ბოროტების უარმყოფი
ჯაჭვის პერანგს იცვამს;
მეფობს მაცდურ მოლოდინის
უგვირგვინო რისხვა.

წუთიერი აცრემლება,
ვერ აყუჩებს წყენას,
მაინც მოთქვამს წყალობის ხმით
პირშეკრული ზენა.

ვით სატანა, ისე თესავს
სარეველა ცოდვებს...
მიწიერთა გულგრილობა
ჯეჯილს დააღონებს.

სად გავექცე სულშემხუთავ
მოსისინე ბგერებს;
უთავბოლოდ თუ გავცეცხლდი
რაღა შემაჩერებს;
მაშინ ვინ არ გაიგონებს
შერკინების ექოს;
შავი დღისთვის ვზოგავ ღონეს,
მოთმენა თუ მეყო.
დამარცხება არ ამცდება
თვით საკუთარ თავთან,
ერთხელ მაინც კვლავ გავჭედავ
ახლებურად ფარ-ხმალს.
თავს ვერ ვაღწევ უარყოფის
უსასტიკეს განცდას.
საწუთროსგან მოძულებულს
მახვილი არ ამცდა.
დაჭრილს მიმძიმს ყურის გდება
უთავბოლო ყიჟინის,
ტკივილზე რომ აღარ ვფიქრობ,
გულუბრიყვლოდ ვიცინი.
მაინც დაქრის შურთან ერთად
იჭვის უფრთო ქაოსი.

ეშმამ წუთში დაამუნჯა
გედი და ორფეოსი.

განსაცდელის წინათგრძნობამ
შეაცბუნა ფერია;
აირია მონასტერი,
საოცარი ხმებია.
მგონი ციდან მონაბერი
კოსმიური ქარია;
ვაი, თუ ამ ცოდვილ მიწას
სენმა ხელი დარია.

ალესილი თოხის პირი
ასამარებს ხვართქლას,
თაკარა მზის ელვარება
დააჩქარებს დაღლას.
ბრმა თამაშით უხილავი
იხლართება ქსელი.
ცოდვა მადლის ფრთები იწვის,
მესია ვერ შველის.
მიწიერთა თანშეწყობის
მოციქული ფლიდობს;
მოვხსნათ სარკმელს დარაბები
ბრბოში გავითქვიფოდ.
აციმციმებს ნუკრი თვალებს,
წერო წყალზე დახრილა;
შეაჭრელა არემარე
მოღაჟღაჟე აპრილმა.

აუარა რემამ გვერდი
ჭაობების სანახებს.
მხედრიონის შლეგ ასპარეზს
დროის ჩარხი განაგებს.

ბევრმა ლაღად მიითვალა
გამორჩენის წუთები;
წუთისოფლის სივაგლახე
არ დარჩება უთქმელი.
ღრუბლიანი ღამის წყვდიადს
მთვარე ვერ ხსნის ფარდებად;
ძილგამკრთალი ველი ცისკრის
ფერთა ათინათებას.

მზესუმზირის სულთამხუთავს
ნამგლის წვერი ედება, -
უტიფარი კელაპტარა
დილის ცვარს ღვრის ცრემლებად.

ბაღნარში მწირი კარავი,
რომ აიშენა ბრძენმა,
გაითავისა მზარავი
ამქვეყნიური გვემა;
იწყო ცთომილთა ცდომის
სიაშკარავის ხატვა...
და ნაირ-ნაირ ფერებს
ქაოსში ნიავს ატანს.

ო, რარიგ შესაბრალია
უძლეველობის მნდომი;

კედელზე მცოცავ კალიას
ობობა თვალით წონის.

თუ გამართლდება ოდესმე
ესქატოლოგის აზრები,
რა საოცარი იქნება
ფინიში ცაში ასწრების.
რა საშინელი იქნება
რევა ზღვისა და ხმელეთის,
კაცი ღვთივ ჩაესვენება
ზეაპყრობილი ხელებით.

დამუნჯებულ ხევის მიღმა
ჭყივის ყვავის ბახალა.
მწირი ყოფის დაგესლილმა
სივაგლახემ დაღალა;
თქვა: ,,ბოგანოს ხვედრის გამო
სულს ვერ ვუნთე სანთელი,
ეჰ, ამდენი ცოდვის მერე
ცოცხალი ვარ, - არ ვკვდები"...

თუ სიცოცხლის მოძულება
ასპეტაკებს ყოფის არსს,
სიკვდილის ღია თვალები
უკვდავება ყოფილა.

თავთავნაყარ ყანაში
სარეველაც ბიბინებს;
საკლავს ვიძენ და ნადი
ხვალისთვის დავიპირე.

ამ სამყაროს უძირო ზღვას
ელის განა დაშრობა?

წუთისოფლის ნათელხილვამ
ცაში უფრთოდ დამტოვა.
ძალას ვიკრებ, რომ გავუძლო
გაწბილების სატკივარს;
სამარტვილოდ განწირული
რეტდასხმული დავდივარ.
ავდრობედით ცდომას მარქმევ
ძალდანატან წილისყრას;
თაობებმა ვერ მიაგნეს
საარაკო თილისმას.
დამკვიდრებულ შიშით ლუღლუღს
ვერ მივაწერთ ღვთის რისხვას,
კოსმიური სიოს ქროლვა
შეიფერა თბილისმა.

ღრღნის იონჯას გულის ფიცარს
უსახური აბრეშუმა;
დამშეული ხარირემი
სათიბისკენ გაეშურა.

როგორც ვერთერი, ვნებით გართული
შევუერთდები აისის ნიავს;
ცრემლი შეერწყა სპეტაკ სასთუმლის
ყელმოღერებულ ნაზ იდილიას.
ვეძებ სიყვარულს, ბუნების მაყარს;
იასამანმა დაძაბა სმენა,
სიმი აკვნესდა, ელვამ დაკვესა,
სულს ღვთაებრივი სურს აღმაფრენა.
ნაპირს მიაწყდა ზვავის ნამქერი,
შიშს მგვრის დამღლელი ტალღა და ჩქერი,
მუხლებს ბანს ქარაფს შლეგი ჩანჩქერი,
ნავი დავაბი, ტრამალს გავცქერი...

როგორ დაობლდა ძველი შიში
მარტო დარჩენის...
ბირკავას ქირქილს მუხის ჩრდილში
ძლივსღა ვამჩნევდი.
წამოვიმართე ვით მოჩვენება
წაშლილ საზღვრიდან,
უსასრულობის ცივი ქარი
საყრდენს მაცლიდა.
რატომღაც ბოლოს ვერ ვიწამებ
უებრო ბედის...
და მზამზარეულ მცდარ სიამეს
გავუნაწყენდი.
უხამსი ჭერი მართლაც
დროზე დასანგრევია;
ახალ კარავში დარჩენილა
ძველი კერია.
ახალი ფერი შეაგუა
ფუნჯმა ქაოსებს;
უცხო მტრედებმა მზის ჩასვლისას
ფუძე დალოცეს.

ტრამალს დროებით გაემიჯნა
სიმწრის ვაება,
პარაკლისს ვუხდი ძველი სიზმრის
გარდაცვალებას.
ხრიალა მოვსპე ორღობეში -
დავღვარე ოფლი.
ღამის ქარაგმის დავრდომილი
მეხოტბე ცოფს ყრის.

ჟამთა ტრიალში ვიწროვდება
რკალი ცდუნების...
და უჩინმაჩინ კუბოს ფიცარს
ვეორგულები.
მზის ნაბოძები ნაპერწკალი
გულს ესარკება;
დავიღვენთები ტკივილიან
ფიფქის ლაქებად.
მკათათვეა და საფრთხობელა დახავსებულა.
ამბიონისკენ ნაბიჯს ითვლის
მონა მეფურად.
ამაოების მეგზური ყეფს და
გველი სისინებს;
ფიქრის თარეშით გახურდა კეფა,
ვერ ვგრძნობ სიცივეს.
დემონმა კარი დაალუსკუმა,
შხამი შემასვა;
ის გაძვირებულ ნიღაბს დარაჯობს, -
ელის ზეასვლას.
კვლავ დაგესლილი სიმარტოვე
მივიღე მდგმურად.
ყრუ სარკოფაგის სიყუდროვე
მეუდაბურა.
მეზმანა, როგორ ვეურჩებოდი
ღმერთების შვილებს;
ამ გოლგოთიდან იესოს ხმობით
ვცნობ სიდუხჭირეს.

გაუშრა ნერწყვი გაშეშებულ,
თავჩარგულ ეშმას;
ეკლის გვირგვინი უფსკრულისკენ
წაიღო თქეშმა.
მიდის და მოდის ღამურების
გუნდი გოდებით,
ჭირისუფალი შეძრულია
ძველი ცოდვებით;
იდუმალ დადვა ტახტრევანზე
მესვეტემ გლერტა.
მამალი ყივის, შაბაშს ითხოვს
მზაკვართა ჯგლეთა.
ბოლო ეღება ღამის ნაკვებ
ბრმა ისტერიას.
რიჟრაჟის მაცნე ფერიები
უცხოდ მღერიან.

უხამს სიზმარში გაავებულ
შერისხულს ვგავდი;
უფასურდება ნაჩქარევად
განსჯილი მადლი.
ცხადს დაეკისრა შეაგუოს
დარდი სიამეს;
ბორძიკ-ბორძიკით ბეწვის ხიდი
გადავიარე.
თვალს მჭრის ვერცხლისფრად მოსარკული
ტაძრის გუმბათი;

ფრესკების ჯადომ გამოკვეთა
ლანდი სულმნათი.
კანკალებს კოჭლი ფანტაზიის
ბედკრული ჩონჩხი;
ვუახლოვდები საკურთხეველს
მუხლებზე ხოხვით.
საკმევლის ბოლი ნაზად არხევს
სულის მანტიას;
განსაკუნავად ცრემლებს ვწირავ
შობის განთიადს.

გახუნებია ანაფორა
ავ-კარგის მაცნეს;
ეკლიან ბილიკს უგზო ტყეში
როგორღა ავცდე.
ღრუბლის ფთილები შეეცადა
შვიდფერთან შერწყმას;
დარის მეუფემ ანგელოზი
პარნასზე შესვა.

ცივ სანაპიროს მიღმა
უხსენებელი სივის,
ბზრავს სარკმელზე ყინვას
გამოღვიძების სხივი.
განკითხვის ჟამზე ვშიშობ,
სინდისის ქენჯნას ვუფრთხი.
შორს, დასასრული მიხმობს
მოუკირწყლავი ქუჩის.

შეაშრა სნეულ გულმკერდს
სისხლისმიერი ოფლი...
არგაწბილების სხივი
წამოსადგომად მყოფნის.
უხსოვარ საფრის მიღმა
ხრიოკის კვნესა ისმის;
წუთისოფელი ცურავს
არარაობის ნისლში.
ცხადის ცთომილებს ერწყმის
სახე ახალი სიზმრის....
ვერხვის ჭიანი ფესვი
ალის გარეშე იწვის.

დაისის ქარს შეაგება
სარეველამ ყლორტები.
ჩონჩხი უსტარს ეტმასნება -
ჟამით დანაოსები.
საუკუნო ურვა რჩება
ღვთის და კაცის წინაშე;
გულსაკლავად გათენდება
აგონიის წინა დღე.

1989

ქვარიანწოლი

ვით შევძლო

მაშინებს სიშორე ვარსკვლავთა
და მთვარის სიცივე,
ჩიტების ცქრიალი დამთავრდა,
დაბნელდა, იწვიმებს.

დახშულა დარაბა ანაზდად,
ვეახლე თბილ ბუხარს,
სტიქიამ კარები ჩარაზა,
ვთბები და თან ვწუხვარ.

ჩამთვლიმა, ვიხილე ჭინკების
მაცდური გალობა,
გალაღდნენ ადამის შვილები,
ეროსი სწყალობდათ.

ნიმფებმა ლაჟვარდი გასანთლეს,
თვალს ვერ ვწყვეტ, მიზიდავს...
რით გავძლო, ვით შევძლო წასვლამდე -
ცას ვეძმო მიწიდან!

ექო

უფალი განსჯის და განაგებს
წყალობას მადლიანს...
ტრამალის ასაცრელ სანახებს
ფაფარი აშლიათ.

ქარაფმა გამოსცრა ყარიბის
უმწეო ექო და
ამ დილის სისხამის ნამიც კი -
საცრემლად მეყოფა.

ნაბიჯი კანტი-კუნტ შეეწყო
სანუკვარ ხვაშიადს,
ლაჟვარდმა აღლუმი მოუწყო
მერცხლების აშრიალს.

თანდათან დაეტყო სიწითლე
იმედის ჩანასახს...
არტახის ახსნა თუ ვიტვირთე -
გულში მზეს ჩავხატავ!

მივათრევ

ეჰ, როგორ დაგვშორდნენ მოძმენი,
შორეთში დათრთიან...
ჩამკვდარა სურვილი მოლხენის,
ხევს ძონძი აცვია.

მივათრევ უფსკრულის პირამდე
ნიღბიან სილაჩრეს...
ეხ, ნეტავ თავს როგორ ვიმართლებ
სინდისის წინაშე?!

მეზმანა, მისტიურ ფრთიანმა
ბოძალი მომართა...
ნაბიჯის აღრევა ნიადაგ
ბიძგია კოშმართა.

საზარლად მოისმის ნაწრთობი
ჯაჭვების ჟღარუნი...
მომწყურდა ურთიერთ არგმობის
სტიმულის ზღვაური.

ვერარა

საოცრად შეჰყივლა მამალმა,
ბუმ კანჭზე იკბინა...
უკუნი ძალუმად აშმაგდა,
სიახლის სიმწრიდან.

აფრინდა ნაკრუხი ხოხობი,
შეერწყა განთიადს...
სტიქიას, საავდროდ მოფონილს,
ფაფარი აშლია.

დავძარი კარეტა ნამყოდან,
ტაიჭმა იმარჯვა...
ფოცხვერი ბექობზე ახოხდა,
ვაელვებ მინანქარს.

წუთიერ იმედის მაშხალა
დილის სუსხს ვაკვესე...
ვერარა ხალისი და ძალა
ვერ მოშლის საკვნესებს!

როგორღა

მილეთო, როდემდე ვუსმინოთ
ამაო ლაყბობას?
ჩაგრულმა როგორღა ითმინოს
ღირსების ჩაქოლვა!...

ზოგზოგებს მეტადრე აშფოთებთ
ძვირობა ამგვარი,
არადა კერიებს დაშორდნენ -
კოშკებში ამძვრალნი.

ზეგარდმო შემოდეს კუდები
დაბღილულ ყავარზე...
უტიფარ სიბილწით უძღები
ჩაადნა სავარძელს.

ოდესმე, იმგვარად დაკვესოს
ცარგვალის ბრიალმა,
ცდომილთა აურა ასხეპოს,
აყუჩოს იარა!

როს ვეღარ

საზღვრები მიმოხნეს შლეგურად,
შინდები ოხრავენ...
მირონი სამზეოდ ეპკურა
ნაომარ ყორღანებს.

როს ვეღარ იბარტყებს ტბორები
ავდარი ბაცდება...
ნებივრობს მსუნაგი ზმორებით,
ღადარი ნაცრდება.

აფითრებს მიმწუხრის ფერები
ნაღვლიან სახეებს;
ჯალათმა აწმინდა ხელები
სისხლიან სახვევებს.

იფხიზლე, გაბედე ქართველო,
მჭვარტლი რომ ახვეტო,
უფალმა პირჯვარი დაგვწეროს -
მყოფადის საბედოდ!

ოდითგან

რთვილივით მოედო გარემოს
სიყალბის თილისმა...
წიქარა ნამქერში ჩაემხო,
იბღავლა სიმწრისგან.

ო, როგორ თახსირად გაისმა
შოლტების გნიასი...
ნისლები ახვეტა დაისმა
უკუნის წიაღში.

პირქუში საღამო გაყრუვდა
ტურების წკავწკავით...
ურჩხულთან მოქიშპე ფასკუნჯმა
შეისხა აბჯარი.

კარგა ხანს გასტანა ქუხილმა,
ქარაფმა იწითლა...
ოდითგან, დანა პირს უღრღნიდა
უაზრო სისხლისღვრას!

რაც უფრო

ნავარდობს თვალჭრელი მიმინო,
თან ბრჭყალებს აკვესებს...
ყარიბი იწილო-ბიწილობს
უხიაგ საკვნესებს.

ოსტატმა გარანდა აკვანი,
ღიღინებს, ხელმარჯვობს...
რაც უფრო შეიგრძნო თაყვანი -
საწუთრო ვერაგობს.

შარაგზას ვეროდეს მოკირწყლავს
საწუწკე სარკაზმი,
კალოზე სვავი რომ მოფრინდა -
გახელდა ნაგაზი.

გულდაგულ ვაფრქვიე ქარაფებს
ალები სახვატე...
მაინც ის თვალები მადარდებს -
რაიც ვერ დავხატე!

სიხარბე

ვარსკვლავთა მალიმალ ციაგი
აღონებს ღამურას,
რამეთუ სატანურ იაზმის
ტალღებში დაცურავს.

მიფოფხავს დაჭრილი ფოცხვერი,
წელს ძლივსღა მიათრევს,
მიმქრალან სხივები ოცნების -
სანუკვარ დილამდე.

რა მოგდის მოკვდავო, მზის მნათზე
რატომღა ვერ თბები?
ბალაგნის ჩეროში სიხარბემ
გაიდგა ფესვები.

თვალთმაქცებს ოდითგან უქიათ
სიკეთის არცნობა,
გულზიზღად ენთხია დუნიას
სიბილწის განვრცობა!

არა

მივცურავ მისტიურ ხომალდით,
ბობოქრობს სტიქია,
თითქოსდა მეზმანა სომალი,
წუთს-წუთზე ითვლიან...

ო , არა, გამოჩნდა ნაპირი,
წარმტაცი ბუნებით,
სამეფოს დაჰყურებს არწივი,
მიწიურ ცდუნებით.

ო, როგორ თამამად დაძრწიან
მცონარა მსუნაგნი...
გულს უღრღნის ბერმუხებს ასწლიანთ
ციყვების ბუნაგი.

გაუვალ ჯუნგლების განწყობამ
ისარი მოზიდა...
მტრედმა კი - ბარათით მაცნობა
მარცხი იმ სოფლიდან.

მეგონა

ზეგარდმო მოედო სახადი
გაფხორილ ელიტას...
მინელდა შიშხინი ბადაგის
წინაპრის ქვევრიდან.

ვინ ვის რას სთავაზობს, ავანსობს,
იზრდება მაზანდა,
ვინ ცრემლით გუგები აღავსო,
ვინ კი - ვის ჩაბარდა.

მაინც რა, რა ხდება ამ ოხერ
წკვარამის წყვდიადში,
თავთუხის ღიოფი ახოხნეს,
ჩათუთქდა ხმიადი.

შემთხვევამ ოცნება თვისებრივ
ხლართებში გაბარდა...
მეგონა რაღაცას ვიწყებდი,
არადა დამთავრდა!

შეზღუდვა

ცარგვალზე რომ მოწყდა ვარსკვლავი,
ღრუბელი ჩაფარცხა,
მთვარემაც დაიწყო ღანცალი
კოსმიურ საფართან...

რატომღაც, საერთოდ ძნელია
განწყობის განსაზღვრა,
თუ გინდ, რომ სიკეთეს ელიან -
მსჯელობენ ცალსახად.

რამეთუ შემთხვევამ შეზღუდა
ყოველმხრივ გაგება...
თუ სივრცეს ვერ ერწყმი ერთგულად
სულეთი ბაცდება.

მაგრამ არ შეწყდება აროდეს
იმ ხიბლის ზმანება -
მიღწევის პეწი რომ კმაროდეს
მომავლის თავდებად.

საწუთრო

შეაშრა ტბორები ავდრებით
დაღარულ ცის თაღებს;
სამოთხის კარებთან შევჩერდი,
ხელი ვერ შევახე.

მეწადა, მამული მენახა
ქარვისფერ ვენახად.
ვეცადე, ვარდების გვირგვინი
დამეწნა ხელახლა.

ლუკუმში ვაელვებ ჩირაღდანს,
თავს არ ვთვლი ყარიბად...
ამაო ვედრების მირაჟი
ზღვას ერთვის ტარიგად.

მცემს, თავზე მემსხვრევა გრიგალი,
ვით ბროლის ფიქალი...
ვეშვები ცხოვრების მორევში-
საწუთრო იქ არის!

საამოდ

ო, როგორ გიჟმაჟობს თვალები
მიწიერ ზმანებით,
შენეულ თაკარა დარების
მაალებს წამები.

რამეთუ სახატედ გიგულე,
ავსანთლე ვნებანი,
ამ ოხერ, დასაძლევ სირთულეს
ავძერწე ლებანი.

წიწვოვანს რა ნაზად ადნება
ფიფქების ფანტელი,
შორეთის დასაძლევ ნათქეშარ
მიწურში გავძვერი.

ავყევი ძიების მარულას,
ვისრუტე ბინული...
მალე კი - საამოდ დამდუგავს
ეს ძ ი ლ ი ს პ ი რ უ ლ ი...

აგვწაპნა

მობეზრდა გარემოს ყორნების
ავყია ყრანტალი...
მიმწუხრდნენ უმშვილდო მცხოვრებნი
ტურების ტანტალით.

საკბილოს ძებნაში სულიერს
აუტყდა კანკალი...
საომრად წამომდგარ მუმიებს
ემსხვრევათ ფარ-ხმალი.

უხიაგს გოლგოთის წინარე
გაუდის ზღართანი...
აგვწაპნა მქუხარე მდინარემ
ანწლების ნარნარი.

შემაჭკნა ხელებში ვარდები
გზადაგზა წანწალით;
საწუთროს არ შვენის ამდენი
ჭმუნვა და ჯანჯალი.

ფერთაცვლა

გვერდს უვლის წამიერ განცხრომას
ზნეობის საუფლო,
ყარიბმა ვნებების დაცხრომას
კანდელი აუნთო.

მომღიმარ ნაძვნარში შეიჭრა
კოცონის სილურჯე....
სასოთა ნათლობის ერთ ინჯრად
ბრიყვიც კი იყუჩებს.

ეამა ვენახის ცრემლები
აქოჩრილ ყოჩივარდს...
გაცრეცილ ფერთაცვლას ვეცლები
აღრენილ სოფლიდან.

ეჰ, მაინც საიდან სადაო -
აღმომხდა მთვლემარეს...
მინდა, რომ ცას ფარდა ავხადო
და საწმყოს ვზვერავდე!

შეაშრა

სიმწრისგან ქვა-ქვაზე დანაყეს
მორჩილმა ბერებმა...
მოკვდავი შეადნა საწადელს
ღაჟღაჟა ფერებად.

ო, როგორ უმწეოდ ჩაღამდა,
იალა სანთელმა...
ჯაშუში გისოსებს ჩაბარდა
წარსულის საკვნესად.

შეაშრა ცრემლები გაზაფხულს
მომავლის თანხვედრად...
უბირი ბიძგებით გამჭვარტლულ
ღრუბლამდე აღზევდა.

თითქოსდა კოშმარი ჩაბჟირდა
მოწყვეტილ ვარსკვლავად,
თაობა მიწიერ საფიცარს
მირაჟში განკარგავს!

ემწუთხა

დამშეულ ზმანებით ბახალა
პირს აღებს ჩქარ-ჩქარა,
აქაფდა საავდრო სამსალა,
ნატბორი დამზრალა.

ყვავილებს მიაწყდა ფუტკარი,
ემწუთხა ჭრიჭინას...
გრძნეულმა წუწუნა მუშტარი
ქეჩოდან იფრინა,

დრო და დრო ხალასი ბუნება
არაფერს არ მალავს,
ფასკუნჯმა იჩქითად უყელა
გედების კამარას.

არწივმა გულნაკლულ დახედა
შესუდრულ ჭიუხებს,
ფაფარი აეწნა სახედარს,
საცაა იქუხებს!...

ძნელია

აი, რა საოცრად მღერიან
ფრთამალი გუნდები...
ვიღაცას, სადღაც კვლავ ელიან
სურვილით უძღებით.

კვლავ, ისევ სასაში რჩებიან
სიტყვები უთქმელი,
ძნელია, იპოვო ძნელია
მეტყველი გულწრფელი.

რამეთუ შენამდე ვაფრინე
საზღაპრე ნარნარი,
თუ სულის ღადარი ვაღვივე -
ხვაშიადს დავფქვავდი.

ჰოდა, თუ ინება განგებამ
საამო კუსკუსი,
რიჟრაჟის სურნელი ჩადნება
ვერხვების ფუსფუსში!

კურცხალი

ფიქრები, ამდენი ფიქრები,
ნაგვემი სიზმრებით,
თუ თანხვედრ თამამად ვიქნები
ვნებით აღვივსები...

ო, მაგრამ შემბოჭა ზმანებამ,
ვბანაობ წუმპეში,
რამეთუ ბორძიკობს გაგება,
ვით ვპოვოთ ნუგეში.

ვით მივყვე წუთიერ განცხრომის
იშვიათ დინებას?!...
არადა, ხან ისე დავბრკოლდი,
ჭირს აბოგინება.

ა, უნდა მოვსინჯო, გრიგალი
თუ როგორ მაკვნესებს...
ცინცხალი საწყვილო კურცხალი
შეერწყა საწვეთელს!

ვერ შეკრა

ფრიალებს ნისლების ზეწარი,
ტოკავს ცის დარაბა,
ყოყმანებს ნასხვისი მერცხალი,
ვერ შეკრა კამარა.

თითქოსდა მოსწყინდა აივნებს
მტრედების ფუსფუსი...
საცაა, ჯაგარსაც აიღრენს
შემცბარი თუქსუსი.

გამოკრთა სილურჯე დროდადრო
ნაბეგვი ნიღბების,
მედროვემ ყეყეჩი შეამკო
სატანურ ტიტრებით.

არ შევდრკი, შენამდე მოვყვები
დაგეშილ ქარაშოტს...
ეჰ, კაცი იმითაც ცხონდები -
სინდისს თუ დარაჯობ!...

უცხო ხმა

დამფრთხალი ქორბუდა ირმები
მიაწყდნენ ქარაფებს,
არც ისე გულმშვიდად მივყვები
უღრანის სანახებს.

დაღლილი ტაიჭი ფრუტუნებს,
ახედა ბერმუხას,
აქ დამხვდურ, ღვარძლიან თუქსუსებს
უცხო ხმა ემწუთხათ.

შენიღბულ კარდაკარ ხირიმზე
ციყვები ნავარდობს...
ეხ, ისევ საფრისკენ მიბიძგებს
ღრუბელი საავდრო.

განწყობას მიფუჭებს ძალუმად
ნადავლის სიმცირე...
ვარამი თუ აღარ ჩაყუჩდა -
სულეთი იწივლებს!

სადა ხარ

იელვა, იმედის სხივია,
თუ ბინდის ლამპარი?...
რასა ვიქმ, თუ მაინც ჩივიან
ვნებანი ჩამქრალნი!

მოარულს თან დამდევს ნაღველი,
გნატრულობ დღედაღამ...
რადგანაც არაა მნახველი -
ვით გპოვო ხელახლა.

უდაბნოს ტრამალი ტორტმანებს,
არ უჩანს ცას კიდე,
ტალღები უაზროდ მატარებს,
აფრები გავკიდე.

ვცახცახებ, უფსკრულში ვკიდივარ
ჩაძირულ კიდობანს...
სად დარჩი, სადა ხარ, მივდივარ -
გავურბი ფლიდობას!

გვწყურია

გულ-ღვიძლი აეწვა ღვარცოფებს
უფსკრულის ძგიდესთან;
უსასო კივილი აშფოთებთ
ზენაარ ნიმფებსაც,

ჩარეცხა, ჩალეკა სტიქიამ
ტერასა თავთავთა...
ნიღბებს კვლავ აშკარად იცვლიან,
როს შფოთი ჩათავდა.

თამამად ჩაებნენ ფერხულში
კასტები მლიქვნელთა,
გამძაფრდა ზურგსუკან ერთურთის
ქილიკი თავკერძად.

გამარჯვდა მრუდ-მრუდე თითები,
გონება გალიგვდა...
მითები, გვწყურია მითები,
რომ ვიშვათ თავიდან

ხორხოცი

ზოგჯერ ის, რაიც რომ მადლია
გვბოჭავს და გვაწამებს,
დროდადრო ბრდღვიალა მანტია
ამშვენებს ქარაფებს.

დასჭექა ნაპირმა იხვების
ავყია ხორხოცი,
ამ ბუღში, კაცი ვით მიხვდები
ვინ როგორ მოცოხნის.

იმგვარად ჩაცომდა სტიქია
ხევს ეჭდო ტიხრებად...
ჭალაში კვიცები იცდიან -
მარულა იწყება.

მრავალი უკვალოდ ეცემა -
ფინიშის ბოლომდე,
სახელიც კი აღარ შერჩებათ
ბევრ ჭკუის კოლოფებს!

ჩაბჟირდა

შესტირის ნაზამთრი შროშანი
ნატყვიარ აივნებს...
ძაძებში ჩამცხვარი კოშმარი
თვალს ძნელად აიხელს.

ჩაბჟირდა ხავხავა ღრუბელი,
აეწვა ქუთუთო...
სადღაა ღაღადი სულგრძელი,
უმწიკვლო, უმუხთლო.

ჭიატებს გოდოლის სარკმელი
ნაძრახის გადაღმა...
კვალდაკვალ ნაკურთხი საკმევლის
სურნელი აკმაზდა.

ფაცერი ლოქოს ვერ დაიჭერს
ღრმად თუ არ შეტოპა...
ნანატრი სამოთხის კარიბჭე
მეშორა საგრძნობლად.

ისრუტა

იყუჩა, პირფერის სიაფთრემ
სიქველის შემყურემ...
ობოლი ნამჯას ძლივს მიათრევს,
დასტვინა ბეღურებს.

ქვემძრომთა გნიასი გამოკრთა,
ისრუტა დუნიამ...
დაბნეულს, შემცბარს და სამოძღვრავს
კენკრებსაც უთვლიან.

ვერა და ვერ შეძლო მოკვდავმა
საცდურის დაგმობა...
თავკერძა მეურმე მოქანცა
მოყვასის არხმობამ.

გაჭირდა საჭრეთლის გარანდვა,
შეყოვნდა მარჯვენა...
ჯიხვის რქა ასწია თამადამ -
ბახუსის სახედნად!

მოგვმადლე

რაოდენ კეკლუცობს კერპების
ნაწრთობი მშვენება;
აცმუკდა დაზაფრულ გენების
ბლუ შემოთენება.

დაეტყო ქაფიან ნაპირებს
ფარფატი ფარვანის...
ო, ამ პილწ, პირღია თახსირებს
გაუდის ზღართანი.

არ გვინდა ამდენი ვიში და
ვარამის თუხთუხი,
ყარიბმა ნამგალი იშიშვლა,
შეცბუნდა თუქსუსი.

ა, მაინც მხრებზე არ ეცემა
ორპირი ავყია...
უფალო მოგვმადლე შეგნება -
შენდობის ქარტიად!

შევტოპე

ო, როგორ სწყურია მკურნალი
ლოგინად ჩავარდნილს,
იმგვარად აალდა ბუხარი
ჭერს ხინჯებს აკაწრის.

რაოდენ გამძაფრდა მოთხოვნა
თვითმავალ ყავარჯნის,
გადიქცა თვინიერ ოხრობად
არსობის თავანი.

ხანდახან ერთურთში მერევა
კოშკი თუ კარავი,
ჩაქცეულ სულეთის შენებას
გაუცვდა ჯავარი.

ეჰ, მაინც შევტოპე, ზვირთების
მქუხარე ღვარცოფში,
რამეთუ მძვინვარებს ფიქრების
განვრცობის ტატნობი.

მიჩქმალეს

მაჟრჟოლებს მომაკვდავ საგნების
უმწეო ღნავილი,
საცაა ვულკანებს ჩავცდები -
ხურჯინით დაცლილით.

მივენდე ქარბუქის სიჩქარეს,
ცახცახებს ცანკვილი,
დევებმა გრაალი მიჩქმალეს,
ზარნაშო გაჰკივის.

ღრუბელმა აღრენილ მეტეორს
გამოსდო ხელკავი...
ო, როგორ უკმეხად ელფერობს
ქოთქოთი წელკავის.

ვერ ავცდი შერაცხულ გარემოს,
ჩამქოლა სიხარბემ;
აკორდი მაინც არ დამეხშო,
გულდაგულ ვიფხავლებ!

ნაადრევ

ოჰ, რარიგ ჩატოპა სიწუწკემ
ჩაგრეხილ ჯურღმულში,
კალოზე დრო და დრო იხუვლებს
ბრიყვების ურმული.

ნისლების წინარე გამოკრთა
ნიღბების ფრიალი;
წკვარამის სიშმორე აფორდა,
ეს ოხერტიალი.

არ მინდა, ნაადრევ ჩამოვრჩე
ქარავნის დინებას;
უფალმა, მიწიერ სამოთხედ
ჯახირი ინება.

ხოდაბუნს ჩაწყვიტა საკინძე
ღვარცოფის დინებამ,
ვარამის წკარუნი ავკინძე
შევერცხლილ სიმებად.

ჩაღამდა

გაწბილდა, დაედო სიფითრე
მოარულს კარდაკარ...
სისხამზე, რომ ვეღარ ვიფხიზლეთ
სულეთში ჩაღამდა.

მოედო ხავსი და ბარდები
ნასისხლარ ტერასებს;
დროულად ავანთოთ კანდელი,
ვიგემოთ ზედაშე.

რამეთუ, ვეროდეს ამართლებს
დათრგუნვის განვრცობა,
ჭირვეულ, სალოსურ შარადებს
ვაჟღერებ საწრთობად.

უფალმა, შეგვმატოს მხნეობა
ზეობის საწინდრად;
ფერიამ გათელილ ხეობას
ცრემლები დასწმინდა.

სათუო

ვფართხალებ, ვით ბარტყი ობოლი,
დაღლილი, ფრთამრუდე;
ვერ ვპოვე ზღაპრული გოდოლი,
რომ ვანდო საუნჯე.

ფერების ურთულეს ჭიდილში
ბრდღვიალებს სამყარო;
ვცდილობ, რომ უაზრო ფინიშთან
ნაბიჯი დავთვალო.

იმედის მაშხალად ვერ ვსახე
სათუო მიზანი;
ბოროტის განზრახვას ვერ ვამხელ,
მტერი ვერ ვიცანი.

განახლდა თამაში საზარი,
გაღვივდა ხანძარი;
სიტყვათა უჩინო ლაშქარი
საომრად დავძარი!

არ შედგა

როდესაც ემწუთხა ბაასი
გაშიფრულ რენეგატს,
იფრქვევა აზრები ხალასი -
იშვიათ ფერებად.

რადგანაც უაზრო სიტყვების
არ შედგა მარულა,
თანდათან სისხლისგან ვიცლებით
უსასრულ სასრულად.

ეს ჟამი ქარიშხლის სადარი,
ელავს ვით ზღაპარი...
ო, ისე აენთოს ცარგვალი -
ჩაფერფლოს ავთვალი!

რამეთუ ბეჩავი ესწრაფვის
სანუკვარ სარბიელს,
ბერებმა მისტიურ სპექტაკლის
მანტია არწიეს.

ჩაიქცა

დახტის და ცხვირს გვერდზე იბზუებს
უბირი კალია,
შეერწყა ამ ყოფით სირთულეს
მწერების არია.

მათ თითქმის შეიგრძნეს თვისივე
დღემოკლე ვაება,
ტურა კი კარგა ხანს იკივლებს
წყვდიადის თავდებად.

მხოლოდღა თვალებით ნავარდობს
მიხრწნილი არწივი,
მოკვდავი აქუჩებს დანაზოგს,
ჩაიქცა გზაწვრილი.

ქარტიას ამაოდ დაათრევს
სიქველე სარანგის...
ცრემლები შეაშრა ნაადრევ
გაწელილ პანაშვიდს.

ჭაპანი

ო, როგორ უტიფრად დაგვცქერის
ცალთვალა კოშკურა...
ცანცქარებს ღრუბლების საცერი,
ვარსკვლავიც მოცურდა.

ოსტატმა შემართა მაშხალა,
ფერებმა დაკვესა,
მეთევზემ ბადია გაშალა -
საცდურის საცეცად.

ყარიბმა წუთიერ ივარგა,
ჭაპანი განასკვა;
ჟამთასვლა სათუოდ ინახავს
ნატყვიარ ფარაჯას.

იმგვარად მიმოხნა ყამირი
მომავლის ზმანებამ,
ხაფანგში გაბმული თახსირის
ღირს გადაფასება!

უაბჯრო

ოცნების არარა საფირი,
ვერარა იმედი,
შენეულ ხვაშიადს დავტირი,
კენკელა სიმებით.

რა მოხდა, ასე რამ შეგცვალა,
არც არა ისმინე?!
მიმაჩნდი უნეტარ მზექალად,
ვლოცავდი სიწმინდეს.

იფეთქა მიწიერ თაკარამ,
შეგბოჭა, შეგბოლა;
მამხედრებს ცდუნების ნაღარა
უაბჯრო მებრძოლად.

დაეწყოთ ცახცახი კელაპტრებს,
უკუნი მიხრიკებს,
ვეროდეს მოვკირწყლავ შენამდე
დაკლაკნილ ბილიკებს!

დაფდაფი

დაეშვა ქარაფის ქვემორე
გრძნეული კენტავრი,
თითქოსდა მონუსხულ მეომრებს
შეასხეს ქერძაფი.

რამეთუ, ელიან შეძახილს
მისტიურს, თავნებას,
განგაშის დაფდაფი ესწრაფვის
მზის ატორტმანებას.

მყოფადის ცხონდარში დარჩენას,
ვინ აღარ შენატრის!
გამოკრთა მომხვდურის მარჯვენა
თივთიკა კელაპტრით.

ვითომდა დროებით მიყუჩდა
საბრძოლო მაზანდა,
ხვალინდელ ზმანების ფიტულმა
სარდალი დაზაფრა.

დროული

მომძლავრდნენ დაისის ტალღები,
აჟრჟოლებს მებადურს...
იმდენად ჩაფითრდა ღაწვები -
დაეტყო წყენა გულს.

რადგანაც სინაზე იმარჯვებს
შენეულ განცდისა,
განწყობა, სინდისის წინაშე
დამოძღვრავს საფიცარს.

შეგნება ფეხს მყარად იკიდებს
მოსილულ ნაპირზე...
ნატანჯი, დროული სიფხიზლე
მზაკვარსაც აკვირვებს.

ეჰ, მაგრამ მსუნაგი ვერაგი
რას აღარ იკადრებს...
ჩათუთქავს ნამწვავი კელაპტრის
კოპწია მინანქრებს.

ჩამორჩა

მშვენივრად მოირგო მაცდურმა
საცქმუტი ნიღაბი,
ნაწრთობი პირმოთნის სამდურავს
ვბუტბუტებ პირდაპირ.

რადგანაც ყოველთვის სტკიოდა
სიმები სიფრთხილეს,
აისის არწეულ სიოდან
წიკწიკში ვიფხიზლე.

იმდენად იმძლავრა ნისლების
ფარფატა ქოთქოთმა,
საწადელს როგორღა მივწვდები -
არა ჩანს გოლგოთა.

ქარქაშში ხანჯალი ცანცქარებს
ნატოკებ ხელითა...
ჩამორჩა წინაპრის ნაკვალევს
დამფრთხალი ელიტა.

აურა

უღელში გაჯიქდნენ მოზვრები,
იგემეს შოლტები;
ვჯახირობთ, სანამ ვართ ცოცხლები -
ბოღმებად ვფოფრდებით!

რატომღაც ვეღარა ვიცილებთ
ქედმაღლურ სტიქიას,
თანხვედრი სცენარის სიბილწე
ჩამღრძალი ჩიხია.

დააცხვა ქარტიის გრაგნილი
ნაფეთქებ ლიანდაგს,
მამული გვირგვინზე გაცვლილი
გვაკვნესებს ნიადაგ.

ეჰ, თუკი ნებიერ ჩამითრევს
მიმნდობი თვალები,
აურა არ უნდა განივთდეს
სულიერ ზმანების!

ერთ მუშტად

ოდითგან გაისმის ღაღადი
ერთ მუშტად შეკვრისა,
არადა ღვარძლს რომ ვერ ვმალავდით
განგებამ შეგვრისხა.

აწმყომ, ხომ იმდენად აშმორა
სულითის ფირები,
ვეღარ გრძნობს ღრძო ტყავის გაძრობას
ბაყბაყა მილეთი.

კასკასა მომავლის საწინდრად
ვიწამოთ მოყვასის,
უფალი, რადგან არ გაგვწირავს
სიკეთის ფორას ვზრდი!

აშფოთებთ უკუნის ჯურღმულებს
ერთობის ღაღანი;
ცოდვისგან დაბღილულ კოშკურებს
დასცვივათ ფარ-ხმალი!

ბურუსი

აცივდა, ცახცახებს ყაყაჩო,
გაფითრდა პირიმზე;
დაღამდა, შევცბუნდი ზარნაშოს
შემზარავ კივილზე.

თუ სწორად ავხსენი სიზმარი,
დღეს ველი ჯავრიანს,
აშფოთდა, აყეფდა გრიგალი -
ეს გლოვის ზარია.

განგების განზრახვა ასრულდა,
წვიმს და წვიმს დღედაღამ;
ღრუბელთა ამგვარი მარულა
აროდეს მენახა.

მაჟრჟოლებს, ფარფაშებს ბურუსი,
თვალს ვხუჭავ ცრემლიანს;
ამ ღვარცოფს თუ ისევ გადვურჩი -
ცის კართან მელიან!

თორემ

ნაბიჯსაც კი ვეღარ ვზომავდი
ბურუსში ჩაფლული;
ო, რარიგ აშფოთდა ქოფაკი,
დაძრწის და დაყმუის.

დაძმარულ გარემოს მხარს უბამს
ტურების კნავილი,
ქორბუდამ ჩირგვებში გაქუსლა,
წაკწაკებს ვამპირი.

მოაწყდა ლტოლვილთა ბანაკი
ჩახერგილ შარაგზებს;
მამულო, მტრის ჯიბრზე გამაგრდი,
შვილები დარაზმე!

თორემ ჰა, გალიგვდა კერია,
დაყვითლდა სამკალი...
სულები ოსანას მღერიან -
აურის კანკალით.

ჩამთავრდა

სიამე წუთიერ ჩქამების
ცეცხლად და მდუღარედ...
აი, რა ხლართებში გავები -
ღვარცოფი მქუხარებს.

რას ვიზამ, შემკერა ცდუნების
ზერელე სიქველემ;
ტლაპოში ხელს მშვიდად ვურევდი,
ამფსონებს ვიფერებ.

ჰოდა, ა, გარემოს დაეტყო
ნახირის ბღავილი...
აკვნესდა ნაღარა საერო -
ჩათუთქულ არიით.

არადა, არ გვაწყობს ამგვარად
ვარწიოთ ჰამაკი...
იცრემლებს, სისხლის და ჯვრის ფასად
უზნეო არაკი!

არ ფასობს

საგრძნობლდ გაიღო ევროპის
ცანცქარა სარკმელი,
კოსმიურ თანხვედრას ვჩემობდით,
ნაბიჯით სარკვევით.

თან როგორ შეერწყა ლაბირინთს
გულღია ფართხალი,
ზარნაშო კვლავ ისე გაჰკივის,
ჩაფორდა სამკალი.

არადა, არ ვიცით რას ვეძებთ
ბალაგნის ნანგრევში,
გონების დასახვეწ საცეცებს
ჩაბალახს ვახვევდით.

იშფოთა, იმძლავრა ჩორიკის
წუმპეში ფართხალმა...
არ ფასობს, ვინ როგორ მოიმკის
ნასხვისარ ჩალხანას.

ვით შევხვდეთ

შეყოვნდა გზამკვლევის ციალი
დელგმამ რომ ითქეშა,
ღრუბელმა ორმხრივად ტრიალში
სასეტყვოდ იხვნეშა.

აჩქარდა ბორკილის ჯანჯღარი
ქარაფის წინარე,
იფხრიწა ტალღების თავშალი
შავტუხა მდინარემ.

ეჰ, დროზე თუ აღარ ინათა
მაშხალამ აისად,
ვით შევხვდეთ, იმ ლომგულ წინაპართ
ჩანაცრულ გაისად!

უფალო, მოგვმადლე მარადჟამს
მეობის ზეობა;
ოცნების რიჟრაჟი აქნარდა
იშვიათ სერობად.

სიწრფელე

შებინდდა, ზერელედ ვიგრძენი
ნაკაწრი ჰანგების,
თითქოსდა მომძლავრდა სიზმრები
რაკუსის თანხვედრი.

იშვიათ ჯავარმა გაბადრა
სიწრფელე ღაწვების,
შენეულ ცრემლების სასანთლავ
მორევში ჩავდნები.

ჯერ კიდევ არ არის თავთუხი
სიმწიფის ზენიტში,
მტაცებელს ღანცალს ვერ დავუშლით
ჩახლეჩილ გენის ხმით.

საცაა, სატურნი კომეტას
ვერძისკენ უბიძგებს,
ოი, რა იჩქითად მოეჭრა
ფარდები კულისებს.

თავნება

როს შიშის შეგრძნება იელვებს
ჩათქორავს განწყობას,
ტალახში ფართხალებს სიბეცე
წკვარამის საცნობად.

როცა მსწრაფლ აენთო გონება
აკვესდა ბგერანი;
მიწიერ შენიღბულ ცხოვრებას
ვერ ასცდა ვერავინ.

თანდათან აშტერა მოკვდავი
კეკლუცმა ზმანებამ;
აწუწკდა წყვდიადში მბორგავი
ცთომილის ვაება.

იარას მზის გულზე იშუშებს
თავკერძა თავნება,
ნაზამთრალ ბელტების სილურჯე
ჩაფარცხეს ხარებმა.

გოგმანის კადრი

ეზოში გაბმულად გაისმა
ფინიას წკავ-წკავი,
სარკმელთან განასკვა აისმა
ფაფუკი ნაწნავი.

ზემორე ფრთამალად დაჰქრიან
ცანცარა გვრიტები,
ოთახში გოგმანის კადრია,
სინაზით ვივსები.

მეამა თაკარა ოცნების
საამო სურნელი,
სისხამის სადარო ლოცვები
არ რჩება უთქმელი

გამოდი, ძვირფასო, გამოდი,
გულს გული მიებას,
გველიან წალმები სამოთხის -
სათრთოლე მთიებად!

აეწვა

სულში რომ იფხორებს ავსული
მოქუფრულ ავდრებად,
ბრმავდება საწყისი სასრულის
უმწიკვლო ზმანება.

სეტყვამ რომ ჩაცხრილა ვერხვები -
სადღაა ყაყაჩო,
კოსმიურ ნაბადში ვეხვევი
ქარიშხლის სასაზღვროდ.

ო, როგორ აეწვა განთიადს
მგლის ხროვის ყმუილი,
უფსკრულში გვედებოს ჩაცლიან
სარკაზმულ შხუილით.

ქარებმა დაყნოსეს ყალიონს,
მოთოკეს აფრები,
ათრთოლებს გაბადრულ ალიონს
ნისლების ფარფლები.

უძღებნი

წკვარამის ზეგარდმო ფრიალებს
ცოდვების სუდარა,
ყამირებს დაკოჟრილ იარებს
ღვარცოფი უღადრავს.

დაწყევლილ კოშმარის სიმძაფრე
დაეტყო სახეებს,
დაგესლილ ბგერების სიბარტყე
განწყობას ატყვევებს.

სატანის დამქაშებს ღრუბლები
ტურტლიან ფეხს ბანენ,
მისტიურ სურნელით უძღებნი
ვულკანთან შეხამდნენ.

ათქეშილ სისხლების წვიმები
ჩატბორავს შარავანდს...
გარიყულ სულეთის სიზმრები
ათქვეფებს სალაფავს.

აფიცხდა

მეზმანა, სამყარო იშლება
კოსმიურ კასტებად,
დრო და დრო მოსახდენ კირთებას
ვერავინ ასცდება.

შორეთის ვარსკვლავი მიღიმის -
იმიერ დარანად,
არ მინდა დავნებდე სიკვდილის
ფარფალა ფარვანას.

ადგილზე დანდგარი არ კმარა,
ხვაშიადს ვემდური,
რადგანაც დუღს სისხლი ანკარა
იხუვლებს მხედრული.

იკვესებს წკრიალა ფანდური,
განწყობა ხვავდება,
აფიცხდა საჯიშე დავლური
მომავლის აფრებად!

აბორგდა

დუმილი როდესაც განივთდა
ვერ ზეობს განწყობა;
ცრემლები გამოკრთა ხატიდან,
ღვთის მრწამსის საცნობად.

ო, როგორ აბორგდა მილეთი,
ვინ ყბედობს, კაპასობს,
ვინ ქვეყნის მამობას იკვეხნის,
ვინ ჯილდოს გვთავაზობს.

ავყია, ბრიყვი და თვალთმაქცი
გულმკერდზე მჯიღს ირტყამს,
უზნეოთ გულგრილად თვალთვალის
შეგრძნება მიჭირდა.

ბელივით ბეჩოში ჩაცუცქდა
გარეშის შემყურე;
ნიავი მოცარულ ტაშს უკრავს
ნაღვლიან ბეღურებს.

ნაჭდევი

შემორჩა სამრეკლოს გუმბათზე
ქარიშხლის ნაჭდევი,
კვარცხლბეკის კიბესთან ცრემლს ვაფრქვევ
ვარამით ნაგვემი.

გვლოცავს და ნაკურთხ წყალს გვაპკურებს
სპეტაკი მოძღვარი,
მრევლის სულს აჩნდება წარუშლელ
სიკვდილის კოშმარი.

ლაბირინთს ათბობს და აშუქებს
ფრესკების ხატება,
მომავლის ბილიკებს გავყურებ,
თოვლი მთებს ადნება.

დასრულდა წირვა და ბოლომდე
ჩამოდნა კანდელი...
აფხორებთ გესლიან ობობებს
ქარიშხლის ნაჭდევი.

თავს დახრის

მომრავლდეს თვინიერ ნაფერი
ღვთიური ღაღადი,
ჩაცხრება ღიაფი სხვაფერი
სულიერ აღმართის.

ყარიბო, თუ გულში ჩაირჩენ
საწადელ ხვაშიადს,
ოცნების შევერცხლილ ხალიჩებს
უშენოდ გაშლიან.

ვერ მოწყვეტ აქოჩრილ ბაღნარში
ვარდების სინაზეს,
ჩაშმორილ სამსალის ნახარში
იფუვლებს დილამდე.

არ შედრკე, ხომ მაინც ხმაურობ
რაღაცის ჯინაზე,
თავს დახრის, საცდურის საუბნო
სინდისის წინაშე!

სახადი

მეზმანა ნაკურთხი სულების
ციური ღაღადი,
მითრევდა ტალღები ცდუნების
ცეცხლოვან სარკაზმით.

ვაი, თუ განივთდეს მყოფადის
სიცხადის სახადი...
ეჰ, რარიგ ამაოდ ვშფოთავდი,
ჩავცომდი, ჩავფლავდი.

მოენთო დაკვარჩხულ ქარაფებს
სვავების ხავხავი,
ღრუბელი ნაღარას დაათრევს
ტატნობში ჩაშლამდი.

ერთ ყამირს როგორმე გავკვალავ -
საფლავის გათხრამდი,
დაღმართმა თავდახრით მატარა
უფანჯრო სახლამდი!

დამტუქსა

ჩამთვლიმა სალოცავ ნანგრევთან,
მთვარე თვალს აცეცებს,
ღრუბელი ადგილზე გახევდა,
ბუ ციცქნის ნამცეცებს.

დამტუქსა უკუნის წუთიერ
ნათების ფიგურამ,
რამეთუ საწუთროს ვუთრიე
ბნელეთი ხილულად.

დიდხანს ვერ მივყევი ღორღების
აწყვეტილ სიანცეს,
ბოლომდე შემორჩნენ მოგვები
წყვდიადის სეანსებს.

ჩავყუჩდი, რიყის ქვის კუთხეში
სიზმრებში ჩამცხვარი...
ფერიამ ჩამისვა უბეში -
ფარფლების ცანცქარით.

მივანდე

ეჰ, რარიგ ძნელია შენდობის
წინასწარ განსაზღვრა;
შემთხვევას რომ ვეღარ ვენდობი
ხმის ექომ ჩამზაფრა.

თან როგორ შეფარვით ხითხითებს
მქროლავი აჩრდილი,
აკვნესდა განწყობა ნისლისფერ
ჩელტებში ჩაჩრილი.

ო, ისე თამამად თარეშობს
ჭილყვავი ავყია,
ნისლებსაც ცახცახი დაეტყოთ
და აფრებს დახრიან.

ეხ, მაინც ქარაშოტს მივანდე
ცანცარა სიმარდე;
არხილულ განკითხვის დილამდე
სულს ჯვარი მინათებს.

არ უნდა

წარსულის ზნეობრივ დაღმართის
ბილიკებს ვშორდებით;
თითქოსდა გაჯერდა ლაჟვარდი
სისხლიან დროშებით.

ვის აღარ შეზარავს სატურნის
თაკარა ქირქილი,
ქარცეცხლის ცის ცრემლით დამხვდური
მთვარის ლანდს მისტირის.

აშფოთებს ფარფლების შეტრუსვა
გაფხორილ ფარშევანგს;
თუ ავი განზრახვა შესრულდა
ხმა უღვთოდ დაშთება,

რამეთუ, არ უნდა ჩამოწვეს
ისეთი უკუნი -
ეშმა რომ შავ ფარდაგს ჩამოსწევს
ნაცადი წუწუნით.

ზერელედ

მაშვრალი ვერ მივწვდი მწვერვალებს,
შემცბარი ღიოფით,
ქარაფის ნაპრალი მთვლემარებს
ხავსების სიობით.

იმგვარად დამფრთხალი დავხოხავ
ტრამალის ნაპირზე,
უწრთობი განწყობის საოხრავს
ტატნობზე ვაფიცხებ.

ეჰ, გულში სინანულს ვაქსოვდი
ჩახვეულ მძივებად,
საწუთრომ უჯრედის სათრობი
ანცობა ინება.

რამეთუ, კვლავ ბეწვზე ჰკიდია
ცხოვრების აკიდო,
მანტიას ადვილად იცვლიან
მკლავები სასხვისო!

გზაწვრილი

ჩათვლიმა მთაწმინდის აჩრდილებს,
აცრემლდნენ მთიები,
წარსული არ უნდა გაწბილდეს
მომავლის გზირებით.

ეამა კლარნეტის ჰანგები
მოქანცულ მიზანთროპს,
გამართულ მარხილის თასმები
მწველ სივრცეს მიაპობს.

მესვეტეს ემძიმა ღრუბლების
ნაწუწი ნისლები,
უთქმელი სათქმელის უფლების
წინაშე ვფითრდები.

ფრიალებს ხვალინდელ ქელეხის
შავტუხა მანტია,
გზაწვრილში საერო ბერები
ხეს ტოტებს აჭრიან.

ჩაყუჩდა

სულეთის საუფლო გვახსენებს
შეწირულ ზვარაკებს,
ნიმფები ფიფქებში ახვევენ
საფერებ არაკებს.

მითებით შემკული წარსული
სერობას აგრძელებს,
სინოდი მორჩილად თავს უხრის
წუთიერ საკვნესებს.

გაისმა ფუტკრების ზუზუნი,
საამო, სავარდო,
მიყუჩდა უკუნის ზლუქუნი,
მერცხალი ნავარდობს.

ზეციურ მსჯელობას ვესწრები,
ფიქრებით დავნაყრდი,
შემოდგნენ გორაზე მწყემსები -
ნამატით ამაყნი.

უნიღბო ლაზათი

დაფოფხავს სნეული ღამურა
ჯურღმულში მკვნესარე...
გლეხკაცმა ბადაგი ჩაწურა,
აკვესებს კვესაბედს.

ჩაბჟირდა ღამეულ ზმანების
უნიღბო ლაზათი...
შორეულ იშვიათ ჭალებში
კენტავრებს ვკაზმავდი.

დროდადრო აურას მიკაწრავს
დემონის ბრჭყალები,
უფსკრულის დაჩორკნილ ფიქალთან
მარწუხში გავები.

ლამის და ავხადო სარქველი
ზესკნელის სარკოფაგს...
იღება აისის სარკმელი
მისტიზმის სათმობად.

შეზავდეს

შეშვენით თამამი ნავარდი
ზეციურ სხეულებს;
ლმობიერ გუმანით ვნამავდი
გაფხორილ სნეულებს.

ო, რარიგ კოპწიად სრიალებს
ნამქერში მარხილი;
ეხ, ჭაპანს ზერელედ მივათრევ
ხერგილთან ჩაცლილი.

სეტყვისგან დაცხრილულ აფრებით
ზეგანზე დავეშვი,
ნისლების ალყაში ჭადრები
ჩაყუჩდნენ შავებში.

როგორმე იქნება შეზავდეს
ფირუზი ხმელეთთან,
შარაგზა ივარდებს შენამდე
ბრდღვიალა ფერებად.

წარსულის სხივი

ვლოცულობ, ჯეჯილი ბიბინებს,
მივდივარ ლასლასით;
დამღალა სათქმელის სიმძიმემ,
დუმილთან დავზავდი.

რას ვხედავ, ვარვარებს ლაჟვარდი,
მეტეორს თავს ვუხრი,
ვკანკალებ, მუხლებზე დავვარდი,
დააცხრა ჟამს მწუხრი.

რატომღაც ცხადად ვგრძნობ, სულ ახლოს
ურჩხული ბინადრობს;
ჯანდაბას, ღვთის რისხვამ დალახვროს,
მწადია მივაგნო...

ბილიკის დასასრულს ვიხილე,
სულს ღაფავს ავსული;
ტანჯული ცხოვრების სიმკვირცხლე -
სხივია წარსულის!

ჩამოვკრავ

ქარბუქი ყურებში ჩამბზუის,
გაქუფრდა ყორღანი,
მიყუჩდა ონავარ ფასკუნჯის
ავყია ოხვრანი.

დააცხრა ღრუბლების ჯირითი
გზამრუდე მეტეორს,
მგლოვიარ ლაჟვარდის წილისყრის
განწყობა მერყეობს.

დღევანდელ დაწყევლილ ყიამეთს
ამაოდ ვექადნე,
კარვამდე როგორმე მივაღწევ,
ჩამოვკრავ კვესაბედს.

მომესმა ნაგაზის ყეფა და
შემმატა ხალისი,
ეჰ, უკვე საკმაოდ შეღამდა,
თქორია ბაცი ცის.

მიმქრალი

გათანგულ ფერთაცვლის ხილვანი
სივრცეში დახანდა,
კეკლუცობს თვალთმაქცი ხმის ჩქამი -
მიმქროლი კარდაკარ.

მომაწყდა ფიქრების ქარტია,
ავლესე ბგერანი...
საცაა ჩვარს ყელში ჩამჩრიან,
მოცელეს მერანი.

ცრემლ-სისხლის ნაზავი საცნაურ
ეამათ ველურებს,
მიიღებს თვისებრივ საზღაურს
ჩაქოლვის შემყურე.

ოდითგან გულდაგულ რაღაცის
დაძლევას ვლამობდი,
აჩრდილებს ხომ მაინც ვკაწრავდი
გაწალდულ საგმობით!

მით უფრო

მიწიერ ზმანებით ჩავკორტნი
წუთიერ განცხრომას,
რამეთუ გუმანი არ მყოფნის
მტერ-მოყვრის საცნობად.

ამგვარი განჭვრეტის ფიასკომ
ჭანჭიკი გაჭედა,
ცოდვაა, ბრიყვი რომ გნიასობს
ზნეობრივ სასჯელად.

არადა, ნაკლებად ხმიანობს
ნაბიჯი ტალანტის,
თავს აქნევს ნასხვისი იაბო -
მათრახს რომ გავაწნი.

ეჰ, ვარამს როდემდე დავაძღებ
აპრეხილ წარბებით,
მით უფრო არ ვნაღვლობ არაფერს -
ხშირად რო ვმწარდები!

არ იშლის

წვიმებით გაჟღენთილ ანეულს
ჩაულპა სამკალი...
არ იშლის ლაყბობას შეჩვეულს
გულფიცხი სარდალი.

მზე თუთქავს უწმაწურ ფერიებს,
სიბილწე ახმახობს...
ცხადია, ვით სცრიდა მერიებს
სიკვდილის თარაზო.

არადა, ვით იღწვის ოდითგან
რობინის ისარი...
დომხალის სითქვლეფე მომწყინდა,
მემწუთხა ცის ნამი.

რამეთუ, ნიშნავდეს სინათლეს,
იმ თრთოლვის ღვთაება -
როცა რო ქვესკნელში მიგვათრევს
გულღრძოთა ვაება!

კვლავ ჯიქურ

გაცვეთილ ქილიკის წინარე
თავი თუ დახარე,
მომხდური თილისმას იმარჯვებს,
ჯურღმულის საკვამლედ.

რა მოგდის მოკვდავო, იღვიძე,
მამალმა იყივლა,
დასეტყვილ განცდების სიმძიმე
განკვეთე ფიქრიდან!

თორემ ა, მიმწუხრის ფერებმა
კვლავ ჯიქურ იმარჯვეს,
გაქექილ თვალთმაქცთა ფერება
ინისლებს, იავდრებს.

მერე კი ჩამოჰკარ განგაშის
საკაწრი ზარები,
მითიურ ზმანების სახნავში
საუღლედ ჩაები!

აღმასვლა

ნაპირზე შეება ოფოფებს
ნაგვემი გველთევზა;
ხელხვავად გაუყვა ორღობეს
ხურჯინი სეფეთა.

აღმასვლამ უღრანი დაფერთხა
უვარდო ეკლებად,
სულიერ განწირულ არსებას
განცხრომა ეფეთა.

ლანდებმა ჩამოხსნეს ფარდებად
ღრუბლების მანტია,
განგაშის გრუხუნი არ ცხრება,
ტერასებს ჩასცრიან.

ნაღვლიან ტატნობზე გამოკრთა
ვარსკვლავის ნათება,
ბერმუხა ზეზეულ ჩამოხმა -
შენატრის წაქცევას.

ნათლად ჩანს

შემოქმედს, არ მინდა შევჩივლო
ამ ყოფის რაობა,
რამეთუ ფაქტა მერჩივნოს
დარბაზთა მრავლობას.

ნათლად ჩანს, ვერ ვცვალე ნუგბარში
კერკეტი კაკალი,
ნელ-ნელა ჩაიწვა ქურაში
უბირი არჯალი.

ვინ იცის, განკითხვის სამსჯავრო
სად გასცრის საუნჯეს,
იქნება ისარი ვამჭვალოთ
ღრუბლების ნაკუწებს.

ეჰ, იქნებ საერო ერთობას
სიმები ავუწყოთ,
მესიამ მოკვდავთა შენდობით
შემოსა საუფლო!

მეტადრე

შევიგრძნე რამეთუ სპეტაკის
მხურვალე პათოსი,
სიკეთის განვრცობას ვესწრაფვი
ჩაშმორილ აწმყოში.

ჩაადნა ქარაფის ნაპრალებს
ამაო მცდელობა,
მედროვეს მეტადრე ახარებს
მოსყიდულთ სერობა.

პარტახის რიყის ქვის სანახებს
დასჩხავის ყორანი,
მოაწყდა მდინარე ქარაფებს,
არა ჩანს ბორანი.

ბეჯითად თუ ყური მივუგდეთ
წინაპართ გულისთქმას,
სინდისის ღადარი იფუვლებს,
მუხანათს კუპრი ნთქავს!

საავდრო

მესანგრემ იმგვარად შეიგრძნო
სისხამის სურნელი,
ბუნება დაკოჟრილ ხელს ითბობს
საავდრო ცდუნებით.

მხედრები ლაყბობენ, დაობენ,
აცქმუტდა იაბო,
ოდესმე შევიგრძნობთ რაოდენ
უაზროდ ვგნიასობთ.

მივყვები გუშინდელ ნაომარ
გამჭვარტლულ ბილიკებს,
ალქაჯი არ იცვლის ნაფოფხარ
წარსაწყმედ მიმიკებს.

დავსტირი ნატყვიარ ხარის ხმით
მხილების სიობლეს,
დამფრთხალი საწუთრო არ იცდის,
უჯრედს ვერ ვიოკებ!

დუღს

მავანმა ჭახრაკად მოირგო
სიწუწკის ნიღაბი,
უღრანში იმგვარად კორიფობს
დუღს ხვატი სიმდაბლის.

სამყარო განგებამ შემოსა
საოცარ ფერებად,
ავსულმა მოკვდავთა ზემოსვლა
უკუნში შერეკა.

ყარიბმა თანდათან დახვეწა
საცდურის სიანცე,
რაიც რო საფლავში საკვნესად
დააწვა წინაპრებს.

ო, როგორ ძალუმად ვიფერებ
თავდახრილ სიწითლეს,
აუწვა ქუთუთო სიქველეს
სახადის სიფითრემ!

დაღმართზე

ნაომარ დაღმართზე ჩამესმა
ხრიოკის ხრუტუნი,
ღვარცოფმა თხილნარი ჩაკეცა,
ჩამოწვა უკუნი.

ლამისა ტალახში ჩამრჩება
უწრთობი ნაბიჯი,
მრწამსი რო ადვილად არ ცხრება
მტრის გმობას არ ვიშლი.

იმგვარად შევყევი პირუკუ
ზეგარდმო დინებას,
განგებამ კიდეც რო მიმუხთლოს
ჩავხანჯლავ დილემას.

რამეთუ მიწიერ ზმანების
მოთოკვის შეგრძნება,
წუთიერ სულიერ გაყვლეფის
დაძლევას ედრება!

ვერ ვსახე

გამრიყა გაყვლეფილ ტრამალზე
ჩანჩალა ყიალმა,
ბოღმა თავს ადვილად ვერ აღწევს
დახორკლილ იარას.

ო, ისე დახატა ავსულმა
მირაჟის სიობლე,
თავთავი ვერ ვსახე ზრდასრულად,
გული ვერ ვიოხე.

უღრანი რა უცებ დალაშქრა
მშფოთვარე მარტორქამ,
ბუღმა რო ლაჟვარდი დაკაწრა
სულეთში ჩამოცხა.

იქნება გენებში ჩავკირო
ქარაგმის ჯავშანი,
დროა, რომ აორთქლდე ვამპირო -
ღრუბლებში წაშავდი!

დალოცვა

ვით განსჯის მოკვდავი ცოდვა-მადლს
ჩაკეტილ სივრცეში,
სტიქიამ წელკავით მოჩვარა
განწყობა სიშლეგის.

ლაჟვარდი როს ძლივსღა იმეტებს
აისის ნაპერწკალს,
სიხარბის ავხორცა სიბეცემ
სიკეთე ჩაცენცხლა.

მოისმის ღამეულ ქვითინის
ნასხლეტი წიოკი,
მიწიერ ჩაქოლილ სიწმინდის
მინელდა ღიოფი.

ოცნების ფარფალა კარუსელს
ხმის ექო ჩავჭიდე,
ზენაარ დალოცვა საკურთხევ
საერო საჯიშეთს!

ნიადაგ

ჩაბურდა განწყობის თარაზო
ცანცარა ქმედებამ,
ჭალის პირს ბერმუხა დარაჯობს
ფლორათა მშვენებას.

ყვანჩალავ, ეს რამდენს ჩხავიხარ,
გარემო აჩმახდა!
ჯიქურად შეება ხარი ხარს -
აცრემლეს ჩასახნავს.

მიყუჩდა ქორბუდას ბღავილი,
შეთხელდა ფაუნა,
კარდაკარ უჩუმრად ჩაივლის
სისხამის აურა.

ნისლებში ნათლად რომ არა ჩანს
საყრდენი წერტილი,
მოკვდავი უპოვარ სალაფავს
ნიადაგ შესტირის!

რას ვუცდით

ენთხევა გესლი და ღვარცოფი
ჩაცხრილულ ტრაქტირებს,
საერო განძი და ნაოფლი
ჩათვალეს, ჩაკვირხნეს.

ო, როგორ აყმუვლდა ქაოსის
ავყია მსტოვარი,
გაჯიქდნენ წუთები გამოცდის -
ცრემლ დასათოვარი.

არ მინდა, დრო ვკარგო იშვიათ
ნუგბარის ძიებით,
მახვილის აღმართვა შიშია,
შეცბუნდნენ გზირები.

წაბილწა, ჩაგესლა გუმბათი
ურწმუნოს სისინმა,
რას ვუცდით, დავსჭექოთ სულმნათი
სულების ყიჟინა!

ვისთვის

ფერია ღრუბლებმა ჩამოსვა
ნაკურთხი ზეციდან,
აგზნებულ მიწიერ სამოსავს
მირონი ეწრიტა.

ეჰ, ვისთვის ელვაა ცბიერი,
ვისთვის კი ღადარი,
ენძელამ იზაფრა იელის
ძმარმჟავას წანწკარი.

ზერელედ ვტოკავდი სრულქმნილი
არსების სახვამდი,
სისხამზე მომწყურდა გულთბილი
სიმშვენის ლაზათი.

წამიერ გაკვესა ძვალ-რბილში
საოცარ ცდუნებამ,
ვარსკვლავი ალმაცერ ნამკვირცხლი
მზეს ეკურკურება.

ვერ ვამხელ

ვერ მისწვდა სანუკვარ სილუეტს
თვალთვალი კამკამა,
ეჰ, ხშირად იმგვარად ვიყუჩე
სიფხიზლემ დამღალა.

ვერ ვამხელ, თუ როგორ ვეწამე
ნაგრძნობით ნაგვემი,
ნისლების დაცინცხლულ ზეწარზე
ათქორდა ნაღველი.

კვალდაკვალ დამყვება ამ სიმწრის
ფარფაშა სიმძაფრე,
განწყობა სულიერ დაცლილი
სინდრომით ვიკაწრე.

ამგვარი სიობლის სინაზე
ეამა ჩანაფიქრს,
არადა შინაგან სიანცეს
არ უხსნის დანა პირს!

სამხილი

ვერ ვსაზღვრავ, თუ როგორ მერგუნა
მთვლემარე ბოგინი,
დაღრეცილ უღელში შებმულმა
ვისხლეტე ორპირი.

ნუთუ, ვერ ვისრუტავ ვეროდეს
ღვთის მცნების ნათებას?!
ჯიგარი ჩაუღმა ჰეროდეს
მყოფადის საყეფად.

დასერა კოსმიურ ლახვარმა
მამულის საზღვრები,
ღრუბელმა ტატნობი ჩაფარცხა
მიმწუხრის ღვარძლებით...

მოედო ნამწვავის სამხილი
მარაბდის ხევხუვებს,
თავკერძულ ნაჭუჭში ჩასვრილი
ბაზალეთს შეჰყურებს!

მადლია

როცა რო კვარცხლბეკზე ხმიანობს
არარას მაქნისი,
გაუცვდა ღიოფი დიალოგს -
ლამისა გავსხვისდით.

მედროვემ დროზე ვერ იწვნია
შეყეფა პოეტის,
განასკვილ განწყობას ფითრიანს -
უღიმის შორეთი.

მაგრამ - რა მარχვენა შეამკობს
ჩახერგილ ღრანტეებს?!
ზარნაშომ დაჰკივლა ეშაფოტს,
ბრბოს რისხვა აშტერებს.

შემოდგა ქარაფის წახნაგზე
ზნეობის მესვეტე;
მადლია, იმგვარად დავმარცხდე,
რომ მივწვდე ევერესტს!

მომრავლდა

ჩაღამდა ნასიმწრი ზმანება,
ამტვერდა გზაშარა,
თახსირი ფერხულში ჩაება,
პირფერობს აშკარად,

ო, როგორ გაწბილდა სამზეოს
სიცხადის განწყობა,
დროა, რომ ურმულმა დასჭექოს
უპოვართ საწრთობად.

რამეთუ დაბდურთა ყურებით
ვარსკვლავიც მჭვუნვარებს,
აინთოს მხურვალე გულები
ბალაგნის წინარე.

თორემ ჰა, მომრავლდა უსიერ
მომხდურთა ფარფაში,
უმგვანთა ანშლაგი მუსირებს
ეროვნულ ნაკრძალში!

შოლტის ფხა

განვუდექ შექების ბარაქას,
წუწკსა და მიწიერს,
სიყალბის ხუშტურმა დამზაფრა,
შოლტის ფხა ვიწვნიე.

თითქოსდა დაყნოსა მომხვდურმა
ჩამუხვლის შეგრძნება,
თაკარამ მოლი რომ მოხრუკა
მგელს სუნთქვა ეძნელა.

ხიფათის შემყურე ქორბუდა
მაინც არ ისვენებს,
მძორსავსე ჭიუხებს მოსწყურდათ
ყვავ-ყორნის სიბერე.

სულ მალე ღვარცოფი ჩაითრევს,
ყამირის ყორღანებს,
ნიმფები აისის ნაკისრებ
სიფიცხეს ოხრავენ!

იმდენად

სისხამზე მოედო გარემოს
მიხაკის სურნელი,
მწადია, თვალებში ჩაგხედო -
სითბოთი ულევით.

ტალღების ნარნარის დახვეწა
რადგანაც ძნელია,
ვნებათა განვრცობის საწნეხად
ქარაფთან გველიან.

იმდენად მხარს გვიჭერს ბერმუხას
ტოტების სიდინჯე,
არ ვცდილობ ნაგრძნობის შეფუთვას -
ხვაშიადს ვიშიშვლებ.

შემადნა მთრთოლვარე ბაგეზე
მაყვალის სიმწიფე,
არ მინდა განწყობას გავექცე -
თამამად ვხითხითებ.

ზვარაკად

როს ორგულს ბარდება ხელდასმით
ალალი ნაოფლი,
მეშხურა ნაცრემლი კელაპტრის,
იოგებს ვაწრთობდი.

ბრმა განსჯის წიაღში გაკვესა
ჩაქოლვის შეგრძნებამ;
ყორანმა ლეში რომ ჩაცენცხლა
მყინვარწვერს ეძგერა.

ვერარას გამორჩა ამჯერად
გულფიცხი ფოცხვერი,
კენტავრი ბუჩქნარებს დასჯერდა,
ორეულს მოწველის.

ძონძროხა აქლემმაც მოცოცხა
სტიქიის შემყურემ,
მითიურ ზმანების სალოცავს
ზვარაკად ვეპკურე!

ვერ გასცდა

ტალღები უმზადებს საკბილოს
ცანცარა თოლიებს,
მზე წველის ტატნობის საფირონს,
ემწუთხათ ორგიებს.

ვერ გასცდა ჯურღმულის ამბიონს
ნაფიცთა ქარტია,
ჯუნგლებში გათქვეფილ მაყრიონს
კოჭებში ასცრიან.

ფასკუნჯმა გულდაგულ დასჭყივლა
ხავსიან ქარაფებს,
ნიმფებმა ღაღადის საფიცრად
აურა ჩარაზეს.

თუ ოდეს დაადგა საშველი
ამ ეულ განწყობას,
სნეული მირაჟის თავკვერი
იანცებს საწრთობად!

ამაღამ

საცდური უტიფარ სინდრომად
ნებდება საძრახისს,
ტლაშუნებს და გეზად იწრთობა
მთანგავი მათრახი.

ახდია ლუკუმის პირბადე
ძვალტყავა სიძულვილს,
საცაა თრითინა იკნავლებს
კეთროვან მიწურში.

საცაა ვარსკვლავი მოწყდება,
ჩათუთქავს ღიოფებს,
საფლავის შუქურის ცხონება
დემონთან იომებს.

მარაო გაშალა ანაზდად
გრძნეუმა ფერიამ...
ცრემლები ჩაღვინთავს ამაღამ
მიგდებულ კერიას.

წუნია

ვიგემე სურნელის ბადახში
შენეულ ბაღჩაში,
თუხთუხა ვნებების ნახარშის
ვიპკურე ბათქაში.

წუნია ყაყაჩომ ისრუტა
სხივების ღაღანი,
ბუნებამ გულუხვი მზის სუფრა
არიგა ლანგარით.

არ შვენის ზერელე კუნტრუში
დამშეულ ბაჭიას,
ბეჯითი ფუტკრების ფუსფუსი
ღვთიური მადლია.

რაოდენ თანხვედრად ირწევა
ნარნარა ჰამაკი,
წუთიერ განტვირთვის მიღწევამ
შეამკო არაკი.

გაჯიქდა

აგორდა მასების ზღვაური
ცახცახებს იარა,
ცალსახად ეყრდნობა საცდური
დაბლაგულ იარაღს.

გაუცვდა ლოგიკა ვითომდა
სიმართლის ქომაგებს,
ყარიბი სილაღეს ითხოვდა,
ეამათ ონავრებს.

რატომღაც ადვილად ინებეს
სისტემის ჩამოშლა,
არადა განწყობის სინედლემ
ხინჯები წარმოშვა.

იმდენად გაჯიქდა ერთობის
შეგრძნების სიმძაფრე,
ყოფითი ჭიდილის ლენცოფი
ჭაობში მიგვათრევს!

ტიალის გრიალი

გულებს რომ აღაგზნებს ნიადაგ
განწირვის სტიმული,
სინდისი აურას ინამავს
საამო ბინულით.

უღვივებს წადილი გასაქანს
გულნაკლულ ოინბაზს,
ქარბუქმა ტერასა ჩაფარცხა,
აცრემლა მოისრალს.

ვერარა შემატა დაზაფრულს
უზნეოთ მხილებამ,
გზაწვრილში ჩაბჟირდა დაქანცულ
შემტევის დილემა.

შარაზე მახვილის ბზრიალი
რადგანაც არ ცხრება,
შენიღბულ ტიალის გრიალი
იხუვლებს ხანძრებად.

ჯერ კიდევ

მოყვასო წყენათა აპრიორს
ხინჯად ნუ ჩაიდებ,
ცახცახი არ შვენის ლამპიონს,
აფიცხდა სალი კლდე.

რამეთუ ძნელია განსაზღვრო
სტიქიის ნაბიჯი,
ღრუბელი საოხრე საავდრო
არაქათს არ იშლის.

ამაოდ ესწრაფვის მედროვე
საგმობის განდგომას,
წუმპეში სულიერ კეთროვნებს
ჭილყვავი აფრთხობდათ.

რადგანაც ჯერ კიდევ კარგა ხანს
ბურუსი იმეფებს,
ჭორებმა განწყობა გათანგა,
ჩიხშია სიკეთე!

არ ცნობა

ყარიბი ძლივს სძალავს სათრიელს -
ცალუღელ ხარივით;
წუთიერ ჩათვლიმა კადნიერს,
ენას სხლავს არიფი.

არა ჩანს ფეტვი და თავთავი
ღარიბთა კალოზე...
ჩუმჩუმა სერობის ფარფაში
ჯალათსაც აოცებს.

ბუღს ადენს თემშარას ცანკვილის
ფლოქვების დგარუნი,
ზარნაშო თამამად გაჰკივის,
ღივდება ლაღუმი.

სულიერ ფეთქების განვრცობამ
კარგა ხანს იფუვლა,
წარსულის შეცდომის არცნობა
ღურღუცში მიცურავს.

შენს გამო

გაცვეთილ სარკაზმის ერდოზე
დასკუპდა ცინიზმი,
მედროვის პარპაშის მეხოტბე
კეკლუცობს თილისმით.

ნარნარა ჯეჯილმა ისრუტა
ჯურღმულის ქირქილი,
შემორჩა ხოდაბუნს ფიტულად
ძაძებში მიხრწნილი.

ოი, ამ ჭილყვავის ქაქანი
გვიქადის ოდეს რას?!
ლატანის უმწეო ფანცქალი
შეიგრძნო შორეთმა.

სიმუხთლით გასხლულო მამულო
შენს გამო ვღრიალებ,
იმეფე გონებავ ზრდასრულო,
მომწყურდა სინათლე!

გმინვაა

არ ცხრება სხვის ომში წასხმულთა
უმწეო გნიასი...
წყვდიადის პარპაშის სასრულად
მზე ულვაშს ივარცხნის.

უბერავს ლაყუჩებს ქარბუქი
აისის დაფდაფებს,
ჯეელი გენერლის ჩაფხუტი
მალიმალ ცახცახებს.

ტურტლიან მიწურში საზარი
გმინვაა დაჭრილთა,
სისხლიან ტრამალის დანდგარი
დემონებს ჩაწიხლავს.

ნათელი მყოფადის მსტოვრების
მიმინო აფრინდა,
უფალო დროულად მოველით
შენეულ განკითხვას.

უმტყუნა

ეჰ, რამდენს ჭოჭმანობს მოკვდავი
საწუთროს შემყურე...
აგროვა პანტა და მოცხარი
მიენდო ერთგულებს.

იმდენად იწამა თანმდგომთა
განწყობის განვრცობა,
ხვაშიადს შემთხვევას ანდობდა
საგრძნობის საცნობად.

ო, მაგრამ მრავალჯერ რატომღაც
უმტყუნა გუმანმა,
თითქოსდა ნისლები ჩაცომდა
ღვარცოფის სუდარად.

ალმაცერ ახედა მთვლემარე
ხავსიან ქარაფებს,
თვალთმაქცთა შენიღბულ სცენაზე
კულისი ჩარაზეს.

ღრძო ხვატი

კვარცხლბეკზე აშოლტვის მანტიას
იფერებს მავანი,
სიკეთემ უმტყუნა მადლიანს -
გაუცვდა ჯავარი.

მოწყენილ ვარდების სურნელმა
დიდხანს არ გასტანა,
ფოცხვერმა პანტერას უყელა,
სისხლმა რუ ჩაღარა.

არადა უფრორე გამძაფრდა
წყურვილის შეგრძნება,
უდღეურ უპოვრის საფლავთან
ბუს გმინვა ეძნელა.

აცხუნებს თაკარის ღრძო ხვატი
მოსილულ ტრამალებს,
დროული განგაშის ღაღადი
ქუდზე კაცს აგვარებს.

არ მიკვირს

კუდი რო აეწვა სისხამზე
დაწყევლილ ჯოჯოხეთს,
ღვარცოფი სასახლეს მიათრევს
ქვესკნელის ბოლომდე.

არ მიკვირს თვალების ბრიალი
ქვადქცეულ ჩონჩხების,
ჩაშმორდა ულუფა ზიარი
ხეიბარ ოცნებით.

ჩამდნარა სულეთის თუხთუხი
ალმურის ღიოფით,
მეზმანა ჩაგვემილ უკუნში
ჩურჩული იობის.

ო, როგორ შესუდრა გარემო
ამ განცდის სიობლებ,
იარა კურცხალით ამევსო,
ვიწიწკნი იოგებს!

არ იშლის

როს სიტყვის ზეგარდმო თამაში
მართლაცდა ჰობია,
აზრების ნაკადის ქამანჩი
არ იშლის ფორთხიალს.

განწყობა მიადგა ვარსკვლავთა
ლავისებრ კარიბჭეს,
უწრთობი ნაბიჯი ჩაფლავდა,
ქირქილებს სამიზნე.

ყაყაჩომ მალ-მალე იფიცა
კოკორი გაშლილი,
მთიების ლაციცი მიზიდავს
სამოთხის ვაშლივით.

რიყის ქვა ალმაცერ იღიმის
დამეწყრილ პარტახში,
ლივლივებს საუნჯე სიფითრის
სულიერ ნახარშში.

ბ ა ლ ა გ ა ნ ი

ინათა, შეჰყივლა მამალმა,
შეირხა მუმია;
სიზმარში ზმანებულ ზამბახთა
სურნელი მწყურია.
აფრინდა ხოხობი გუშინდელ
დაკოხილ მოლიდან;
შუბებით დაფარცხულ ნამყოდან
დაჭრილი მოვდივარ.
მხუთავი ბუღი დგას შარაზე,
მეგზური არა ჩანს;
ნანატრი ედემის ძებნაში
წავაწყდი ბალაგანს...

ხელმწიფეს გვერდში ჰყავს მოძმენი,
ბრძენ-ქველად ხმობილნი,
კარისკაცს შემოაქვს უსტარი -
ჭდე აზის მორჩილის.
ეპისტოლს კითხულობს მდივანი:
,,ამბოხდა სამთავრო...
ქაოსის სტიქიურ გნიასში
მიყუჩდა მაღარო.
შიმშილობს შემცბარი შვილები,
ითხოვენ სილაღეს,

ცდილობენ მთავრების მხილებას
სინდისის წინაშე.
ყველა შენს ქვეშევრდომს მეფეო,
აუგად ნათლავენ;
ამბობენ, მონური კანონი
მოვსპოთო ახლავე! "

თათბირად დაბრძანდნენ დიდკაცნი,
საუბრობს ვეზირი:
,,მაშფოთებს ძვირობა ამგვარი,
მავნეა ეს ჭირი.
როგორმე ავლაგმოთ ურჩები!
სისხლი რომ დავღვაროთ,
ვაი, თუ აბორგდეს მილეთი,
შავი დღე გვაყარონ.
მოდით და ვუსმინოთ ლაყბობას,
მივუშვათ ლიდერნი;
ძნელია დღეს ჩვენი დამხობა,
ჯარი გვყავს ძლიერი.
თუ საქმე გართულდა ძალიან,
სისხლი შიშს დანერგავს.
ურჩები ჰპოვებენ გალიას,
მოვთურგნით გარეგანს".

ჩანს ღრუბლის ფთილები პირშავი,
იელვა, თრთის რაში,
გამუქდა თავღია გუმბათზე
ბეჩავის მირაჟი.

სიყალბის სიკოჭლით ჭირს ყოფა,
გაყუჩდა ორპირი.
ქსელს განზე განუდგა ობობა -
ლოდინით მოღლილი.
გაბრუვდა ლეკვების წკავწკავით
ელამი გარემო.
ტოროლა არწივის მოციქულს
ფეხქვეშ არ გაეგო.

აკვნესდა სნეული ყარიბი,
ფერია ატირდა.
ცრემლნარევ მირონმა გაჟონა
გამომხმარ დაფნიდან.
ავდარმა ლატანი ჩარეცხა,
იბარტყა ტბორებმა,
კოდალა ნაფოტზე ეცადა
ნისკარტის სწორებას.
ბევრმა თქვეს: ,,შევრისხოთ მტარვალნი,
ეს როგორ გაბედეს..."
ვეზირის ვერსიას მავანი
შიშის ქვეშ აყენებს.

თვალს ავლებს მეუფე შეკრებილთ,
სარდალზე შეჩერდა:
,,რას იტყვი მთავარო, ქველ გასჯას
მოველით ჩვენ შენგან."

პასუხობს: ,,ეს ბჭობა გვამხნევებს
მომავლის წინაშე:
მიმინო ხოხობს მსწრაფლ დაიჭერს,
დროზე თუ იმარჯვებს.
ოლქებში ჯარები ვამრავლოთ,
რომ ვიყოთ უშიშრად.
ვეცადოთ სისხლი არ დავღვაროთ,
შევაქოთ მუშის ხმა.
სწავლულთა აზრებსაც ზოგადად
ვუკმიოთ გუნდრუკი.
ვამრავლოთ ერთგული რობოტი
მლიქვნელთა ფუნდრუკში.
თუ ძალზე გამძაფრდა მოვლენა
ქუსლებით ჩავქოლავთ.
შეწირულ შვილების ხსენებას
ნუ მოვშლით აღდგომას."

კაცისგან დაჭრილი ფოცხვერი
ლომებმა შეინდეს...
გაყუჩდა გარემო, განაჩენს
გვაუწყებს ხელმწიფე:

,,ფერწასულ ვარსკვლავთა ციაგი,
რომ იგრძნო ღამურამ,
ბალაგნის დაბღილულ დირეზე
ცრემლები აპკურა.

სიმართლის, სილაღის იდეამ
იკვესა ზღაპრიდან;
მასების უებრო მოთხოვნას
განზე ვერ გავრიყავთ.
ვეცადოთ, არ აკლდეს ქვეყანას
პური და მარილი;
ბრიყვი ბრბო თუ ძლიერ აზვირთდა
იელვებს მახვილი."

ხომალდი მიცურავს ტალღებში,
მძვინვარებს სტიქია...
აფრების აგლეჯის სიმწარე
ზღვის ფსკერმაც იწვნია.
თხუნელამ ანაზდად გათხარა
თვისივე სამარე,
მკურნალი სისხლსავსე წურბელა
სულს ზენას აბარებს.
ქაოსის უკუნში ათრთოლდა
მიმქრალი კანდელი.
შეჯავშნულ კიდობანს ამზადებს
აკვნების გამთლელი.

ჯერ ლიდევ შემორჩა საფქვავი
გაძარცვულ ბეღლიდან,
განგებამ არგუნა სახადი
შენიღბულ ელიტას.

სამყარომ შეიგრძნო ღაღადი
გუშინდელ დევნილის.
კვლავ ისევ ჩუმ-ჩუმად ჯაშუშობს
მშიერი ვექილი.

უდროოდ მოწყვეტილ ვარსკვლავმა
ფრთები ძირს დახარა.
დამფრთხალი ურჩხული დააცხრა
თოვლიან არარატს.
შექანდა, იგრგვინა მიდამომ
ურარტუს მხარეში,
წამებში პირწმინდად დაიმსხვრა
კოშკი თუ მანეჟი.
სულს ღაფავს პირმშრალი მშობელი
ძედქმნილის აკვანთან;
მაშველი ნანგრევის ხვრელისკენ
უშიშრად გაქანდა.
გლოვა... და შენდობა სტიქიით
დაღუპულ ათასებს;
უბედურ, უქონელ სულდგმულთა
წყალობა დასახეს.

შემორჩა ჯვარი და ნახშირი
დანგრეულ კერიებს.
მოდუნდა ფრთამრუდე არწივი,
სადავეს ვერ იჭერს.

იფერებს წუთიერ განცხრომას
ყორნების საუფლო
სატანამ ავაზას კურდღლების
გალია დაუთმო.
კოცონთან შემომსხდარ სახეებს
გადაჰკრავს სილურჯე...
ბალაგნის ჩეროში ფოცხვერი
ჭრილობას იშუშებს.
დასიცხულ ენძელას ვაზების
ტირილი ეამა.
მთვლემარე ბეღლები შეაკრთო
მეწყერის გრიალმა.

ჭიანი ნიგოზი დანაყეს
მოქანცულ ბერებმა...
ჭაობის თაკარა სანახემ
ბუღი შვა ენებად.

გაცრეცილ ღრუბლების ქილიკში
უმწეოდ გათენდა.
ყარიბი სხივებმა დააბა
ჩაუმქრალ სანთელთან.
აეწვა ღაჟღაჟა ლოყები
ცრემლიან გაზაფხულს,
მწერების უაზრო ჭრიჭინის
ვიჩქარი დასასრულს.

დაფოფხავს ბუდიდან ვარდნილი
უმწეო ბახალა.
სოსანმა იგრძნო რა ფუტკარი
ყვავილი დახარა.
იქუხა, წამოხტა მიწურში
მძინარე ყეყეჩი;
დამფრთხალი ქურციკი გაიჭრა
გაუვალ ტყე ღრეში.

ივერთა ბერი თუ ყმაწვილი
მიაწყდა სასახლეს...
- გვახრჩობსო მონური უღელი! -
ერი ღვთივ ღაღადებს.
ღამეა, გუნდ-გუნდად მღერიან
მშიერი შვილები...
მოდიან დამსჯელი რაზმები
ალესილ ნიჩბებით.
არ შედრკნენ მამულის ერთგულნი,
დგანან არ იძვრიან;
პირველი დარბევა დიაცთა
ფერხულმა იწვნია.
ვით შეძლებ, ბარბაროსთ აღკვეთას
შიშველი ხელებით;
გაცოფდნენ, არავის ინდობენ
ეს სისხლის მსმელები.

იმ ღამეს განწირულ შვილთაგან
მრავალი ქალია,
დიდება! მამულის სვეს გამო
ვინც სული დალია.
აღშფოთდა ერი და მოძმენი,
ქვეყანა ირევა;
თათბირზე ამაოდ დასახეს
,,სიმართლის" მხილება...
მიჰქრიან დრონი და არ ცხრება
მასების მოთხოვნა:
- ,,ვიყოთო ჩვენივე პატრონი,
არ გვჯიჯგნოს მოსკოვმა"

ნასხვისი მერცხალი შესტირის
აპრილის განთიადს.
დამსხვრეულ კარეტამ მეაბჯრე
საზღვრამდე ათრია.
იხვების გნიასმა აღაგზნო
მშიერი ძუ მელა.
ქორბუდა ირმების მომცრო ჯოგს
ფოცხვერმა უყელა.
დაღლილმა კამეჩმა უხშირა
პირმრუდე მთქნარებას.
მსუქანი ტლუ მაჩვი ხაფანგში
მაძღარი გაება.

მოესმა უსასო კივილი
შორეულ ნიმფებსაც...
და გლოვის ეკლიან სამანთან
გონშეშლამ იფეთქა.

შეაშრა ცრემლები ნატყვიარ
მოთეთრო აივნებს.
სნეული სარდალი სიმაღლეს
დროებით აიღებს.
ჩაიმსხვრა გოდოლის სარკმელი
ხავსიან ჭერეხით.
მიყუჩდა ქართული სიმაღლის
სამზეო ქელეხი.
მოსწყინდა გულპილწი კისკისი
მდუღარე ჭაობებს.
ღამურას ზარნაშოს შემცბარი
სიყუჩე აოცებს.
დაედო სიფითრე სტიქიით
ჩახერგილ ტერასებს.
ბალაგნის დალუქულ სტავრამდე
გრიგალი ვერ აღწევს.
მოციქულს არ შვენის კამათი
წამოზრდილ მძევალთან.
პირფერა დიპლომატს ერისთვის
როგორღა ევარგა.

ლიდერი მალიმალ იჩრდილავს
შეტრუსულ წამწამებს;
მთავრობის ზოგიერთ მოხელეს
სინდისი აწამებს.
განვიცდი დაბნეულ შენდობის
დაუმცხრალ ჟრუანტელს.
შენიღბულ კასტათა ნაწილმა
სიყალბეს უმატეს.
აუწვა ქუთუთო ქარბუქმა
კერპების მშვენებას,
ღვარცოფის მოლურჯო ფერთაცვლამ
ბილიკი შეღება.
გადაჰკრავს მომწვანო ელფერი
ქაფიან ნაპირებს;
პირღია ქარაფი ყულფების
შეფობას აპირებს.

იცლება ნავთობის კასრები
უზნეო ზარხოშით...
არ ცხრება მასების ნაკადი
ყარაბაღ-ბაქოში.
ცას სწვდება ტყვიების ზუზუნი
ჟანგიან ლულიდან;
ნაცადი წითელი არმია
თავზარს სცემს მუსლიმანთ.

მიყუჩდა ლოდის და რიყის ქვის
ღრანტეში სრიალი...
მეუფეს სიზმარში ეზმანა
ბალაგნის ჭრიალი.
გამოშრა ნაავდრი თავთავი
სხივების ღაღანით;
ღივდება ჭვარტლიან ბუხარში
ნელთბილი ღადარი.
დროზე თუ ეღირსა მკურნლი
ლოგინად ჩავარდნილს,
იქნება გავიდეს შარაზე
თვითმავალ ყავარჯნით.
აშინებს სამყაროს დემონი
კოსმიურ ღილაკით;
ფრიალებს სუდარა ფრეონით
მოგუდულ მირაჟის.
დავსტირი მომაკვდავ საგნების
შუბლშეკრულ ზმანებას.
გამურულ წრეებში თახსირი
სიამით ჩაება.

დაერთო ქარ-წვიმა ნაადრევ
ვარდების დაკრეფას.
ჯადოქრის დაბმული დრაკონი
ღრუბლებში აყეფდა.

მოწამლულ გარემოს დაეტყო
ნიღბების ღაჟღაჟი;
ქვესკნელის გაცრეცილ ფარდებთან
გაჰკივის ალქაჯი.
აცრემლდა პატრონის შემყურე
უბედო თვალები.
გაშეშდა, მარჯვენა ვერცხლნარევ
ტლაპოში ნარევი.
საზღვრების გისოსი დასერეს
ბალტიის ქვეყნებმა...
სისხლიან მორევში შეტოპეს
მომავლის მტრედებმა.

ხელებში შეადნა საყვირი
ქეციან რენეგატს.
დუეტი შემზარავ სისინით
გადმოსცეს გველებმა.
ფეხების ბაკუნით ბრიგინებს
ბალაგნის ვერანდა.
ქაოსში მისნური საუნჯე
ვერავინ დალანდა.
თვალები ძალუმად მინაბა
ფერწასულ აღალმა.
თეძოში დაჭრილმა მედროშემ
მკლავი ძირს დახარა.

სტიქიამ მქუხარე ზვირთისკენ
მიმართა ბოძალი.
უფსკრულთან გაჯიქდა აქლემი,
კანკალებს ხონთქარი.
გასცვივდა ჭაღარა ფაფარი
ნაომარ ბედაურს.
ტალღებმა წარსტაცეს ნადავლი
მთვლემარე მეზადურს.
უბირი კალია აცეკვდა
გარიყულ ნაფოტზე.
მეკობრე მოსილულ ნაპირზე
ფეხებს ძლივს აბოტებს.

შხეფები უხეშად ეპკურა
მოწყენილ გვირილებს.
ნანატრი ზამბახი არა ჩანს,
გულს წვიმით ვიგრილებ.
ბუჟბუჟებს მისნური მალამო
პირსველი იარის.
აქროლდა ქართული გარემოს
ერთობის ნიავი.
ჩასჭიდა ხელები ოსტატმა
ჟანგიან კვნეტარას -
შეჯავშნულ თასმების გაწყვეტას
ამაოდ ეცადა.

წყალობის ნიღაბი მოირგო
ფრთამრუდე სიხარბემ...
მდევრებმა უბარგო კარეტა
ჭენჭეხში მიაგდეს.

გაისმა ჭრიალი ბალაგნის
გაბზარულ საძირკვლის;
ჟამთა ცვლით დამფრთხალი ელიტა
სიშიშვლეს განიცდის.
მავანი თითქოსდა აშენებს
მარადმდგრად კოშკურას;
ხელობის უბრალო ნიმუშის
ქების დრო მოსულა.
მოცურდა მოსიპულ ქარაფზე
დაჭრილი კენტავრი.
აწყვეტილ ამირანს სიზმარში
ცრემლიანს ვხედავდი.
ბუღრაობს მაძღარი მარტორქა
გაჩეხილ იფნარში.
ქარ-ბუქი გნიასებს, ცახცახებს
ტოტწკაპი ჩანარი.
მომძიმო უღელში აბღავლდა
ბებერი ცანკვილი;
შოლტების ტკაცუნმა დაღალა
სულპილწი აჩრდილი.

გაუსხლტა ყმაწვილ კაცს ნამგალი
მოღლილი ხელიდან.
თაფლისგან ნაწყენი ძუ ბელი
ბეჩოში შევიდა.

მოისმის წინაპართ ღაღადი
ერთობის ვედრებად.
სიხარბით პირადი კინკლავი
მუხთლობას ედრება.
მოძმეზე შემართულ მარჯვენამ
როგორღა ივარგოს.
აეწვა გულ-ღვიძლი გაკოჭილ,
ლაფდასხმულ მიზანთროპს.
მიყუჩდა ჯაჭვების მთრეველი
მოხრწნილი ქოფაკი.
აგროვა ფუტკარმა სანთელი
სისხლიან მომავლის.

ვაებამ არმია წარმართა
მთავართა სათელად;
გაქცეულ სარდალმა ბრძოლის ველს
ერთხელაც გახედა.
აკუწა ყარიბმა მოსისხლე
მისივე დანითა...
ლაზერის წამიერ ნათებამ
ჯავშანი დაფლითა.

გეენამ გვამები დაფერფლა
ბალაგნის ნანგრევში...
ევროპის გაღებულ სარკმელთან
ცოტა ხნით გავჩერდით.
ღვარცოფმა ჭაობში მიმალა
მარწუხი ჯალათის.
ტანსრულმა ვაჭარმა მოირგო
თურქული ხალათი.

განგების ფრთამრუდე ტრიალი
რას აღაარ ინდომებს -
ბორკილის ნამსხვრევი დაესო
ჭეშმარიტ სტრიქონებს.
ღვივდება ნანატრი იდეა
ქართველთა დარაზმვით...
არც ისე შორიდან, ვიგრძენი
სურნელი ზამბახის.
ირღვევა ფიქალი, შენდება
ტაძარი ფილაქვით...
ცით მოსულ იესოს პასექი
გუმბათზე მივართვით.
იფრქვევა კამკამა სხივები
შევერცხლილ ცისკრიდან...
და ერი სანუკვარ მიზნების
სამანთან მივიდა.

1990

პ ა რ ტ ა ხ ი

მზე ჩადის, ლტოლვილი შევჩერდი
დანგრეულ ყორესთან.
დაისის ფუსფუსში ბინულის
რაკრაკი მომესმა.
ვიპკურე შხეფი და გავგრილდი,
ათრთოლდა სხეული.
ფიქრებში გარინდულს დამკივის
ზარნაშო წყეული.
შიშს ვერ ვგრძნობ და სულის სალხენად
სანთელი ავანთე.
უვახშმო, უმთვარო ამ ღამეს
პარტახში გავათევ.

არც ერთი მნათობი არა ჩანს,
ნადირის ხმა ისმის.
შორეთში ციმციმებს სხივები
ხვალინდელ აისის.
კანკალებს გამხმარი ტოტები
დაცხრილულ ვერხვების.
შემკრთალი ფუღუროს ნაპირზე
ნაბადში ვეხვევი.
უეცრად გაირღვა უკუნი,
გაისმის ქოშინი
და კაცი უზომოდ მოღლილი
დაეცა ლოდივით.

წაქცეულს დააცხრნენ ავსულნი -
ხანჯლებით აკუწეს...
ვითარცა უსულო შევყურებ
ცოდვიან ამ წუთებს.
რა უნდა ვიღონო? დავნებდი
სიკვდილის ჟრუანტელს.
წყვდიადის ყრუ ხმები კოშმარულ
კაეშანს მიმატებს.
შორიდან მოისმის გოდება
შემცბარი ნიმფების.
დაღლილმა მკვლელებმა თამამად
მოიხსნეს ნიღბები.
თვალს ვაჩვევ სიბნელის სიმძაფრეს
და ვხედავ სახეებს:
შრამიანს მომხდარი ამბავი
თითქოს არ აღელვებს;
წითურმა თამბაქო მოსრისა,
მშფოთვარედ წარმოთქვა:
- ,,გავწირეთ წარსულის კანდელი,
ბოლომდე ჩამოდნა;
მან მოგვცა სამთავრო, სახელი,
დიდება, ქონება,
მაგრამ მის ხელქვევით ვიყავით
ყურმოჭრილ მონებად.

უზნეო ყოფას ის გვიშლიდა,
გვზღუდავდა ძალიან...
ცოდვების გვირგვინზე აბობღდა
შხამსავსე კალია."

შრამიანს თვალები აენთო,
ცას ზიზღით ახედა:
- ,,განსჯის დრო არ გახლავს ძმობილო,
შორს გვიცდის კარეტა.
გავიყოთ სამეფო, პარტახი
მხოლოდ შენ განაგე.
ჩემს მეტი ვერავინ ინებებს
მთაშავის სანახებს".
დუმილმა თანხმობა განავრცო,
მიდიან მზაკვარნი...
ბოღმისგან უმწეოდ ვცახცახებ,
ადგილზე გავქვავდი.

ნაბიჯი როგორღაც გადავდგი,
ცხედრის წინ დავვარდი;
სისხლისგან მიმქრალა მირაჟი
მეფური ლაზათის.
უძლური სიმწრისგან გავშმაგდი,
ყვირილი მწადია;
ვაი, თუ ამ ახლო-მახლოში
ნადირნი დადიან...

რაღაცა ყურებში ჩამბზუის:
,,განშორდი, გაცლა სჯობს" -
ღამურა უკუნის მწერების
გალიას დარაჯობს.
მოვცილდი გვამს და გზას ვუგანე,
გულს მიღრღნის ფიქრები;
თითქოსდა ხმაური ჩამესმა
ბრბოის აზვირთების.

აჩნია ჩექმების ნაჭდევი
გვერდშემპალ ნაფოტებს.
თითებში ჩამადნა სანთელი
ფეხებს ძლივს ვაბოტებ.

შევჩერდი ძველისძველ ნანგრევთან
ცრემლები მომადგა.
განგება ცოდვებს არ მოაკლებს
ადამის მონაგარს.
ვგრძნობ, რომ აქ ქვეშეთში ნაკურთხი
სულები დაფრენენ,
წმინდანის სარკოფაგს მეწამულ
მანტიას აფენენ.
იელვა ზეცაში ბნელეთის
ხილულმა ფიგურამ...
სატანამ ქვესკნელის დარაბა
ხმაურით მიხურა.

დახანდა ვარსკვლავის ციალი
ღრუბლების ნაფარცხში.
ბურანში ჩამესმა ჭრიალი
ღვთიური საკაცის.

ბუნდოვან სიზმარში გამოკრთა
არწივის ბრჭყალები,
რომელსაც თვალჭრელი მიმინო
გაუსხლტა წვალებით.
ლოცულობს ფერია, დაფრინდა
მონგრეულ თალარზე...
მგზავრებმა შენდობის სასმისი
ზედაშით აავსეს.
საოცრად დაკვესა პირმრგვალმა
ციურმა სხეულმა.
სატურნის თანმხლები აჩრდილი
ხითხითებს გველურად.
ქარაშოტს მიენდო ფრიალი
სისხლიან დროშების.
ვერ მისწვდა მნათობის ციალი
უფსკრულის შორეთში.
ღამურა კანკალით მიფრინდა
მკვნესარე სიმებთან.
მწვერვალის გაყინულ სივრცეში
მაშხალამ იფეთქა.

ლანდების წინარე შეჩერდა
პირღია ურჩხული.
ტყვიების ზუზუნში შთაინთქა
ბნელეთის ჩურჩული.
ატეხა წკრიალი ვარძიის
ბებერმა ზარებმა...
ლომისთვის დაგებულ მახეში
ფოცხვერი გაება.
გუმბათზე ძელივით დამდგარა
უძლური მესვეტე.
ფირალმა სადავე აართვა
მთვლემარე მეეტლეს.

თვალს ვახელ, რიჟრაჟი მოედო
პარტახის სანახებს.
ბუნება განგების ხვაშიადს
ბოლომდე არ ამხელს.
შევესწარ საქმიან ფუტკრების
ხელდახელ დარაზმვას.
გამოჩნდა სოფელი, მივყვები
საურმე შარაგზას.
მოდიან მწყემსები ოციოდ
თხის და ცხვრის ამარა.
მშიერმა ქოფაკმა საყეფად
თავი ძლივს ახარა.

შემხვედრთა თვალებში ვკითხულობ
შიშნარევ ვედრებას.
სამრეკლო განწირულ ზმანების
ფერშეცვლას ედრება.
შავ აბრას ამაგრებს მოძღვარი
ჩამოშლილ კვარცხლბეკთან.
შეწირულ ზვარაკის ზესული
ზესკნელში გამეფდა.
მოვდუნდი, ფიქრებით გამშრალი
მართლის თქმას ვერ ვბედავ.
თითქოს და სხივები დაძრწიან
სისხლიან ენებად.
სამხრეთის მიუვალ სივრცეში
ელვარებს მაშხალა.
რაკეტის დროდადრო ფეთქებამ
ქარაფი დაბზარა.
მიწურში გონება დაჰკარგა
დაჭრილმა მაშვრალმა...
ფლოქვების უზომო თქარუნით
ბინული დამშრალა.
ულვაშებ დაგრეხილ სათიბში
ურწმუნო სისინებს.
პირუტყვი შხამიან წურბელას
ძირს ხოხვით იცილებს.

მზის სხივმა გულ-ღვიძლი შეუთბო
მოთიბულ იალაღს.
ყორანმა ნადავლი მოჩიტულ
ბახალებს მიართვა.

მეწამულ ღრუბლებში აეწვა
ჯადოქარს ქუთუთო.
შარაზე ანაზდად ფეხს ვადგამ
გესლიან მუხლუხოს.
ვარამით ტანჯული შევედი
პარტახის ქალაქში;
მკერდსავსე კოპწია დალაქის
ქათქათებს ხალათი.
თვალს ვავლებ ძველებურ დროშების
დღევანდელ სიახლეს.
მთაწმინდის აჩრდილებს მთიებმა
ლამპარი მიართვეს.
აწყდება ვაჟი თუ დიაცი
სილაღის მოედანს;
ხელმწიფის პანაშვიდს შევყურებ,
ამემღვრა გონება.
ვეება ,,ვენოკი" აღმართეს
სასახლის მონებმა...
შექსპირის სონეტის სიმძაფრე
წივილით მომესმა...

ემძიმა ჯავშანი ჯერ კიდევ
პირტიტველ შუბოსანს,
სილურჯე გადაჰკრავს შრამიანს
მოვერცხლილ კუბოსთან.

ხვალინდელ ქელეხის სამზადისს
წითური თავკაცობს,
ფერია სულმნათელს უმზადებს
მითიურ ავგაროზს.

ფრიალებს ქუჩების საავდროდ
შავ-თეთრი მანტია,
მამების საფლავთან კარვები
დაუდგამთ ბანტიანთ.
ზღვა ხალხი ჯგუფ - ჯგუფად ირევა
ბინდ-ბუნდის წიაღში...
ცხოვრება თანდათან გაჭირდა
ბანდების სიახლით.
შევყურებ დღევანდელ ლხინს თუ ჭირს
და გული მერევა,
შებღალეს მამულის სინდისი
უგნურთა ენებმა.
ბინძური ხალათი აგდია
ცარიელ დახლებთან,
ტრამვაის ჩამოყროლ ხაზებზე
ვირთაგვა აცეკვდა.

ტრიბუნა ეჩვევა თაღლითის
ქარაგმულ შეძახილს,
შავდება მიმჭკნარი ფოთლები
აჩეხილ ვენახის.

დავრდომილთ შესაფარს წააგავს
სადგურის ტრახტირი,
შიშმომგვრელ ემბლემას ედრება
ფიტული არწივის.
მეზმანა თევზების ფართხალი
გაყინულ ნაპირზე,
მეთოფე სწორად ვერ ამაგრებს
ლულაზე სამიზნეს.
ნაგავის ორმოში ვარდება
ძვალტყავა ნაგაზი,
დაკბენილ ქვაფენილს მივყვები
ნახევრად ბარბაცით.
დავლანდე შუქმფენი თვალები
ჩამსხვრეულ სარკმლიდან,
გოგონას უმანკო ღაწვთაგან
ცრემლები დასცვივდა.
მას დედის სურათი უჭირავს
უღონო ხელებით
და გამვლელს იზიდავს უსიტყვო
წყალობის ვედრებით...

შემორჩა ცოდვილი ნასისხლი
სასახლის დერეფანს.
გაყვითლდა ჯადოსნურ გვირგვინის
მიხრწნილი მშვენება.

კამკამა ლაჟვარდში იფუვლა
საკმევლის სურნელმა.
ღვთიური მირონი იპკურეს
განწირულ სულებმა.

ურწმუნო მოძღვარი ქდაგებს
გაწალდულ სამებას.
პარტახში პარპაშებს მუდმივი
მტრობა და ვაება.
მეძნელა აღმართი შუბებით
დასერილ ვარაზის;
მომწყურდა ტრამალზე უბელო
ტაიჭით ნავარდი.
სამრეკლოს სამტრედე დალეწეს
მშიერმა სვავებმა.
ობობას ხლართებში ჭრიჭინა
ანაზდად გაება.
იფეთქა ხანძარმა ნავთლუღის
ხალხმრავალ ბაზარში;
მიყუჩდა ხიდის ქვეშ ბადახშით
განცდილი აზარტი.

აცხუნებს შამფურებს კერიას
თვალჭრელი დემონი...
უცხოურ ნაწარმთა ჯერია
დამუხტვა სეზონის.
ცვარ-ნამი ნიაღვრის დინებას
ადვილად დანებდა.
ხაზინას გროში არ შემატეს
წითურის ბანდებმა.

სეტყვისგან ნაბეგვი ტოროლა
ზვინამდე მიფრინდა.
ყარიბი ცოტა ხნით შეჩერდა
ჩარაზულ წისქვილთან.
გაბზარულ კავიდან ისკუპა
ფეხმრუდე კალიამ...
დაფარულ საზღვრების გათელვა
ჯაშუშის ბრალია.

დამკვიდრდა ფასების მატება
დუხჭირი დროებით.
წითურმა მიწურში ჩამალა
ბაჯაღლოს ზოდები.
აღმართეს ქარხნის წინ კოცონი
გაფიცულ მუშებმა;
ბანდების მხილებამ გაზარცვულთ
ვერარა უშველათ.

ნდობის ბრმა სასწორი აშალა
ვერაგულ ზრახვებმა.
ბეღელი გულდაგულ დალუქა
მაძღარმა თავხედმა.
დაბალმა ფენებმა უხშირეს
მასობრივ გამოსვლებს;
დამშეულთ ცხოვრების წყურვილი
მეტადრე აცოფებთ.
ღატაკთა ჯგუფები არბევენ
ცარიელ საწყობებს.
ოსტატი ყარიბებს საბრძოლო
მასალებს აწოდებს.

გრიგალის შუაში დაემხო
პარტახის მთავრობა;
წითური მცირედი ამალით
მთაშავას გარბოდა...
მდევარმა ივარგა, ჩაქოლეს
სულპილწი მტარვალნი.
დამარხულ ოქროთა პატრონი
არ დარჩა არავინ.

სასახლის ნანგრევთან შეჩერდა
თავღია კარეტა;
ცხედარის პარაკლისს სატანის
ყადაღა დაედვა.

აეწვა გულ-მკერდი ქაოსის
ურთულეს ლაბირინთს.
უკუნის ელამი მესტვირე
უტიფრად გაჰკივის.
გამეფდა ძარცვა და კაცის კვლა
დაქცეულ პარტახში...
მესანგრის აბჯარზე შემორჩა
უხანჯლო ქარქაში.

მიმქრალი ვარსკვლავის ქვეგარდმო
ციაგებს ნათურა.
მაცხოვარს ფერიამ მირონი
ღაწვებზე აპკურა.

შეირგო ცვრიანი ბალახი
ფერმერის ცხვარ-ძროხამ.
მშრომელის ძარღვფართე მარჯვენა
განგებამ აცხონა.
ხვავმა და ბარაქამ შეამკო
მთაშავის სამეფო.
შრამიანს სიბერის მიჯნაზე
სიფრთხილე დაეტყო,
ორმაგად გაზარდა საზღვრების
დამცველთა რიგები,
უხშირა ჯაშუშთა შექებას
ფასიან სიგელით;

აუწყეს: - მოდისო პარტახის
ურიცხვი ლაშქარი...
ღრუბლებში გაეკრა სიმბოლო
კოსმიურ ლახვარის.

აგორდა ნანგრევთა ზეგარდმო
გვამების რიალი,
მხეცებმა ბუნაგი დასტოვეს
შემზარავ ღრიალით.
ტრამალი მოხრუკა ავსულმა
ჯადოქრულ ქარცეცხლით;
ერევა მდინარეს სისხლისფერ
ბინულის ნაწრეტი.
ჭაობში ურთხელის სარები
უდროოდ ჩამპალა.
პირმშრალი ყარიბი წააწყდა
ცარიელ მათარას.
ორმხრივი სიკვდილის პარპაშმა
კარგა ხანს გასტანა;
ღვარცოფმა იკისრა გვამების
უფსკრულში ჩატანა.

ვითარცა პარტახში - მთაშავას
ქვა-ქვაზე დადუღდა;
შემორჩა ბოსელის მაგვარი
ფიცრული სადგურად.

თვალდათვალ ვამჩნევ რომ გადარჩა
სამიდან ერთიღა...
მამაო მორწმუნეთ უკითხავს
ბიბლიის ეთიკას.
გადამწვარ შენობის ბუხარზე
აბობღდა ობობა;
მან ქსელის მთავარი სადავე
ნელ-ნელა მოთოკა.

სისხლისმსმელ გრიგალის ქუხილი
დროებით დასრულდა,
შევარდენს თასმები შეუხსნა
თავადის ასულმა.

სიფხიზლის ზედაშე დაწურა
აისის ზარებმა.
უღელში მოზვრები გუთანმა
აქცია ხარებად.
მზის სხივმა დაიპყრო ლაჟვარდის
მიმქრალი სილურჯე;
პირმიმხმარ იარას ქვათკეცის
ალერსი მიშუშებს.
ზარნაშომ თითქოსდა იყუჩა,
განელდა ბუხარი.
ვკანკალებ სნეული, შემაშრა
ცრემლები მკურნალი.

დავძაბე გონება, მწადია
მეზმანოს ედემი...
ვაღვივებ თაკარა ნაკვერჩხალს
და მაინც ვერ ვთბები.
ბაღნარის სურნელის სიმძაფრეს
სიამით ვეჩვევი.
ხელებზე მეხვევა ბერმუხას
ნასხლეტი ფესვები.
ჯოჯოხეთს რატომღაც ავცდი და
თითქოსდა ვმშვიდდები,
სამოთხის წინარე ყვავილობს
ხასხასა შინდები.

დროება განწმინდავს ცხოვრების
მოსილულ კალაპოტს...
სატურნის ღიმილი აღონებს
მოქანცულ ქარაშოტს.
აყვავდა საზღვრების მშვენებად
ველური ყაყაჩო.
ოსტატი ლერწმისგან ამზადებს
ახლებურ ხარაჩოს.
განელდა სისხლისღვრის წყურვილი
სამყარო დამშვიდდა.
ყავარი ყავარზე გამოდის
ვარვარა დაშნიდან.

განიცდის სიცოცხლის სიშორეს
თვალბასრი მერკური.

ქალწული მეზობლის ვაჟბატონს
დროებით ემდურის.
ყარიბი მევახშის ვალს იღებს
მომავლის იმედით.
წკრიალებს ბახუსის წიაღში
ფანდურის სიმები.
მთვარე კი ღამეულ ვარამის
ვაებას შეჰყურებს;
მღრღნელები სოროსკენ ათრევენ
ჟანგიან ლეკურებს.

მთვლემარე მონაზონს ჩაესმა
სულების ჩურჩული...
სატანამ უჩუმრად გასწია
უფსკრულის ურდული.
იესომ პირჯვარი დაწერა
პარტახს და მთაშავას.
სამხრეთის ღრუბელი დაიძრა,
ნელ-ნელა გაშავდა...
ნიაღვრის შხეფებით პირს იბანს
რიჟრაჟის ღვთაება.
მოკვდავთა გულები შეათბო
სამოთხის დარებმა.

1992

ოსტატის ნიხრი

კ ო პ წ ი ა ო ბ ს
სიტყვის ა ლ ი,
ფიცხობს ფიქრის
ნ ა ღ ვ ე რ დ ა ლ ი !

ნარგიზები

მზეო თვალხატულო,
სულში ჩაქარგულო,
აზრო ჩასახულო,
ფრენად დარახტულო!

ჩემში მოშრიალე,
ხეო მსხმოიარე,
რა არ მოვიარე,
ნისლი მოვიალე!

ბევრჯერ ჩავიმუხლე,
ზოგჯერ ავიტუზე,
შემცბარ საჭირსუფლეს
გენი ირიბ უმზერს.

თვალებს დავემონე,
მოვრწყე ნარგიზები,
თუ არ ჩაგეკონე,
მართლა გავგიჟდები!.

რად უნდა

პოეტს რად უნდა ქება,
ან რაღად უნდა ტაში?
იგი ხომ სულებს კვებავს,
მას ხომ იხმობენ ცაში.

ის ხომ შეება ვარამს,
ვარსკვლავს აელვებს ხმაში...
ეჰ, მიჩანჩალებს ფარა,
მიიზლაზნება რაშიც.

ქარი ააცხრა ღრუბელს,
ნისლი უჩოქებს ქარაფს,
სტრიქონი უძლებს კრუნჩხვებს,
აზრი სიცხადეს მალავს.

რაც უნდა ვარდი თესო -
საკაწრი ღაწვი გეწვის,
გულდაკოდილო ვეფხვო -
მარადისობას ერწყმი!

უხერხულობა

ამ ჩამოკეტილ სივრცეს,
როგორ ვიფერებ იცი?
გული ზარივით მიცემს,
უხშირა თვალმა ციმციმს.

ო, ეს რარიგად დაძრწის
თავისუფლების მახრა,
უხერხულობა მაწვიმს,
მცეცქვავს სიახლის ნახვა.

შინაგანობა მხუთავს,
დღე შეაცბუნა დელგმამ,
ეჰ, ბოლობოლო უნდა
გავითავისო ელვა.

მიმოვაფრქვიე ლაჟვარდს
გაუსაძლისის თქეში,
მიკერძოება ჩაცხრა,
ყინვა ჩამადნა ხელში.

რად ვყარო

არ მწამს მხილველთა დასი,
რომელთა სჭარბობს განკითხვა,
თითქოს გასტეხეს ნავსი
გაუცხოვებულ საკითხთა.

საჭირბოროტო არსი,
არ შეიცვლება ადვილად,
გაქსუებულთა ფარსი,
ჭეშმარიტებამ ჩაცხრილა.

გაუფასურდა რადგან
გულახდილობის განწყობა,
გაუტანლობის მასრა
ჭაობის ფსკერზე ჩაობდა.

ვიახლოვებ და ველტვი,
ალალ-მართალთა გულისთქმას...
კედელს რად ვყარო ცერცვი,
მოხნულს მივიჩნევ უფლისად.

ისე შემძრა

ისე შემძრა შენმა ეშხმა,
ისე ამათავთუხა,
ლამის ვიწყო ფრთების შესხმა,
მთვარე მივდო სასთუმლად.

როს ვარსკვლავმა ამიწითლა
კანის ფერთა ციაგი,
შენი ლანდი ამიბრწყინდა,
შეაცბუნა მირაჟი.

მზის წინაშე თავს დავხრი და
შევისრუტავ მიწის მადლს,
სულს განწყობა როცა ფილტრავს
რწმენას ვადნობ ფიციდან.

ქედმოხრილი შევციცინებ
სამადლობელ ჯიხვის რქას...
გულს მაინც ვერ დავიმშვიდებ,
თუ არ გსახე თილისმად!

ქუხილის ექო

მამა უფალმა გადმოხედა
დღეს მთელ დუნიას...
წმინდანის შუბი ამოქმედდა -
სასწაულია...

გზა გასავლელი ისხივოსნა
ერმა თუ ბერმა...
ღვარძლი უნებურ ისილოსა
ლაქია მტერმა.

ღვთიურ მარათონს ალღოს უღებს
ნაწრთობი მოყმე...
ქუხილის ექო ჩააყუჩებს
ავყია ოხრებს.

ზე აღვიმართე, სამსხვერპლოზე
განაწამები...
კვლავ აგუგუნდა სამრეკლოზე
ივერთ ზარები!

გიხმობ

ზეციური ანგელოზი
ხშირად აღარ მაკითხავს...
როს ჩაკორტნის სულს ხორხოცი
ვეტმასნები საფიცარს.

არ მაოკებს მოძალადე
ქარაშოტის გნიასი,
ეს ყინულიც ვერ გავადნე,
ვერ განვმუხტე წყვდიადი.

ბრმა ეჭვების გადამკიდე
ამბორს ვინღა მაცლიდა...
შენი ცრემლის შხეფებს ვცრიდე,
ჩამოგძერწო სანთლიდან.

სიგოგმანეს ესადაგა
ფოფრი, ვითარც ფარშევანგს...
სიმარტოვის ბუღი მთაქავს,
გეძებ, გიხმობ საშველად!

უნიათობა

ვერას ვუხერხებ გულს,
ვერას ვუხერხებ ვნებას,
ღრუბლიანობა ქუხს,
უნიათობა მსხეპავს.

ვერ ესალბუნა სულს
ნაუცბათევი განსჯა,
უხერხულობა დუღს,
ისარი მიზანს ასცდა.

ჩაგუბებული ცრემლი
გადმოედინა თვალს...
ოი, იმ ძველთაძველი
თავდავიწყების მწამს.

მოვუგვირისტებ ხარკს
უფლის სიმშვიდის ძალას,
ვეპოტინები ხავსს,
რომ ავერიდო წკვარამს

ჯანყი

სიტყვაკაზმული
ჯანყი ქართული,
ფლიდი ზრდასრული,
ვერცხლში ჩაფლული.

ბორგავს ავსული
წრეგადასული -
ჯაჭვით ნაცურით,
ფანდით ქოცურით.

არ აწყაული
ვაზის ნაჟური,
ეშხის საცდურის
ფაცი-ფაცური.

მაინც პრანჭული,
თან წახნაგური,
თან ვახტანგური -
მრწამსი ქართული!

აღმოხდა

ექო ღვთის ხმების,
ღაღადი მცნების...
მსწრაფლ ვერ ვიცვლები,
ვით ელვის ფრთები.

მაშვრალი ბრძენი,
შარაგზა ბნელი,
სიმართლის მთქმელი,
აძაგეს ქველი.

აღმოხდა მოყმეს:
- რას უსმენთ ოხრებს...
ყამირი მოხნეს,
ვიყუჩებთ ცოდვებს!

ვერ ვუგებ ნოხებს
უხიაგ სოფელს...
რაც უნდა მოხდეს,
ვუხშიროთ ლოცვებს!

არ დაამწუხრო

ღრუბლის ფთილები
შეერწყა შვიდფერს,
ისე ირთვები,
ანათებ მზისებრ.

გული აძგერდა,
გული ეული,
ტანჯვის საშველად
ვარ შერყეული.

გავითავისე
ალი სიფრიფა,
ღაწვის სიფითრემ
ამაგიზგიზა...

დაე, საწუთროვ
აფრქვიე მადლი,
არ დაამწუხრო
კოკორი ვარდის!

დუღს

თვითნებურობის
იმიტირება,
გაუცხოვების
ძერწავს დილემას.

აზრი რომელიც
არის საჩინო,
ცრემლის მთოველის
სახავს სალხინოს.

რადგან დღეს ისე
მოხვედი ახლოს,
განწყობის მყისვე
ზღაპარი სახლობს.

ო, განივთება
ვერ ვითავისე,
სხივი ეცლება
მთვარის კლავიშებს.

წამო, ჩამოდი
ღელის ნაპირზე,
აქ ხომ სამოთხის
დუღს სინატიფე!

გაითავისე

როგორ დაგჯაბნა
სიძულვივლმა,
როგორ დაგჯაბნა,
ისე გაჯანჯლდა,
ისე დამყაყდა,
როგორც ჯანდაბა.

მობრუნდი აქეთ,
შემოხედე
ღვთიურ კარიბჭეს,
ანათე სახე,
ითავმწონე
როგორც სალი კლდე.

გაითავისე
უთქმელობის
აზრის სიამე...
და სასიკეთო
სიხალისეს
პატივს მიაგებ!

კალო

შური შფოთია
ნაკლისა გამო...
როგორ მოშლია
უქნარას კალო.

ზენამ დაკვესა
შემოქმედ ხელით,
მყისვე წალეკა
ღვარცოფმა ხევი.

რადგან კერპები
აღარ მასვენებს,
უთრთის ფესვები
მყარად საშენებს.

საჩქაროდ ვიხმობ
ზვარში მონაგარს...
ურთიერთ სითბო
ცის მადლს მონახავს.

სცნო

მიმოქუფრული ზეცა
მზის საფირონებს კეცავს.

ადიდებული ღელე
ნათესებს აამღერებს.

ისე გახუნდა აზრი
ჟამს დაჰკანკალებს ფარსი.

ხელმოცარული კაცი
ქისას ბოლომდე არ ცლის.

ნათელ წინაპრის მრწამსი
მომავალს სასმისს აწვდის...

სცნო ცისარტყელის სხივმა
დრო რომ შეიცვლის შირმას.

თეთრი გალავნის მიღმა
შარშან ხოხობი იჯდა,

დღეს წითელგულა ჩიტი
თვალცრემლიანებს ითვლის.

დავძრწი

ნაძვის რტო დაცხრილულ
კარუსელზე,
ნიავს მიმოღადრულ
ყელს უღერებს..

ჩიტმა დააჩქარა
ჯვარისწერა...
სიტყვა ტკბილშაქარა
არა მჯერა.

ლეკვმა ამილოკა
ხელისგული...
ვნება აიფოფრა
დანატრული.

პეპლებს წამწამები
დაუსველდათ...
შენით ნამთვრალები
დავძრწი ველად.

ეიფორია

რა ჯიქურ მიწვევს
მელანქოლია.
როცა გავიწევ
ვიწყებ ფორიაქს.

როს წარმოსახვა
აწითლებს ყურებს,
აზრის ჩასახვა
იფაციფუცებს.

როს ვნებას კაუჭს
ამოსდებს მრწამსი,
ჩაკორტნის აუგს
შემთხვევის ნავსი..

როცა იყეფებს
ეიფორია,
განცდის სიფეთე
სულის შმორია.

მიჭირს

მერცხლების ჭიკჭიკს
ხმა შევაწონე...
ღვთის აღქმა მიჭირს,
რაიც მაღონებს.

დაეხშო კარი
სივრცის საუნჯეს...
განგება არვის
სტოვებს დაუსჯელს.

ჩავკიდე ხელი
ვერხვის კარუსელს,
მამშვიდებს ცრემლი -
ვნების საუნჯე.

გარემო ასცრა
დილის ნიავმა...
ეჭვები ფარცხავს
სულის იარას.

დიადემა

მიჰქრიან დრონი,
ყოფა მძაფრდება...
სიხვეჭის მნდომის
ყარს დიადემა.

შესტირის მოყმე
წყვდიადის ქროლვას,
მოუწევს ოხრებს
ლაციცის ქოლვა.

გამოიფიტა
გონის უჯრედი...
მხნეობს სიმწრისგან
უტყვი სულგრძელი.

ამ ღვთისნიერი
თავშეკავებით,
დუღს მყისიერი
პეწი ზმანების!

რანდავს

მიმჭკნარ თავთუხებს
მზე გარსს აცლიდა,
ულმობელ წუთებს
მოსდევს განტვირთვა.

აცრემლებული
ბუზის ხმა მესმის...
თვალანთებული
დოლს რანდავს მწყემსი.

როგორ შეჰყეფა
უცხოს ნაგაზმა,
არდაფეთება
ჩაკლა ნაფაზმა...

როს ახორხოცდა
ბახუსის ნავსი,
გაჩაღდა მოდა,
ყანწებში აწვიმს.

ჭაპანი

ამ გატრუნული
მასის გარშემო,
უნდა ურმული
მიმოვამშვენო.

თავისუფლების
შევიგრძნო ფასი,
არგაწბილების
ვარწიო თასი.

ეჰ, მაგრამ ხშირად
ამგვარი ნატვრა,
ამაოდ სწირავს
ბრძოლის ველს სარდალს.

ყველამ რომ თვისი
ჭაპანი მართოს,
ვინ იტყვის თბილისს
სძინავსო ამ დროს!

წუწუნი

თუ იწონება
გარემოება,
უნდა გონებამ
წვრთნას სათნოება.

თუ ათკეცდება
უნარი გზნების,
გული ეცდება
შეისხას ფრთები.

უმადურობას
როს ეშმა სუფრობს,
უწმაწურობა
გნიასებს უფრო.

ხილულ უკუნის
პირქუშ სახეებს,
ბუზღუნ-წუწუნი
ციმციმ ახევებს.

ყიამეთი

დაჭკნა შროშანა,
ხმება ასკილი,
ისმის ოსანა,
ქეჩო აშლილი.

აღმოსავლეთის
ქარმა დაჰბერა,
კვლავ ყიამეთი
შეგვრჩა სახელად.

სიდუხჭირემაც
ჩაქინდრა თავი,
ყოფის დილემა
უმწეოდ ღნავის.

შინაგან არსის
მიმქრალ კანდელთან,
ძვალტყავა ძაღლი
ძლივსღა აყეფდა.

ძნელად

უნიათობის
სალესი გაცვდა,
ავად საგრძნობის
ჩოთირობს განცდა.

როცა განწყობა
საღერღელს უტევს,
ძნელად იწყობა
ინტიმის ბუდე.

მაინც მატყვევებს
თვალთა სიმკვირცხლე,
ღაწვებს საფერებს
შვენის სიფითრე.

ციური ხმები
სცრიან საუწყებს,
მუნ ვეტმასნები
ვნების კარუსელს.

პოეტები

ჰო, პოეტები,
მზის მოედნებით,
ვინ ავფორდებით,
ვინ კი - ვცხონდებით.

რარიგ კიაფობს
ჭრელი იაბო,
როგორ იაზობს
აზრის ფიასკო...

ვერ გავიაზრო,
როცა სიახლე,
გამოვეთიშო
საწრთობ სიანსებს.

როცა ხორხოცობს
რიტმის მანტია,
მივცოხნ-მოვცოხნოთ,
რითმის ფანდია!

გაიჯეჯილა

როს ქსელში გაბმულ
მსხვერპლს ვედარები,
აცრემლებს ნატრულს
სიმწრის ზარები.

მივსდევ საწუთროს
ალხან - ჩალხანით,
ისევ ავსუფრობს
შლეგი ზრახვანი.

ჟამთა სიავემ
გაიჯეჯილა,
ბრიყვის სიამე.
ხავის შეშლილად.

ზღვა გადასილავს
ასაცრელ მდელოს,
მამულს გვიჩრდილავ,
დაბდურა მტერო!

ნაოჭი

ბუნდოვან აზრის
ქარიზმას აწვიმს,
მიმჭკნარი ხავსის
ჩაშმორდა ნავსი.

თვალსისხლიანმა
იელვა ლანდმა,
გაინაბა და
ნისლებში ჩადნა.

ჩანს შენიღბული
ეშმას სამკვიდრო,
ზნე შებღალული
ვისღა დაინდობს!

დაძრწის ღრუბლმცრელი
ნაოჭი ცაზე,
ლიუციფერი
მარაოს არწევს.

მონატრება

გაუცინა ცისარტყელამ
ავდრის სიფერმკრთალეს.
უდაბნოში ყვავილს ვხედავ,
არ ვუჯერებ თვალებს...

თავკერძ უცხო თვალხატულას
ფურისულას ვარქმევ;
ქარით გზათა გადასილვა
შეეწონა ნაღველს.

გულში ისე ჩასარკულა
ვერ ვივიწყებ შვიდფერს;
მაინც ვაცნობ ჭირის უსტარს
ამ ჭირვეულ ფიქრებს.

ახლა მივხვდი, რა ყოფილა
მონატრება წვიმის...
და რად შევხვდი კმაყოფილი
ფურისულას ღიმილს.

წილად

წვიმის მნდომი მზერა
ღრუბელს მოეფერა,
გაელვება ერთ წამს
აბრდღვიალებს ზეცას.

გატყევებულ ფერდობს
ხნავდა კაცი ერთ დროს,
ნასოფლარში ერთიც
შერჩა ფაცხა ჩელტის.

როცა ახირების
დაძრწის სამხილები,
ვნებას მოერია
წუმპის მორევია.

ქვის და ნანგრევების
ექოს ამღერებით,
არსებობის წილად
კვამლი ასვეტილა.

ლანდი

ბელტებს აქუცმაცებს
კაცი დაზაფრული,
სხეულს დარაკრაკებს
ოფლის ნაკადული.

კრუხი ქოთქოთს ბარდნის
ციცქნა წიწილებთან,
წვიმს და მთვარის ლანდი
წყალში იძირება.

ისე გაიცეცქვა
სივრცის შარავანდი,
ძლივსღა შეიმჩნევა
ტაძრის გალავანი.

ო, ეს ტლუ ქაჯები
ღრუბლებს დარაჯობენ,
უფალს ვეაჯები
სულმნათ საგალობელს.

დილემა

ყოფიერების
ღვთიური განცდა,
უსაზღვროების
დილემას ასცდა.

ორღობის ფაცხას
ქეცი მოედო,
მოკვდავი ცასთან
მიეთ-მოეთობს.

გაუცხოების
განზომილებას,
თან განივთების
მოსდევს მხილება.

ბოლოს კი როცა
კაცი თავს კარგავს,
უფალი ლოცავს
მომავლის ცარგვალს.

ხვედრი

როს მემდუროდი,
ეძინა ბაღნარს,
ისე მომწყურდი
შხუოდა ტალღა,

ჩაბაცდა ცივი
ვნების ქარტია,
ცისკენ არწივი
მზემ აარწია.

როს ახლოვდები
ხარ მეტეორი,
განმეორდები,
ვითარც ტენორი.

ეჰ, მიმატოვე,
სხვასთან წახვედი,
სუსხი მათოვე -
ხვედრი ასკეტის!

დროზე

თვალნათლივ ვხედავთ,
საქმეც გვიჩვენებს,
მარიონეტთა
მდაბლურ სიბეცეს.

ტახტის წინარე
აყალ-მაყალი,
ისე მცხუნვარეებს,
ვითარც მაყალი.

რა ეშველებათ
ამდენ თახსირებს?
სულის ფეთება
ნუ გაგვაკვირვებს!

ხვნეშის ერდოზე
ჟამი საძილე,
უფალო დროზე
გამოგვაფხიზლე!

მრწამსი

დამღა ედება
ახლებურ ნაბიჯს,
სულისკვეთებას
შემთხვევა განსჯის.

უეცრად ისე
იცვლება მზერა,
მოკვდავი მყისვე
მიმიკებს კერავს.

ძნელად მისწვდება
კაცი მწვერვალებს,
ვინმე მითებად
გაიელვარებს.

მრავალს კვლავ სძირავს
ყოფის დილემა,
სუნთქვის საწინდრად
მრწამსი ღვივდება.

მსწრაფლ

კვნესის ნარცისი,
ეს რა ყოფილა -
გაუსაძლისის
გამოცდის დილა.

აგვაფინთიხა,
სისხლს გვწოვს კოშმარი,
ღნავის იჩქითად
გზის გამთოშავი..

ამდენ თავხედებს,
ამ უხერხემლოთ,
წვრთნად გადმოხედე
ციურო გენო!

თორემ აშმორდნენ
ვერცხლის სილაში...
დროა, რომ მოჯდნენ
მდელოს წიაღში!

ფუჭია

გაიფარფაშა
ნისლის პირბადემ,
გრძნობა ჩამყაყდა
სულთან მისვლამდე.

შორს ხარ, ამიტომ
ვერას მიშველი,
გული გაიპო,
ვით ბზა ფიცხელი.

უნდა გამოვცდე
ეკლიან ბარდებს,
ისე გავვოცდე,
ვუწამლო დარდებს.

როცა რო მიწყივ
ფუჭია ფიქრი,
ქარწყლდება ფიცი,
შავეთში მივქრი!

კაპრიზი

მიწიურია
მცდარი ნაბიჯი,
მოკვდავს სწყურია
თესოს კაპრიზი.

ჩემი ვალია
მივენდო სისხამს,
გარდუვალია
მავნებლის რისხვა.

დროა ჩავფარცხო
სანიღბე ფერი,
ფუჭად მამაცობს -
ვინც ვერ სცნო მტერი.

როდესაც ფარსის
ივსება თასი,
შეუძლოდ არის
შეცნობის მრწამსი.

ლაფში

ხარბად ისრუტავს
ცვარს ქორფა ყლორტი,
ჟამმა მიმწუხრა,
საწუთროს მოვწყდი.

ვერ ავისრულე
გულში ნადები,
სუსხი მწვავს ყურებს,
ლაფში ვვარდები.

ასე უბრალოდ
რატომ წახვედი,
ვის ვამუდარო
აზრი თანხვედრი.

არადა ვიცი,
ყიოდა სისხლი,
იალებს ფიცი,
თუკი დამიცდი.

მაშინ

როცა დაიდგამს
კისერზე უღელს,
მაშინ კაი ყმას
ცხოვრება უღრენს.

თასი იცლება,
არავინ უწყის,
როდის მიძვრება
ეშმაკი სულში.

როცა ჩაგითრევს
ჭაობის ხიბლი,
რისხვის სამიზნე
ცდომილებს ითვლის.

ოღონდაც ერთი
ვიცოდეთ ყველამ,
შეცნობა ღმერთის
აღვივებს კერას!

აჰა

ისე ატორტმანდა
სივრცის გემი,
გენის ამოცანა
შევიგრძენი.

უკვე ახსნილია
ზეცის ფარდა,
ტალღა სრიალსრიალ
აიშხვართა.

ჰოი, პოსეიდონ,
მოსეირნობ!
აღარ გაიცინო
მოსეირო!

აჰა, გაიღვიძა
პარასკევამ,
ციმ-ციმ დაიფრინა
ანათემა!

კვლავ

გაიფინთიხა
ძალამ, რომელიც
არის ბილწი და
ღვარძლის მთოველი.

კვლავ ამჯობინეს
ქრისტეს ბარაბა,
თავს დაფოფინებს
წუწკი სალაფავს.

ვერ ვანუგეშებთ
ლტოლვილთ ბანაკებს,
კვლავ ვაუხეშებთ
ყოფით არაკებს.

კაცობრიობის
წმინდანთა წმინდად,
მრწამსი იობის
ამოტივტივდა!

თრთოლვა

მათბობს სინანულის
გაელვება,
თვალი მინაბული
იცრემლება.

მცდარი გაწბილების
ათინათით,
ზეობს აღტკინების
განთიადი.

გემის შლეგი აფრა
იფარცხება,
თრთოლვა აკიაფდა
ცისარტყელად.

დნება მოგონება
ცივ ფიფქებად,
განცდა სათნოებად
იცრიცება.

ხვატი

როს ბელზებელი
ისევ თარეშობს,
სულის შემძვრელი
ხდება გარემო.

ხვატი თავს ესხმის
მთვლემარე ცთომილთ,
ჯანყი ჩამესმის
უეცარ კრთომის.

ეჰ, გულგრილობას
და გაწბილებას,
ეჩოთირება
ცხადის მხილება.

თეთრ ბაირაღებს
როცა გაშლიან,
ვინ გაილაღებს,
ვისთვის ფარსია!

ჩანაყა

უხილავ საფარშია
ჯარი ვარსკვლავების,
ღრუბელმა დაამშია
სივრცის მარმაშები.

ციურმა ათქეშებამ
ჩანაყა ხოდაბუნი.
ბერმუხას ახვნეშებამ
აურით მოხნა გული.

როდესაც მიილია
ეს დავიდარაბა,
სხივების იდილიამ
მოაღო დარაბა.

ღამურა უკუნთან
განშორებას განიცდის,
უფალმა მსუბუქად
დახარა ფარი ცის.

ჰოი

ჰოი, ნარნარინა,
ჰოი, ნეტარებავ,
ცრემლი დამადინა
შენმა შეყვარებამ!

რარიგ ჩახვევია
ბარდი იასამანს,
გულზე ამხევია
ტრფობა იალქანად.

ნუთუ მოვფრინდები?
ნუთუ მოფრინდები?
ისე ავინთებით,
ვითარც მაშხლის ფრთები!

ისე მენაზები,
წმინდა კელაპტრებით,
ვარსკვლავს შევადნებით,
სათნო შემართებით!

ამაოდ

კვლავ აბოგინდა
ვნება ღატაკი,
ამბიონიდან
ბგერებს ვფანტავდი.

სულმა აგუბა
სევდის მორევი,
გადააქუფრა
ნისლმა გორები.

კვლავ ათავთუხდა
ჟამი მუდრეგი,
ამაოდ ქუხდა
ჯანყის უჯრედი.

კვლავ პაექრობენ
ცოდვა და მადლი,
კასკასს ახშობენ
უკუნის კადრით!

ცვენა

ამაოების განცდამ
გაურკვევლობა ასცრა.
ჩაბჟირებული ფარსის
მიმოითუთქა მრწამსი.

აფორიაქდა ცოდვა,
ღოღავს სიმართლე ობლად.
აზვირთებულა ტალღა,
წაქცევაზეა ფაცხა.

ჟამთა სიავის თქეშის
ათინათები ხვნეშის.
დამღა დაედო სირცხვილს,
გამოცქვიტინდა კვიცი.

გააწკრიალა სმენა
ნაზამთრალ შაშვის სტვენამ.
ჩალპა ნიღბების ცვენა,
კეცალკენარობს ენა!

აშკარად

ყეფს სიძულვილი
ისე აშკარად,
განსჯის წყურვილის
მადა ჩამცხრალა.

გაჰყვა ზენა ქარს
პეწი და ხათრი,
სასას მიფატრავს
ბრჭყალბასრი ლანდი.

სულს კოშმარები
ბურუსში ახვევს,
ვეცარგვალები
პირვანდელ სახეს.

ვერ გადვიქეცი
რადგან მლიქვნელად,
კვნესის სიბეცის
შვების სიმღერა!

უნდა

კვლავ ზენიტშია
კაცთ სიბოროტე,
მიმოხედნიან
საჭეს ბოლომდე.

მიმოისვრიან
გესლიან ჭურვებს,
სადღა იცლიან,
რომ არგონ ურვებს.

გაზულუქებულ
კასტათა დასი,
მამულს და დედულს
არაქათს აცლის.

უნდა აღზევდეს
გუნდი ფხიანი,
კუთვნილს დასჯერდეს
ა დ ა მ ი ა ნ ი!

კვამლი

დახლართულია
გზები სავალი,
დავლურს უვლიან
ვერცხლის მძალავნი.

კაცს რიხრახს ურევს
ცდუნების პეწი,
ვერ ირგებს უღელს,
გულ-ღვიძლი ეწვის.

ველარ აღიქვამს
რეალურ ყოფას,
შეჭირვების ჟამს
ცქმუტავს და ოხრავს.

კვამლი მწველ ფერად
შეერწყა ღრუბელს,
მთვარე ვენერას
მარაოს ურწევს.

ყვავის

დამკვეს თვალთა კრთომით
სულის შენათებავ,
შენი თანადგომის
მადლი მენატრება.

ისე ვაჭიატეთ
გულის ხვაშიადი,
უნდა დაგვიამდეს
მყიფე ხასიათი.

იქნებ შეგვიხიდოს
ქარის კარუსელმა,
შიშმა ბეჩავ ხვითოს
შუბლი აუსველა.

როცა სიფარფატე
ჩაკლეს ღამურებმა,
დილის სუნთქვის მნათე
ყვავის კაპუეტად!

იყვედრის

ზებუნებრივი
განცდის წყალობა,
ჩვეულებრივის
ავსებს განვრცობას.

განწირულ კრავის
მესმის ხავილი,
გამოძვრა მავნე
ყალბი ალიბით.

თუ რამე ძალა
შემომრჩენია,
სისხამი კვალავს
ზესთაზენიარს.

სასინჯად მაინც
იმ გზას მივყვები,
სადაც რო ბარდნის
მწველი ფიქრები!

უებრო

დელგმამ აგლიჯა
ქარაფს საკინძე,
ელვა საქირდავს
მიმოაფხიზლებს.

მოჩვენებათა
ცივი ხელები,
მიმოიკვარჩხნა
ღამის ფერებით.

მუდრეგი ჟამის
ცეტი ზმანება,
დაძრწის ვით ხამი
და უკარება.

სცრის საფირონებს,
ანკარა სული -
ღვთივ აცისკროვნებს
უებრო დუმილს!

დამფრთხალი

როს ვეღარ სუფრობს
ეშმა ქაქანით,
უფრო და უფრო
ვხდები ამტანი.

ვკმაყოფილდები
თავის გატანით,
გამოვიწვრთნები
სულის ხანძარით.

ჭირს ჩანაფიქრის
დროზე გამხელა,
დამფრთხალი მირბის
ჩემი პანტერა.

როს ნათელმყოფის
კერა ნელდება,
უანგარობის
ცვდება ხელწერა.

ცოტანი

ძლივსღა ვრწმუნდები,
ხშირად ცხოვრება,
არის მუქთების
ახორხოცება.

ცოტანი იხდის
უფლის ბეგარას,
უწყდება ნიხრი
ტანჯულ ქვეყანას.

მრავალი გუნდრუკს
უკმევს ელიტას,
ხალისი უცთუნ
შემოგვეფიტა.

ჩაბეგვილია
სული შლეგურად,
სუსხის ჭირხლია,
კვნესის ბეღურა.

მაინც

არგანცდილ გრძნობის
რომ ვცადე ხილვა,
სიახლის ხმობის
მბოჭავდა შირმა.

არად ვაგდებდი
არად ჩაგდებას,
მაინც მაბნევდი
დღის ჩაღამებად.

უფალი ალბათ
იმიტომ გვტანჯავს,
სიმდაბლის კართან
არ ვიშლით ჯანჯალს.

მაინც გიმღერი
ჩემებრ ქარტიას,
სხივი იმედის
თავს დამნათია!

ავგაროზი

კვნესის ტარტაროზი,
ღვარძლით განათოში,
ბრწყინავს ავგაროზი
სევდის სალაროში.

მაცდურ სირინოზებს
ღამეც არა სძინავთ,
ელვამ ალიონზე
სხივი გაასხვისა.

ცოდვა განუსჯელი
სანამ იტრიალებს,
მიწყივ აუთვლელი
ბჟუტავს სიდიადე.

ზეობს მადლიანი
არსის შეჯერება,
დედა მარიამი
მოგვებს ეგებება!

სახრე

ცხოვრების წესი -
დავიდარაბა,
სიცრუის მწყემსი
ხვრეპავს სალაფავს.

ხელი ძალუმად
ლაფში ვურიეთ,
წინსვლის მარულა
გვზაფრავს სულიერთ.

როს წარმოსახვებს
ძალა ადგება,
არ ასცდა სახრე
თავის მართლებას.

იშვიათია
ალალი სიტყვა,
რაც ცინცხალია
ჩიხშია დიდხანს!

ციფრები

როგორ გამიფრინდა
შენი თვალთა კრთომა,
ვნების ჩამიჩიდან
ბღილი მიმოთოვა.

ნუთუ, ვერ ვიგრძენი
რაც რომ იგულისხმე?
ოი, ეს ციფრები
როგორ გვიკულისებს!

მიწყივ გაირბინა
ეშმამ ქარაფებში,
ხევში ჩაიხრიმა
ზვავი დანათქეში.

სხივმა იავარა
ნასხვის ალებიდან,
ეულ იასამანს
ცალყბად ჩაეღიმა!

საფარში

უმსგავსოება
ილესავს კბილებს,
განხეთქილება
მომხრეებს იკრებს.

სულის განგაშის
წივის სირენა,
კნავის საფარში
ბრმა ახირება.

თვალს გაუჭირდა
ფერთა გარჩევა,
მთვარე ატირდა
ღრუბლის სასჯელად.

ღიაფობს ჩქამი
საწუთროს მხრიდან,
ღვთიური მრწამსის
გამოკრთა დვრიტა!

მოლზე

გადიელვა უცებ
სატრფიალო ტალღამ,
თუხთუხს ძლივსღა ვუძლებ -
შხეფებს სივრცე ხაპავს.

მორაკრაკებს ისევ
მადლიანი რუ და
სუნთქვას ამიცინცხლებს
მოლოდინით ცქმუტვა.

გამოჩნდი და კიდეც
მოგოგმანდი ახლოს,
ჩვენი კრთომის რიდე
ოცნებებში სახლობს.

სათნოება ვიგრძენ,
ამ დაცვარულ მოლზე,
ცხადად ყოფილ სიზმრებს
ვუწილადებ ცოდვებს.

მეხი

როგორ აირია
მწყობრი წარმოსახვა,
ბედის ირონია
რჩება გამოცანად.

გაკრთა გაფრენილი
პეპლის მოლანდება,
ჯინით გასენილი
ურვა ორმაგდება.

ო, ეს ვამპირული
ქნარის გაელვება,
განზრახ განწირულებს
ფერფლად დაეყრება.

რიჟრაჟს ენაპირა
მეხი ანათემად,
ვარდი საფლავის ქვას
ცოცხლად დააკვდება!

ვეღარ

როცა კერპები
აღარ მასვენებს,
ვერ ვეფერები
ციურ ფანტელებს.

რადგან სიმართლე
ლაფში გასვრილა,
ვეღარ მინათებს
ჭრაქი გზაწვრილას.

ამ გაწბილებით
სულით ხორცამდე,
ავის ხელქვევით
მიჭირს ვხოხავდე.

ჯვრის შემეცნების
ექო აჟღერდა,
მიხმობს აფრები
ციურ სარკმელთან!

უმსგავსო

როცა კამათმა
დაჰკარგა აზრი,
ვერ მიმორანდა
შეგნებამ მრწამსი.

დამთმობი საქმეს
მიაფუჩეჩებს,
შეეხო სახრე
სულის უჯრედებს.

როცა განწყობას
სიყალბე სძალავს,
ვნების ჩაცხრომა
აღვივებს ვარამს.

როცა უმსგავსო
ხმები დაირხა,
დროზე არ ფასობს
მაშინ კაი ყრმა!

ოხრავს

ვერ ავეტმასნე
ბრბოს ნირწამხდარი,
უმეცარ მასებს
უთრთით ფარ-ხმალი.

ინერციითა
და შეძახილით
მიმოიცრიცა
ბრიყვის აჩრდილი.

დაწნეხილია
სულის ზეობა,
დროს მისტირიან,
ოხრავს მეობა.

ბუ ეფოფრება
გახრწნილ დილემას,
ქაჯს უსაფრდება
გამოცდილება.

ვინ რას

ოდეს ვინ განსჯის
თუ რას ვშაირობთ,
როცა რომ ჩარჩიც
უგებს ბაირონს?!
თან ცდის მირაჟში
ეკვეთოს ტალღებს,
ცეცხლის წვიმაში
კი - რანდავს მახეს.
მრავალი ბაძავს
გალას, ტიციანს,
დრო როგორ გვბღალავს,
ის არ იციან.
როს ამ ლაყაფის
იმძლავრებს ექო,
ღვარცოფის ლაფი
წალეკავს ბექობს...
და რაც დარჩება
ნაჟური ნაღდი,
სულის სარჩელად
ქაოსში ბარდნის!

ვითომ

როს შემაცბუნა
მონანიებამ,
ცოდვის სასრულად
მძლავრობს მხილება.

ისე ჩამოჰკრავს
მიმწუხრის ზარი,
დამყოლ სამოძღვრავს
ექერცლა ბზარი.

მუნ მარქაფულად
გასასვლელ ბილიკს,
ისევ გამურავს
ბნელეთის გზირი.

სასწაულების
იმიტომ მჯერა,
რომ ერთგულების
ვაღვივო კერა.

ქოქი

როცა შთაგონება
ქარგავს სასოებას,
ცრემლის დატბორებას
ვკინძავ ასოებად.

სული ნაგვემია,
ნდობა დაგველია;
გესლი ნაგემია,
ოხრავს კამელია.

ჩაწყდა ნისლის ბადე,
ბელტმა იმარხულა,
პეწი ამომხადა
ისევ შინაურმა.

მსუსხავ ნიავქარებს
ქოქი მივაყარე;
შემცბარ იალაღებს
სწყალობს სიალალე!

ჩაცომდა

გამუქდა ზეცა,
აყმუვლდა მგელი,
ღვარცოფმა ჟეთქა
იალაღს ცელი.

საზღვარი ასცრა
უაზრო განსჯამ;
აბორგდა განცდა,
სიწრფელე არ ჩანს.

ჩავმარცვლდი რადგან
უხიაგ დარდად,
ცრემლები ახლავს
ჩაცვარულ ნახნავს.

ცქმუტავს და დახტის
უზნეო კადრი,
გასხლული ფანდის
ჩაცომდა ყადრი.

წინარე

თვალმა მახარა
ვნების კამარა,
სხივმა თაკარამ
სივრცე დაღარა.

ვერ ვიბოგინებ
ასე ეულად,
ფრთები ლმობიერ
მიმორწეულა.

ცეცხლი მომინთე
რადგან გუზგუზა,
ვეღარ მოვითმენ
გვემას ზურგს უკან.

თრთოლვის შედეგებ
გამომდინარე,
შემოვეხეტე
შენსა წინარე!

მოეშვა

აზრების მწველის
ბიბინებს ზვრები,
მაშხალად ვცერი
ფიქალი გზნების.

აღლუმი ფერთა
მადლია ზეცის,
ნაღვლიან ხეთა
ცრემლები მეწვის.

ჭანჭიკი როცა
მოეშვა იღბალს,
მინელდა ფორთხვა
ცდუნების მიღმა.

წამოდგა ბერი,
ახედა უფალს,
ნატანჯი ქველი
ზედაშეს ხრუპავს.

ჩახერგილი

ო, ეს სინანული,
სასთუმლ მინაბული,
ხევში ჩახერგილი
ვიწრო მთაგრეხილი.

ვაი, იმ ლოდინის
წუთი განდგომილი,
თანმდევ სიანკარეს
ხინჯს არ მივაკარებ.

საზღვარს ასცდენია,
მიწყივ ნაგვემია,
გულში ჩამრჩენია
რაც სულს არ სჩვევია.

როს ეს დავიწყება
მაინც არ მიწდება,
ცისკენ დაიძრება
მსუსხავ აირებად.

მთავარი

მწამს ანგელოზთა
ჯანსაღსერობა,
ღირდაო მოცდა
სულის მხნეობად.

ო, ნეტარება,
ვნების ხარება,
მჭირს საწამებლად,
ჟამ საამებლად.

არ საცნაური
შხეფობს ზღვაური,
ჰოდა მუხრუჭებს
ავახუშტურებ.

გულის ფანცქალი
თუა მთავარი -
ღირს ჩაკონება
მწე საცხონებლად!

ქართველო

გიჭირს მამულო,
ცრემლდანამულო,
მიწყივ გვემულო,
ცრუ ასწლეულო.

ვინ არ შებოჭა
ფლაყვე ეპოქამ,
შორით შეტოპა
ფლორათ ხელყოფამ.

ღნავის ფაუნა
ჩამზრალ აურად;
ვცქმუტავ შვეულად,
ვერ შეჩვეულად.

ჰეი, ქართველო,
მრწამსის დამცველო,
დროა აღზევდე
ცოტნეს ნახმლევზე!

მზერა

კაცური სითბო,
როს ერწყმის მითოსს,
საწინდრად ვიხმობ
მომავლის სინდრომს.

რამეთუ მზერა,
ფიჩხს რომ გვრის კერას,
თანხმობა ელავს
სიკეთის მხსნელად.

ხვავიან კალთას
უფალი ბერტყავს,
სამყაროს ქარგავს
ციაგი ფერთა.

რომ შევძრათ მთები
მოგვიწევს დაცდა,
სულიერ ვთვრები
სამოთხის კართან.

ბეცი ზმანება

მირაჟში ჩაცხვა
ბეცი ზმანება,
მლიქვნელთა კასთა
მხნედ ირაზმება.

როცა წყვდიადი
ნთქავს აღსარებას,
აზრი ხიმანდრი
აშიშხათდება.

ისე ჩამოჰკრა
სიფხიზლის ზარმა,
ყოფით სამოძღვრავს
ყვრიმალებს კაწრვს..

რადგან ღრძო ჟამი
ახირებულა,
უნდა ცხონდარი
ვამკო მეფურად!

ვინც ვერ

მაცდური წამის
მსწრაფლ შეჯერებად,
ფაფხურობს ხამი
ფარს შეღერებად.

აზარფეშდება
ლუკმა არამი,
ჩაიფერფლება
ფიქრის წკვარამი.

ვერ განვეშორე
იმგვარ შარაგზას,
როს სიმარტოვე
ჯანჯალს ჩაზაფრავს.

არის ავგვერდა
და შესაბრალი,
ვინც ვერ აგვერგვა
დროზე ნამკალი.

ცალყბად

როგორც გვგონია
არ არის ისე,
დაბდურ ფორიაქს
ვისრუტავთ მყისვე.

დალალებს ვარცხნის
ყბედს ირონია,
გულწრფელი მრწამსი
ვერ გვიპოვნია.

ვერ ვუჩირაღდნე
საწუთროს შარა,
დამფრთხალ სიმართლეს
დაედო ღალა.

უმადურობა
ცალყბად რომ სუფრობს -
უხერხულობას
ნაოჭებს უკრთობს.

შეჯერება

ისე იცრემლება
ციცქნა ქრიზანთემა,
თქორის შეჯერება
ციმციმ იბადრება.

აისს ვედარები
მჭვარტლის ჩასაკვნეტად,
დუშმანს შევაკვდები
ღვთიურ დასაკვნესად.

თანხვედრ დაიხვეწა
მრწამსის სასოება,
შვებით გაისველა
ვერხვმა განშტოება.

სიკვდილს სიცოცხლესთან
ნიში ჩარჩენია,
უფლის მირონცხება
რჩეულთ სასჯელია!

წნეხი

ცალმხრივი დინება
თავისკენ მიმათრევს,
ქაფის აირება
აბაცებს სინათლეს.

ისე ცანცქარებენ
აშლილი აფრები,
წინსვლის საჩქარებელ
ნიადაგ დავშვრები.

აბა რას გავხდები
ამაო წიოკით,
ჩაცომდნენ გზირები
უზნეო ღიოფით.

ა, ველარ ავცდებით
ზვირთის შემოტევას,
ნაპირზე დამცემი
წნეხი მელოდება!

ვაელვე

ჩანაფიქრს ავყევი
გასაშლელ კარტივით,
ქარაშოტს თანმდევი
ჭიუხებს დავკივი.

რატომღაც მეამა
ღრუბლებთან ლაციცი,
შინაგან იაზმას
ვეზმანე ჩაწიხვლით.

როცა რო მიმუხთლა
ნაბიჯის სიმრუდემ,
უხილავ ხილულთან
ქვეგარდმო ვიხუვლე.

გაფხორილ ვარამში
ვაელვე მაშხალა,
მისტიურ ნახნავში
დავეძებ გზაშარას!

ვჭედო

ჩაკონების
შემსწრე ძელქვამ,
კუნწულები
ამოფეთქა.

გაზაფხულის
ჰარმონია,
სიყვარულის
ფანტომია.

განსჯა სიზმრის
კვებავს ვნებას,
ჭმუნვა კისკისს
ენაცვლება.

თუ საბედოვ
დამიამდი,
უნდა ვჭედო
ხვაშიადი!

კურცხლებად

საოცარ ზმანების
დუღს შემოგარენი,
მომნუსხავ თვალების
პეწს ვეთაყვანები.

ღაწვები ათრთოლდა
აურის საგრძნობლად,
სურნელი მათოვდა,
სულიერ სათრობად.

მერქანზე დაბობღავს
მოზრდილი კალია,
მწერების ჩაკორტნა
კოდალას ვალია.

აყვავდნენ შინდები,
იბარტყა პეპელამ,
კურცხლებად ვიცრები
ერთობის ვედრებად!

ეწვის

როს უზნეობამ
გამაგულისა,
ვსახე მხნეობად
რიდი უფლისა.

ვერ დამაჩოქებს
ჟამი მწუხრისა,
არ გავატოკებ
სიტყვას ულირსად.

არ მივენდობი
ფლიდს და ავყიას,
სულში ნაწრთობი
სხივი ანთია.

როს ერის მცნება
ეწვის მერმისსაც,
არ განივთდება
მრწამსი გენისა!

მსწრაფლ

ხედავ, გეთაყვა
ვნების თათარამ,
სახე შეფაკლა,
გული ჩაღარა.

სული მზეწვიობს
სხივის კამარად,
მსწრაფლ დავეწიოთ
დაძრულ ქარავანს.

გამოიმეტა
შარამ სურნელი,
კალთას იფერთხავს
ნავთსაყუდელი.

ჰა, გაზაფხულმაც
დაიბრდღვიალა,
ვნების სასთუმლად
ვირჩევ იალაღს!

ბჟუტავს

თუ ცისარტყელას
მოვებღაუჭე,
ქროლვის მაშველად
ვრანდავ კაუჭებს.

მოადგა ცრემლი
მწირ სიჩაუქეს,
ბურუსის გემი
ღუზას ჩაუშვებს.

მოიძუნძულა
მგელმა ტრამალი,
თავქვე დაძრულა
გზის გასაყარი.

ჩანაღვლიანდა
ნაოცნებარი,
ბჟუტავს ნიადაგ
მრწამსის მწე კვარი!

ვერ ვითავისე

ოხვრა გაწბილდა
შლეგ ასწლეულის,
ღვარძლის ქაფიდან
ზეობს გრძნეული.

რადგან ვაგდივარ
თამაშის მიღმა,
ფიქრის საწინდრად
დავსტირი იღბალს.

ზენა ქარია
გულს რო მიწვრილებს,
სიმწრის არია
გამაციმბირებს.

ყოფით კლავიშებს
ჩაშლიათ ნიხრი,
ვერ ვითავისე
დემონის ხიბლი.

რისხვა

როს უსამართლოდ
საქმე ჩაფლავდა,
ამაოდ ვსარჩლობ
ბედის ვარსკვლავთან.

გული ჩამწყვიტა
უშნო განგაშმა,
რისხვა გაწვიმდა,
ზეცა გაშავდა.

ფიქრთა საუფლო
გაუდაბდურდა,
უნდა გავუძლო
ყოფით სამდურავს.

უნდა ვშთაბერო
სულს აღტკინება,
მიმოვაჟღერო
ცოდვის მხილება!

ლანდი

ვერ ვაიმედე
გული ნატკენი,
ზეობს სიბეცე
ბინდის ჩამკვნეტი.

განწყობილებამ
გაიმსუნაგა,
მწუხრის დილემა
ამსხვრევს ყულაბას.

გაუყასიდდა
ხიფათს სიფათი,
ამოძვალმყისდა
ლანდი წინაპრის.

თუ გასათუთდა
მეობა ფიცხი,
მადლობა უფალს -
აღქმაა სიმწრის!

თუ ხარ

იმ განაწბილებ
წუთებს დავსტირი,
როს მაცოდვილე
შლეგი მარტივით.

ისე აღრინდა
ჟამი ცბიერი,
ლამის ჩაღირღნა
თვალსაწიერი.

ვერ შევაწონე
ჰანგი განთიადს,
ვერ მოვაწონე
კადრი ბაფთიანს.

შენეულ მრწამსით
თუ ხარ ამაყი,
შეკარი ნასკვი
ტრფობის ჰამაკის!

ბღილი

ხალასი აზრი
გაუფასურდა,
დააცხრა ხარბი
მსუყე სასუსნავს.

სათქმელი რაღაც
იმდენად მტეხდა,
სარკმელთან სახტად
მოისრა სეტყვა.

ქალამნის ძირი
უდროოდ გაცვდა,
მოედო ბღილი
სულიერ ფაცხას.

მაინც ამაყად
ძნას ძნაზე ვაწყობ,
წლების ბარაქამ
დაჰყეფა აწმყოს.

ნუ მტოვებ

ვიშინაურე
სიჩუმის ხიბლი,
ავ საზღაურებს
გენებში ვჭირხნი.

რომ ვისიამო
არ მიშვებს ფიქრი,
არაფრის გამო
მადლობას ვიხდი.

არ ვეშურები
ბალ-მასკარადებს,
ვეჯაჯგურები
სიმწრის დარაბებს.

რატომღაც ლუკმა
გულზე დამესო,
ნუ მტოვებ უბრად
უ ზ ე ნ ა ე ს ო!

მყის

სივრცეს აწყურებს
სიმწრის სონატა,
ქორფა თავთუხებს
ცრემლი მოადგათ.

როცა ფარფლები
უთრთის მუხთლობას,
შეკრა წარბები
უხერხულობამ.

გავხედე ცერად
ჩაბჟუტულ კერას,
გარემოს სერავს
ნაწრთობი ძერა.

მანჭავს სიქუფრე
ღვარძლის მინარეთს,
მყის ჩავიმუხლე
საყდრის წინარე.

პეშვით

ღამეებს ვუთევ
ხვაშიადს უთქმელს,
ზამბახთა სურნელს
მივესათუთე.

თანხვედრი კრთომა
როცა ხალისობს,
მსუყე განწყობა
ედელვაისობს.

ზღაპრულ კალოდან
ტბორს ვხაპავ პეშვით,
გაუბრალოვდა
სათუთი ეშხი.

რადგან სიმორცხვე
ვერას მიოკებს,
ველურ მინდორზე
ვგეშავ იოგებს!

იწრთობა

როს იწინამძღვრებს
ცდუნების ფანდი,
მრწამსის წინარე
ფერს იცვლის მადლი.

დრო შეცბა, რადგან
ზოგჯერ ხვაშიადს ,
მითიურ განძად
მიმობარდნიან.

პარადოქსული
ციებ-ცხელება,
წუწკობს საცდურის
ბრმა განტევებად.

იმ მოლოდინის
იმედად ვრჩები,
როცა რო ჟინის
იწრთობა ფრთები.

გასანთლა

როს ვერ ვიფერებ
წყალობის დვრიტას,
სულის სიფეთე
დაეტყო სიფათს.

ბუნდოვანდება
ხილული ლანდი,
ცამ ითავნება,
ჩასეტყვა კადრი.

გასანთლა კვერთხი
ცრემლმა მდუღარემ;
ბეღურებს ფეტვი
მ ი მ ო ვ უ ყ ა რ ე.

როს შიშხათია
გაზაფხულისა,
მიწყივ ანთია
მადლი უფლისა!

მერყევი

სიმუხთლის ჟეთქვა
როს გადავლახე,
სინდისის ქენჯნა
მიმოვაახლე.

როს მოსახდენი
მაინც მოხდება,
მერყევი გენი
ახორხოცდება.

იმ საზღაურის
ვიწყებ განსაზღვრას,
როს ცის ზღვაური
ტრამალს დაზაფრავს.

როცა ბექობზე
ყორანი ყბედობს,
არწივს ქეჩოზე
ღრუბელი ედო.

უტაქტო

ამ ძილბურანში
რა არ მეზმანა:
დღის სამდურავი
ღამეს ებარა.

სად აღარ ქროდა
ბეცი მაშხალა,
ცალსახად ძრწოდა
ხელში შაშხანა.

რას არ იძახდა
მოკვდავის ბაგე...
სიზმრის მირაჟმა
შეჰყეფა საგნებს.

როს ძუ და ხვადი
დაძრწიან კენტად,
უტაქტო ცხადის
დაგმობას ვბედავ!

გვიხმოს

მზემ დაფერთხა
ვარსკვლავები,
სული შესძრა
ნ ა გ ვ ა მ ე ბ ი.

ა ე ლ ვ ე ბ ა
ციურ ფერთა,
სათნოებას
დაეძებდა.

როგორ დაჰქრის
რუხი ძერა,
ვნებამ თარი
ა ა ჟ ღ ე რ ა.

სიკეკლუცევ,
სიგოგმანევ,
დაე, ლუწებრ
გვიხმოს ღამემ!

დაობლდა

კვლავ მაწიოკებს
ბნელეთის რისხვა,
დამზრალ იოგებს
ვაგებებ სისხამს.

სხივის სიმძაფრე
როს ჩამიღიმებს,
ძლივსღა მივათრევ
ცოდვის სიმძიმეს.

ზებუნებრივი
არსის შეგრძნება,
მზიურ წრებრუნვით
ა ი ძ ე რ წ ე ბ ა.

კვლავ ვერ აღვიქვი
მიწის აორტა,
ძნელად საფიქრის
მრწამსი დაობლდა!

ჩატკბა

ვით ვემთხვევით
ცის ტატნობებს,
თუ მერცხლები
არ ანცობენ?!

მივაყუროთ
ხეთა შრიალს,
საზაფხულო
ჰამაკს შლიან!

შოშიებმა
შეკრეს ბუდე,
ბუჩქს მიება
ხნულის ზღუდე.

მოფარფატე
პეპლის პეწი,
ალმურს გვმატებს,
ჩატკბა ნერწყვი!

ვერ წყვეტს

როს საზრუნავი
გაუფასურდა,
სულის მკურნალი
მსჯელობს აბსურდად.

ბერმუხამ კვირტი
გააფაჩუნა,
შორეთში მიჰქრის
სუსხი ლაჩრულად.

ბუნებრივობის
შეუვალობა,
ვერ წყვეტს პირობის
გარდუვალობას.

ძვალ-რბილში გაჯდა
ვნების სიშმაგე,
ცახცახებს მაჯა,
მძორის სიმდაბლედ!

ვთითხნი

ძნელად იწრთობა
წუწკი მაზანდა,
უკმარისობამ
მიმოათანგა.

ცალყბად გარანდულს,
რომ ვთითხნი სათქმელს,
ვცდილობ ტარანტულს
ვუწეწო მახე.

ამღვრეულ ტალღებს
მოჰყვა ბარაქა,
განწყობას ჩასცხებს
დავიდარაბა.

შ ე ვ ე ხ ე ტ ე ბ ი
კოსმიურ სივრცეს,
ღრუბლის ფენთხები
პეშვს ცრემლით მივსებს.

გაკრთა

როცა მრავალჯერ
მხარი მეცვალა,
სულის ყავარჯენს
მაწვდის მზექალა.

მაწვდის ირიბად,
საამო თქორით,
ქეჩოს იბდღვნიდა
ორღობის ჭორი.

გაკრთა სინათლე
ჩამწყდარი ბგერის,
თხრილში მიმათრევს
ღვარცოფის ჩქერი.

მაინც შენს ჩრდილში
ვწამლობ სამაშვრალს,
თვალები გიშრის
ა გ ი თ ა მ ა შ დ ა !

იქცა

იმ მონატრების
სხივის შუქურამ,
უკვდავ დავთრების
დვრიტად იხუვლა.

რადგან წარსულის
ექომ იმძლავრა,
ჩასცრა ფარსული
ფანდი სიზმარმა.

ამ ათრთოლების
ცეცხლოვან გზნების,
აგიჟმაჟების
დუღაბით ვთვრები.

ო, განახლების
ლოგო ირთვება,
იქცა ტიტრები
ყოფით ნიმფებად!

ბარტყობს

რატომ გაფრინდი,
რატო?
ამ ცივ ნასიმწრში
ვსახლობ..

ეს სიმარტოვე
ბარტყობს,
ვერ ვეამბორე
ტატნობს.

ისევ მომწყურდა
კვნესა,
ვიქეც ოხუნჯად
მზესთან.

ისე ატოკდა
ნეკნი,
მადგას სახოხბე
ნერწყვი!

ისევ ხვალის

ჩაიწვერა მზე და
ნაპირს სიომ დაჰკრა,
ვერ იქნა და ვერა,
ხმას ვერ ვუწყობ საკრავს.

გაცვეთილი რიტმი
აიშლება მყისვე,
კაქტუსების ხიბლი
იგიჟმაჟებს კისერს.

გამაჟრჟოლა - როცა
აგნიასდა იხვი,
შეგვიანდა კოცნა,
დანაოჭდა ფიქრი.

ვერ მიგიხვდი, ვერა,
ვერ აგიბი მხარი,
ისევ ხვალის მჯერა,
რომ გამრთელდეს ბზარი!

წეწავს

მიმშრალია ცრემლი,
გაბზარულა სარკე,
არსაიდან ველი
ჭრილობების სახვევს.

არ ჩამქრალა მაინც
სულში შენი სახე,
ეს თავნება ქარი
წეწავს ნისლებს თანხვედრს.

ეტმასნება ლაჟვარდს
აღრენილი ფიქრი,
ელოდება თავსხმას
ქარაფების ჭირხლი.

ვერ შეკაზმავს ხიბლი
დაუვიწყარ წყენას,
უთავბოლო ჯიბრი
კოპებს ცალყბად კერავს.

ამ ოხვრის

ცა ქუფრით,
ყანა ძნით,
მტერს ვუფრთხით
მარაზმით.

უ ხ ი ა გ
ზმანებით,
უ ქ ი ა თ
ნაკვთები.

ამ ოხვრის,
საძაგლის,
სიმორცხვით
დავძმარდი.

თუ ენა
დამება,
ამქენჯნავს
განგება!

თორემ

მამცნო ერთხმად
შემოქმედმა,
როგორ წკეპლავს
ექო ნექტარს.

მრწამსის ცქმუტავს
ათინათი,
გაიტრუნა
ხვაშიადი.

ძნელად კვესავს
აზრის შერწყმა,
უნდა შევსვათ
კათხა ერთხმად.

თორემ ჟამი
ჩამცხრალ ჩქამის,
არის ხამი
და ჩამჭნარი.

მალ - მალე

სანუკვარ ფერთა
ზმანების სივრცე,
ხვაშიადს ნექტარ
სურნელით ივსებს.

ვნების იახტის
რწევის თუ გჯერა,
ცას სარკმელს ახდის
გამჭოლი მზერა,

სუნთქვა გიწოდე -
ამ ბაღჩეულის,
გადმოგათქორე
სითბო ჩვეული.

რომ არ ჩავღამდეთ
უსიყვარულოდ,
უნდა მალ-მალე
მოგინახულო!

გავწბილდი

ქარაფს ეხვევა
მძივებად ნისლი,
ურვის შეგრძნება
ქარაგმებს ისვრის.

გაუფერულდა
ციალი ცრემლთა,
პირქუშ ბერმუხას
დაეწყო ქერცვლა.

გაყურსულია
ციყვი თავნება,
ტურა წუნია
ჩანს უკარება.

სულ სხვა ეშხია
ტოროლას ხიბლი,
ხბო შეეჩვია
ციკანის ქირქილს.

გავწბილდი ამდენ
გულღია ოხვრით,
გავწამდი თავქვე
ყამირის მოხვნით.

ნატრული

როს აზრმა იგრძნო
სათქმელის სითბო,
ღვთაებრივ სინდრომს
ავწაპნი მითოსს.

რაც არს საფიცი
და თანწყობილი,
ზეობს სასმისით -
მსწრაფლ განვრცობილით.

რაიც ახვეტავს
სხივს საკიაფოს,
მიწყივ აგემა
სუსხი იადონს.

მიუსაფარი
ნატრული სევდა,
თუქსუს მზაკვარის
ბარათებს ხევდა!

მყისვე

გავინანაპირე
ჟამი თავნება,
მიმოვაფრინე
ბგერა ჰანგებად.

გაიცამტვერა
ურვის ფიქალი,
მზიურ თანხვედრად
თრთის საფიქრალი.

გაიჯეჯილა
მსჯელობის დვრიტამ,
ციურ შეშლილმა
მიმოხსნა კრიჭა.

თუ დროზე იმედს
ავანარნარებ,
სიმკვრივეს ვივსებ
მყიფე საძვალედ.

იაისოს

ეპკურა დილის
თქორი მიმოზას,
ღრუბელთ ჭიდილი
სხივმა მიმოცრა.
მინდა რომ სულში
მზე დავიგულო,
ამ კაკალ გულში
ითაიგულოს.
სივრცე შევძარი
სიოს ფანცქალით,
ვნების ნექტარით
ვთესე მარცვალი.
სუნთქვა მიენდო
ბუნებრივ სითბოს,
სწყალობს იესო
ღვთაებრივ მითოსს.
იდელვაისოს
დროის დინებამ,
რომ იაისოს
არგაწბილებამ!

უბრად

შარაგზების ბუღი
აწიოკებს სუნთქვას,
ბუტაფორებს ვუფრთხი,
ვხეტიალობ უბრად.

ქარაშოტის ქროლვამ
მომიქნია სახრე,
გალაქტიკის ტორვა
მანჭავს მთვარის სახეს.

დატრიალდა თავზე
გათოშილი წნეხი,
მოზღვავებულ ნავსებს
უცურდებათ ფეხი.

ამ განცდების რისხვამ
ისე იმოქმედა,
მიბარბაცებს წინსვლა
საკუსტიკო სევდად!

სამიზნე

იმ გაწბილების
ლანდმა ცანცარამ,
საწყის მხილებით
მიმასავსავა.

ფათერაკებით
შემკულ დაისებს,
თავშეკავებით
ვიწვევ საისრედ.

გაუბრალოვდა
ნაცადი ხერხი,
სკვინჩას ათრობდა
ქირქილი ვერხვის.

ვერ ვითავისებ
წყვდიადის ქოშინს,
დილის სამიზნე
ჩაბჟირდა დროში!

საზღაური

ისე დახვეწილა
გრძნობის განთიადი,
საროდ ასვეტილა
შვების ათინათი.

რადგან მძვინვარება
სივრცეს უხირდება,
აზრი შინაბერა
რჩება უკარება.

სისხამს აეჩემა
ღრუბლის შემოჩვევა,
პეწის შემოჩენა
წყვილებს ენორჩებათ.

ნუგბარს დაწაფული
ყნოსავს დიადემას,
უფლის საზღაური
მიხმობს ზიარებად!

ჩაცხვა

ისე დამათრო
შენმა სურნელმა,
ვითარც ყაყაჩო
სხივდაცხუნებამ.
გაიჯეჯილა
ყელმოღერებამ,
ღრუბელს ემძიმა
მზის ამღერება.
უაზროდ მიჰქრის
სვავი შლეგურად,
აზრები ფიქრში
ჩამძიმებულა.
მივაყურადე
პეპლების დვრიტას...
კოდალა ნაცეცქვ
ცაცხვის ქერქს კვნიტავს.
ნათელი ქროლვის
ზეობს ციაგი,
სათუთად თრთოლვის
ჩაცხვა ხმიადი.

სიწრფელე

იმ აღტკინების
ველი განთიადს,
როცა წათვლემის
ქანცს ამაცლიან.

როს არ სჩვევია
ერს განივთება,
ის რაც ჩვენია
მადლად იფრქვევა.

ნუ ვაპეტიშებთ
უცხოურ გზნებას,
დაბნეულ შვილებს
ვერ მოვგვრით შვებას.

ისე ვშთაბეროთ
მერმისის ხიბლი,
რომ ვითავხვედროთ
სიწრფელე სიმწრის!

ნერწყვი

როს წინათგრძნობის
არ ჩანს მაშხალა,
აზრის განვრცობის
ნერწყვი ჩამშრალა.

უიმედობის
ანომალია,
ბეცი ყბედობის
სარკოფაგია.

როგორ არ ვძერწე
იმედი ხვალის,
როგორ არ ვჟეთქე
კალოზე ხვავი!

როგორ მიმწუხრდნენ
სიბრძნის კვირტები,
სნეულ სიმუხთლეს
ვესამძიმრები!

ღირდა

მივუცუცქდი
სევდის ღადარს,
ბრიყვი წუწკი
გესლით მთათხავს.

ჩაცოტავდა
ისე მადა,
ხელში ქადა
შემომადნა.

არ შეაშრა
მამულს ცრემლი,
მოეცარა
დუშმანს ხელი.

ღირდა გვემა,
ღირდა მოცდა,
სულს ემჩნევა
უფლის ლოცვა!

დრო აქვთ

სერენადა
არ ყუჩდება,
მომენატრა
ჩახუტება.

ვისაც ვენდე
კლდეს მახეთქა,
წიწკნის გვერდებს
ძარღვის ფეთქვა.

ვიძმობილე
ქროლვა რისხვის,
საგმობილებთ
დრო აქვთ წინსვლის.

არ მოვხარე
მაინც ქედი,
ტლუ კოშმარებს
შევაკვდები!

ბრძოლის ველს

მიმოიქროლა
ისე ვაებამ,
მაცდურ გზირობას
მხარი აება.

რადგან მომძლავრდა
აურზაური,
ტლაპოებს ფარცხავს
ბრმა საზღაური.

ამ სისატიკის
ორომტრიალით,
სულის კინწვის კვრის
მდაგავს ხრიალი.

ვერ ზეობს ძალა
წრფელი გუგუნის,
ბრძოლის ველს ფარავს
მარცხის უკუნი.

გეშად

რადგან სიბეცე
თანხვედრ ფარფალებს,
ხელის საცეცებ
ვეყრდნე ქანდარებს,

ო, ეს ლივლივა
ქვეშ-ქვეშა ფანდი -
ნაცად სიმწრისგან
დახვეწა კადრი.

გეშად დარაჯობს
ტურა ფარშევანგს,
აფრა საავდრო
ლამობს აშვებას.

თრთის ნატყვიარი
ვერხვის კენწერო,
დროა პიარი
მიიცამტვეროს.

ახირება

ჩაწნა გემოვნება
მდარე შემართებამ,
წინსვლის შეღონება
აღარ მენაღვლება.

ისე ვეცრემლები
შემცბარ სისასტიკეს,
ღვარძლი შეჩვენების
მხრებზე მივასრისე.

ისე ითვალთმაქცებს
მარცხის ახირება,
გესლი დამფრთხალ ქაჯებს
რჩებათ სამხილებად.

რადგან წარმავალი
არის ყოველივე,
ფლირტის მასკარადის
კულისს მოვერიდე.

ცდილობ

როს მიგამწუხრებს
ბორკილის თრევა,
შენდობას უკმევ
მიწიერ გვემას.

ცდილობ გარდმოხსნა
ნიღაბი ეშმას,
ხვალის სალოცავს
სათქმელი შერჩა.

დამზრალ აფხუკდა
გულის სარქველი,
შორით წასულმა
სიმწრით გავძელი.

ო, როგორ მინდა
ვივახშმო შენთან,
როს სული წმინდა
სარეცელს კემსავს!

სიფაქიზე

მრწამსის გაწბილება
მაცოდვილებს კენტად,
ზღუდეს ვერ სცილდება
სიმწრის ამოჟეთქვა.

როცა ფიქრის არილს
გრძნობა აციალებს,
თითქოს მიწყივ ჰყვავის
ბოღმა სატიალე.

სულის განშტოება
მწვერვალს ეახლება,
წამლობს ამ დროებას
პეწი სიახლეთა.

ხნულში ჩაიცვარა
თესლის სიფაქიზე,
ყვავილთ ჩარირამა
ინტიმს გვიხალისებს.

მიყუჩდა

ეს სულდგმულეთი
ისე გახევდა,
შლეგი მუდრეგი
როზგავს სახედარს.

გაყურსულია
ხვალის საავდრო,
წინსვლა რთულია,
რისხვა ნავარდობს.

ტლუ ყოყოჩობის
მიყუჩდა ექო,
ოინბაზობის
განვრცობა შეფობს.

ბლუ განტევების
ვაცი გაწბილდა,
მისაფერები
გვრჩება მთაწმინდა!

სცნობს

ანცობს სულის
ათინათი,
ჩათბა ხნული
ხვავმდინარი.

ავხმიანდით,
ვითავმწონოთ,
საზრიანი
ზნე ვაცხონოთ.

ძველ სამარხებს
როს სცნობს ქნარი,
რას დაგვაკლებს
სიმწრის ზარი!

აღარ გვღრღნიდეს
ტლუ და ტვარი,
ჩამოფრინდეს
მ ა ც ხ ო ვ ა რ ი !

მოშლილა

ო, როგორ მკაცრად
მომეკითხება,
რადგან მზის ნაცვლად
მთუთქა კირთებამ.

რა უხიაგად
ვწიე ჭაპანი,
დაძრწის ნიავქრად
ავან-ჩავანი.

როცა შევჩერდი
უფსკრულის პირას,
აზრი ჩერჩეტი
ამზადებს სილას.

ჩანგის ღერძულა
სიმი მოშლილა,
ამონთხეულა
ბოღმა ქოშინად!

წუწკობს

ბუნებრივ თრობით
მიმოთრთოლება,
კურცხალის ხმობით
ბარტყობს ტბორებად.

წუწკობდა ლხენა
ტრამალის მკერდზე,
ლანდად მომყვება
ის განცდა დღემდე.

საგნები იქცა
ნაცარტუტებად,
სიზმარი იშვა
ჩასახუტებლად.

გაცვდა ამდენი
მოთქმა გოდება,
მოვალ დავტკბები
და მიმოთბება!

გამცრა

აშარდა შლეგი
ქარი თავნება,
ჭალაში ძნები
მიმოათქვლეფა.
ძარღვებში სიმწრის
აჩქეფდა სისხლი,
აჭარხლდა ფიქრი
სულიერ წინსვლის.
ლაციცა სიტყვა
გახუნდა მიწყივ,
თარეშობს ხისტად
სახედნი კვიცი.
ხმა შემზარავი
აღმოხდა უფსკრულს,
მრწამსის მბღალავი
არ იშლის კურკურს.
კოჭებში გამცრა
მელანქოლიამ,
სიხარბე კაცთა
გეშავს ფორიაქს!

უცხო

ვერ განვერიდე
ქარში ხეტიალს,
დროა, თავს ვხრიდე,
დუღს მისტერია.

მიმოიფანტა
მწვერვალის სუსხი,
ნეტავ სადა ხარ,
ხორხოცებს ბუღი?!

ეს უშენობის
გამოძახილი,
დაუდევრობის
არის სამხილი.

ამაცერცეტა
უცხო სიგემემ,
მევე ვცოდე და
მევე ვიგვემე!

ხსნად

ისე აიჭრა
ცაში ფიქრები,
ცისკრის ნარცისად
ჩავიცრიცები.

მაინც ვერ მოვწყდი
ამ ცოდვილ მიწას,
მზის გულზე ნორჩი
ფერია იწვა.

უნდა მივენდო
ახლობელ ვარსკვლავს,
მან ზღაპრულ ფერდობს
ნიღარი წაჰკრა.

ეს ყოველივე
თუ სიზმარია,
ხსნად აღმივლინე
წმინდა მარიამ!

ვცრი

სიასამურის
დაჰბერა სიომ,
ვარ გატრუნული,
ვცრი სულის ღიოფს.

წუთით გვაკვირვებს
დუმილის ეშხი,
ზოგჯერ ვამპირებს
სარკაზმი შეშლით.

ვერ ვეგუები
საწუთროს ქირქილს,
მელაძუების
ცანცქარებს ნიხრი.

როდემდე უნდა
ვიმტვრიო ცხვირი,
საღერღელს ბურღავს
თავკერძა გზირი.

ცელქობს

თვალი ჩამიკრა
მწვერვალის სხივმა,
მინდა ავიჭრა,
ჩავქუსლო შირმა,

მწადს შენი ეშხის
გოლგოთა ვზიდო,
ზედაშე შევსვი,
ვეხვევი მითოსს.

აშოლტილია
ალმურის ძგიდე,
კაწკაწ დილიჟანს
შემოვეხიდე.

ავაბზრიალე
მისნური მძივი,
ცელქობს მდინარე,
ნარნარებს ტივი.

ლაციცი

წარსულის სევდამ
გაიპწკიალა,
მითოსი კენტავრს
უთმობს იალაღს.

ჩაბლაგვებია
ფხა ძველ იარაღს,
ჩასაცლელია
სიმწრის ფიალა.

წაიფორხილა
ვარსკვლავთ მარულამ,
ჟამის ოფსილამ
გაიფაფხურა.

როცა არ ვიცით
ვიფხიზლოთ რა დროს,
ლაციცი ციმ-ციმ
აბრმავებს აწმყოს.

კოჭლობს

როცა ჩაივლის
მძაფრი წუთები,
კოჭლობს შაირი
ნასათუთები.

აწ აბა რაღა
დამაფრთიანებს,
ქარების ბაფთად
ვერ ვშლი იალქნებს.

გადამდებია
სულის სახადი,
დემონს ხლებიან
უფლის ნახვამდი.

ზეობს ზრდასრული
სიკვდილის პეწი,
მამულს წარსულის
ცრემლები ეწვის.

ოსტატის ნიხრი

შიშმა გაქარწყლა
მსაჯულთა ფიცი,
მუდრეგ საფართან
ჯალათი იცდის.

ავფეთქდე ლამის,
ჩამიქრა კვართი,
ღრუბელი ღამის
სონატას ბარდნის.

ადევნებია მწყემსს
ქარბორბალა,
სუსხი ვნებიან
ჟინს გამომძალავს.

დემონი ნაჯაფ
ცთომილებს ითვლის,
მზემ მიმოხაზა
ოსტატის ნიხრი!

შვებად

გულში ჩამხვევია
ნავსის ცდუნებანი,
შვებად დამდენია
ცრემლი უებარი.

ნუთუ, ხმის მოთოკვა
ასე გამიძნელდა,
სიტყვამ გადამკიდა
ხილულ სამიზნედაც!

ასე რას მერჩოდი
ჟამო განგებისა,
ჩემი ანგელოზის
სითბო გამესხვისა!

რადგან ვერ ვეჩვევი
სულის დაკნინებას,
ანცობს საღერღელი
მრწამსის აღტკინებად!

ვითარც

პირფერობა
ვითარც ღვარძლი,
ინთქმებოდა
ბილწის ხმაში.

რა ვიღონე?
ვერაფერი,
მწედ ვიფონე
მზის ნაფერი.

არსი კრთება
ასაცრემლი,
აზრი ცხრება
შესაცვლელი,

გადავწერე
შლეგს პირჯვარი,
მივაშველე
სუნთქვის კვარი!

აეწვა

რადგან ჯმუხ მძორებს
ძიძგნის მხილება,
კრუხავს საშმორე
განხეთქილება,

აეწვა კუდი
გაყვლეფილ ყანას,
ნისლებმა ბუღის
არწიეს ნანა.

არ ცხრება, არა
ვადადარია,
მირაჟებს ზარავს
რაც ჩამკვდარია.

ცას აუხირდა
ფიცხი ტრამალი,
ხავსს ჩაეჭიდა
მიუსაფარი.

რატომ

სათქმელი დაწერილა,
იქ თუ არ აღვწერილვარ,
ან რატომ გავჩენილვარ,
ანდა რად ჩავმეწყრილვარ.

ან რაზე შეგიყვარე,
საელვებ სერაფიმად,
როცა რო გავიდარეთ -
სიმკვირცხლე გვენაპირა.

მგონია, აბრწყინდება
ხმათა ის ვირტუალი,
საცაღა ჩაფიქრება -
იცინცხლებს ციურ ალით.

ისე შორს წამიხვედი,
ეს გლოვის ტოლფასია...
ოი, ეს ქვათა ხედი -
ხორციელთ მოგვაცლიან!

ცივად

როცა ოცნებები
ჭეჭკად ილექება,
ამოდ შევადნები
ძირძველ შემეცნებას.

გული ითაკილებს
მცქმუტავ ჰარმონიას,
თანხვედრ სინატიფეს
ჰანგი ჩაცხრომია.

ფიქრი იკიაფებს
სევდის მაშხალებად,
უწრთობ სიდიადეს
ჯავშნავს დახამება.

მოკვდავს ბოღმის ელდამ
ჩასცხო ალმაცერად,
ცივად შეიბერტყა
მხრები სამარხებმა.

ბრდღვინავს

ო, ეს უთავბოლო
განსჯის შედეგია,
როცა უსაშველოდ
ღნავის ელეგია.

შურმა ასულდგმულა
წუწკი ემოცია,
მტერი გასუსულა,
მოყვრის შტეროზია.

ვეღარ უმკლავდება
ყანა ეროზიას,
გესლავს დამფრთხალ გზნებას
ელიტ მელოდია.

ბრდღვინავს აღზევებულ
ბრიყვთა სისაძაგლე,
შვება დატყვევებულ
პეპლად ვ ი ს ა დ ა გ ე !

უშნოდ

ვექილიკე უხეშად
სასაუღლე უხედარს...
ვაბზრიალე რულეტკა
ტლუ მტრის გენის ბუკეტად.

არის ოდეს საზარი
ემოცია ამგვარი,
განიავდა საგზალი,
მარხილი ძლივს დავძარი.

ნაცად გულის ფანცქალით
შევაკეთე ჯარგვალი,
უშნოდ მთირავს ავთვალი,
ვაცინცხალე ფარ-ხმალი.

ქვევრს ავხადე სარქველი,
წლიდან წლამდე ნაფერი,
ეხ, ამდენი ნათრევი
ერთი ხრიკით ჩავთვერი!

შაქრად

გულს გიხსნი და
გეფერები,
ამიფიცხდა
მზეზე ფრთები.

ითაკარა
სიახლოვემ,
ნავსი მჭვალავს,
შიათ ჭორებს.

ვერ ვისვენებ
თემშარაზე,
თუ არ მენდე
გენს დავანთხევ.

სილას მაწნი -
შაქრად ჯანში,
აღვირს ავხსნი
ფაფარაშლილს!

ხოხბობს

გეხუტუნე
კაკალ გულში,
აღუღუნე
გემო ნუშის.

იკეკლუცე,
ვით შროშანმა,
დაიხუნძლე
გამოცანად.

ჩრდილავს ედემს
ვერხვი სარო,
უნდა შეგწვდე,
სანამ დარობს.

მომაძახე
ისე - ,,ბარო! " -
ხოხბობს სახე
საჯილდაო!

აქ

სადაც ხარბად
დაგნიასებს ხვატი,
სადაც ლაღად
უფრენია არწივს.

სადაც კაცი
გაიხსენებს საწყისს,
გვწყალობს მადლი
ლომისური ხატის.

აქ ცარგვალი
ერკინება ქარაფს,
აქ ვარსკვლავი
ღრუბელს ცრემლებს სძალავს,

ღმერთი სტუმრობს
უპოვარის კარავს,
ვითავმგუნოთ
სალოცავის ძალა!

რაც

არ დავამწუთხებ
შემცბარ იმედებს,
თუკი საწუთრო
არ გამიმეტებს.

ვერ მოვიჩრდილე
სუნთქვა მძივებად,
კიდობნის ძგიდეს
უნდა მივება.

ვიღაცა მხარში
ამოგვდგომია,
ვიღაცა ფარში
ისრად გვსობია.

რაც გვიწვალია,
რაც გვიომია,
სულის მანტიად
ხვეწავს ფორიაქს!

მოვინდომე

თანხვედრ ვიმკი
როს ცოდვებს,
ძლივსღა ვკირკნი
წყალობებს...

არა უფლის
მიწიერთ,
ბევრჯერ ყურით
მიმწიეს.

რა იქნება
რომ შევძლო,
ღვთიურ გზნებას
რომ ვეძმო?!

მოვინდომე
რა ქროლვა,
მეფიშტონემ
ჩამტორა.

საგულქვაო

ვერ შევიგრძნე ძილში
ვარსკვლავების ლხენა,
სიზმარშიაც ვსტირი,
ჩაიბუდა წყენამ.

ორომტრიალს ძაბავს
საგულქვაო რიტმი,
მზემ ღრუბლების დასჯა
მიამგუნა კირჩხიბს.

შევეკედლო საით,
დავღიაფობ სახტად,
აბობოქრდა ჩქამი
სახვალიო ტალღად.

შეაცბუნა ურვა
საფრთიანე ქნარმა,
ავყიების ზურნამ
იცამტვერა არმად!

ვალი

სული თუხთუხებს
ცოდვილ მიწაზედ,
არ ვემუხლუხე
რისხვის ხიმანდრებს.

ვერ გადავშალე
გულის პარკუჭი,
ვალი ჩავთალე
სიყრმის ნაჭუჭში.

ვერ ვაჭიხვინე
ალღო ცბიერი,
ვერ შევიღრინე
წუწკის იერით.

ალმურს კენწლავდა
წელკავთა ჯერი,
შემომეფლანგა
ნატანჯი წლები!

უნდა ვჭექო

ვეღარ ვრანდავ სატივეს,
ზეზეულად მაცივებს,
ხვაშიადი გავწირე,
ავედევნე არწივებს.

უმეცრება მოკვდავთა
მოარული სენია,
სიბოროტე მოზღვავდა,
ძლივსღა ბჟუტავს კერია.

მართალია, საერთოდ
არაფერი მაკვირვებს,
მაგრამ როგორ არ ვენდო
სურნელოვან ნაპირებს?!

მოეძალათ ხუშტური
ჩაბჟირებულ ვამპირებს,
უნდა ვჭექო ურმული,
ფხა ავუწყო მახვილებს!

შირმა

მზე გაინაბა
ტალღების მიღმა,
არწევდა ნანას
დაისის შირმა.

ეს ცივი ქარიც
წამოიზლაზნა,
ფიტულის ხმალი
მირაჟებს კაწრავს.

ცოდვის ღიოფის
აკუნტრუშებას,
ეშმას სიობლის
ნავსი უცვდება.

შესაცვლელია
ბრძოლის მაზანდა,
უკვე გველიან
მზის გასაყართან!

აღმომხდა

როს ვაფერადებ
ნანატრ სიამეს,
სიმი მწვერვალებს
შ ე ვ ა ხ მ ი ა ნ ე .

მშვენიერება
როცა იალებს,
სულისკვეთება
აცხრობს იარებს!

აუკიაფდა
თვალები ძერას,
მერცხალს მირაჟთან
თანქროლვის სჯერა.

ქორბუდამ იგრძნო
ავაზის ყნოსვა...
მომხედე ვინძლო -
აღმომხდა ოხვრა!

კვამლი

მსწრაფლ აბზრიალდა
კვამლი ფარშივი,
ეტორღიალა
ღრუბელს გზაწვრილით.

როს მოხდა შერწყმა
მზე გაგულისდა...
იელვა, ჟეთქა
გამჭოლ კუპრისად.

ვინ გაიხარა,
ვინ კი იკვნესა,
შეაჟრიალა
სიმწრის პრინცესას.

დევის ნაფეხურს
ტბორი ჩაუდგა,
ყვავი საყვედურს
აფრქვევს აუგად!

რაღა

მიმოიტოტა
ხელი მსახვრალი,
ჭოტი კიოდა,
ჩაცვდა სახრავი.

თანაც პურ-წყალი
ანაგვიანეს,
არც ქარიშხალი
არ აგვიანებს.

რაღა შთენია
გულს გასახარი,
დასანთხევია
სიმწრის ვარამი.

ხვალინდელ სუსხის
ვიაზრე მუხტი,
ვმარტვილობ დუხჭირ -
მტერს ქედს არ ვუხრი!

ისევ ისე

ჩამიქნევია ხელი
უმადურობის გამო,
ბღილმა დაცხრილა ძველი
განზომილების თარო.

შვების სანთლები იწვის,
ჩიტი ნამცეცებს კენკავს,
ხარ ისევ ისე წიწკვი,
ვით ვაშლოვანში კენკრა.

მაგ ჰაეროვან ღიმილში,
რომ ჩააქსოვე სევდა,
სურნელოვანი თილისმის
ბანგი ბურუსში მხვევდა.

ეჰ, ბედისწერის ჟამი,
როს ათუხთუხებს სამსალას,
ამ კუნაპეტი ღამის
უმოქმედობამ ჩამძმარა!

ჩუმჩუმ

გულის დამამძიმები
შენეული სახადით,
იმგვარად მაფხიზლებდი
ვითარც მხატვარს ფასადი.

ცივი ოფლი ჩაწმინდა
უღლის ატორტმანებამ,
სიყვარულის საწინდრად
იჯვართზეცა ღვთაებამ.

სათნოების შეგრძნება
ჩუმჩუმ მეალერსება,
დაიყივლეს ფესვებმა
სამომავლო შევსებად.

ამ სისხამის ტატნობზე
ჩაგახუტე ვარდები,
მეთვალგზირა სახოტბედ
ქორფა ნატერფალები.

ჯაფა

ბრძენის შეძახილი,
წყენა ქედდახრილი,
ჯაფა მენახირის,
მაჯა შენაწირი.

მძიმედ აზიდული
მჯიღი წრფელი გულის,
ძმანი შეფიცულნი,
ჩაცხრეს სევდის წყლული.

ცისკენ აწეული
ხიბლი ასწლეულის,
ნაზად დარწეული
სიტყვის განძეული.

არა გათანგული -
სახე გაბადრული,
არა დაზაფრული -
მრწამსი შემართული!

ანცობს

რა გამოლევს
საქილიკოს,
ათვისტომებს
შური სინდრომს.

იფხორება
მთვარის ეშხი,
ღრუბლის სნება
კურცხალს გვესვრის.

ანცობს კვიცი
თემშარაზე,
ბრიყვნი ციმ-ციმ
შეგვზარავენ.

რაც არ უნდა
ვიმოქმედოთ
სივრცეს ზღუდავს
ჟამის კრედო!

არ ჩაცვდეს

მით მოვევლინე
ამ წუწკ სამყაროს,
რომ ნუგბარ ჩინებს
დავუცაცხანო!

არ ვიხალისო
მომხდურის ლეშით,
მშვილდი სარისკო
არ ჩაცვდეს ხელში.

არ მაცუნდრუკოს
პირფერა მზერამ,
სრისა მუხლუხო
ლომის ბოკვერმა.

არ დამიობლდეს
სიტყვის ბარაქა,
სუნთქვის იოგებს
ვუცვლი ქამანჩას!

ვერ ქუხს

შელახულია
მრწამსი ქართული,
მამულს სწყურია
ზნე ასანთლული.

რადგან ჩახერგეს
შარა მხილების,
უნდა აღზევდეს
ხმა შერკინების.

როს ჩაჩოჩდება
განზე ცბიერი,
გაიბადრება
თვალსაწიერი.

ზარები მიწყივ
ვერ ქუხს ადვილად,
ღალატმა სიმწრის
ფარი ჩაცხრილა.

გვფარავს

მოთმენა შემწევს
მრწამსის დიდებით,
ვემწუთხე კერპებს
წრფელ აღტკინებით.

ჟამი არ იშლის
წარბის აქაჩვას,
საკნავლე შიშის
თვალი ჩაბაცდა.

გული საცოდველ
რომ ახორხოცდეს,
არ მიგატოვებ
სულით აროდეს.

ნახე, ქარაფსაც
როგორ უთრთის ფრთა,
კურთხეულ გვფარავს
მადლი უფლისა.

კვერს უკრავს

როს საარწივე
ქუხდა ცარგვალი,
მტერს დავაწიე
სიტყვის ლახვარი.

სხივი აეჭრა
გულღია ტატნობს,
ფერთა საესავს
უმტყუნა ალღომ.

ღრუბელს სიმყრალის
მოადგა ნერწყვი,
მამულს წინაპრის
ჯიგარი ეწვის.

არარა შველა,
ამაო განსჯა,
კვერს უკრავს ყველა
სინდისის დასჯას!

შვებად

მითვალთვალებს ნიადაგ
განდიდების სიბრიყვე,
ქარი ქარაფს მიაწყდა,
ნისლი თეძოს იშიშვლებს.

აუთრთოლდა ღაწვები
გულგასენილ განთიადს,
დამტვერილი დავთრების
გამზევრება მადლია.

სიბრძნეს დავეწაფები
დილეტანტის საწრთობად,
აიკრიფა თასმები
დახვეწილმა განწყობამ.

შვებად მესალბუნება
ბინულეთის რაკრაკი,
მიმაცილებს ცდუნება
აუხდენელ ზღაპრამდი.

ჭკნება

ზეზეულ სძინავს
უსულო აჩრდილს,
ქლესურ ითქვლიფა
მსუნაგმა ხარკი.

ძლივს გამოკვეთა
ვნებამ სიობლე,
შრიალი ხეთა
სახსარს იოფლებს.

ასარკულია
ჟამის სიფითრე,
აზრი მწყურია,
სიტყვას ვიშიშვლებ.

ო, ამ მზიური
აკვიატებით,
ჭკნება შვეული
ხავსის ნაკვთები.

ლაფი

მზე ჩაესვენა
შინაგან შფოთის,
უკუნს ქენქერა
ზარნაშო კორტნის.

ვერ ვაჩინდრიკე
ბილწის მხილება,
უმძიმს სიფიცხე
გამოცდილებას.

მაგრამ როცა რო
ლაფი დამასხეს,
უნდა ავლაგმო
ეს სისამაგლე.

აჰა, შარაგზაც
უფსკრულს მიადგა,
სული ანაზდად
მოსწყდა ნიადაგს.

განსჯის

ამ წუთისოფლის
მხუთავ ყიამეთს,
მოკვდავი ოხვრით
მიაღიაფებს.

ამაოების
ნაცადი რისხვა,
მიწყივ მოგვების
ნაამბობს კიცხავს.

რამეთუ ბრწყინავს
ჯვარცმულის ხვედრი,
ფრთის ასხმის ხილვა
სასწაულს ერწყმის.

ჰოდა შემინდობს
როცა უფალი,
განსჯის ეპისტოლს
ჭირისუფალი.

გზაშარაზე

უნდობლობის
ჭიაღუამ
ყალიონი
მიაყუდა.

მოფუსფუსე
გზაშარაზე,
ლერწმის უღელს
ახასხასებს.

ვერ აცხუნებს
მამულს მთვარე,
ყვლეფს საჯიშე
არამ ლალებს.

დაფასოვდა
სიტყვა წრფელი,
მწუთხს განწყობა
შესაცვლელი.

ეხლება

გაუცხოების
გათანგულ მზერას,
შეხმატკბილების
ნაკლებად სჯერა.

დაბდურად წეწავს
ქარი სანახებს,
ხრიოკის ხეხვა
შეგვაჯანჯღარებს.

ვერ იხვეწება
შეცნობის დვრიტა,
ცხადმა სიზმრებად
გაიფინთიხა.

ფიქრთა ნაკადი
კოშმარს ეხლება -
ახალ სახადის
დასაკვნესებლად.

ვით ვწვდე

გაიჩინდრიკა
სიავის ხვითომ,
ნაცად სიმწრიდან
განკვეთას ვითხოვ.

ყრუ შეძახილის
ფხა არ მიამა,
ხელებჩაწვდილი
ვით ვწვდე იარაღს.

დაკოჭლებული
ხვნეშს სიავკაცე,
სული ვნებული
ცას მივაჯაჭვე.

როცა სიზმარი
ნთქავდა იარებს,
მინდვრის სისხამი
ცვარს აპიარებს.

ვუფრთხი

ამეკვიატა
სინდრომი ცრემლის,
ვნებას მიღადრავს
სიმდაბლის ქერტლი.

გამისასტიკდა
ბეცი თვალები,
ვუფრთხი საფიცარს
ძერის მანერით.

თავდავიწყების
კვნესის დილემა,
ფარსის ხიჭვები
მეძინძგილება.

აღქმულ სამდურავს
ნერწყვი აკმევდა,
ვარამს განმუხტავს
შენი თანხვედრა!

მოვიოხე

რადგან არ არსებობს
სრულქმნილი გარანტი,
ხორცის საამქრებოდ
სულიერ დავმარცხდი.

საავდროდ იელვებს
წუნწკალა მაშხალა,
დამფრთხალმა სიმთხლევემ
განწყობა ჩაშხამა.

ანგელოზს ნაადრევ
აეწვა ცრემლები,
წინაპრის ანანთხევ
ნასისხლარს ვეხვევი.

ოხვრით მოვიოხე
შუბლი საიოფლე,
მტერო დაიოთხე,
შარა გაიფოფრე!

მითრევს

სუსხი განქარავს
აღრენილ გრგვინვას,
ჩახერგილ წკვარამს
ეამა წვიმა.

ნაბახუსევი
მიხმობს ზვირთები,
ვბორგავ გულმწველი
გამოფხიზლებით.

ძლივს გადავკვეთე
სივრცის განედი,
ურჩ სასახედნეს
აღვირს ვაჩვევდი.

რადგან განგებამ
აწრთო მხილება,
ემხრობა ვნება
შეხმატკბილებას!

შეცბა

როს სიახლოვე
ზღვარს გადასცდება,
დრო აფასოებს
განსჯას საცდელად.

როს მომახალეს
მანკიერება,
შეცბა სახვალე
სიმის ჟღერება.

ტლუ დამცირების
ჩასისინება,
გულღრძო გზირების
სახავს მხილებას.

შვება რო ღვენთოს
თუგინდ ზარებმა,
გუნება კერპობს
არ საკარებად.

ატანა

ნუთუ მიწიერ
სასაცოდვილოს,
იმად ვიძიებთ,
რომ ვიორპიროთ.

რომ დავეუფლოთ
კოშკის ქონგურებს,
ღვთიურ საუფლოს
ვამკობთ მოდურებ.

გულმა იწვნია
როს სულის ჯვარცმა,
სისხლმა იყივლა
სამოთხის კართან.

ჰოდა სატანამ
იხსნა ბარაბა,
რომ აგვეტანა
დავიდარაბა.

კუთვნილს

მიმოვიქანცე
ამდენი ოხვრით,
ო, ეს სინაზე
სიამეს ცოხნის.

ქარმა აწიწკნა
პეწი ხის ტოტებს,
წინსვლის საწინდრად
ყამირი მოხნეს.

ჯანი მოქმედი
ხვნეშის ეულად,
უტყვი ცოდვები
მიმონთხეულა.

მსუნაგ ტალკვესის
ყველა სიავეს,
უზენაესი
კუთვნილს მიაგებს.

უხმობს

ისე გაყუჩდა
ბებერი ხევი,
ტოტებს მოსწყურდათ
შრიალი ხვევნის.

როს უნიათოდ
მოდის მყოფადი,
ამოდ ხელხვავობს
ჩრდილთა ნობათით.

მიიკლაკნება
ცრემლის ბინული,
უხმობს ღირსება
სვეგანწირულის.

თანხმობის მგმობი
გააფასურებს,
უებრო ნდობის
ალალ დასტურებს.

ვთბუნავ

როს მოაწყდება
ნაპირს ზვირთები,
ჯიქურ თავნება
ნავსით ვივსები.

როს ვეხიდები
წარსულის ალერსს,
ბაცი სიზმრები
მიფშვნიტავს თვალებს.

ო, რახანია
სად არ დაგეძებ,
იმ სახვალიოს
ვთბუნავ სარეცელს.

ე, ღამის სუსხმა
ისე მათრთოლა,
მოწყალე თუ ხარ
მიხმე სათრობად!

ავის მაცნე

ეჰ, საწუთროს
რა შევჩივლო?
ვინც რო ურჩობს
წეწავს სინდრომს.

პირშავ ამბორს
ვერ გადვურჩი,
მრჩება სარჩო
მოსაქუჩი.

ამბიონზე
ქოთქოთს ვლესავ,
საღიოფედ
ოხრავს ქლესა.

ავეტმასნე
ბუქის ფარდაგს,
ავის მაცნემ
ჩამომკაწრა.

აცინცხალებს

ათინათის ცრემლი
ეღვინთება მდელოს,
მოსახდენს ვერ შევცვლით -
რაგინდ ვჭრათ და ვკეროთ.

ვიღაც ქეჩოს იფხანს,
ვიღაც ქვეშ-ქვეშ ქველობს,
ლაფი ვასხათ იმ კაცს -
მამულში რო გველობს?!

უნდა გახდეს საწერო
ხორციელი სერობა,
ქუხდეს სიტყვა საერო -
სასამხნეო ზეობად.

საჯილდაო მერცხლები,
აცინცხალებს განწყობას,
თავზე შემოგევლებით -
სასულმნათო საწრთობად!

იწრთო

შფოთის წიაღში
შემომათენდა,
აზრის სიახლის
ვქექავ ნაღვერდალს.

სული ნაგვემი
დაზაფრულია,
ხარკის ამკრები
შიფრავს უპრიანს.

ცოდვის ყლორტები
იწრთო ხუნდებად,
ღვარძლის ფლოქვები
ათქარუნდება.

უძღებ მშიშარამ
უმატა ღრინვას,
დაიბრდღვიალა
განგაშის სხივმა.

ის რაც

ქარი უტიფრად
გვერგვავს ტირიფებს,
ხოჭომ უღირღნა
ფესვი გვირილებს.

ციყვებმა მაჩვი
გააქილიკეს,
სილუეტს აწვდის
ტატნობს პირიმზე.

მიმოიცეცქვა
აბი საძილე,
სულიერ ღვენთვა
ძლივს შევაფხიზლე.

შესარჩევია
ზნის საფირონი,
ის რაც წრფელია -
ეცხოს მირონი!

სინაზე

რა შეედრება
დილის მშვენებას,
ითავკვერება
კასკას ფერებად!

როს აჭიკჭიკდა
ანცი მერცხალი,
ამისიფრიფდა
ვნების ნექტარი.

ნიავს მივანდე
მიმოზის ღელვა,
ო, ეს სინაზე
იოგებს სერავს.

განწყობა ქველი
სამწყოს დარაჯობს,
ჩამკიდე ხელი -
მივყვეთ ქარაშოტს!

რაღამ

ვერ ვითავისე
თვალთმაქცი კრძალვა,
წრფელ დასაფიცებ
ხვაშიადს ვმალავ.

რომ არ ვუგანე
განკითხვის ქომაგთ,
ნაწრთობ მსუნაგებს
მიეცათ ფორა.

თან რა უკბილოდ
დაიფრუტუნეს;
ვცრი უნაპირო
ნავსის ხუშტურებს.

აწ მაინც რაღამ
უნდა მიშველოს? -
ბაგეს მიღადრავ
აზრის გიშერო!

ხვნეშა

როს ვეჭიდები
ვადადარიას,
ხრიკი წვალების
ნასუფრალია.

ლეგა ღრუბლები
მაკვალიანებს,
ვუსასტიკდები
ყოფით ყიამეთს.

წყვდიადის ხვნეშა
იწვის გუნდრუკად,
კვირტების ფეთქვა
გალობს უჩუმრად.

უკან დახევას
აღარ ვაპირებ,
სულის დახვეწა
ზაფრავს ვამპირებს.

სამიზნე

ვერ ვაბზრიალე
ისე მახვილი,
რომ საპიარე
თრთოდეს სამხილი.

აწყვეტაზეა
უღლის ჭაპანი,
სიქას გვაცლიან
აყალ-მაყალით.

აფრთხობს ქორბუდებს
გულღრძო ფასკუნჯი,
ლოცვა საცდურებს
აქცევს ნაჭუჭში.

ფლიდი სამიზნე
საფარში რჩება,
ვერ ვუსაყდრისე
გასაწირ შვებას.

მდარე

ეჰ, სიამაყეს
როს ვემონები,
ვერ დავიამე
წამი ცხონების.

ვერ განვერიდე
ჭინკების აღლუმს,
გულღრძო ფეხს მიდებს -
ვემხობი თავთუხს.

როს ქარავანი
შედგა აილაღს,
ჯიჯგვი მავანი
მაწვდის ფიალას.

თუ წარმატების
კურცხალს ვიგემებ,
ართობს ტიტრები
მდარე სიბერეს!

აედევნა

თავს მახსენებს
სიჭაბუკე,
შენს საფერებ
ვძერწავ ბუკეტს.

აგეტუზე
ისე ახლოს,
განცდა გულწრფელ
დაისახოს.

ისე უნდა
ავბრიალდეთ,
ერთურთ სუნთქვად
ჩავზიარდეთ.

აედევნა
მთვარე ტატნობს,
აღმაფრენას
დავეწაფოთ!

ფარსად

ყბედი არსთა
განმრიგე,
ნუგბარს ფარსად
არიგებს.

განვემუხტე
ღვარძლიანს,
სიჩაუქე
მადლია.

საწადელი
გაცურდა,
დასასჯელი
აცქმუტდა.

აღტკინებამ
სიფრიფამ,
თავში სნება
ითქვლიფა!

ძველ თასში

მტეხავს ნაწვალებ
აზრის ხინჯები,
კეკლუც შავ თვალებს
მივეფიცხები.

ძნელად ჩავხედე
უფსკრულის ბეჩოს,
ჩელტის სამტრედეს
აეწვა ქეჩო.

ნუ ამიჯანყდით
პარადოქსებო,
საწუთროს ხათრის
მადლით ვოცნებობ.

ისევ ძველ თასში
ვასხამ ზედაშეს,
ცხონების არსი
გვჭვალავს მე და შენ!

ბრმად

მეხი გავარდა,
დაფრთხა ნახირი,
მწყემსმა დალანდა
მხეცის აჩრდილი.

წლები გაფრინდა
ნაცოდვილარი,
სიქას მაცლიდა
ბრმად მომღიმარი.

ქარმა ახვეტა
ალერსის სითბო,
ლოცვის თანხვედრად
შენდობას ვითხოვ.

ლაღობს მხედარი
ტრამალზე ქროლვით,
ფარა მხნედ არი -
გახურდა დოლი.

თვლემა

საჭირბოროტო საკითხს
გონება რომ ვერ ხარშავს,
გაქსუებული ფარსი
ეტორღიალა დაშნას.

ამოუცნობმა ლანდმა
გადაუფრინა ბექობს,
კურკაწონიას კართან
ლიუციფერი შეფობს.

დემონი ულვაშს იგრეხს
დანაოჭებულ ცაზე,
ჭინკა დაეყრდნო სიზმრებს
და წამოსკუპდა სარზე.

თრთის ბუნებრივი თვლემა,
ხნულში გაღვივდა თესლი,
კუდწაწყვეტილმა გველმა
ქვას მიანთხია გესლი.

სეტყვამ დალაშქრა ჭალა,
ნისლი ტრამალზე წვება,
მიმოიქუფრა შხარა ,
პარტახში ოხრავს სნება!

ვერ

ხმა ვერ ავუბი
ღვთიურ მოძახილს,
მძლავრობს აუგი -
ბოლო ცოდვამდი.

როს დაჩემება
ბორგავს ხვეულად,
მწუხრის შეგრძნება
მიმოგრძნეულდა.

ყისმათს იმდუღრავს
არსი მიმნდობი,
ვერ განიკურნა
შიშის სინდრომი.

უთრთით ნაკვთები
გალას ჩეროებს
და დასავლეთის
ჰემისფეროებს.

გეზად

როს ამოსუნთქვა
ვარამს განმუხტავს,
არ ჩავთვლი უბრად
სოფლის სამდურავს.

გეზად ჩამოცრის
ზეცის თარაზო,
უტყვი სამოთხის
მეტყველ ავგაროზს.

სულში მათოვდა,
გული გაცივდა,
განმიმარტოვა
ვნების ძახილმა.

ისე გათრთოლებს
თვალის ციაგი,
მზე საამბორე
კულულს გივარცხნის.

ეულად

ვერ ავირიდე
ცრემლების წვიმა,
მოსაჯირითე
ტრამალი გმინავს.

ქარცეცხლის ზღურბლთან
ვზედავ დიალოგს,
ეულად უნდა
ვიხეტიალო.

ერთგულ წინაპარს
ბურჯად რომ ვთვლიდი,
მხარს არ იკაკვავს
იმედის ხიბლი.

მთვარემ რომ დროზე
გაიჭიატოს -
სიმჭვარტლეს მოსწყვეტს
ლანდის ფიასკოს !

მწედ

ოდეს ყოველთა
შერკინების
ფაცი-ფაცური,
არის ბჭოება
განივთების
არ დასასრულის.

თუ სიახლეთა
სასოება
ვერ დაგვაპურებს,
მწედ მოგვართმევდა
სათნოება
თვის კერძ საცდურებს.

თუ ჩაგვივარდა
თანაგრძნობის
კოვზი ნაცარში,
სივრცეს დაფატრავს
დასაგმობი
ურვის კასკადი.

დროულად

დუშმანი როცა
ვიშინაურეთ,
კურცხალი მოსწყდა
ქათინაურებს.

დროების პირმშოს
გაურბის ფარა,
ოხრავს და ქიშპობს,
სიწმინდეს ბღალავს.

ვერ აგვირისტებს
ზნეობის პათოსს,
ამ ნასირისტებთ
სწორედ ეს აწყობთ!

ეროვნულ სუნთქვას
სიობლე აწვიმს,
დროულად უნდა
ისრას მტრის ხატი!

არ ასცდა

გაცუცურაკდა
უმწეო ბოღმა,
ღრმულში ყულაბა
ჩაჩრილა ოხრად.

მკათათვის ბექობს
არ ასცდა ცოხნა,
ვიღაცა ყბედობს,
ძნა ცეცქვა ზოგმა.

ნაკორტნი ყანა
თხუნელამ მოხნა,
სიშიშვლეს ძმარავას
თანხვედრი ოხვრა.

ვერ ვცვლი სიფითრეს
ვაზის ყლორტების,
ბექობის ქიმზე
გავიშოლტები!

უტეხი

სული დატორეს,
მრწამსი არ ცხრება,
ვერ დააჩოქეს
უტეხი ნება.

ერის საუნჯედ
მიმომქროლველი,
ვერ დააჩლუნგეს
ქნარი ცხოველი.

მზე ჩაეწვეთა
გმირთა სავანეს,
ერთობის შერწყმა
დავიღაღანეთ.

საშვილიშვილო
მოსჩქეფს ზეობა,
მიმოილხინოს
ივერთ მხნეობამ !

სავალალო

მომეძალა ცისმარე
იმედების თაკარა,
ცოტა აღარ ვიკმარე,
ავამტვერე გზაშარა.

თურმე როგორ ვცდებოდი,
მოცუნდრუკე კრავივით,
საჩოთიროდ ვზეობდი -
ზვირთგადავლილ ნავივით.

ფიქრის გორის ქარბუქმა
შემილეწა საგრძნობი,
დრომ განწყობა ჩაქუფრა -
სავალალო თანწყობით!

იკვირტება ხეობა,
მოსახდენი მოხდება,
საუფლისო მხნეობა
ითავთუხებს ცხონებად!

მალ - მალე

ვუახლოვდები
უკვე იმ სივრცეს,
როს საფერები
განწყობა მიმზერს.

ისე აწითლდა
ლაჟვარდის კიდე,
გრძნეული ნიმფა
ოსანას იწყებს.

ხიბლის მიმოზებს
უთრთით ღაწვები,
ჰოდა სიმორცხვეს
ავესანთლები!

ცრემლი ვათქორე
წარმოსახვაზე,
ნერწყვი ვაყოლე
ვნების ნაფაზებს.

ცინცხლების ხურდა
რომ გასპეტაკდეს,
მალ-მალე უნდა
ჩავკრა კვესაბედს!

არ იყუჩებს

ბრმა ფიქრების წკვარამს
მოშვლეპია კარი,
არ იყუჩებს, არა
აღტკინების ქნარი.

დაანათებს როცა
წამს ღვთიური სხივი,
საჭოჭმანო მოცდა
უსაფუძვლოდ ჩივის.

მიმოქანცულ მერცხალს
მოუწყია ბუდე,
ვნებამ უნდა შეგძრას,
რომ გადმოსცდე ზღუდეს.

მოჩვენებით ძმობას
გაუხუნდა ყავლი,
აღარ მიჭირს ცნობა
ვირეშმაკას ფანდის!

უკუსვლა

თუკი არასდროს
არაფრის გჯერა,
ძნელად განავრცობ
საამო ბგერას.

ვერ ვაგვირისტე
ეროსის მითი,
უკუსვლა იწვევს
სარკაზმულ ხითხითს.

გადაიქუფრა
უსაზღვრო სივრცე,
ტურა მიწურთან
ფორთხიალს იწყებს.

გონის კირთება
ხმალს რომ იშიშვლებს,
ჩაეცრიცება
მოკვდავს სიმშვიდე!

ტყავს იძრობს

გულს ეფონება
სტვენა ჩიტების,
ღვთივ შეგონებას
შევციცინებდი.

ვერ მივუნგრიე
მოხვდურს გვერდები,
ბრბოს შევერიე
შტერებ-შტერებით.

როს ტყავს გაიძრობს
კორიანტელი,
სივრცეს დაიპყრობს
დენთის ფანტელი.

ნდობა მამჩატებს
ოცნებით სავსეს,
შური აჯანჯლებთ
ჩალმიან ნავსებს.

შემომაფხიზლა
ფიქრის გრიგალმა,
ღრუბლის საცინცხლად
ელვამ იმატა.

მწუთხობს

როს განივთების
ჩაწყდა ზამბარა,
ბეცი ფიქრები
ლაფში ჩამხრჩვალა.

როცა საზღვრებში
ველარ ეტევი,
მწუთხობს თანხვედრი
მისატევები.

როს არ იყუჩებს
ვნება დაგმობით,
არ დაგიცურდეს
ფეხი ნაღრძობი.

ათრთოლებს მერქანს
როს სიფაქიზე,
ფოთლების ხვნეშაც
ვერ ითავისე.

სულ ორჭოფულად
გიჭირავს თავი,
ჩამოეხურა
ტერასას ზვავი.

წუწკობს

გაცრეცილა
ვარსკვლავეთი,
არ მეძინა,
გავსაოთდი.

წუწკობს ღამის
სიმფონია,
სევდა ხარბი
სინდრომია.

მარტოსულის
სიანკარე,
დავლურს უვლის
შავ-შავ თვალებს.

ვაფრთიანებ
სუნთქვის ალებს,
თავს მწველ ბაფთებს
შევაფარებ!

რაით

ამ ყვავილის
ათრთოლება,
სცრის გულჩვილის
სათნოებას.

ნეტა საით -
მიმოქცევა,
ზეობს რაით -
იმოძღვრება.

აღტკინების
საწინდარი,
არის ქნარის
საფიცარი.

ამ მუხტების
უტყვი ფრაზა -
ელვამ ფრთებით
მიმოხაზა.

ომი

სატკივარი
შორეული,
ნასხვისარი
ორეული.

ომი სანგრებ
ჩამოშლილი,
მხარი ნაკვთებ
ჩამოთლილი.

ერთგულ გზირის
გაშტერება,
ქვეყნის ჭირის
აღზევება.

მაჩანჩალა
დაბრკოლება,
ვეღარ მალავს
აღშფოთებას.

სიმწრის ფაფხური

ობოლ ზამბახებს
ესალბუნა
ნიავი დილის,
ამ სინარნარემ
დააპურა
განწყობის ხიბლი.
ზნეკეთილია
სვეგრძნეული
ადაპტირება,
დალოცვილია
აღგზნებული
შეხმატკბილება.

გაშლილ ტრამალზე
არაბულამ
სივრცე მიმოძრა,
წამწამს არ არხევს,
განაბულა
კენტი მიმოზა.
ო, როგორ ძნელად
ისხლიტება
სხივი აზრების,
ქარაფის რღვევად
იცრიცება
ზღუდე საზღვრების.

მგონი მიმიხვდი,
ანდა ფიქრობ
გზა ამერია...
სიმწრის ქილიკი
ბეჩავ სინდრომს
ძმრად დასდენია.
ჩემი ოცნების
საგანძური
რადგან მოგანდე,
ნუ გაოცდები,
დათაფლული
მწადს გავვორმაგდე.

ვისღა ვენდო რო -
შენდობამდე
არ ვცნობდე ედემს?!
არ მსურს გეგონოს
ვერთობოდე
ან მუზებს ვკრეფდე.
ამ წუთისოფლის
ქარტეხილმა
მიმრიყა მარტო,
წურწური ოფლის
განკვერილა
სულიერ საზრდოდ.

რადგან წყურვილი
ავაჩქეფე
მშფოთვარე ვერხვის,
ჩემი სურვილი
მწველ კედელზე
შეყრაა ცერცვის.
რადგან თანდგომა
ისევ ისე
დაიგვიანებს,
ვნების ბრმა თრობა
ასცდა ფიცხელ
სიმწრის იარებს.

მაგ უთქმელობამ
ამითრთოლა
გზნების სადავე,
ვიხმე ქველობა
აზრის ძრწოლა
მივასავსავე.
ასე ადვილად
ვერ ჩავწვდები
მაგ სისადავეს;
ძლივსღა გაწვიმდა,
ვამპირები
ტბორებს ხაპავენ.

ა, შევიფერე,
ამ გულში რო
ცეცხლი დაანთე,
ისე გიმღერებ -
აეკვირტოს
პეწი ბარათებს.
პირდაპირ გითხრა,
არა რითმა,
არა ქარაგმა,
გამხელის ფითრმა
ისაკლისა
ნერწყვის დანახვა.

ო, ამ ტკივილის
სანუგეშოს
ჭირს შეგუება;
ტირის ტირიფი
უგუნებო
შესალბუნებად.
ყოფით თაკარას
წარმოსახვა
ეჯაჯგურება;
მივყვები ფარას,
მიმოფარცხავს
შფოთს ერთგულება.

ამდენ საზრუნავს
არ აწყენდა
ჩერო ნავესის,
ხილვამ მარგუნა
აღმაფრენა
უზესთაესი.
გიახლოვდები,
იხვეწება
გაფურჩქვნის მადა,
ნუ გაოცდები,
მიტევება
სასთუმალს ქარგავს!

ეჰ, ეს სიმორცხვე -
მინაბული
თვალსაწიერი,
გულს ვერ ვიოხებ,
მარა სულის
ვარ მადლიერი.
მზე დაიწურა,
ა, ზედაშეც
ჯამში იალებს,
რა მომეყურა?
ო, მე და შენ
ვკემსავთ იარებს.

გაიჭიატა
უნიათოდ
როს აღტკინებამ,
არ ჩანს იახტა,
უკიაფო
თრთის დაპირება.
წიკწიკებს ნიხრი,
ჩაიცრიცა
ღამის ფიასკო,
მაშხალებს ვისვრი
ჯუნგლისპირა
გზას რო მივაგნო.

ჩქეფს გაბრწყინება
სწორუპოვარ
განთიადისა,
ღირს დაფიქრებად -
მოუბარმა
რომ იხალისა;
ვნების თაკარა
მაცოდვილებს
მიმწუხრ ცისმარე,
თავი დახარა
საკოცნინემ,
ვერ გავიკარე.

ვერ დავაძველებ
ამ სიახლით
განცდილ ტკივილებს,
ცრემლს შევაჯერებ
განთიადის
მლოცველ გვირილებს.
განკვეთის ხინჯის
აღტკინება
თავს დამტრიალებს,
ფაფხური სიმწრის
ცამ ინება -
ჩემს სატიალედ!

ა, ეხუტება
მოჩვენება
მწველ ჰარმონიას,
ისე მუქდება
ოხვრის სნება -
ირგვლივ შმორია.
ტალღას სცრის ქაფი,
მიმოქცევა
ასანთხევია...
ო, წყდება ძაფი,
ეს მოწყენა
ამაზრზენია.

ამ მუხის ძირში
ყვავილნარის
სასთუმალია...
ხო, ჩამრჩი ძილში,
ცხადის კარის
მწადს ჭრიალია.
გავცქერი ხედებს,
განშტოება
ერწყმის საფირონს,
უფალი შეძლებს -
სათნოება
რომ დაამკვიდროს.

არ წყალობს ჟამი
უსათუო
თანხვედრის წუთებს;
ოცნებებს ქნარი
საჯიუტო
განწყობას უქებს.
ქარმა ამრია,
ვერ მოვთოკე
ვნების სადავე...
ცას შეჰხარიან,
საორღობე
მეჯლისს მართავენ.

მზემ დაამთქნარა -
როს ზღაპრიდან
გამოვიპარე...
არ ვიშლი წანწალს,
დეზებს ვკვირტავ
ყოველ ცისმარე;
მაგ სუნთქვის თრთოლვას
ვისმენ აქაც -
ამ ყიამეთში...
ქათქათა თოვა
ტალღამ შთანთქა
ოკეანეთში.

რომ გავიაზრე
უარყოფის
განზომილება,
ავარდა ბანზე
დასაგმობი
აზრის მხილება.
ვითარც ქორბუდა -
გაყურსული
ტრამალს გავცქერი,
ჰოდა, მომწყურდა
ასანთლული
სულის ნამქერი.

ვარდის სურნელი
ჩაეწვეთა
კანკალა უჯრედს,
ამოუთქმელი
შემეცნება
ვარსკვლავეთს უბღვერს.
ფერთა სიუხვე
ცისარტყელამ
უძღვნა ფორიაქს,
ყური მიუგდე -
ბედისწერა
თრთის ჰარმონიად.

აჰა, მერცხალმა
ფრთა შეისხა
შორ-შორს საფრენად,
მზეს მიეწაფა,
გაიეშხა
ცხვირის აწევა,
თან უნებლიე
სისათუთე
აგულიანებს,
დე, იჯეჯილე,
იმსუბუქე,
იბაფთიანე.

ღამეულ ფიქრებს
მოეძალა
მყინვარის ხედი,
აღგზნების მყისვე
დამედარა
წყაროსთან გედი;
უეცრო ღიმილს
მოუმწიფდა
ღუღუნი მტრედის,
სიზმარი ყივის,
ჩამომდინდა
სისხამის ცრემლი.

ნაცად სისუსტემ
გამინათა
მრწამსის სარკმელი;
ისე ვიყუჩე,
საფიცართან
ვთვრები საკმევლით.
ალალი იყოს
ჩემი სუნთქვის
ჩაწიწმატება,
განგება მიხმობს,
გიშრის ფუნჯი
აშიშხათდება.

ა, ეს აურა
არაოდეს
არ განქარდება,
არსაცნაურად
ამაბოდებს
ზნე უკარება.
ყოველ ცისმარე
ისაყდრისე
თითო კურცხალი,
გულის იწამე,
ისაგზლისე
წრფელი უსტარი.

ო, თვალის ბინდი
განშტოების
ზემოქმედება,
ბოლომდე ვიცდი,
ამ ტბორებში
თუ მედგომება.
თუ სანუკვარი
ჩამოკვესავს
არგაწბილება,
სიმწრის ნუგბარი
ტლუ ოხრებსაც
ეცვარტკბილებათ.

ეჰ, ჩამეძინა,
სილუეტმა
იცვალა ფერი;
ღამე მეტკინა,
იშუშებდა
იარას მგელი.
თითქოს მომესმა
საწინსვლაო
გამოძახილი,
იქნებ ოდესღაც
ვაჯილდაო
პეწი მანდილის.

როცა სათქმელის
პირდაპირ თქმა
ასე ძნელია,
ფიქრით ნათრევი
სასამხრისოდ
ვსტუმროობ ლელიანს.
ვეღარ ვმარტვილობ,
გრძნობა ხანძრის
ფანტელებს სცრიდა
სასიამტკბილოდ
ავშიშხათდი
შენს შესანთლისად!

ხო, ჩამოფრინდი
ჩემი სულის
სანაპიროზე;
მარაოდ გიწნი -
გატრუნული
ქორფა მიმოზებს.
ჟღერად დალალებს
გიხმოვანებს
ზღვის სიმფონია,
ამ გულს განაგებ,
მამოწყალე -
გთაფლო გნოლია!

ამ საწინსვლაოს
შემეცნება
როს ნათელია,
აღარ ქირდაობს,
იხვეწება
რაც სათქმელია.
დროს ამჩნევია
სათვალთვალე
ჩადრის ტარება,
შესაჩვევია
საცინცხალე
ქარიზმანება.

მწამს და იცოდე,
რომ ამ გრძნობას
ვერ ჩავკლავ, ვერა,
რაც გინდ მიწოდე,
გინდაც გმობამ
მომისრას კერა.
ჩემი ვალია,
რომ მაგ სულში
ვთესო გვირილა,
ზნე ჩამტკბარია,
როს ვნებულნი
ერთხმად ვტირივართ!

რადგან რო გხედავ,
თუნდ სურათში,
გინდაც სიზმარში,
ჩემეულ სევდას
ვგრძნობ - ქურაში
მოძრავ მირაჟში...
შემომეჩვია
აზრთა აღქმის
გასათუთება,
ის რაც ჩვენია -
მხოლოდ ცალმხრივ
არ დასტურდება.

ისე მშვიდად ხარ,
ამ ანთების
ვერ მოგწვდა ალი;
რა არ მინახავს,
აქაც ვდნები
მთანგავ სამსალით.
ო, აღარ ცხრება
საცოდვილო
სიამის ქნარი,
ჰოდა განგებავ,
საჩოთირო
მაყარე ჯავრი.

ისე ხალვათად
ავუყევი
ამ მთაგრეხილებს,
მუხლი ჩაქანდა,
თავთუხები
ქარს ვაწეწინე.
მიმოიფანტა
კვამლის ბუღი -
კიდით კიდემდე,
ყინვამ იმატა,
მნათე უფლის
კალთას მივენდე.

შევაწევ კურცხალს,
ამ ღამეულ
აკვიატებას,
გამძაფრდა სუნთქვა
და მთვარეულ
ველტვი ნათებას.
ეს ის ხატია,
დღესდღეობით
გულს რო მიმაგრებს,
ყრუ დაფდაფია,
უშენობის
ვარამს მივარღვევ!

მთვარის ცრემლები
მთანგავ ოხვრის
საწინდარია,
თავქვე ვეშვები,
კოშმარს ცოხნის
ძუ აფთარია.
ჩავჭიდე ხელი
ჩამი-ჩუმის
განზომილებას,
ჩანაყეს ქველი,
ალიყური
მესაგზლისება.

მოცრა განგებამ
წუთიერი
ჟამთა სიმუხთლე,
ბინდი ამეკრა,
იმიერის
წამი ვისრუტე.
ნუთუ საწუთროვ,
შენი ლანდი
გადამეფარა?!
ეშმა ფაფხურობს,
სული ბარდნის
უფლის ბეგარას.

იქნებ გგონია,
დამავიწყდი,
ან შეგიძულე,
სიმწრის თქორია,
დანაპირის
ველტვი სისრულეს.
მჯერა, ამ თრობის
ლაბირინთში
შემოიჭრები,
მრწამსის განვრცობის
თანმდევ რიტმის
ზეობს სინჯები.

თრთოდა მანდილი,
სასამორცხვედ
დამამშვენები,
თვალ სვეტ აჭრილი
ცივ ტატნობზე
მივესვენები.
რადგან ოცნების
მარგალიტი
ტალღამ წარმტაცა,
ძნელად ვცხონდები,
ასაკვირტი
ვნების ცარგვალთან!

2016

ჩაუყვითლდათ ღაწვნი
ნაოსტატარ თაღებს,
თემშარაზე აწვიმს
სასწაულის მსახველს.

დაშვებულა ციდან
ვარსკვლავეთის ღუზა,
სამომავლო უსტარს
ყიამეთი ს უ ს ხ ა ვ ს !

ს ა რ ჩ ე ვ ი

მიტოვებული ტაძარი.....7
ვერ ვიადვილე.....8
წამოდექ.....9
არჩევანი.....10
…… ძაღლუმადურად..... 11
მივაგებ..... 12
ვერ აგიტაცა..... 13
ისევ..... 14
ნიღბების ცვენა..... 15
ორმხრივი ეშხი..... 16
თეთრი ბაფთები..... 17
სანამ უნდა..... 18
ღვთიური წვლილი..... 19
რადგან შეეხო..... 20
რით შევამკო..... 21
მარადიული ტკივილი..... 22
ყოველ წამს..... .23
რა არ იტანჯე..... 24
არ აღზევდეს..... 25
ღირსების მადლი..... 26
აასპარეზებს..... .. 27
სწირავს..... ..... .28
ყოფითი..... 29
აკროსტიხი..... .30
გაორება ..... .31
გაუყვა ბილიკს..... 32
ბნელში მივყვები..... 33
დრომ მოიტანა..... .34

სურათი.....35
ისევ აბოგინდა.....36
ცრემლები.....37
ბორგავს სამყარო.....38
მოლოდინი.....39
ტრამალები.....40
მიწის ბღავილი.....41
ბეწვის ხიდზე.....42
უიარაღოდ.....43
მოარული.....44
ფაფუკი ნისლები.....45
ამბიონზე.....46
დედა ბუნება.....47
გარდასახვა.....48
არ ამართლებს.....49
გზის გასაყარი.....50
ვერ ავიცდინე.....51
წყვილი.....52
დამფრთხალი ბინდი.....53
უგზოობა.....54
ვერ მოვიხელთე.....55
შუქის მარმაშები.....56
ავის გადამკიდე.....57
ბეჩავი თავი.....58
საყვირის ხმაზე.....59
სანამ გავუძლებ.....60
ნატვრა.....61
არ ასცდება.....62
ახდილი ფარდა.....63

ღობის გადაღმა.....64
წუთიერად.....65
ნაცნობ უცნობი.....66
შორს.....67
შეკრთა საღამო.....68
უღიმღამოდ.....69
რაც რომ.....70
ხსოვნის დავლიოთ.....71
ბრმა სამყარო.....72
ჩემი ხვედრი.....73
აღსდგა 74
ბიძგი.....75
მოდის.....76
სიჯიუტე.....77
ბრმა მგზავრული.....78
სიცარიელე.....79
იმკის.....80
ქარაფის ექო.....81
სნეული ვნება..... 82
შეხვედრა.....83
რთული ეპოქა.....84
მთვარეული.....85
სიშორე.....86
როდემდე.....87
ცხოვრება.....88
მწარე.....89
წკიპზე.....90
გზაწვრილს.....91
ნისლის ფარდები.....92

სახელი.....93
არ დაუშვებს.....94
პეპელა.....95
ზარნაშო.....96
ჩხავილის ექო.....97
ძვირად.....98
არ ვიცი.....99
არ ჩანს.....100
სატკივარი.....101
ობლის აკვანი.....102
სიტყვა და საქმე 103
სიაშკარავე.....104
მავნე.....105
მოსარკული.....106
სხვა ვერავინ.....107
იქნებ დაგვადგეს.....108
ქსელი.....109
სინანულის ბჭე.....110
არ ვაპირებ.....111
ისევ მოისმის.....112
წილ ვალს.....113
წიქარა.....114
ჯახირით..... 115
უკაცრიელი.....116
მიჰქრის კარეტა.....117
საყრდენი.....118
მოხდეს.....119
ტვირთი.....120
დაძლევა.....121

შევეშვათ.....122
ნდობა.....123
აღანთო.....124
შეიფერა.....125
ჩემ წილ.....126
ბონდის ხიდი.....127
მიზანი.....128
მოვდივარ.....129
მძიმე უღელი.....130
ბაქტერია.....131
ვინც მოგვკლავს.....132
ვერ ვეგუები.....133
დასჯა.....134
გავალ.....135
ცხოვრების დვრიტა.....136
სასაფლაოზე.....137
მოსისხლენი.....138
სუფთა სული.....139
ბარტყი.....140
ჯიხვი ქარაფზე.....141
მორჩილებს.....142
არ სცნობს.....143
როს მიმფარველებს.....144
იყნოსა.....145
ერკინება.....146
ხარკი ეძლევა.....147
აშკარად.....148
საგნების ფორმა.....149
ვერ უბრუნდება.....150

იმკის.....151
გვიან იცნობა.....152
არ შემიძლია.....153
ფასდება.....154
წინასწარ.....155
დაებას.....156
რაც დაანათლა.....157
სად.....158
მრავალჯერ.....159
არ იუარა.....160
ნერწყვი.....161
ირიბად.....162
ფერფლის გროვა.....163
განსხივება.....164
ვუმხელ.....165
აყოვნებს.....166
ქვეშქვეშ.....167
ბედის წყრომა.....168
ვერ გაიყო.....169
თავს მახსენებს.....170
როგორ უღვთოდ.....171
უგანა.....172
ნუ დაიჩემებს.....173
დიდხანს.....174
უღელი.....175
ზოგჯერ.....176
არხეინად.....177
განსასჯელად.....178
გამყვება.....179

არა მგონია.....180
უდროო დროს.....181
შეშლილ სახით.....182
თავდაყირა.....183
ცოტა შერჩება.....184
ჯვარი ეწეროს.....185
მზის ალმურში.....186
მოაგუგუნებს.....187
დენთის ბუღში.....188
დაიხვეწება.....189
საპნის ბუშტივით.....190
გადარჩენის.....191
ვერ შეირგებს.....192
კიდევ ერთხელ.....193
წილნაყარი.....194
საჩოთირო.....195
თავის დროზე.....196
ვისაკლისე.....197
წამხედურობის ძალა.....198
კაცი.....199
რაც უფრო.....200
მესამე თვალი.....201
ასეა.....202
ცოდვის განხილვა.....203
იუარა..... .204
დასაშვებია.....205
აცა - ბაცად.....206
უშედეგო.....207
ზეწოლა.....208

უხმაუროდ.....209
დრო და დრო.....210
მჯერა.....211
მინოსი მიხმობს.....212
ს ა რ ე ვ ე ლ ა 213
ქ ვ ა რ ი ა ნ უ ლ ი.....227
ვით შევძლო.....228
ექო.....229
მივათრევ.....230
ვერარა.....231
როგორღა.....232
როს ვეღარ.....233
ოდითგან.....234
რაც უფრო.....235
სიხარბე.....236
არა.....237
მეგონა.....238
შეზღუდვა.....239
საწუთრო.....240
საამოდ.....241
აგვწაპნა.....242
ფერთაცვლა.....243
შეაშრა.....244
ემწუთხა.....245
ძნელია.....246
კურცხალი.....247
ვერ შეკრა.....248
უცხო ხმა.....249

სადა ხარ.....250
გვწყურია.....251
ხორხოცი.....252
ჩაბჟირდა.....253
ისრუტა.....254
მოგვმადლე.....255
შევტოპე.....256
მიჩქმალეს.....257
ნაადრევ.....258
ჩაღამდა.....259
სათუო.....260
არ შედგა.....261
ჩაიქცა.....262
ჭაპანი.....263
უაბჯრო.....264
დაფდაფი.....265
დროული.....266
ჩამორჩა.....267
აურა.....268
ერთ მუშტად..... 269
ბურუსი..... .270
თორემ..... .271
ჩამთავრდა..... .272
არ ფასობს..... .273
ვით შევხვდეთ..... .274
სიწრფელე..... .275
თავნება..... .276
გოგმანის კადრი..... .277
აეწვა..... 278

უძღებნი.....279
აფიცხდა.....280
აბორგდა.....281
ნაჭდევი.....282
თავს დახრის.....283
სახადი.....284
დამტუქსა.....285
მივანდე.....286
არ უნდა.....287
ზერელედ.....288
გზაწვრილი.....289
ჩაყუჩდა.....290
უნიღბო ლაზათი.....291
შეზავდეს.....292
წარსულის სხივი.....293
ჩამოვკრავ.....294
მიმქრალი.....295
მით უფრო.....296
არ იშლის.....297
კვლავ ჯიქურ.....298
აღმასვლა.....299
ნათლად ჩანს.....300
მეტადრე.....301
საავდრო.....302
დუღს.....303
დაღმართზე.....304
ვერ ვსახე.....305
დალოცვა.....306
ნიადაგ.....307

რას ვუცდით.....308
ვისთვის.....309
ვერ ვამხელ.....310
სამხილი.....311
მადლია.....312
მომრავლდა.....313
შოლტის ფხა.....314
იმდენად.....315
ზვარაკად.....316
ვერ გასცდა.....317
ამაღამ.....318
წუნია.....319
გაჯიქდა.....320
ტიალის გრიალი.....321
ჯერ კიდევ.....322
არ ცნობა.....323
შენს გამო.....324
გმინვა.....325
უმტყუნა.....326
ღრძო ხვატი.....327
არ მიკვირს.....328
არ იშლის.....329
ბ ა ლ ა გ ა ნ ი 330
პ ა რ ტ ა ხ ი 347
ო ს ტ ა ტ ი ს ნ ი ხ რ ი 365
ნარგიზები.....367
რად უნდა.....368
უხერხულობა.....369
რად ვყარო.....370

ისე შემძრა.....371
ქუხილის ექო.....372
გიხმობ.....373
უნიათობა.....374
ჯანყი.....375
აღმოხდა.....376
არ დაამწუხრო.....377
დუღს.....378
გაითავისე.....379
კალო.....380
სცნო.....381
დავძრწი.....382
ეიფორია.....383
მიჭირს.....384
დიადემა.....385
რანდავს.....386
ჭაპანი.....387
წუწუნი.....388
ყიამეთი.....389
ძნელად.....390
პოეტები.....391
გაიჯეჯილა.....392
ნაოჭი.....393
მონატრება.....394
წილად.....395
ლანდი.....396
დილემა.....397
ხვედრი.....398
დროზე.....399

მრწამსი.....400
მსწრაფლ.....401
ფუჭია.....402
კაპრიზი.....403
ლაფში.....404
მაშინ.....405
აჰა.....406
კვლავ.....407
თრთოლვა.....408
ხვატი.....409
ჩანაყა.....410
ჰოი.....411
ამაოდ.....412
ცვენა.....413
აშკარად.....414
უნდა.....415
კვამლი.....416
ყვავის.....417
იყვედრის.....418
უებრო.....419
დამფრთხალი.....420
ცოტანი..... 421
მაინც.....422
ავგაროზი..... .423
სახრე..... .424
ციფრები..... ..425
საფარში..... .426
მოლზე..... 427
მეხი..... 428

ველარ.....429
უმსგავსო.....430
ოხრავს.....431
ვინ რას.....432
ვითომ.....433
ქოქი.....434
ჩაცომდა.....435
წინარე.....436
მოეშვა.....437
ჩახერგილი.....438
მთავარი.....439
ქართველო.....440
მზერა.....441
ბეცი ზმანება.....442
ვინც ვერ.....443
ცალყბად.....444
შეჯერება.....445
წნეხი.....446
ვაელვე.....447
ვჭედო.....448
კურცხლებად.....449
ეწვის.....450
მსწრაფლ.....451
ბჟუტავს.....452
ვერ ვითავისე.....453
რისხვა.....454
ლანდი.....455
თუ ხარ.....456
ბღილი.....457
ნუ მტოვებ..... 458
მყის..... .459
პეშვით..... .460
იწრთობა..... .461

გასანთლა.....462
მერყევი.....463
უტაქტო.....464
გვიხმობს.....465
დაობლდა.....466
ჩატკბა.....467
ვერ წყვეტს.....468
ვთითხნი.....469
გაკრთა.....470
იქცა.....471
ბარტყობს.....472
ისევ ხვალის.....473
წეწავს.....474
ამ ოხვრის.....475
თორემ.....476
მალ - მალე.....477
გავწბილდი.....478
ნატრული.....479
მყისვე.....480
იაისოს.....481
უბრად.....482
სამიზნე.....483
საზღაური.....484
ჩაცხვა.....485
სიწრფელე.....486
ნერწყვი.....487
ღირდა.....488
დრო აქვთ.....489
ბრძოლის ველს 490
გეშად.....491
ახირება.....492
ცდილობ.....493
სიფაქიზე.....494

მიყუჩდა.....495
სცნობს.....496
მოშლილა.....497
წუწკობს.....498
გამცრა.....499
უცხო.....500
ხსნად.....501
ვცრი.....502
ცელქობს.....503
ლაციცი.....504
კოჭლობს.....505
ოსტატის ნიხრი.....506
შვებად.....507
ვითარც.....508
აეწვა.....509
რატომ.....510
ცივად.....511
ბრდღვინავს.....512
უშნოდ.....513
შაქრად.....514
ხოხბობს.....515
აქ.....516
რაც.....517
მოვინდომე.....518
საგულქვაო.....519
ვალი.....520
უნდა ვჭექო.....521
შირმა.....522
აღმომხდა.....523
კვამლი.....524
რაღა.....525
ისევ ის.....526
ჩუმჩუმ..... 527

ჯაფა.....528
ანცობს.....529
არ ჩაცვდეს.....530
ვერ ქუხს.....531
გვფარავს.....532
კვერს უკრავს..... 533
შვებად.....534
ჭკნება.....535
ლაფი.....536
განსჯის.....537
გზაშარაზე.....538
ეხლება.....539
ვით ვწვდე.....540
ვუფრთხი.....541
მოვიოხე.....542
მითრევს.....543
შეცბა.....544
ატანა.....545
კუთვნილს.....546
უხმობს.....547
ვთბუნავ.....548
ავის მაცნე.....549
აცინცხალებს.....550
იწრთო.....551
ის რაც.....552
სინაზე.....553
რაღამ.....554
ხვნეშა.....555
სამიზნე.....556
მდარე.....557
აედევნა.....558
ფარსად.....559

ძველ თასში.....560
ბრმად.....561
თვლემა.....562
ვერ.....563
გეზად.....564
ეულად.....565
მწედ.....566
დროულად.....567
არ ასცდა.....568
უტეხი.....569
სავალალო.....570
მალ - მალე.....571
არ იყუჩებს.....572
უკუსვლა.....573
ტყავს იძროობს.....574
მწუთხოობს.....575
წუწკობს.....576
რაით.....577
ომი.....578
ს ი მ წ რ ი ს ფ ა ფ ხ უ რ ი.....579